

სოფიკო ჭავჭავაძე

სახალხოვნო ენა საქართველოში

რევკომის ბრძანება.

მიუხედავად რევკომის არა ერთხელ გამოცემულ ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკათ აასრულონ ეს ბრძანება, ქალაქ. თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ, იყო შემთხვეული ენის გაძევების სურვილი დაწესებულებიდან.

ს. ს. ს. ა.
 სსრკ-ის სახალხოვნო ენის კომისია
 შ.ს. საფრინოვი კომიტეტი
 ВЕТРУАНСКИЙ ЦЕНТРАЛЬНЫЙ ИСПОЛНИТЕЛЬНЫЙ КОМИТЕТ

მიუხედავად შაჰარ საფრინოვი კომიტეტის მიერ მოქმედ გამკაცრებისა და ბრძანებებისა, ზოგიერთი დაწესებულება, სხვადასხვა ხასიათის შიშოქრის დროს, მაინც ხმარებს ისე ფრმებს, რომელიც უაღრესად ნაფიქრად აღნიშნავს დაშვებული, აგრეთვე ენის ისე ფრმებს, რომელიც სასტიკათ შეუფერებელია ქარაღის ბუნებისა და აღნიშნისათვის.

საქონის არს.

1927 წლის 7-
 26.11.1926

საქონის არს.

საქართველოს ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 20-იან წლებში

"	"	საქმური	"	"	საგენოს
"	"	ბოლოჯობა	"	"	მონოპოლის
"	"	ამბარდი	"	"	მონეორის
"	"	სხიუარა	"	"	რაიის
"	"	ძარარი	"	"	სპირის
"	"	ელერი	"	"	ველერაფის
"	"	ბნიღანი	"	"	ვებერაფურის
"	"	შეიბერი	"	"	შეიბერის

და მრავალი სხვა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

SOKHUMI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES



წიგნი დაიბეჭდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა
და კულტურის სამინისტროს 2021 წლის „აფხაზეთის მეცნიერთა
მხარდაჭერის პროგრამის“ ფინანსური მხარდაჭერით.

www.meca.gov.ge



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოფიკო ჭავჭავაძე

საქართველოს ენობრივი სიტუაცია XX
საუკუნის 20-იან წლებში

თბილისი

**SOKHUMI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES**

SOFIKO TCHAAVA

**THE LANGUAGE SITUATION OF GEORGIA IN THE
20S OF THE 20TH CENTURY**

Tbilisi

მონოგრაფიაში გაანალიზებულია XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ენობრივი სიტუაცია საარქივო მასალების მიხედვით. უპირატესად გამოყენებულია საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და განათლების სახალხო კომისარიატის ფონდებში დაცული სოციოლინგვისტურად მნიშვნელოვანი მასალები. ნაშრომში საქართველოს ზოგადლინგვისტური სიტუაციის გარდა, დეტალურად განიხილება იმ პერიოდისთვის ახლადშექმნილი ადმინისტრაციული ავტონომიების აფხაზეთის სსრ-ს, აჭარის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ენობრივი ტენდენციები. კვლევის შედეგად გამოვლინდა აქამდე უცნობი არაერთი დოკუმენტი, რომელთა საფუძველზეც მკაფიოდ იკვეთება, თუ როგორ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკა ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემაში, სახელმწიფო სტრუქტურებში, სასამართლოსა და კულტურის სხვადასხვა დარგებში. ფაქტობრივად, საბჭოთა რეჟიმისთვის ენა იყო ერთ-ერთი მძლავრი იარაღი, რითაც ის ახერხებდა ერთა შორის უთანხმოებისა და უკმაყოფილების ინსპირირებას. ხელოვნურად შექმნილი ეთნიკური და ენობრივი გარემოს საბოლოო შედეგი კი დენაციონალიზებული და ენობრივად რუსიფიცირებული, უკიდურესად იდეოლოგიზებული „ახალი საბჭოთა ადამიანის“ აღზრდა უნდა ყოფილიყო.

წიგნში აღწერილი კვლევის შედეგები გამოადგებათ ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, კონფლიქტოლოგებს (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს), ფორმალური და არაფორმალური განათლების სპეციალისტებს, ჟურნალისტებს, სოციოლოგებს და საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს.

რედაქტორი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **თეიმურაზ გვანცელაძე**
რეცენზენტები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მერაბ ჩუხუა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მანანა ტაბიძე**

ფილოლოგიის დოქტორი **მანანა ბუკია**

ფილოლოგიის დოქტორი **თამილა ზვიადაძე**

© სოფიკო ჭაავა, 2021

გამომცემლობა „საარი“, 2021

ISBN 978-9941-493-33-1

ეძღვნება გამოჩენილი ქართველოლოგისა და აფხაზოლოგის
აკად. ქ. ლომთათიძის
დაბადების 110 წლისთავს

თავი პირველი.

ენობრივი ვითარება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

(მოკლე მიმოხილვა)

1917 წლის თებერვალში პეტერბურგში მომხდარი გადატრიალების (ე.წ. თებერვლის რევოლუციის) შემდგომ საქართველოს გაუჩნდა შესაძლებლობა, აღედგინა 116 წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ იმდროინდელი ქართული საზოგადოება და პოლიტიკოსები საამისოდ მზად ჯერ კიდევ არ აღმოჩნდნენ. იგივე ვითარება იყო მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ მომენტით ისარგებლა პეტერბურგში დამხობილი რუსეთის მეფის ხელისუფლების ნაცვლად შექმნილმა დროებითმა მთავრობამ და შექმნა ამიერკავკასიის მართვის ახალი ორგანო ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი, ანუ ოზაკომი (ოზაკომი აბრევიატურაა რუსული სახელწოდებისა: **Особый Закавказский Комитет**), რომელმაც ზოგი პოლიტიკური ცვლილება განახორციელა, მაგრამ ეს ცვლილებები პრაქტიკულად თითქმის არ ასახულა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ენობრივ სიტუაციაზე: ოფიციალური საქმისწარმოება კვლავ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ყველა ოფიციალური დაწესებულება რუსულ ენაზე მუშაობდა, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სასკოლო დაწესებულებებში სწავლების ენა ისევ რუსული დარჩა, სასამართლო პროცესებიც უპირატესად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მართლმადიდებლურ ეკლესიათა უმრავლესობაში ღვთისმსახურებაც რუსულად იყო, გრიგორიანულ, კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში - შესაბამისად, სომხურად, ლათინურად და გერმანულად,

მეჩეთებში - არაბულად, ხოლო სინაგოგებში - ებრაულად. კერძო სკოლების ნაწილში სწავლების ენებად გამოიყენებოდა ქართული, სომხური, თათრული¹, გამოდიოდა რუსული, ქართული, თათრული და სომხური გაზეთები და წიგნები...

1917 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით 7 ნოემბერს) პეტერბურგში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური განშტოების წარმომადგენლებმა ვლადიმერ ლენინის (ულიანოვის) მეთაურობით დაამხეს რუსეთის დროებითი მთავრობა, დამყარდა საბჭოთა რეჟიმი. ბოლშევიკები უმაღლვე შეუდგნენ ძველი მმართველობითი სისტემის ძირფესვიან ნგრევას, რაც ენობრივ პოლიტიკასაც შეეხო. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში გაიმართა სამხრეთ კავკასიაში მოქმედი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც დაადგინა:

1. „ვიდრე დამფუძნებელ კრების არჩევნები დასრულდებოდას ამიერ-კავკასიას განაგებდეს საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტი. კომიტეტში შევლენ ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2. არჩევნების შემდეგ დროებითი მთავრობის მოწყობა, მისი შემადგენლობა დავალდეს არჩეულ პირებს შემდეგი პირობებით:

ა) ადგილობრივ საოლქო პოლიტიკის შემოღება, სრულიად რუსეთის დემოკრატიასთან კავშირით, საერთო სახელმწიფოებრივ საკითხების გადაწყვეტა.

1. აზერბაიჯანულ ენას ჩვენს საკვლევ პერიოდში რუსულად ოფიციალურად ეწოდებოდა **тюркский язык** და **татарский язык**, ხოლო ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხს - **тюрки** და **татары**, ამ ტერმინთა ქართული შესატყვისები იყო: თათრული ენა და თათრები, შესაბამის რესპუბლიკას 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან დაუკანონდა ტერმინი აზერბაიჯანი (რუსულად - **Азербайджан**). 1936 წელს, როცა მოხდა საბჭოთა კავშირის დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები, ოფიციალურად დაკანონდა რესპუბლიკის სახელწოდებისაგან ნაწარმოები ეთნოსისა და მისი ენის ახალი სახელწოდებები: აზერბაიჯანული ენა და აზერბაიჯანელები (**азербайджанский язык, азербайджанцы**). წინამდებარე ნაშრომში ვიყენებთ იმ ტერმინებს, რომლებიც საკვლევ პერიოდში იყო გავრცელებული: აზერბაიჯანი, თათრული ენა და თათრები.

ბ) ადგილობრივ მიმდინარე საკითხის ავტონომიური გადაწყვეტა.

გ) ამიერ-კავკასიის სრულიად რუსეთის სრულ უფლებიან დამფუძნებელ კრებამდის მიყვანა ანდა იმ მომენტამდე - სანამ შესდგებოდეს ყველას მიერ მიღებული რევოლუციური-დემოკრატიული მთავრობა.

დ) თავის მოქმედებაში უნდა ეყრდნობოდეს საოლქო და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებსა და თვით მართველობათ ორგანოებს“ [„საქართველო“, 1917, N 5: 2].

ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა როგორც ბოლშევიკების, ისე მათი წინამორბედი ორივე რეჟიმის (მეფის მომხრეთა და დროებითი მთავრობის მხარდამჭერთა) გეგმებს და პრაქტიკულად სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რუსეთისაგან გამოომიჯვნას ნიშნავდა. შეიქმნა ახალი აღმასრულებელი ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატის სახელწოდებით. მასში 11 სამინისტრო გაერთიანდა. საკანონმდებლო ფუნქცია დაეკისრა 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მოწვეულ ამიერკავკასიის სეიმს, რომელშიც დეპუტატების სახით განევრიანდნენ მანამდე სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნიდან არჩეული სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ქართველი, სომეხი, თათარი და რუსი წევრები. სეიმს 3 ფრაქცია ჰქონდა:

სოციალ-დემოკრატებისა, ანუ მენშევიკებისა - შედიოდა 32 წევრი (უპირატესად ქართველები);

მაჰმადიანთა, ანუ მუსავატელებისა და უპარტიოებისა - 50 წევრი (უპირატესად თათრები);

დაშნაკებისა - 27 წევრი (მხოლოდ სომხები).

სეიმმა 1918 წლის 22 აპრილს შექმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომელმაც არსებობა შეწყვიტა ერთ თვეში, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, 28 მაისს კი სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე.

ამრიგად, 1917 წლის თებერვლიდან 1918 წლის 26-28 მაისამდე სამხრეთ კავკასიაში მკვეთრი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცვლილებები ხდებოდა, რასაც თან ახლდა ხელისუფლებაში სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და ეთნიკურ-ენობრივი იდენტობის პირთა მოქცევა. ამ გარდამავალი დროის სიმცირე (სულ რაღაც 15 თვე) და მართვის სათავეებთან მოქცეულ პოლიტიკოსთა პოზიციების დიდი სიჭრელე გამორიცხავდა ეროვნული ენების უფლებათა გაზრდისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელებას. რუსული ენა კვლავ რჩებოდა გაბატონებულ და ერთადერთ პრესტიჟულ ენად მთელ სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოს ენობრივი ვითარება საგრძნობლად შეიცვალა 1918 წლის 26 მაისიდან, როცა შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც არსებობა შეწყვიტა 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაცია-ანექსიის შედეგად. მართალია, ენობრივი ფაქტების სინქრონული ანალიზი გულისხმობს მხოლოდ A და B დროულ წერტილებს შორის მოქცეული პერიოდის დეტალურ ანალიზს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ისტორიული პერიოდი, ეპოქა სულაც არ წარმოადგენს მცირე პერიოდების მექანიკურ ნაზავს. ახალ ეპოქას ფესვები წინა ეპოქაში (ეპოქებში) უდგას და იმ წინარე ვითარების გათვალისწინება გაცილებით აიოლებს საკვლევ პერიოდის მონაცემთა ფესვების დანახვას, იმის გააზრებას, თუ კონკრეტულად რა გადმოჰყვა ახალ ისტორიულ რეალობას უშუალო წარსულიდან, რა გაქრა და რა განვითარდა, როგორია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და სხვ. ამის გამო უპრიანი იყო XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ენობრივი ვითარების ანალიზისათვის წაგვემძღვარებინა 1917-1920 წლების ვითარების მოკლე აღწერაც.

ენის ოფიციალური სტატუსი და ენობრივი რეგულაციები. საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ, 1918-1920 წლებში მიღებული ენობრივი კანონები და დადგენილებები დაედო საფუძვლად 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკ-

რატული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართულის გამოცხადებას. ამ მნიშვნელოვან მოვლენამდე შემუშავებული ენობრივი რეგულაციები განსაზღვრავდა ენათა გამოყენების საკითხებს პარლამენტში, სახელმწიფო დაწესებულებებში, განათლების სისტემასა და სამართალწარმოებაში. პოლიტიკოსები კანონის მიღებამდე დაწვრილებით განიხილავდნენ არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ ენობრივ ვითარებას და ცდილობდნენ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაფუძნებულიყო დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებზე. ცალკეული რეგულაციები დროებითი, გარდამავალი ხასიათისა იყო, ვინაიდან ითვალისწინებდნენ ქვეყნის ზოგიერთი მხარის სპეციფიკას და არაქართული მოსახლეობის უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით გარკვეულ დათმობებზეც მიდიოდნენ, რაც ახლანდელი გადასახედიდან გასაგებია, ვინაიდან ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ადვილად შეეძლო გარეშე ძალების ჩარევა და ინტერეთნიკური დაპირისპირების პროვოცირება.

საყურადღებოა 1918 წლის 27 სექტემბერს ეროვნული საბჭოს წევრთა მიერ გამართული დისკუსია პარლამენტში ენათა გამოყენების წესების შესახებ. დეპუტატებს უნდა გადაეწყვიტათ, რომელ ენაზე უნდა წარმოეთქვათ სიტყვა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს პარლამენტში გამოსვლის დროს. რადიკალ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატები მოითხოვდნენ, რომ არაქართველებს მხოლოდ ქართულ, სახელმწიფო ენაზე ელაპარაკათ. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდნენ სოციალ-ფედერალისტები, ალიონელთა ჯგუფის წარმომადგენლები და საბჭოს ცალკეული წევრები. მოგვყავს ორივე პოზიციის გამომხატველი გამოსვლების ნაწყვეტები:

„სპირიდონ კედია (ეროვნულ-დემოკრატი): „აქ რამდენიმე ეროვნებაა, თუ მათ მშობლიურ ენაზე წარმოსთქვებს სიტყვები, გვაქვს უფლება მოვითხოვოთ გადათარგმნა, რადგან დავვაინტერესებს მათი სიტყვების შინაარსი, რომ შეგნებულად მივცეთ ხმა საკითხის გადაჭრის დროს. ეს კი საქმეს წარმოუდ-

გენლად გაართულებს. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ სალაპარაკო ენად პარლამენტში იყოს ქართული“.

რ. არსენიძე: „ხალხს დედაენის უფლება სჭირდება და დემოკრატიზმი, რომელიც სახელმწიფოებრიობის საუკეთესო დამცველიცაა, მხოლოდ ამ ენის უზრუნველყოფას მოითხოვს. ჩვენი მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან, რომ რუსული ენა საერთაშორისო ენაა და მიიღეთ საპარლამენტო ენათო. ჩვენ ამას სასტიკად ვენინააღმდეგებით. რადგან რუსული იცის მხოლოდ ინტელიგენციამ და ფართო მასამ არ იცის, ამიტომ ამ დებულების მიღება შეუძლებელია. დარჩა ერთი. ჩვენ უფლება უნდა მივცეთ უმცირესობათა წარმომადგენლებს თავიანთ მშობლიურ ენაზე წარმოთქვან სიტყვები. შეიძლება ამის განხორციელება ძნელი შეიქმნეს, მაგრამ აქ შევიმუშავებთ საერთო კანონს პრინციპულად და არა ტექნიკურ მხარეებს. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური თარჯიმნების დაშვება შეუძლებელია“.

1918 წლის 1 ოქტომბრის სხდომაზე ეროვნული საბჭოს წევრმა რ. გაბაშვილმა აღნიშნა, რომ სომხები და ებრაელები არ ითხოვდნენ სიტყვის წარმოთქმას უსათუოდ დედაენაზე, ეს მხოლოდ რუსების მოთხოვნა იყო“ [ჭანტურია, 2004:97-104].

1918 წლის 15 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი პარლამენტში ენების გამოყენების წესების შესახებ, რომლის მიხედვითაც, პარლამენტში საქმისწარმოება და კამათი უნდა წარმართულიყო ქართულ ენაზე, ყოველგვარი წერილობითი წინადადება და შესწორება უნდა დაწერილიყო მხოლოდ ქართულად, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლის სიტყვა უნდა თარგმნილიყო ასევე მხოლოდ ქართულად და არა სხვა რომელიმე ენაზე [საქართველოს... 1990:80-83]. ეს იყო პირველი სერიოზული სამართლებრივი ნორმა, რომელიც საფუძველს უყრიდა ქართული ენის უფლებების ამაღლებას.

თვითმმართველობის ენა. 1919 წლის 14 იანვარს მიიღეს კანონი ადგილობრივ თვითმმართველობით ორგანოებში ენის ხმარების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ

თვითმმართველობით ორგანოებში მსჯელობა, საქმისწარმოება და მიწერ-მოწერა უნდა წარმოებულყო ქართულ ენაზე. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დადგენილებით, სიტყვის წარმოთქმა და განაცხადის შეტანა შეიძლებოდა ადგილობრივი უმრავლესობის ენაზეც. ამ დადგენილებაში მითითებული იყო, რომ ეს კანონი არ ვრცელდებოდა სოხუმისა და სოჭის ოლქებზე [საქართველოს... 1990:206]. მიზეზი იქ იმ დროს რუსეთიდან ჩარევის შედეგად ვითარების მკვეთრად გამწვავება იყო.

1920 წლის 23 ივნისს საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომაზე მიიღეს დადგენილება სახელმწიფო ენის გარდა, ეროვნული უმცირესობების ენებზე კანონების გამოქვეყნების შესახებ. საკითხის განხილვას ცხარე კამათი მოჰყვა პრეზიდიუმის წევრებს შორის. ნაწილი მიიჩნევდა, რომ სასურველი იყო კანონები ყოველი მოქალაქისათვის გასაგებ ენაზე, ან ერთ ისეთ ენაზე თარგმნილიყო, რომელიც გასაგები იქნებოდა ყველასთვის. თუმცა პრობლემას ქმნიდა ტექნიკური მხარე - ძნელი იქნებოდა კანონი დაუმახინჯებლად მიეწოდებინათ ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის. სხვების აზრით, კანონი სამ მთავარ ენაზე მაინც უნდა თარგმნილიყო: სომხურად, თათრულად და რუსულად (დიასპორათაგან სომხები და თათრები ქმნიდნენ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფებს). რუსული ენის შერჩევა იმით იყო განპირობებული, რომ 1801-1918 წლებში სწორედ ეს ენა იყო პრესტიჟული და იგი განათლებული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იცოდა. ხსენებული კანონის პრაქტიკულად ასამოქმედებლად საჭირო იქნებოდნენ პროფესიონალი თარგმნელები, რომლებიც ცოტანი იყვნენ. კამათის შემდეგ გამოირიცხა თარგმნა როგორც სომხურად და თათრულად, ისე რუსულადაც - რუსული ძირითადად იცოდნენ რუსებმა და სომხებისა და აზერბაიჯანელების მცირე ნაწილმა (ინტელიგენციამ), ხოლო ქართული იცოდნენ ქალაქებში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნების მუშებმა და გლეხობის ნაწილმა. საბოლოოდ დაადგინეს, რომ კანონები

გამოქვეყნებულიყო მხოლოდ ქართულ ენაზე, ხოლო თუ კერძო გამომცემლები და ეროვნული საბჭოები მოისურვებდნენ კანონების თარგმნას, სახელმწიფო პასუხისმგებლობას იღებდა მატერიალური დახმარება გაენია მათთვის [აფხაზეთის... 2004:231-233].

განათლების ენა. ენობრივი რეფორმები მოხდა განათლების სისტემაშიც, რამაც შეცვალა სასწავლებლებში ენათა სწავლების მიმართულებები. 1918 წელს განათლების მინისტრის ნ. ცინცაძის მიერ მინისტრთა საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ქართული ენისა (ქართული ენა უნდა ესწავლათ ოთხ კლასში) და საქართველოს ისტორიის სწავლება სავალდებულო უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის ყველა სკოლაში, ვინაიდან არაქართველებმა ქართული ენა არ იცოდნენ. საშუალო სკოლაში უნდა ესწავლათ შემდეგი საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა, მათ შორის ერთი რუსული, მეორე – ფრანგული, გერმანული, ან ინგლისური (არჩევით), ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოლიკა, მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება, ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიშობა, გალობა და მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა. ლათინური ენა, როგორც სავალდებულო საგანი უნდა ამოეღოთ, ხოლო სურვილის შემთხვევაში, უნდა ესწავლებინათ მეორე კლასის შემდეგ, თუ მსურველთა რაოდენობა იქნებოდა არანაკლებ ხუთისა [გავაშელიშვილი, 2004:95].

1918 წლის 13 სექტემბერს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა და დაერქვა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც პროფესორ-მასწავლებლებს ლექციები ქართულ ენაზე უნდა წაეკითხათ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, პროფესორთა საბჭოს ნებართვით, შეიძლებოდა ლექციები უცხო ენაზე წარმართულიყო. გარდა ამისა, ამავე წელს თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის სემინარიები სახელმწიფო სასწავლებლებად

დასახელდა. საყურადღებოა, რომ ამავე გადანყვეტილებით სოხუმის სემინარიასთან გაიხსნა აფხაზური განყოფილება - ეს ამ ენის არსებობის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო მისი არა მარტო შესწავლის, არამედ სწავლების ენად გამოყენებისა [საქართველოს... 1990:57]. ქართული ენის სწავლის სავალდებულოდ გამოცხადება ქვეყნის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჩართულობას და მათ სრულფასოვან მოქალაქეებად ფორმირებას უწყობდა ხელს. რუსული ენის ამოღებას განათლების სფეროდან შესაძლოა უკმაყოფილება გამოეწვია იმ მხარეებში, სადაც რუსული ენა ასრულებდა სწავლებისა და ოფიციალური ენის ფუნქციას. სწორედ ამიტომ დარჩა სასწავლებლებში რუსული, როგორც სავალდებულო უცხო ენა.

სასამართლოს ენა. 1918 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ. ეს კანონი უაღესად დემოკრატიული იყო. მასში აღინიშნებოდა შემდეგი:

1. „როგორც საუბნო მომრიგებელ მოსამართლესთან, ისე მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაზე საქმე სწარმოებს ქართულად;

2. იმ უბანში, სადაც უმრავლესობა რესპუბლიკის მოქალაქეთა, რომელიმე არა-ქართველ ერს ეკუთვნის, საქმის წარმოება, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობით უნდა ხდებოდეს ქართულსა და უბნის უმრავლესობის ენაზე. ოფიციალურ ტექსტად ჩაითვლება ქართული ტექსტი;

3. იმ ოლქში, ან უბანში, სადაც არა-ქართველი ერის ნაწილი რესპუბლიკის მოქალაქეთა მნიშვნელოვან უმცირესობას (20%-ზე არა ნაკლებს) შეადგენს - ყოველგვარი ქალაქის შეტანა მომრიგებელ სასამართლოში და სიტყვიერი განმარტების მიცემა შეიძლება უმცირესობის ენაზე; ამავე ენაზე უფლება აქვთ განსაკუთრებული სასყიდლის გაუღებლად მიიღონ ყოველგვარი სასამართლოს წესით განსაზღვრული ქალაქების პირი;

4. თუ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, ხოლო სამოქალაქო საქმეში კი ორივე მხარე მოითხოვს საქმის გარჩევას არა ქართულ ენაზე და მომრიგებელმა მოსამართლემ, ან მოსამართლეთა ყრილობამ იცის ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება უნდა მოხდეს ამ ენაზე“ [აფხაზეთის... 2004:116-119].

მაშასადამე, 1918-1920 წლებში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა და მიიღო შემდეგი კანონები: პარლამენტში ენების გამოყენების წესების შესახებ, ადგილობრივ თვითმმართველობით ორგანოებში ენის ხმარების შესახებ, მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ. მნიშვნელოვანი ენობრივი რეფორმები განხორციელდა განათლების სისტემაშიც. ყველა ზემოთ დასახელებულ სტრუქტურასა და სფეროში ქართული სახელმწიფო ენის უპირატესობა იყო დაკანონებული, ამასთანავე გათვალისწინებული იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისა და დიასპორების ეთნიკურ-ენობრივი ინტერესები. ზოგ შემთხვევაში, დეპუტატების მიერ მიღებული ფრთხილი და ლოიალური გადაწყვეტილებები განპირობებული იყო ცალკეული ადგილის სპეციფიკითა და საჭიროებებით. ყველა რეგულაცია ცხადყოფდა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მაქსიმალურად იყო გარანტირებული ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისა და დიასპორების ეთნიკური და ენობრივი უფლებები.

1920 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის შემდეგი სტრუქტურები ფუნქციონირებდნენ: თემი, სამაზრო ერობა და ქალაქი. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა კარგად ვერ ერკვეოდა მართვის ამ ორგანოების ფუნქციებსა და თავიანთ მოქალაქეობრივ უფლება-მოვალეობებში, ვინაიდან ამის განმსაზღვრელი კანონები სახელმწიფო ენაზე - ქართულად ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული. თვითმმართველობები ხელმძღვანელობდნენ 1918 წელს ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ რუსულ ენაზე (ისიც მცირე რაოდენობით) გამოცემული კანონპროექტით „დროებითი დებულება საერობო დაწესებულებათა შესახებ ამიერკავკასიაში“. დასა-

ხელებული სტრუქტურების სრულფასოვნად მუშაობისათვის აუცილებელი იყო საზოგადოების გააქტიურება და მიმდინარე პროცესებში ჩართვა, თუმცა ეს ადვილი საქმე არ იყო. ქვეყნის წინსვლისთვის საჭირო მრავალი ღონისძიების განხორციელების მიუხედავად, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა უნდობლობა გამოუცხადა ხელისუფლების ამ ორგანოებს. ზოგიერთმა მხარემ უარი თქვა მათ შემოღებაზე, ზოგი კი საერთოდ არ დაემორჩილა. აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭირო იყო საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და მათი განათლების დონის ამაღლება. ხელისუფლებამ მდგომარეობის გამოსასწორებლად იმ პერიოდისთვის ყველაზე ეფექტური საშუალების - ბეჭდვითი მედიის გამოყენება სცადა. საამისოდ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ერობათა კავშირის კომიტეტის სარედაქციო კოლეგიამ 1920 წელს გამოსცა ორკვირეული ჟურნალი „ერობა“ (გამოდიოდა 1920-1921 წლებში, სულ გამოიცა 16 ნომერი), რომელშიც გაშუქებულია ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების - თემის, სამაზრო ერობისა და ქალაქის საქმიანობის პრიორიტეტები და ფუნქციები, გამოქვეყნებულია აგრეთვე სამაზრო ერობათა მუშაობის ანგარიშები.

ჟურნალი „ერობა“ მოსახლეობას ქართულ ენაზე განუმარტავდა „საერობო თვითმმართველობის კანონის“ ძირითად დებულებებს. მაგალითად, „ერობის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნდა დასახელებული დოკუმენტის ერთ-ერთი მუხლი, რომელიც მმართველობით სტრუქტურებში სახელმწიფო და ეროვნულ უმცირესობათა ენების ფუნქციონირებას არეგულირებდა:

„1) საბჭოს სხდომა და მისი ოქმები წარმოებს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე, მაგრამ იმ თემებში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა და ხმოსანთა რიცხვის ორი მესამედი ეკუთვნის ნაციონალურ უმცირესობას, იქ ყველაფერი სწარმოებს ნაციონალურ უმცირესობის ენაზე;

2) მთავრობის და სხვა საერთო დაწესებულებასთან მიმართვის დროს უნდა იყოს ხმარებული სახელმწიფოებრივი ენა. დადგენილებათა პირი, რომელიც ეგზავნება სამაზრო

ერობას, უნდა იყოს აგრეთვე გადათარგმნილი სახელმწიფო ენაზე;

3) საბჭოს ყველა დადგენილებანი და მოწოდებანი, გამოქვეყნებული საყოველთაო ცნობისათვის, შედგენილი უნდა იყოს იმავე ენაზე, რომელზედაც ხდება საბჭოს სხდომა. ამასთანავე იმ ადგილებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვის 20% ამ ენაზე არ ლაპარაკობს, ყველა ზემოხსენებული მოწოდებანი გამოქვეყნებული უნდა იყოს უმცირესობის ენაზედაც“ [„ერობა“, 1920, N 4:9].

როგორც ვხედავთ, კანონში გათვალისწინებული იყო, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ-ენობრივი ინტერესები. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობების ენებს იმაზე მეტი უფლებები ენიჭებოდა, ვიდრე ამჟამად ექცევა მოწინავე სახელმწიფოებშიც კი (იხ. პუნქტები 1 და 3). უმცირესობების ენობრივი ინტერესების გათვალისწინების გარდა, სათანადოდ იყო განსაზღვრული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხი. კერძოდ, საბჭოს სხდომები, ოქმები, დადგენილებები, მოწოდებებები და მიმართვები ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი (გაუგებარია, მეორე მუხლში აღნიშნული სამაზრო ერობისთვის გასაგზავნი დადგენილებების თარგმნის საკითხი, ვინაიდან თუკი ეს დოკუმენტაცია ქართულად უნდა შედგენილიყო, რატომ იყო მისი ქართულად თარგმნა საჭირო?!).

ადრე საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მოსამართლეები საქმეებს აწარმოებდნენ ხალხისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე, ხოლო მოსამართლეებზე საჩივრის შესატანად თბილისში, ან ქუთაისში უნდა წასულიყვნენ. რეფორმების შემდეგ თითო მაზრაში რამდენიმე მოსამართლე მუშაობდა, რომლებიც „სამშობლო“ (ქართულ) ენაზე იღებდნენ საჩივრებს [„ერობა“, 1920, N 5:29].

სამეცნიერო, პოლიტიკურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლების“ 1920 წლის ნომრებში აღწერილია ის მუშაობა, რასაც ეწეოდა განათლების კომისარიატი: დაიწყო ქართული

სამეცნიერო ენისა და ტერმინოლოგიის შემუშავება, სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა, გაიხსნა საღამოს კურსები, საკვირაო სკოლები, მასწავლებელთა გადამზადების კურსები, იმართებოდა სახალხო კითხვები, ლექციები, საუბრები და ა.შ. სულ მცირე პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგები ასე ფასდებოდა: „გადაგვარებული, გარუსებული შკოლა, რომელიც ქცეული იყო რუსი ჩინოვნიკების პოლიტიკურ ასპარეზად ორი წლის განმავლობაში გადაადნეს, შთაბერეს ეროვნული სული და დღეს თუ არ სავსებით, დიდი ნაწილით მაინც იქცა ქართულ შკოლად“ [„განათლება“, 1920, N 1:15].

სახალხო განათლების კომისარიატი რეფორმის განხორციელებას გეგმავდა სამი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით:

1. „რუსული მადენაციონალიზებელი საგანმანათლებლო სისტემის ნგრევა - მთელი საუკუნე 1917 წლამდის, როგორც ვიცით, ჩვენი ხალხის განათლების საქმეში თვითმპყრობელ რუსეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა განუსაზღვრელი მონოპოლია. სახელმწიფოს ხელში იყო როგორც სკოლის მართვა-გამგეობის საქმე, ისე სასკოლო პროგრამის განსაზღვრა;

2. ახალი ქართული სკოლის შენება („გაეროვნება“, „ნაციონალიზაცია“) - თავისუფალ სახელმწიფოში, როგორცაა საქართველოს რესპუბლიკა, დღეს სკოლა თავისუფალია. დემოკრატიული ქვეყნისთვის ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანი, რომლის ღირსეულად მოგვარებაზედ დამოკიდებულია ჩვენი რესპუბლიკის მომავალ ცხოვრების მტკიცე საფუძველზე აგება და წარმატება - ეს არის სწავლა-განათლების ღირსეულ, სათანადო დონეზედ დაყენება ჩვენში;

3. ევროპულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირება - ჩვენდა საბედნიეროდ, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს რესპუბლიკა სრულ უფლებიანი წევრია ევროპის კულტურული ოჯახისა დღეს. ამიტომ მან (საქართველომ) კულტურული ძლიერებით გადადგას უნდა თვალსაჩინო ნაბიჯი ცხოვრების

ყველა დარგში და გააჩალოს შემოქმედებითი მუშაობა ყოველ სფეროში“ [„განათლება“, 1920, N 1:21].

საგანმანათლებლო სფეროში შესაბამისი ენობრივი ცვლილებებიც უნდა მომხდარიყო. კერძოდ, რუსული განათლების სისტემის ნგრევა თავისთავად გამოიწვევდა რუსული ენის ფუნქციონირების შეზღუდვას, ვინაიდან საქართველოს განათლების კომისარიატი წყვეტდა სასწავლო გეგმებისა და ენათა სწავლების საკითხებს, სკოლების გაეროვნულება კი განათლების ენად მშობლიური ქართული ენის შემოღებას ნიშნავდა. ამ მიზნების რეალობად ქცევა კი ევროპის ქვეყნებთან კულტურულ და პოლიტიკურ ინტეგრაციას მოასწავებდა.

იმპერიის შემადგენლობიდან ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ გასული დროის სიმციროს გამო შედეგები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხელშესახები არ იყო აფხაზეთის, აჭარისა და გორის მაზრის სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში. 1920 წლის 8 იანვარს ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს ყველა ტიპის და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა დელეგატების პირველი ყრილობის მუშაობის ამსახველი მასალები. შეხვედრაზე გორის მაზრისა და აჭარის წარმომადგენლებმა დეტალურად აღწერეს არსებული ვითარება (ყრილობას არ ესწრებოდნენ აფხაზეთისა და სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენლები). ირკვევა, რომ აღნიშნულ მხარეებში განათლების სისტემის განვითარებას აფერხებდა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ნორმალური სკოლის შენობების არქონა, მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა, ინსტრუქტორების უმოქმედობა და სხვა.

საქართველოს შემადგენლობაში აჭარა-ტაო-კლარჯეთის დარჩენის საკითხი იმ დროს დავის საგანს წარმოადგენდა. მასზე პრეტენზიას აცხადებდნენ, ერთი მხრივ, თურქეთი და, მეორე მხრივ, გენერალ დენიკინის „მოხალისეთა არმია“. პრეტენზია ჰქონდა აგრეთვე რუსეთის საბჭოთა რეჟიმსაც. მათ თავიანთი მხარდამჭერებიც ჰყავდათ დასავლეთ ევროპის გავლენიან სახელმწიფოთა სახით, რომლებიც

უხეშად ერეოდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში. ყველა პრეტენდენტი ცდილობდა აფხაზეთში, აჭარასა და შიდა ქართლში ვითარების თავის სასარგებლოდ არეყვას. ბათუმის ოლქში არსებულ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას აღწერდა ბათუმის ქართული გიმნაზიის წარმომადგენელი ჩიქოვანი. იგი წუხდა, რომ ოლქის სკოლებს შესაფერისი შენობები არ ჰქონდათ. სკოლების დიდი ნაწილი თურქების შემოსევის დროს დახურულა, ხოლო ბათუმის ქართული გიმნაზიის შენობა რუსებს მიუთვისებიათ. ბათუმელ მოსახლეობას მთავრობისთვის ინგლისელებთან შუამდგომლობა უთხოვია, რომ მათთვის გიმნაზიის კუთვნილი შენობა დაებრუნებინათ [„განათლება“, 1920, N1:77-78].

ჟურნალ „განათლებაში“ უცნობი ავტორი, ფსევდონიმით „ერთი მასწავლებელთაგანი“, მოგვითხრობს აფხაზეთის სასწავლებლებში ქართული ენის დაკნინების სანაცვლოდ როგორ იზრდებოდა რუსული ენის ზეგავლენა:

„1) ნაციონალიზაცია ქართულ (მეგრულ) სკოლებში ბევრს ადგილას არ მომხდარა. მასწავლებლები თუ ასწავლიან ქართულს, მხოლოდ როგორც ერთ საგანს, ხოლო რუსულის, არითმეტიკის და სხვა საგნების სწავლება რუსულადაა;

2) განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან მეგრელები, რომლებიც აბხაზეთში არიან ჩასახლებულნი. მაგ. სოფელ ტამუშში 50 კომლი მეგრელი სახლობს. მათი შვილები აბხაზებთან ერთად აბხაზურს და რუსულს სწავლობენ, ხოლო ქართულის მასწავლებელი არ ყავთ;

3) გარდა ამისა სოხუმში არის პირველი დაწყებითი ქართული სკოლა (ქალაქის), სადაც მესამე განყოფილებიდან რუსულის სწავლა სავალდებულოა;

4) ქ. გაგრაში არის რეალური სასწავლებელი, რომელიც წმინდა რუსულია და ქართულის სწავლებაზედ არავის უზრუნვია“ [„განათლება“, 1920, N 2:65-67].

როგორც ვხედავთ, საქართველოს მთავრობის მიერ სკოლების გაეროვნულობის მიუხედავად, აფხაზეთში ვითარება თითქმის არ შეცვლილა. რუსული ენის

სავალდებულო შესწავლა და რუსულად მიმდინარე სასწავლო პროცესი მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთის განათლების სისტემის ხელმძღვანელები არ ითვალისწინებდნენ საქართველოს განათლების კომისარიატის მითითებებს და მათი ინსტრუქციების შესაბამისად არ მოქმედებდნენ. აფხაზეთში ქართული ენის გაძლიერება მნიშვნელოვანწილად ქართველ მასწავლებლებზეც იყო დამოკიდებული, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტანი იყვნენ.

ჟურნალ „განათლების“ მეორე ნომრის მიხედვით, სკოლების „ნაციონალიზაცია“ ვერ მოხერხდა სოხუმში: რეალურ სემინარიაში, ქალთა გიმნაზიასა და უმაღლეს დანყებით სასწავლებელში, ვინაიდან მასწავლებელთა უმრავლესობა „უცხო ტომის“ (ძირითადად რუსები) იყვნენ. სემინარიის დირექტორიც უფრო რუსი ყოფილა, ვიდრე ქართველი. ძალიან ცოტა ქართულის მასწავლებელი მუშაობდა სამურზაყანოში, მხოლოდ ერთი მასწავლებელი (ქურდიე) იყო სემინარიაში და მასთან არსებულ სასწავლებელში, ხოლო გაგრის ქართულ სკოლაში საერთოდ არცერთი.

„ერთი მასწავლებელთაგანი“ ზრუნავდა აფხაზურ ენაზეც. მისი აზრით:

„1. აბხაზების სკოლებისთვის უნდა შესდგეს სახელმძღვანელო აბხაზურ ენაზე, მაგრამ დაიბეჭდოს არა რუსული კუდიანი ასოებით, არამედ ქართულით. დაბეჭდვა უნდა მოეწყოს უსათუოდ ტფილისში;

2. გარდა ამისა, აბხაზების სკოლებში, ჩემი აზრით, უნდა შემოღებულ იქნას ქართულის სწავლება მესამე განყოფილებიდან და არა უმაღლეს დანყებითი სასწავლებლის I კლასიდან (1905 წელს კოდორის მაზრის აბხაზებმა მოითხოვეს ქართულის სავალდებულო სწავლება მათ სკოლებში. დადგენილებანი ამის შესახებ წარმოადგინეს სოხუმის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოში);

3. აბხაზების სკოლებისათვის სახელმძღვანელოს შედგენაში დახმარება შეუძლია ზოგიერთ ჩვენებურ მღვდლებს, რომლებმაც აბხაზური კარგად იციან და

მასწავლებლებად დიდხანს ყოფილან. ამისთანაა, მაგ. სამურზაყანოს გუდავის დეკანოზი ბართლომე ხარებავა“ [„განათლება“, 1920, N 2:65-67].

1920 წლისთვის დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ახალ ფაზაში გადავიდა ენობრივი პოლიტიკა, კერძოდ:

1. გაძლიერდა საქმისწარმოების ენად ძირითადად ქართული ენის გამოყენება;
2. დაიწყო სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მიერ თავიანთი მშობლიური ენის გამოყენება სახელმწიფო სტრუქტურებშიც;
3. სამართალწარმოება წარიმართებოდა ქართულ ენაზე;
4. შესუსტდა განათლების სისტემაში რუსული ენის პოზიციები, ანუ სკოლის ნაციონალიზაცია უფრო მტიკიცე საფუძველზე დადგა.

სოხუმის ოლქში, ბათუმის ოლქსა და შიდა ქართლში კვლავაც რჩებოდნენ სხვა სახელმწიფოთა ინტერესების გამტარებელი ადამიანები და აქტიურად განაგრძობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრატეგიის საწინააღმდეგო ძირგამომთხრელ საქმიანობას. მათ შესანიშნავად იცოდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი რესპუბლიკისთვის სწორად დაგეგმილ ენობრივ პოლიტიკას და განათლების სისტემის განვითარებას, ამიტომ ხელოვნურად ქმნიდნენ დაბრკოლებებს. მათი ზემოქმედებით აფხაზეთი და „მთა ოსეთი“ ქართულ სახელმწიფოს ეურჩებოდნენ, განსხვავებით ბათუმის ოლქისაგან, რომელიც საქართველოსთან საბოლოოდ შემოერთებას მოითხოვდა.

ენობრივი რეგულაციები სოხუმის ოლქში. 1918-1920 წლებში გარკვეულ ენობრივ დადგენილებებს, კანონებსა და დებულებებს იღებდნენ აფხაზეთშიც, რომლებითაც რეგულირდებოდა სახელმწიფო ენის, საქმისწარმოებისა და განათლების ენის საკითხები. საქართველოს ეროვნული საბჭო ითვალისწინებდა მხარეების, მათ შორის, აფხაზეთის ეთნიკურ

შემადგენლობასა და მოსახლეობის ენობრივ კომპეტენციას, ამიტომ ხელისუფლების მიერ გამოცემული განკარგულებები, ხშირ შემთხვევაში, ფრთხილი და ლოიალური იყო. თუმცა ქართული სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი ჰუმანურობა, სამწუხაროდ, პირიქით იქნა აღქმული ზოგიერთი აფხაზი სეპარატისტის მიერ.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში ენობრივი რეფორმების განხორციელება აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიანდო, რომელიც წარმართავდა მხარის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებს და ქმნიდა შესაბამის საკანონმდებლო ბაზას.

წარმოვადგენთ 1918-1920 წლებში მიღებული იმ ოფიციალური დოკუმენტების ნაწილს, რომლებითაც აფხაზეთში განისაზღვრა ენათა სტატუსი. გარდა ამისა, მოგვყავს აფხაზეთელი პოლიტიკოსებისა და განათლების მუშაკების მოსაზრებები ენების ფუნქციონალური განაწილების შესახებ, რაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკური მომავალი.

1918 წლის 3 აგვისტოს აფხაზეთის სახალხო საბჭომ ოფიციალურად განაცხადა, რომ მხარს უჭერდა აფხაზეთის სამთავრობო ორგანოების ნაციონალიზაციას, ანუ საქმისწარმოების გადაყვანას რუსული ენიდან ადგილობრივ ენაზე/ენებზე, თუმცა იქვე ცხადდებოდა შემდეგი: „აფხაზეთის მრავალტომობრივი მოსახლეობისა და სამთავრობო დაწესებულებების ნაციონალიზაციის შეუძლებლობის გამო, აფხაზეთა სახალხო საბჭომ დაადგინა, დროებით დატოვოს რუსული ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამთავრობო დაწესებულებების საერთო ენად“ სასწავლო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის საკითხი უნდა გადაეწყვიტა ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო სასწავლებლების სამუშაო ენის საკითხი - აფხაზეთის სახალხო საბჭოს [აფხაზეთის... 2004:15-16].

ამ კანონით საბჭოს წევრებმა დაარღვიეს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ენობრივი უფლებები, რომლებსაც განათლების მშობლიურ ენაზე მიღებისა და სახელმწიფო

სტრუქტურებში დედაენის გამოყენების შესაძლებლობა შეეზღუდათ. ვფიქრობთ, ეს ფრთხილი გადანყვეტილება უფრო მოსალოდნელი პროვოკაციების თავიდან აცილების სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, ვიდრე საბჭოს პრორუსულად განწყობილი ზოგი წევრის ძალდატანებით.

ჩვენს მასალებში არ ჩანს საქმისწარმოების ენად აფხაზურის დასახელების მცდელობაც კი. ამის მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი გარემოებები: იმ პერიოდისთვის (და ახლაც კი!) აფხაზურს არ გააჩნდა შესაბამისი ტერმინოლოგიური ბაზა ოფიციალური ენის ფუნქციის შესასრულებლად; აფხაზური დამწერლობის შექმნის დროიდან (1862წ.) 1918 წლამდე მხოლოდ მცირე რაოდენობის რუსულიდან ნათარგმნი რელიგიური ან სამეურნეო შინაარსის ლიტერატურა გამოიცა; 1912 წლამდე არ გამოქვეყნებულა აფხაზურ ენაზე შექმნილი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოების ნიმუშები; ცოტანი იყვნენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის მცოდნე აფხაზები. შესაბამისად, მხოლოდ საკომუნიკაციო აფხაზური ენით აფხაზები ვერ შეძლებდნენ საქმისწარმოებას და საჭირო მომსახურების განევას აფხაზეთის მოსახლეობისათვის.

აფხაზ სეპარატისტთა ბრალდებებს, თითქოს ქართველებმა ძალდატანებით მოახდინეს აფხაზეთში სასწავლებლებისა და სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაცია, არ ადასტურებს დოკუმენტური მასალა. ისტორიკოსი ჯ. გამახარია წერს: „საქართველოს მთავრობა ნამდვილად არ ჩქარობდა სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაციას (საქმისწარმოება აფხაზეთში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ურთიერთობა კი ცენტრალურ ხელისუფლებასთან სახელმწიფო ენაზე უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს მოთხოვნაც ხშირად ირღვეოდა), ქართულ ენაზე სწავლის შემოღებას, რისთვისაც მას მკაცრად აკრიტიკებდა დამფუძნებელთა კრებაში წარმოდგენილი პოლიტიკური ოპოზიცია“ [გამახარია, 2007:303-304].

ამავე მოსაზრებას იზიარებს პროფ. ზ. პაპასქირიც,

რომელიც გვთავაზობს საქართველოს დამფუძნებელი კრების სპეციალურ სხდომაზე ბენია ჩხიკვიშვილის სიტყვით გამოსვლის ამ ნაწილს: „ბ. ჩხიკვიშვილი აღნიშნავდა, რომ საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა და არავითარ შემთხვევაში არაა მიზანშეწონილი დაძალება ქართული ენის შესწავლის საკითხში მანამ, სანამ თვით აფხაზეთის სახალხო საბჭო არ შეძლებს ქართული ენის გამოყენებას იმ მიზნით, რისთვისაც საერთოდ არსებობს ენა. ორატორის აზრით, ყოველგვარი დაძალება ამ მიმართულებით საპირისპირო შედეგს გამოიღებდა და ამგვარი პოლიტიკის გატარება საზიანო იქნებოდა“ [პაპასქირი, 2007:55].

აშკარაა, რომ იმ დროს ერთბაშად რთული იქნებოდა გაბატონებული რუსული ენის პოზიციების შერყევა. გარდა ამისა, რადიკალური ზომების მიღებას შესაძლოა საზოგადოების უკმაყოფილება გამოეწვია და გარეშე ძალებიც გაეაქტიურებინა. აქედან გამოდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გონივრული იყო საქართველოს მთავრობის ფრთხილი და მოზომილი მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი.

1919 წელს აფხაზეთის კომისარიატმა შეიმუშავა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე ოფიციალურ ენად ისევ რუსული უნდა აღიარებულიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმისწარმოებისა და სწავლების ენად აფხაზეთში რუსული უნდა დარჩენილიყო [ნადარეიშვილი... 2003:243-253]. ამ პროექტით, აფხაზეთის სკოლებში ქართული ენა უნდა შემოეღოთ, როგორც ერთ-ერთი საგანი. თუმცა აფხაზეთის სახალხო საბჭოს ზოგიერთმა დეპუტატმა ეს გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკა. გთავაზობთ, 1919 წლის 18 ნოემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე გამართული სხდომის ოქმის იმ ნაწილს, რომელიც ამ საკითხის განხილვას ეხება:

„ვ. ანჩაბაძე (ს.რ.): ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რომ სახელმწიფო სამართლის ანბანს წარმოადგენს სახელმწიფო ენის შესწავლა, თუ არა სწავლება მასზე. აქ ყველა თანახმა იყო, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილს წარმოადგენს,

როგორც ეს აღიარებულია 20 მარტს, მაგრამ რატომღაც არ უნდათ ანგარიშის გაწევა იმისათვის, რომ აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ქართული ენის სწავლების აუცილებლობა. რატომღაც ზოგიერთ დეპუტატს, როგორც კი ეს საკითხი ამოტივტივდება, ეშლება საღერღელი. მართალია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ აფხაზეთი - ინტერნაციონალური ქვეყანაა მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით, მაგრამ ქართული ენის გაბატონება სამართლიანად უნდა იქნეს აღიარებული. ამ საკითხს პრაქტიკული მხარე აქვს. ისწავლება რუსული, გერმანული და სხვა ენები. რატომ? იმიტომ, რომ მეზობელი ერის ენის ცოდნა აუცილებელია კულტურულ-ეკონომიკური ინტერესით. გერმანული ენის წინააღმდეგნი არ არიან. მაშინ, რომელი ენა უნდა ისწავლებოდეს, თუ არა ქართული ენა, ენა მეზობელი ხალხისა, რომელსაც აფხაზეთმა თავისი ბედი დაუკავშირა. აი, როდესაც თქვენ ამ ენის წინააღმდეგ გამოდიხართ, უბრალოდ არ გესმით სახელმწიფო სამართლის ანბანი. მაგრამ, ვინაიდან თქვენ წინააღმდეგნი არ ხართ ამ ენის შემოღების, ჩვენ სწორად მიგვაჩნია, რომ შემოღებულია ეს ენა, იმიტომ, რომ მისი შემოღება სკოლებში აუცილებელია. სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს - ეს აქსიომაა....

ი. ფაშალიდი (ს. დ.): დემოკრატიული წყობისას არავითარი აუცილებელი ენა არ უნდა იყოს, მე ეს პირველად მესმის ამ კათედრიდან დეპუტატ მარლანის პირიდან. ხდება, ალბათ, რაღაც განსაკუთრებული მუნჯური სწავლება. კომისარიატს რუსული ენის მაგივრად ქართული რომ შემოეღო, მაშინ ეს სრულიად სხვა საკითხი იქნებოდა, მაშინ ეს შეთანხმების წინააღმდეგ იქნებოდა. მაგრამ საქმე სწავლებას კი არ ეხება, არამედ შესწავლას. ეს დაუსაბუთებელი მოთხოვნაა. სწავლება მიდის რუსულ ენაზე, ქართული ენა სახელმწიფო ენაა - ეს აქსიომაა. ანბანური ჭეშმარიტების მტკიცება მინევს, რომ სახელმწიფო ენის შემოღება აუცილებელი უნდა იყოს. რაშია დამნაშავე კომისარიატი. იმაში, რომ ამ განკარგულებამ არ გაიარა აფხაზეთს სახალხო საბჭოში, რომ არ შეეებლა

მისი უფლებები. სად არის აქ აფხაზური საბჭოს უფლებების შეზღუდვა, თუ მომავალ თაობას ქართული ენა ეცოდინება (სიცილი)... ჩინური ენა რომ იყოს, მაშინ ალბათ არ იქნებოდა არანაირი შეკითხვა.

ლორთქიფანიძე (სახალხო განათლების კომისარი): არანაირი ენის თავზე მოხვევა არ ყოფილა. თქვენ თვითონ ამტკიცებდით, რომ საჭიროა ქართული ენის შესწავლა, ახლა კი თქვენ კითხულობთ, რატომ გავაკეთეთ კარგი საქმე უთქვენოთ. მე ვიმეორებ, რომ ქართული ენა უცხო არაა აფხაზეთისათვის. მე მითქვამს, რომ 1/3 მშობლიურ სალიტერატურო ენად ქართულს თვლის. მე პირველად მესმის, რომ მეგრელები ქართველები არ არიან. ეს ადგილობრივი მეგრელები და აფხაზებიც კი თავის სალიტერატურო ენად თვლიან ქართულს და დაწყებით სკოლებში განათლებას ამ ენაზე ღებულობენ. აქ ნათქვამია, რომ ჩვენ დავარღვიეთ რაღაც შეთანხმება. შეთანხმებაში ნათქვამია სწავლებისა და საქმის წარმოების ენაზე და რომ ასეთ ენას ჯერ-ჯერობით რუსული წარმოადგენს. ჩვენ რომ სწავლება ქართულ ენაზე შემოგველო, თქვენს კითხვას საფუძველი ექნებოდა... თუ თქვენ თვლით, რომ ქართული ენის შესწავლა საჭიროა, დაადასტურეთ ეს. მე ვიმეორებ, რომ საქმე უცხო (გარეშე) ენის თავზე მოხვევაში კი არაა, არამედ სახელმწიფო ენის შესწავლაში. თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ჩვენ სწორად მოვიქეციით.

თარნავა (განსაკუთრებული ჯგუფი): ვაღიარებთ რა, რომ პრინციპში აფხაზეთის სკოლებში სასურველია ქართული ენის როგორც სახელმწიფო ენის შემოღება, სახალხო საბჭო პროტესტს გამოთქვამს კომისარიატის ერთპიროვნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ და უკვე თავისი სახელით ანხორციელებს ამგვარი კანონის სანქცირებას“ [აფხაზეთის... 2004:454-456].

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები აფხაზი ვიანორ ანჩაბაძე, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს ბერძენი წევრი ივანე

ფაშალიდი, ი. ლორთქიფანიძე და თვით აფხაზი სეპარატისტი მიხეილ თარნავაც კი მხარს უჭერდნენ სკოლებში ქართული ენის, როგორც ერთ-ერთი საგნის შემოღებას, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო ენის სწავლება აუცილებელი იყო სამართლებრივადაც და კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მათი აზრით, ქართული ენის შესწავლა წარმოადგენდა „სახელმწიფო სამართლის ანბანს“, რასაც სახალხო საბჭოს ზოგიერთი პრორუსი წევრი არ ეთანხმებოდა.

საარქივო მასალებში დაცულია სოხუმისა და გუდაუთის რეალური სასწავლებლების, სოხუმის პირველი გიმნაზიისა და ოჩამჩირის გიმნაზიის წარმომადგენელთა მიერ საქართველოს განათლების კომისარიატისადმი გაგზავნილი წერილები უმთავრესად აფხაზეთის სასწავლებლებში ენათა სწავლების საკითხების შესახებ. მათში აფხაზეთელი განათლების მუშაკები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ 1919-1920 წლებში მხარის თითქმის ყველა ტიპის სასწავლებელში ქართული ენა იგნორირებული იყო და სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მათი ინფორმაციით, გიმნაზიებსა და სემინარიებში ნაკლებად იყვნენ ქართველი მასწავლებლები და მოსწავლეები და სწავლა-აღზრდის საქმე, უმეტესად, არაქართველთა ხელში იყო. სასწავლო დანესებულებებში არ ჰქონდათ ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები. მოსწავლეებიც იმ პირობით გადაჰყავდათ ქართულ განყოფილებაში, თუ მანამდე ისინი კარგად ისწავლიდნენ რუსულს. აღნიშნული წერილებიდან ჩანს, რომ ერთ-ერთ სავალდებულო საგნად ქართული შემოიღეს, თუმცა აფხაზეთში სწავლების ძირითადი ენა რეალურად იყო რუსული, ან რუსული და აფხაზური [გავაშელიშვილი, 2004:102-103].

ა. გავაშელიშვილის მიერ მოპოვებულ წყაროებში წარმოდგენილია ერთი საინტერესო მიმართვა, რომელიც 1918 წლის 13 აგვისტოს ოჩამჩირის საქალაქო სათათბიროს თავმჯდომარეს ს. ცომაიას საქართველოს სახალხო განათლების კომისრისათვის გაუგზავნია. ს. ცომაია

საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, ყურადღება მიექციათ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისთვის, ვინაიდან სეპარატისტი აფხაზი ლიდერების ქმედებებით შეიძლებოდა საქართველოს აფხაზეთი დაეკარგა. ს. ცომაია საუბრობდა აფხაზ ხელმძღვანელებზე, რომლებიც ხალხს თურქული ორიენტაციისკენ მოუწოდებდნენ. მისი აზრით, აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც სასწავლებლებში მხოლოდ ეროვნულ შუღლს აღვივებდნენ, ადვილად უერთდებოდნენ ანტიქართულ მოძრაობებს. ს. ცომაიას მიაჩნდა, რომ მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ქართული სასწავლებლების გახსნით შეიძლებოდა, სადაც აფხაზი ახალგაზრდებიც ისწავლიდნენ ქართველ შემოქმედთა ნაწარმოებებს, გაიცნობდნენ საქართველოს მისწრაფებებს და დაინახავდნენ, რომ „ქართველები არასდროს არ ცდილობდნენ ვინმეს დამონებას„. სასწავლებელში აღზრდილი ერთგული მომავალი თაობა კი შეიძლება ქართველთა და აფხაზთა კეთილმეზობლური ურთიერთობის გაგრძელებას [გავაშელიშვილი, 2004:100-102].

უნდა ითქვას, რომ ს. ცომაია აქ არ ითვალისწინებდა აფხაზთა ეროვნულ ინტერესებს და იმას, რომ აფხაზებს აფხაზურ სკოლებში უნდა ესწავლათ და არა ქართულში. სხვა საქმეა, რომ აფხაზურ სკოლაში აუცილებლად უნდა ესწავლებინათ ქართული ენაც, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა.

1920 წლის 7 ივლისს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო პარიტეტული კომისიის შეთანხმების პროექტი აფხაზეთის მმართველობის ძირითადი დებულებების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ: „საერთო-სახელმწიფოებრივ ენად აფხაზეთში ითვლება ქართული, მაგრამ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ეკუთვნის უფლება თავისი არჩევანის მიხედვით, დაადგინოს სწავლებისა და საქმისწარმოების ენა აფხაზეთის ყველა სამთავრობო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში“. 1920 წლის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ განიხილა ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი,

რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის საკანონმდებლო კრებას უფლება ჰქონდა თვითონ აერჩია და დაენესებინა სწავლებისა და საქმისწარმოების ენა ყველა სახელმწიფო, სასამართლო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიულ საჯარისო ნაწილებში [ნადარეიშვილი... 2003:229-231]. 1920 წლის 31 დეკემბრის აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების ტექსტში კი ეწერა: „სახელმწიფო ენა აფხაზეთში არის ქართული ენა, მაგრამ სახალხო საბჭოს შეუძლია შემოიღოს სკოლებში სახმარებლად, ავტონომიურ დაწესებულებებში სალაპარაკოდ და საქმის საწარმოებლად ადგილობრივი ენა“ [ნადარეიშვილი... 2003:224-227].

მაშასადამე, 1918 წელს აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებითა და 1919 წელს აფხაზეთის კომისარიატის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის პროექტით, აფხაზეთის საქმისწარმოებისა და სწავლების ენად რუსული იქნა დაკანონებული. 1920 წელს მიღებულ აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის ორ დებულებაში კი აფხაზეთის სახელმწიფო ენად ქართული ენა დასახელდა, ხოლო ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტში საერთოდ არ მიეთითა, თუ რომელ ენას აღიარებდნენ ოფიციალურ ენად. სამივე დოკუმენტში განმარტებული იყო, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს უფლება ჰქონდა აერჩია და დაემტკიცებინა საქმისწარმოების, სამართალწარმოებისა და სწავლების „ადგილობრივი ენა“. ეს მერყეობა, ჩვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლების სისუსტის, გარდამავალი პერიოდის სირთულისა და ქვეყნის გარედან მომავალი რეალური საფრთხეების გავლენის შედეგი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთს სრული შინაგანი დამოუკიდებლობა დაუკანონა. საქართველოს ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებებით აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრებს შეეძლოთ თავადვე განესაზღვრათ აფხაზეთში საქმისწარმოებისა და სწავლების ენა. სამწუხაროდ, საბჭოს

წევრებმა არ გაითვალისწინეს ადგილობრივი ქართველებისა და აფხაზების, აგრეთვე მხარეში მცხოვრები დიასპორების ენობრივი კომპეტენცია და ქართულ სახელმწიფოში რუსულს მიანიჭეს ოფიციალური ენის სტატუსი. რაც მთავარია, დოკუმენტურად არ დასტურდება სეპარატისტთა შორის გავრცელებული მითი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მხრიდან აფხაზური ენის უფლებების შელახვისა და ქართულის თავს მოხვევის შესახებ. პირიქით, მაშინდელი ხელისუფლება დიდ სიფრთხილეს იჩინდა ენობრივი საკითხების გადანწყვეტის საქმეში.

თავი მეორე.

საქართველოს რევოლუციური კომიტეტის, განათლების სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ენობრივი პოზიციები

ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელახლა დაპყრობამდე, 1921 წლის 16 თებერვალს ჩამოყალიბდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომლის წევრები იყვნენ: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ა. ნაზარეთიანი და ბ. კვიციანი. რევკომის უშუალო, აქტიური მონაწილეობით რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დაარღვია და აღნიშნულმა ორგანიზაციამ, სრულიად უკანონოდ, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლად დაასახელა თავი. 1921 წლის 25 თებერვლიდან, რუსეთის მიერ საქართველოში საოკუპაციო პროცესების დაწყებიდან - 1922 წლის 3 მარტამდე, საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღებამდე, რევკომის სახით ქვეყანას სათავეში ედგა მმართველობითი ორგანო, რომელიც ხალხის მიერ არ იყო არჩეული და არ გამოხატავდა საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ ნებას.

1921 წლის 21 აპრილს რევკომის მიერ მიღებულ დეკრეტში განმარტებული იყო, რომ რევოლუციური კომიტეტი იყო საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის ორგანო, რომელიც იწვევდა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობას და წარუდგენდა მას ანგარიშს ქვეყნის საერთო პოლიტიკის შესახებ [„მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა“, 1921, N 3:9].

საქართველოს რევკომის მიერ მიღებული ეროვნულ-ეთნიკურ და ენობრივ პრობლემატიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა 1921 წელს გამართულ რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკებისა) მეათე ყრილობაზე დასახულ ამოცანებს. ყრილობაზე გაცხადებული

მითითებებით, „არაველიკორუსი“ ხალხის მშრომელი მასები უნდა დასწეოდნენ „დანინაურებულ“ ცენტრალურ რუსეთს, საამისოდ კი საჭირო იყო რესპუბლიკებს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განევიტარებინათ დედაენაზე მოქმედი ადმინისტრაცია, სასამართლო სისტემა, პრესა, სკოლები, თეატრები, კლუბები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სკოლები. იქვე საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ ეს ყველაფერი, პირველ რიგში, უნდა შექმნილიყო ყირგიზების, ბაშკირების, თურქმენების, უზბეკების, ტაჯიკების, აზერბაიჯანისა და ვოლგისპირეთის თათრებისა და დაღესტნელებისათვის [კიკნაძე, 1959:40]. 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია დამტკიცების დღიდანვე ვერ მოქმედებდა. ამ დროს ბოლშევიკები ჯერ კიდევ იზიარებდნენ მათი ბელადის ვლადიმერ ლენინის შემდეგ პოზიციას სახელმწიფო ენების არადემოკრატიულობის შესახებ, რომელიც განცხადდა 1914 წელს გამოქვეყნებულ წერილში „საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა?“. „ჩვენ არ გვსურს მხოლოდ ერთი: იძულების ელემენტი, ჩვენ არ გვსურს კეტით ვერეკებოდეთ ვინმეს სამოთხეში, ვინაიდან რაგინდ ლამაზ-ლამაზი ფრაზებიც უნდა სთქვათ თქვენ „კულტურის“ შესახებ, სავალდებულო სახელმწიფო ენა დაკავშირებულია იძულებასთან, ძალით ჩანერგვასთან. ჩვენ ვფიქრობთ, დიად, მძლავრ რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას ჯოხის შიშით სწავლობდეს ვინმე. ისინი, ვისაც თავისი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გამო რუსული ენის ცოდნა სჭირდება, მას უჯობოდაც შეისწავლიან. ხოლო ძალდატანება (ჯოხი) მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევს: იგი დააბრკოლებს დიადი და მძლავრი რუსული ენის გავრცელებას სხვა ეროვნულ ჯგუფებში და, რაც მთავარია, გაამწვავებს მტრობას, შექმნის ათასგვარ ახალ უთანხმოებას, გააძლიერებს შუღლს, ურთიერთგაუგებლობას და სხვ. აი, რატომ ამბობენ

რუსი მარქსისტები, რომ აუცილებელია სავალდებულო სახელმწიფო ენის არ არსებობა, ამასთან მოსახლეობის სკოლებში ყველა ადგილობრივ ენაზე სწავლების უზრუნველყოფა“ [ჭანტურია, 1956:157]. საქართველოში რევკომმა ქართულ ენას ოფიციალური ენის ფუნქციები მაინც დაუთმო. როგორც ჩანს, ეს დროებითი ტაქტიკური სვლა იყო სამშობლოს დაპყრობით განაწყენებული ქართველი მოსახლეობის გულის მოსაგებად. როგორც მასალებიდან ირკვევა, რევკომის გადანყვეტილებებს საზოგადოება მაინც ეჭვის თვალთ უყურებდა, ამიტომ რევკომი იძულებული იყო, ხელმეორედ გამოეცა ესა თუ ის განკარგულება, რომლებშიც დავალებების უპირობოდ შესრულების მოთხოვნასთან ერთად, მკაცრად დასჯის ან დაპატიმრების მუქარაც იყო ფორმულირებული. მოსახლეობის უნდობლობას და მითითებების შეუსრულებლობას რევკომი წინა ხელისუფლების პოლიტიკური პარტიების აგიტაციას უკავშირებდა და არა იმას, რომ თვით რევკომი იყო არალეგიტიმური და წარმოადგენდა სხვა სახელმწიფოს პოლიტიკის განმახორციელებელ მარიონეტულ სტრუქტურას.

1921 წლის გაზეთ „კომუნისტში“ (N5) გამოქვეყნდა სტატია „ქართული ენა დაწესებულებებში“, რომელშიც რევკომი აცხადებდა: „პროვოკაციული ხმების უარსაყოფათ ქ. ტფილისის ყველა დაწესებულებათა საყურადღებოდ, რევკომი აცხადებს, რომ საქმის წარმოება შემდეგშიც უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზე“ [„კომუნისტი“, 1921:N 5:1]. წერილიდან ირკვევა, რომ რევკომის მიერ სახელმწიფო ენად ისევ ქართულის დასახელებამ მოსახლეობაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რასაც ხელისუფლება „პროვოკატორ“ მენშევიკებს აბრალებდა. რევკომის განცხადებით, „საბჭოთა ხელისუფლებას არც შეეძლო სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა დაწესებულებებში გაამეფოს სხვა ენა, ვინემ დიდი უმრავლესობისთვის გასაგონი და მისაღები, რომელზედაც აღზრდილა ის და აღიზრდება მთელი მომავალი თაობა.

შეიძლება არსებობდეს სადმე სოციალისტებში სხვადასხვა აზრი - და მართლაც, ცოტა კამათი არ გამოუწვევია წარსულში საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა პრინციპილურათ დასაშვები სოციალისტისთვის, რომ მტკიცე მოქალაქეობრივი უფლება მოვუპოვოთ თეორიაში და პრაქტიკაში ცნებას „სახელმწიფო ენისას“, მარა პრაქტიკულათ დაყენება ამ კითხვის სხვანაირათ, ვინემ ეს მისცა მას რევეკომმა - შეუძლებელია და თუ, მიუხედავად ამისა, ამ გარემოებამ გამოიწვია ერთი მხრით მოულოდნელი სიხარული და მეორე მხრით კი გაკვირვება - ამის მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ ძველი მმართველი პარტიის და მისი მთავრობის მოღვაწეობაში“ [„კომუნისტი“, 1921, N5:1]. როგორც ვხედავთ, კომუნისტებისთვის საჭოჭმანო იყო, საერთოდ დაეშვათ თუ არა სახელმწიფო ენის არსებობა, თუმცა რევეკომმა შესანიშნავად იცოდა, რომ სახელმწიფო ენის გაუქმებას აუცილებლად მოჰყვებოდა საზოგადოების დიდი უკმაყოფილება და ამიტომაც წავიდა კომპრომისზე.

1921 წლის გაზეთ „კომუნისტის“ მე-11 ნომერში რევეკომმა ხელმეორედ გამოაქვეყნა ბრძანება სახელმწიფო ენის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: „მიუხედავათ რევეკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დანესებულება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკად აასრულონ ეს ბრძანება, ქალაქ თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ: იყო შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილის ზოგიერთ დანესებულებებიდან. რევეკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად აღსრულებული იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია მშრომელთა უფლებების, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნათ ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს

და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა“ [„კომუნისტი“, 1921, N 11:3].

ზემოთ აღნიშნულ ბრძანებას თან ერთვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უცნობ პირებს დუქნებიდან და საზოგადო დანესებულებებიდან ქართული წარწერები წაუშლიათ, რის გამოც ისინი მთავრობას დაუპატიმრებია. რევეკომი აფრთხილებდა მოსახლეობას, რომ მსგავსი საქმეების ჩადენისათვის სხვებიც სასტიკად დაისჯებოდნენ, ვინაიდან ასეთი საქციელი ხელს უშლიდა საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებას. მათი განცხადებით, საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფო ენაზე ზრუნვით აპირებდა საქართველოს მოსახლეობის თვითგამორკვევის ხელშეწყობას.

საინტერესოა, რა მიზანი ამოძრავებდათ ქართული ენის „გამძევებლებს“, რომლებიც სახელმწიფო დანესებულებებში სახელმწიფო ენის ფუნქციონირებას ასუსტებდნენ და რატომ შლიდნენ ადამიანები ქართულ წარწერებს?! სავარაუდოდ, ეს ქმედება თვით რევეკომის მიერ იყო პროვოცირებული და განხორციელებული იმის საილუსტრაციოდ, რომ თითქოსდა ისინი არ დაუშვებდნენ ქართული ენის იგნორირებას. ამით საბჭოთა მთავრობის წინამძღოლები საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის წინაშე წარმოაჩენდნენ, რომ ქართველთა ეთნიკურ და ენობრივ უფლებებს იცავდნენ, სინამდვილეში კი, საქართველოს რევეკომის ენობრივი დაგეგმარება რუსეთის მზაკვრული პოლიტიკის ნაწილი იყო, ვინაიდან სხვადასხვა ერების ეროვნულ-კულტურულ განვითარებაზე ფორმალური ზრუნვით ისინი რეალურად რუსიფიკაციისათვის ამზადებდნენ ნიადაგს, მოსახლეობას თვალს უხვევდნენ და ეთნიკური შუღლის გაღვივებას გეგმავდნენ, რაც მალე ცხადად წარმოჩნდა კიდევ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართული წარწერების წაშლისა და ქართული ენის შევიწროების ფონზე საქართველოს მოსახლეობის ნაწილი საქმისწარმოების ქართულ ენაზე წარმართვას ითხოვდა. საქმე ისაა, რომ 1921 წლის 3 ივლისს რევეკომმა შეიმუშავა ცირკულარი ყველა მაზრისა და ქალაქის

რეკომენდებისთვის. აღნიშნული დოკუმენტის შესავალში განმარტებული იყო, რომ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ სათანადოდ არ სრულდებოდა, ამიტომ საჭირო გახდა ხელახალი ენობრივი რეგულაციის მიღება და გავრცელება. როგორც ცირკულარში იყო აღნიშნული, კომიტეტში არაერთი საჩივარი შესულა მოქალაქეებისაგან, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ სახელმწიფო დანესებულებებში არსებული ვითარების გამო. მომჩივართა განცხადებით, სახელმწიფო ორგანოებს ხელმძღვანელობდნენ ადამიანები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობის ენა არ ესმოდათ და მიწერ-მოწერასაც მცხოვრებთა უმრავლესობისთვის გაუგებარ ენაზე აწარმოებდნენ. რეკომის აზრით, ასეთი მმართველები სახელს უტეხდნენ საბჭოთა ხელისუფლების იდეას, ამიტომ პრობლემის აღმოსაფხვრელად კომიტეტმა სასწრაფოდ გამოსცა ახალი ბრძანება:

„საპასუხისმგებლო ადგილებზე დანიშვნის დროს აუცილებლად მხედველობაში მიღებულ იქნას სახელმწიფო ქართული ენის ცოდნა.

სხვადასხვა რაიონებში და თემებში საპასუხისმგებლო ადგილებზე უნდა დაინიშნონ ისეთი პირნი, რომელთაც აუცილებლათ იციან ქართული ენა და გარდა ამისა, იმ ეროვნების ენა, რომელიც დიდ უმრავლესობას შეადგენს ამა თუ იმ რაიონსა თუ თემში.

მიწერ-მოწერა ადგილობრივ ორგანოებთან უნდა სწარმოებდეს აგრეთვე ქართულ ენაზე, ხოლო ისეთ რაიონებსა და თემებთან, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არა ქართველნი შეადგენენ, უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე. ამ დადგენილების დამრღვევნი პასუხისმგებაში იქნებიან მიცემულნი“ [„მოამბე“, 1921, N 13:13-14].

რეკომის ამ განკარგულების მიხედვით, შერეული მოსახლეობით დასახლებულ ადგილებში ოფიციალურ ენად უნდა გამოეყენებინათ სახელმწიფო ენა ან უმრავლესობის ენა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ისევ რეკომის მითითებით, გარკვეულ ადგილებში საქმისწარმოება ქართულთან

ერთად არა უმრავლესობის ენაზე, არამედ რუსულად უნდა წარმართულიყო. ანუ სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ამას ადასტურებს 1921 წლის ჟურნალ „მომამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა“ გამოქვეყნებული კითხვა-პასუხიც, რომელსაც გთავაზობთ უცვლელად:

„კითხვა: მაზრის მცხოვრებთ თხოვნები, საჩივრები და სხ. შეაქვს რეგკომებში და სხვა ხელისუფლების ორგანოებში ქართულ ენაზე. მაგრამ ხშირად ხდება ისეთი რამ, რაც არ უნდა ხდებოდეს: ქართულად დაწერილ ქალაქებს გვიბრუნებენ. გთხოვთ განგვიმარტოთ: აქვთ თუ არა უფლება ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებს, ან მათ თანამშრომელთ, არ მიიღონ ქართულად დაწერილი თხოვნა, საჩივარი და სხ.

პასუხი: საქართველოს სსრ-ში სახელმწიფო ენად აღიარებულია მხოლოდ ქართული ენა. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ყველა დაწესებულებაში საქმისწარმოება, მიმონერა, ყოველგვარი ქალაქდის მიღება (რესპუბლიკის საზღვრებში), უნდა ხდებოდეს უსათუოდ ქართულ ენაზე. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებებთან მიმონერა საქართველოში, და აგრეთვე თუ წითელ არმიასთან წერილობითი ურთიერთობაა, რომლის დროსაც რუსულად უნდა იწერებოდეს გადაგზავნილი ან შეტანილი ქალაქი. თვით საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მხოლოდ სამხრეთ ოსეთთან, ბორჩალოსა და ახალქალაქთან, რადგან იქ ხელისუფლების ორგანოთა და მცხოვრებთა შემადგენლობა შერეულია, მიმონერა წარმოებს, როგორც გამონაკლისი რუსულ ენაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არა აქვს არავის ნება ქართულ ენაზე დაწერილი ქალაქი არ მიიღოს. და თუ მართლა რომელიმე ხელისუფლების ორგანო არ მიიღებს ქართულ ენაზე დაწერილს ქალაქდს, ეს იქნება დარღვევა მცხოვრებთა უფლებების და ინტერესების, ეს იქნება დარღვევა კანონის და ამიტომაც მისი ჩამდენი პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული“ [მომამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა“, 1921, N 20:17-18).

მართალია, ჟურნალი არ წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს, მაგრამ ეს იყო მთავრობის მიერ გაცემული ნებართვა, რომლითაც იმ ადგილებში, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ოსები (ე.წ. სამხრეთ ოსეთი), თათრები (ბორჩალოს მაზრა) და სომხები (ახალქალაქი), საქმისწარმოებისთვის უნდა გამოეყენებინათ ქართული ან რუსული და არა - ქართული, ან იმ ეთნოსის ენა, რომლებიც დასახელებულ ადგილებში უმრავლესობას შეადგენდნენ. ჟურნალის ტექსტიდან ჩანს, რომ რეჟიმი არაოფიციალურად ხელს უწყობდა რუსული ენის დამკვიდრებას და გაძლიერებას. ამის თვალსაჩინო ფაქტად შეიძლება დავასახელოთ 1921 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული შემდეგი დადგენილება:

„ყოველგვარი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები, როგორც არის საბავშვო ბალები, შრომის სკოლები, და სხვა სასწავლებლები, მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე, ე. ი. იმ ენაზე, რომელიც არის ამ ბავშვის სალაპარაკო ენა ოჯახში.

არამშობლიური ენის სწავლება შემოღებულ უნდა იქნეს სწავლების მე-4 წლიდან. ქართული და რუსული ენები, როგორც საგნები უნდა ისწავლებოდეს აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობათა ყველა სკოლაში სწავლების მე-4 წლიდან“ [კინაძე: 1959:42].

აშკარაა, რომ არაქართულ სკოლებში მე-4 კლასიდან სავალდებულო საგნებად ქართულისა და რუსულის შემოღება ამ უკანასკნელის გაძლიერებისთვის იყო გათვალისწინებული. შეიძლება ითქვას, რომ რეგომის მიერ მიღებული რეგულაციებით არაფორმალურად რუსული ენის სტატუსი სახელმწიფო ენის სტატუსს უტოლდებოდა, ვინაიდან სკოლებში ქართულთან ერთად ამ ენას ასწავლიდნენ ქართველებსაც და არაქართველებსაც. ამასთანავე ქართულთან ერთად რუსულად უნდა წარმართულიყო საქმისწარმოება გარკვეულ ადგილებში.

კომპარტიის მეათე ყრილობის დირექტივებს ეფუძნებოდა

განათლების სახალხო კომისრის მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც ეთნიკურ-ენობრივად ჭრელ ბორჩალოს მაზრაში ენობრივი და სოციალურ-კულტურული სიტუაციის რეგულირებას გულისხმობდა. კერძოდ, 1921 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატში ჩატარდა კრება განათლების კომისრის დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით. განიხილავდნენ პროვინციებში არსებულ კულტურულ-საგანამანათლებლო მდგომარეობას. დამსწრე საზოგადოების წინაშე მოხსენებით წარდგა ბორჩალოს მაზრიდან დაბრუნებული საორგანიზაციო ცენტრის ინსტრუქტორი ტრუხანოვი. მისი ინფორმაციით, მხარეში მეტად სავალალო მდგომარეობა იყო, რადგან „კონტრრევოლუციური ბანდები“ სდევნიდნენ კულტურულ მუშაკებს, რომლებიც ამის გამო იძულებით რევეკომის სხვა განყოფილებებს აფარებდნენ თავს, ან საერთოდ უარს აცხადებდნენ მუშაობაზე. მომხსენებლის თქმით, მაზრაში წერა-კითხვის უცოდინართა წილი 95%-ს შეადგენდა. ტრუხანოვმა აღინიშნა, რომ ბორჩალოს მაზრაში არც ლიტერატურა ჰქონდათ საკმარისი და არც გაზეთები მისდიოდათ ადგილებზე. ინსტრუქტორის ანგარიშის შემდეგ განათლების კომისარმა დ. კანდელაკმა სასწრაფოდ გამოსცა ბრძანება:

„საორგანიზაციო ცენტრმა დაუყონებლივ გახსნას მოკლე ვადიანი კურსები მასწავლებლების მოსამზადებლათ თათრების სკოლებისთვის.

1. ნაციონალურ უმცირესობათა საბჭოს წევრებმა, მუსულმანთა წარმომადგენელმა სასწრაფოთ შეკრიფოს რაც შეიძლება მეტი კულტურული მუშაკნი, რომელთაც იციან თათრული ენა, თათრის სკოლებში ბორჩალოს მაზრაში გასაგზავნად;

2. სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველომ სამ დღეში აღადგინოს ბორჩალოს მაზრაში 4 ქართული სკოლა, რისთვისაც დაუყონებლივ გაგზავნოს იქ მასწავლებლები;

3. საორგანიზაციო ცენტრის ინსტრუქტორმა ამხ. ტრუხანოვმა ერთი კვირის განმავლობაში მოაწესრიგოს ბორჩალოს მაზრაში ბეჭდვით ცენტრის განყოფილება ლიტერატურის წესიერ და გეგმა შეწონილ განაწილებისათვის;

4. მანვე სასწრაფოთ არა უგვიანეს სამი კვირისა, მოაწიოს იმავე მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია;

5. ორგცენტრმა სასწრაფოთ გაგზავნოს კულტურული მუშაკნი მთავარ სამმართველოებთან შეთანხმებით ბორჩალოს მაზრაში საქმის ჯეროვან სიმალლეზე დასაყენებლათ“ [„კომუნისტი“, 1921, N 202:2].

შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის კურსები თათრებისთვის, თათრულენოვანი და ქართულენოვანი კულტურის მუშაკები, ქართული სკოლები, ქართველი მასწავლებლები, ბეჭდვითი ცენტრის განყოფილება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ამ ორი ეროვნების წარმომადგენლებს შეუქმნიდა თანაბარ გარემოს განათლების მშობლიურ ენაზე მიღებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. სხვა საკითხია ის, რომ ზოგი საკითხის მოგვარება, მაგალითად, ორ კვირაში წერა-კითხვის სწავლება რეალური არ იყო.

არაქართულენოვანთა სკოლებში არსებული მძიმე ვითარების შესახებ განაცხადა ეროვნული უმცირესობის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმაც 1921 წელს საქართველოს სახალხო განათლების და პოლიტგანყოფილების მეორე ყრილობაზე. მისი თქმით, არაქართველები საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, ამიტომ განათლების კომისარიატს უნდა გაეთვალისწინებინა სხვა ეთნიკური ჯგუფების საჭიროებებიც. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ იმ პერიოდისთვის ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, განსაკუთრებით, პროვინციებში, მაგრამ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლების გადაჯგუფების საქმეში. მისი განცხადებით: „გამომუშავებულია სომხურის და სხვა ენათა პროგრამები.

გამოდის ჟურნალები ასირიული და სომხური, მუსულმანური და სხვა. სომხებისა და სხვების სკოლები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება აგრეთვე ოსეთის მოსახლეობაც. არის სახელმძღვანელოების დიდი ნაკლებობა, თუმცა მათი ბეჭდვა ეხლა სწარმოებს. საჭიროა ადგილებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. საშურ მიზანს წარმოადგენს მასწავლებელთა პერსონალური მომზადება“ [„კომუნისტი“, 1921, N 233:3-4].

ვფიქრობთ, სხვადასხვა ენაზე ლიტერატურის ბეჭდვა, სკოლებში არასახელმწიფო ენების სწავლების დამკვიდრება, ახალი დამწერლობებისა და გრაფიკული სისტემების შექმნის იდეა იმ ძირითად მიზანს ემსახურებოდა, რომ შემცირებულიყო ქართული ენის გავრცელების არეალი, ხელი შეწყობოდა ქვეყნის მოსახლეობის დეზინტეგრაციას, არაქართული მოსახლეობის ხელოვნურად გაუცხოებას და ნიადაგის მომზადებას რუსული ენის საყოველთაოდ გავრცელებისათვის - კომუნისტები ხომ იმ პერიოდში აქტიურად ემზადებოდნენ მთელ მსოფლიოში კომუნისტური რეჟიმის დასამყარებლად და ენობრივ-ეთნიკურ სხვაობათა მოსაშლელად! ამის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ ქართული ენის უფლებებზე ზრუნვა სიყალბე იყო, რასაც სხვადასხვა იურიდიულ-ნორმატიულ დოკუმენტებს შორის არსებული წინააღმდეგობაც ადასტურებს.

რეგკომმა სასამართლო სისტემისთვისაც შეიმუშავა ენობრივი რეგულაცია, რომელშიც განმარტებული იყო სამართალწარმოებისა და სასამართლო პროცესებზე ენის გამოყენების პროცედურები:

„ოქმი N25, 1921 წლის მაისის 20. თავმჯდომარე: ფ. მახარაძე, წევრები: ელიავა, ქავთარაძე, ნაზარეთიანი, ოკუჯავა, კვირკველია, დუმბაძე, თოდრია, ტოროშელიძე, ელისაბედაშვილი, ცინცაძე. დაესწრნენ: ცენტრალური კომიტეტის მდივანი თუმანოვი, კუჩაიძე, მარ. ორახელაშვილისა, სვანიძე, ერქომაიშვილი, ჟიჟიკაშვილი, მოდებაძე და ვიგარტნერი.

პროექტი დეკრეტისა ყოველ სასამართლო დაწესებულებათა გაუქმებისა და სახალხო სასამართლოს დებულების შესახებ:

ა) დაწესდეს რესპუბლიკისთვის მოსამართლეთა ერთი საბჭო.

ბ) სასამართლოში ენის ხმარების შესახებ მიღებულ იქნეს შემდეგი დებულება: სამართალწარმოება უნდა იქნეს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე.

გ) იმ მაზრებში, სადაც შერეული მოსახლეობაა - სასამართლოში ენის ხმარება თავისუფალია. ხოლო სასამართლოს საქმისწარმოება დაწესდება ადგილობრივი სამაზრო რევკომის წარდგენის მიხედვით და საქართველოს რევკომის დამტკიცებით ყოველი კერძო შემთხვევისთვის ცალკე“ (ფონდი 300, ანაწერი 1, საქმე N33).

აქ უნდა დავძინოთ, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება სასამართლო პრაქტიკაში ბოლშევიკური სიახლე სულაც არ ყოფილა - როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, იგივე რეგულაცია არსებობდა ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდშიც (1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე).

როგორც აღვნიშნეთ, რევკომის მიერ სახელმწიფო ენად ქართულის გამოცხადებამ დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საზოგადოებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს ქართველმა მუშებმაც. მათი აზრით, ხალხს უმნიშვნელო შეცდომაც არ უნდა დაეშვა, რათა ზიანი არ მიეყენებინათ მშრომელთა საქმისა და ქვეყნისათვის. მათი განცხადებით: „ნურც იმას იფიქრებს ვინმე, რომ ჩვენ მუშებს არ გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, ჩვენი ენა, ჩვენი კულტურა, ეს რომ ასე იყვას, ჩვენ მაშინ პირუტყვებს დავემგვანებოდით, რადგან თუ არ გვექნებოდა ჩვენს სამშობლო ენაზე განვითარება, პირში წყალჩაგუბებულნი ვიქნებოდით, მუნჯები. პირიქით, მუშებს უფრო უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო, რადგან მშობელი

დედა მშობლიურ ენაზე გვზრდის პატარაობიდანვე. ჩვენ სხვა ენა არ ვიცით, გარდა მშობლიური ენისა და თუ ამ ენას მოგვისპობს ვინმე, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი მუშები დამუნჯებულნი, პირში წყალჩაგუბებულნი ვიარებოდეთ და შურის თვალით შევეყურებდეთ სხვა ქვეყნის მუშებს, რომელნიც თავიანთ სამშობლო ენაზე ვითარდებიან“ [„კომუნისტი“, 1921, N27:3]. ეს განცხადება ხელისუფლების ერთგვარ გაფრთხილებად ჟღერდა. ჩანს, ქართველი მუშების განცხადება, რომ მათ დედაენის გარდა, სხვა ენა არ იცოდნენ და განათლების მიღებაც ამ ენაზე სურდათ, გაგრძელება იყო იმ საჩივრებისა, რომლებითაც ქართველები საქმისწარმოებასა და კომუნიკაციას ქართულ ენაზე ითხოვდნენ.

ირკვევა, რომ უფროსი თაობის მსგავსად, რუსული არ იცოდნენ ქართველმა ახალგაზრდებმაც. ამას მოწმობს გამომცემლების მიერ 1921 წელს გამოქვეყნებული მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: „რუსულ ენაზე ბევრი ისეთი წიგნები და ბროშურებია დანერილი, რომლის წაკითხვა და შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ახალგაზრდობას, მაგრამ ქართველ ახალგაზრდა მკითხველებში დიდმა ნაწილმა ან არ იცის რუსული ენა ან ცუდათ იცის. მაშასადამე, აუცილებელ საჭიროებებს წარმოადგენს ქართველ ახალგაზრდა მკითხველებს სულიერი საზრდო თავის მშობლიურ ენაზე მივანოდოთ. ამისთვის კი საჭიროა წიგნების გადმოთარგმნა ქართულათ. არ კმარა მარტო გადმოთარგმნილი ლიტერატურა. ჩვენი კავშირის მოწინავე ახალგაზრდებმა უნდა ეცადონ რაიმე ორიგინალური შექმნან, სამწუხაროთ, ჩვენ ცოტა გვყავს კულტურული ძალები, რომელთაც შეუძლიათ ეს საქმე შეასრულონ. მაგრამ ის ძალები, რომლებიც გვყავს, თავის ადგილზე არ სდგანან“ [„კომუნისტი“, 1921, N39:4]. იმ დროს საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილს მიუწვდებოდა ხელი რუსულად გამომცემულ წიგნებსა და ბროშურებზე, რუსულის არმცოდნე ქართველებისთვის ეს ლიტერატურა უსარგებლო იყო. გამომცემლების თქმით, ვერც გადმოთარგმნილი ლიტერატურა იქნებოდა საკმარისი.

1921 წლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ეროვნული საკითხი საქართველოში“ აღნიშნული იყო, რომ ნაციონალური საკითხის მოგვარების ძირითად საფუძვლებს წარმოადგენდა თვითგამორკვევისა და ეთნიკური უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლა, რაც აუცილებელი იყო არა მხოლოდ ჰუმანურობისა და სამართლიანობისთვის, არამედ სახელმწიფოს მთლიანობისა და განმტკიცებისთვისაც. ავტორის აზრით, საქართველოში მცხოვრები ერები განსხვავდებოდნენ ენით, კულტურით, ტრადიციებით, რელიგიითა და რასით, რომლებსაც სახელმწიფოს წინაშე თანაბარი უფლებები და ვალდებულებები უნდა ჰქონოდათ. იქვე აღნიშნული იყო: „საბჭოთა ხელისუფლება აქვეყნებს დეკლარაციას, სადაც აცხადებს, რომ საქართველოში ყველა მცხოვრებ ერს ენიჭება თვით გამორკვევის უფლება. რევოლუციური მთავრობა ეუბნება მათ: ჩვენ შევქმნით პირობებს, როდესაც არ იქნება გაბატონებული და დაჩაგრული ერი, როდესაც ყველა ერის პოლიტიკური და კულტურული უფლებები სავსებით იქნება უზრუნველყოფილი; თუ ასეთ გარემოში თქვენთვის სასურველია და სასარგებლო საქართველოს ფარგლებში დარჩენა, ასეთ გადაწყვეტილებას ჩვენ მივესალმებით, როგორც სხვა და სხვა ერების მშრომელ მასების მჭიდრო კავშირის მაჩვენებელს; თუ სხვა გზას აირჩევთ, ხელს არ შეგიშლით; სახელმწიფოებრივი საზღვრები არ შეიძლება იმ კედლად აღიმართოს, რომელიც მუშათა კლასის შეკავშირებას მეტად გააძნელებს. ცენტრალურ მთავრობაში შედიან არა ქართველებიც“ [„კომუნისტი“, 1921, N19:2]. რევკომის მიერ დეკლარირებული თვითგამორკვევა, პოლიტიკური და კულტურული თავისუფლება მაცდუნებელი დაპირება იყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც არჩევანის უფლებასაც აძლევდნენ, თუკი ისინი არ მოისურვებდნენ არსებულ სახელმწიფო საზღვრებში ყოფნას. „გავიხსენოთ ლენინის სიტყვები: „ერთა თვითგამორკვევის უფლება

ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობის უფლებას პოლიტიკური გაგებით“; ერთა თვითგამორკვევას მარქსისტების პროგრამაში, ისტორიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით არ შეიძლება სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ არა პოლიტიკური თვითგამორკვევის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობა“ [სიგუა, 1998:77-78]. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეთნიკურ უმცირესობათა დარჩენა ქვეყნის საზღვრებში, ან მათი გადინება სხვა რესუბლიკებში კომუნისტური იმპერიისათვის არ ქმნიდა არანაირ საფრთხეს: ყველა არაქართველი, რა თქმა უნდა, არ წავიდოდა სხვაგან და ქართულ მოსახლეობასთან მათ დასაპირისპირებლად რეჟიმს მრავალი ხერხი ჰქონდა დაგეგმილი, ხოლო საქართველოდან წასულებს გარუსების უდავო „პერსპექტივა“ არც ახალ საცხოვრისში ასცდებოდა.

1921 წლის 20 მაისს რევკომმა გამოსცა დეკრეტი # 36 სახელმწიფო დროშისა და გერბის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1921 წლის 25 თებერვლიდან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან მშრომელთა დიქტატურა სამუდამოდ აუქმებდა ბურჟუაზიული წყობილების ყველა ემბლემას და ადგენდა: „საქართველოს სსრ-ს დროშა უნდა იქნეს შემდეგნაირი: ქსოვილი წითელი (აღის) ფერისა, მარცხენა კუთხეში, ზომით, ალამის მთელი სიგანის ერთ მეოთხედ კვადრატულ სივრცეზე შემდეგი წარწერით: „ს. ს. ს. რ“.

საქართველოს სსრ-ს ღერბზე წარწერაა სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და ფრანგულად: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ [„მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა“, 1921, N 7:2).

სახელმწიფო სიმბოლიკაზე შესრულებული სამენოვანი წარწერით ჩანდა, თუ რომელ ენებს ანიჭებდა საბჭოთა მთავრობა პრიორიტეტს. გერბზე აღნიშნული რუსული წარწერა ერთგვარი მინიშნება იყო იმაზე, რომ საქართველოში, თუნდაც კონკრეტული დადგენილების გარეშე, რუსული ასრულებდა ოფიციალური ენის ფუნქციას და საქართველო

წითელი რუსეთის განუყოფელი ნაწილი იყო, ფრანგული კი იმ დროს საერთაშორისო ენა იყო.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლისთვის საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების უმრავლესობა მონოლინგვური იყო და მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა რუსული ენა მეორე ენის სახით. ამას ადასტურებენ შემდეგი ფაქტები:

1. მოსახლეობის უმეტესობა მთავრობისგან მოითხოვდა სახელმწიფო ორგანოებში საქმისწარმოებისა და კომუნიკაციის ქართულ ენაზე წარმართვას;
2. ქართველი მუშები წერდნენ, რომ მშობლიური ენის გარდა არ იცოდნენ სხვა ენა და ითხოვდნენ განათლების ქართულ ენაზე მიღების უფლებას;
3. ქართველმა ახალგაზრდებმა არ იცოდნენ, ან ცუდად იცოდნენ რუსული ენა.

ზემოთ მოხმობილი მასალის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ რეეკომის მიერ მიღებული თუნდაც მართებული ენობრივი დადგენილებები ფორმალურად იყო და ისევე ხელისუფლების წარმომადგენლები არღვევდნენ კანონს სახელმწიფო ენის შესახებ, ვინაიდან:

1. მხოლოდ მმართველობით სტრუქტურებში მომუშავე პირებს შეეძლოთ სახელმწიფო დაწესებულებებიდან ქართული წარწერების წაშლა;
2. მმართველობით ორგანოებში უმეტესად მთავრობისთვის მისაღები რუსულენოვანი ადამიანები მუშაობდნენ, რომლებიც ქართულად დაწერილ განცხადებებს არ იღებდნენ;
3. ისევე მთავრობის მითითებით, ცალკეულ ადგილებში ქართულთან ერთად, სტატუსის არმქონე რუსული ენა ასრულებდა ოფიციალური ენის ფუნქციას;
4. ქართულთან ერთად, რუსული სავალდებულო საგნად ისწავლებოდა მეოთხე კლასიდან;
5. საქართველოში რუსული სახელმწიფო ენის ფუნქციას არაოფიციალურად ასრულებდა.

ამრიგად, 1921 წელს საქართველოს რევკომის მიერ მიღებული ენობრივი პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის ენობრივი პოლიტიკის ნაწილი იყო, არ ასახავდა ქართველი ხალხის ნებას და არ იცავდა მის ეთნიკურ და ენობრივ ინტერესებს.

საქართველოს სსრ-ში ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვასა და წარმართვაში რევკომის გარდა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა განათლების სახალხო კომისარიატი (განსახკომი). 1921-1922 წლების საარქივო მასალებში დაცულია დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია სხვადასხვა სფეროს ენობრივი რეგულაციები, რომლებითაც მეტ-ნაკლებად იკვეთება ახალი საბჭოთა რეჟიმის სწრაფვა და მცდელობა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში სასურველი ენისა თუ ენების დამკვიდრების შესახებ. განსახკომის მიერ გამოცემულ დეკრეტებში, დებულებებსა და დადგენილებებში განსაზღვრულია ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობების, თეატრებისა და სასამართლო სისტემის მმართველობის ახალი წესები, მათი ფუნქციონირების ენობრივი ასპექტები. ამ მასალებში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განათლების სისტემის კურატორი სახელისუფლებო სტრუქტურა შეჭრილი იყო კულტურისა და იუსტიციის სისტემათა სახელისუფლებო სტრუქტურების სამოქმედო ფარგლებში და უწესებდა მათ ენათა გამოყენების ნორმებს. ჩანს, ეს არ ყოფილა მხოლოდ ქართული ინიციატივა და სათანადო მითითება მოსკოვიდან მოდიოდა, მოსკოვს კი ენის საკითხის ერთი სტრუქტურის მიერ კონტროლი და ერთიანი ენობრივი პოლიტიკის განხორციელება ერჩივნა.

რეჟიმი თავისი პოლიტიკური მიზნების განსამტკიცებლად და განსავითარებლად მთელი ძალით მიმართავდა აქტიურ და აგრესიულ პროპაგანდას. მოსახლეობაზე ეფექტური ზეგავლენის მოსახდენად და თავიანთი იდეოლოგიის გასავრცელებლად იყენებდნენ იმ დროისათვის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს, რომელთაგან უმთავრესი იყო სკოლა, რომელსაც უნდა აღეზარდა ახალი იდეოლოგიით დამუშავებული ახალი თაობები. სკოლის გარდა მძლავრ

საშუალებებად მიიჩნეოდა ბეჭდვითი სიტყვა და კულტურა. ამ მიზეზის გამო რეჟიმმა მისი დამყარების პირველსავე თვეებში მიიღო ზომები ამ უმნიშვნელოვანესი სფეროების სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოსაქცევად.

საქართველოს რევკომმა ხელში ჩაიგდო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები, ქვეყნის ოკუპაციის დასაწყისშივე გადადგა პირველი ნაბიჯი და მიიღო საგანგებო ნორმატიული გადაწყვეტილებები, რომლებიც გულისხმობდა საგამომცემლო საქმის, წიგნით ვაჭრობის, წიგნსაცავების, კულტურული კერების მაკონტროლებელ ორგანოდ განსახკომის გადაქცევას, მატერიალური რესურსების სრულად აღნუსხვასა და „ნაციონალიზაციას“, ანუ კანონიერი მეპატრონეებისათვის წაგლეჯას. ამას ადასტურებს შემდეგი ორი დოკუმენტის ტექსტი:

„ოქმი N17, 1921 წლის 24 მარტის სხდომის.

თავმჯდომარე: ფ. მახარაძე. წევრები: ოკუჯავა, ნაზარეციანი [ნაზარეთიანი - ს.ჭ], თოდრია, დუმბაძე. დაესწრნენ: ორჯონიკიძე, დენტაუ, ცინცაძე, სვანიძე და ს. პ. კ. საბჭოს წარმომადგენელი ქურულაშვილი [ყურულაშვილი - ს.ჭ].

ცენტრალური ბეჭდვითი საქმე და სახელმწიფო გამომცემლობა დაექვემდებაროს განათლების სახალხო კომისარიატს“ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1921, N 4].

„საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი, 1921 წლის აპრილის 19.

დადგენილება: 1. წინადადება მიეცეს განათლების კომისარიატს აღრიცხოს სასწრაფოდ წიგნისა, საწერ ქალაქისა და ნოტების მალაზიები. 2. აღნიშნულ მალაზიებიდან საგნების მიცემა სწარმოებდეს მხოლოდ განსახკომის ორდერებით. 3. მოხდენილ იქნეს ნაციონალიზაცია ყველა საზოგადოებრივ და კერძო წიგნთსაცავებისა და სამკითხველოებისა. შენიშვნა: კერძო წიგნთსაცავებიდან მხოლოდ დიდი წიგნთსაცავის ნაციონალიზაცია მოხდეს. 4. მოხდენილ იქნეს ნაციონალიზაცია თეატრებისა, კინომატოგრაფებისა, ცირკებისა და სხვა გასარ-

თობების, ელექტრო სადგურების, სტამბებისა და აბანოების ნაციონალიზაცია.

შუამდგომლობა მოქალაქე ს. დევდარიანის ორი ჟურნალის ქართულსა და რუსულ ენებზე გამოცემის ნება-დართვის შესახებ - უარყოფილ იქნეს“ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1921, N 4].

ეს ტექსტები ცხადყოფენ, რომ რეჟიმს აფრთხობდა განათლების, კულტურისა და ხელოვნების თავისუფლება და ნაბეჭდი პროდუქციის, განსაკუთრებით კი ეროვნული მუხტის შემცველი ნიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების უკონტროლო მიმოქცევა მოსახლეობაში. ამიტომ ამ განკარგულებების საფუძველზე განათლების სახალხო კომისარიატის მეშვეობით დაიგეგმა და დაწესდა საგამომცემლო საქმიანობის, ნიგნთასაცავების, თეატრების, კინოსა და სხვა დაწესებულებების ნაციონალიზაციის მოტივით ტოტალური მმართველობა. ამ კონტროლის მიღმა არ დაუტოვებიათ ქალაქით ვაჭრობაც კი.

ბოლშევიკებს ესმოდათ, რომ პრესა ხალხზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალება იყო. ამიტომ რეჟიმის მიერ გადადგმული მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ახლადდაარსებული უკიდურესად იდეოლოგიზებული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და მასობრივად გავრცელება ხალხში, განსაკუთრებით მუშებს შორის. ისინი რეალურ მიზნებს იმით ფარავდნენ, რომ აცხადებდნენ, ვითომდა მოსახლეობის კულტურულ განვითარებაზე ზრუნავდნენ. მოვიხმოთ რევკომის პრეზიდიუმის „სასწრაფო“ დადგენილებების რამდენიმე პუნქტს:

„წინადადება მიეცეს ბეჭდვით ცენტრს მიიღოს სასწრაფო ზომები მუშათა რაიონებისთვის გაზეთების მისაწოდებლად და გააძლიეროს მუშათა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

პროექტი დეკრეტისა ეკლესიისაგან სახელმწიფოს გამოყოფის შესახებ /იუსტიციის სახალხო კომისარი/ დამტკიცებულ იქნეს.

სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფის შუამდგომლობა ქართულ

ენაზე ჟურნალ „პროლეტარის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. აგრეთვე ბაბტისტების - ჟურნალ „ძმური კავშირის“ რუსულ ენაზე გამოცემისა.

რევკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებულ იქნეს შემდეგი ზოგადი გადაწყვეტილება გაზეთების გამოცემის შესახებ. საბჭოთა საქართველოში გაზეთების გამოცემისთვის არავითარი ნებართვა საჭირო არ არის, საბჭოთა არა სანინაალმდეგო მიმართულების გაზეთები თავისუფლად გამოდის და მათ წინააღმდეგ დევნა არ სწარმოებს.

ხელს აწერს: მ. ორახელაშვილი“ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1921, N 4].

ციტირებულ ტექსტში ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: ჯერ ერთი, ბეჭდვით ცენტრს დაევალა დაუყოვნებლივ დაეწყო მოქმედება, რათა პრესის მეშვეობით მუშებს შორის ინტენსიურად გავრცელებულიყო ოფიციალური ინფორმაცია და კომუნისტური იდეოლოგია. იმავე ბეჭდვით ცენტრს დააკისრეს აგრეთვე პროლეტარ მოსახლეობაში „კულტურულ-განმანათლებელი“, ანუ სააგიტაციო-იდეოლოგიური მუშაობის გაძღოლა, რაც ამ ცენტრის რეალურ ფუნქციებს სცილდებოდა;

მეორე, კომუნისტები განსაკუთრებით დაუნდობლად ებრძოდნენ რელიგიას, სასულიერო პირებსა და მორწმუნე მოსახლეობას, რაც საკუთრივ რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, შუა აზიაში 1917-1920 წლებში (ანუ საქართველოს ანექსია-ოკუპაციამდე) ეკლესიების, სინაგოგებისა და ჯამე-მეჩეთების მასობრივი ნგრევა-ძარცვით თუ სინმინდეთა შეურაცხყოფით, სასულიერო პირთა და მორწმუნეთა ხოცვით, დევნითა და დამცირებით გამოიხატებოდა. კომუნისტებმა რუსეთში დაწყებული ბრძოლის ოკუპირებულ საქართველოში გადმოტანის მიზნით დაამტკიცეს დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ. ამ დროისათვის ქართულ სამოციქულო ეკლესიას უკვე 4 წლის აღდგენილი ჰქონდა ავტოკეფალია (ეს მოხდა 1917 წლის 12 (25) მარტს), მაგრამ მისი უფლებები და ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე

იყო, ვინაიდან 1918 წლის 26 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა და მიიღო სპეციალური კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ და ამ კანონით ეკლესიას ჩამოართვა ქონების უდიდესი ნაწილი, დაიხურა სასულიერო სასწავლებლების უმრავლესობა, აიკრძალა სკოლებში საღვთო რწმუნის სწავლება, ხოლო სახალხო განათლების სამინისტროს გადაეცა სასულიერო სასწავლებლების შენობები და სხვა ქონება [<http://library.church.ge>].

ზემოთ ციტირებულ ტექსტში სოციოლინგვისტურად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკები, ერთი მხრივ, ებრძოდნენ რელიგიას, მეორე მხრივ კი მიუღიათ გადანყვეტილება რუსულ ენაზე ბაპტისტური ჟურნალის „ძმური კავშირის“ (Братский союз) დაარსების საკითხზე. რით უნდა აიხსნას ბოლშევიკებისათვის უჩვეულო ამგვარი ნაბიჯი? ვფიქრობთ, ამ წინააღმდეგობრივი გადანყვეტილების მიღება განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ქართული სამოციქულო ეკლესიის მრევლისა და სამღვდელოების მრავალრიცხოვნობითა და, მეორე მხრივ, ბაპტისტთა თემის მცირერიცხოვნობითა და ამ თემის წევრთა უმრავლესობის არაქართველობით. კომუნისტები, როგორც ითქვა, დაუნდობლად ებრძოდნენ ეკლესიას, პარალელურად კი ყოველნაირად ცდილობდნენ ერთმანეთზე გადაემტერებინათ ქვეყნის სატიტულო ერი და სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე, უმრავლესობისაგან განსხვავებული ენისა და რწმუნის მქონე დიასპორები. ბაპტისტები იმდროინდელ საქართველოში ბევრნი არ იყვნენ, რის გამოც კომუნისტებს იმისი შიში არ ჰქონდათ, რომ მათი ხელშეწყობა სერიოზულ პრობლემას შეუქმნიდა უკიდურესად ათეისტურ ხელისუფლებას, რადგან საჭიროების შემთხვევაში უხეში ძალის გამოყენებაზე რეჟიმი უარს არ იტყოდა. სამაგიეროდ, ბაპტისტებს იოლად შეეძლოთ მადლიერება რელიგიურ უმრავლესობასთან პროვოკაციული დაპირისპირებით გამოეხატათ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, რელიგიური უმცირესობა კომუნისტებს სჭირდებოდათ

მხოლოდ იარაღად ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. მესამე, თუ დავაკვირდებით ამ ტექსტს, შეუძლებელია თვალში არ გვეცეს ფრაზა: „...საბჭოთა არა საწინააღმდეგო მიმართულების გაზეთები თავისუფლად გამოდის და მათ წინააღმდეგ დევნა არ სწარმოებს“, რომელიც ცხადად გვეუბნება, რომ რეჟიმი არსებობას უკრძალავდა და რეალურად დევნიდა არასაბჭოური, ე.ი. ეროვნული პოზიციის მქონე გაზეთებს. ჩვენი დასკვნის სისწორეს ადასტურებენ არა მარტო თვით ეს ტექსტი და 1921-1922 წლების დოკუმენტური მასალა, არამედ მომდევნო პერიოდის სხვადასხვა საარქივო საბუთი: არაკომუნისტური პარტიების, კერძო პირებისა თუ ორგანიზაციების მიერ რევკომისთვის წარდგენილი შუამდგომლობები გაზეთების გამოცემის ნებართვის მისაღებად. ეს მასალა მოწმობს იმას, რომ ბოლშევიკური რეჟიმის თანხმობის გარეშე არავის ჰქონდა ბეჭდვითი საქმიანობის წამოწყებისა და განხორციელების უფლება.

მართალია, ზემოთ ციტირებული განკარგულებით თითქოს ნებართვა არ სჭირდებოდათ ადამიანებს გაზეთების გამოცემისთვის, მაგრამ საქართველოს რევკომის სხდომათა ოქმებში ჩანს, რომ ხშირად განიხილებოდა აღნიშნული საკითხი და იქვე მოცემული იყო რეჟიმის საბოლოო გადაწყვეტილებები გამოცემების ბედის შესახებ. მაგალითად:

„ოქმი 23 - საქართველოს რევკომის პლენუმის სხდომისა 1921წ.

თავმჯდომარე ფ. მახარაძე. ნევრები: ელიავა, ნაზარეტიანი, კვირკველია, დუმბაძე, ცინცაძე, ტოროშელიძე, ელისაბედაშვილი. დაესწრნენ: თუმანოვი, თევდ. კალანდაძე, მოდებაძე, კიკალიშვილი, ქავთარაძე, ყურულაშვილი.

სოციალ-რევოლუციონერთა კომიტეტის შუამდგომლობა გაზეთ „შრომის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნება. ნება დაერთოს გამოსცეს ყოველკვირეული გაზეთი. ხარჯი ამ გაზეთისთვის გასტუმრებულ იქნეს სახელმწიფო თანხიდან.

დაშნაკცუთუნის პარტიის შუამდგომლობა გაზეთ „აშხაცავორის“ გამოცემის ნებართვის შესახებ. შუამდგომლობა უარყოფილ იქნეს.

სოციალ-ფედერალისტთა რუსულ გაზეთსა და გაზეთ „მაშვრალთა ხმის“ შესახებ წინადადება მიეცეს საქართველოს ბეჭდვით ცენტრს - ქალაქდისა და ტეხნიკური საშვალებათა უქონლობის გამო - აღნიშნული გაზეთები დაიხუროს“ [სეა, ფ. 300, ან.1, 1921, N 23,].

მაშასადამე, აღნიშნულ სხდომაზე რევკომის პლენუმმა განიხილა სამი სხვადასხვა პარტიის შუამდგომლობა თითო ქართული, რუსული და სომხური გაზეთის გამოცემის შესახებ. ნებართვა გაიცა მხოლოდ სოციალ-რევოლუციური (ესერთა) პარტიის გაზეთის გამოსაცემად, მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხაც გამოყვეს. როგორც ჩანს, იმ კონკრეტულ ეტაპზე ამ პარტიას არ ჰქონდა დიდი იდეოლოგიური სხვაობა ბოლშევიკების პარტიისაგან, რასაც უნდა განეპირობებინა მისი გაზეთისათვის ბეჭდვის ნებართვის მიცემაც და ხაზინიდან თანხის გამოყოფაც, თუმცა ამ პარტიაში რადიკალურად განწყობილი ანტიბოლშევიკებიც იყვნენ, რომლებსაც შეურიგებელი პოზიცია ჰქონდათ ქვეყნის ოკუპაცია-ანექსიისა და „პროლეტარიატის დიქტატურის“ დამყარების მიმართ [<http://www.spekali.tsu.ge>].

საქართველოს რევკომის მიერ სომხური ნაციონალისტური პარტიის დაშნაკცუთუნის გაზეთის „აშხაცავორის“ გამოცემაზე ყოველგვარი განმარტების გარეშე უარის თქმა, ჩვენი ვარაუდით, განპირობებული უნდა ყოფილიყო ამ ორგანიზაციის იდეოლოგიის დიდი სხვაობით ბოლშევიკურ იდეოლოგიასთან. საგულისხმებელია, რომ დაშნაკცუთუნს მისი ტერორისტული წარსულისა და პრაქტიკულად ყველა მეზობელი ხალხისადმი აგრესიული პრეტენზიების ტრადიციული სიუხვის გამო იმ დროს არ ენდობოდნენ ბოლშევიკები, გარდა ამისა, ყველამ იცოდა, რომ ამ პრეტენზიებს დაშნაკები სწორედ სომხურენოვანი პრესის მეშვეობით ავრცელებდნენ. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის

მიწურულიდან ამ დაჯგუფებამ სხვადასხვა ენაზე შექმნა გაზეტები, რომლებიც „გათვალისწინებული იყო პრაქტიკულად ყველა მკითხველისათვის: ეროვნული ნიშნით - სომხებისათვის, ქართველებისათვის, რუსებისათვის; სოციალური ნიშნით - მუშებისათვის, გლეხებისათვის, ინტელიგენტებისათვის, კაპიტალისტთათვის; პოლიტიკური მსოფლმხედველობით - ლიბერალისათვის, კონსერვატორისათვის, სოციალ-დემოკრატიისათვის, ნაციონალისტთათვის, ინტერნაციონალისტთათვის და ასე შემდეგ. ყველა მკითხველს პროსომხური იდეები და მასალები შესაბამისი „შეფუთვით“ მიეწოდებოდა“ [<https://iberiana.wordpress.com>].

საქართველოს რევკომის მიერ იმავე სხდომაზე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის რუსული გაზეთისა (ოქმში მისი სახელწოდება, სამწუხაროდ, მითითებული არ არის) და ქართულენოვან გაზეთ „მაშვრალთა ხმის“ დახურვის შესახებ გადანიშნულებას ბოლშევიკებმა ასეთი მოტივი დაუძებნეს: „ქალაქისა და ტყეხნიკური საშვალეებათა უქონლობის გამო - აღნიშნული გაზეთები დაიხუროს“-ო. იმ მკითხველს, ვინც იცის, რომ ბოლშევიკები ძალიან ხშირად პირდაპირ არ ასახელებდნენ ხოლმე საკუთარი ქმედებების ნამდვილ მიზეზებსა და მიზნებს, ცხადია, რომ მათ სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის გაზეთი სრულიად სხვა მიზეზის გამო დახურეს - ეს პარტია დაარსების დღიდან არსებობის შეწყვეტამდე (1901-1923 წწ.) იდგა ეროვნულ პოზიციაზე: 1901 წლიდან 1918 წლის 26 მაისამდე და 1921-1923 წლებში უმთავრეს მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები „...საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მტრულად შეხვდნენ და კატეგორიულად ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას, მემარცხენეებმა გამოაცხადეს ლოიალური დამოკიდებულება. ისინი კომპრომისზე მიდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან,

თუკი ეს უკანასკნელი საქართველოს დამოუკიდებლობასა და დემოკრატიულ პრინციპებს აღიარებდა და არ დაუშვებდა პროლეტარიატის დიქტატურას, მემამულეებისა და კაპიტალისტების მიმართ რეპრესიებს, არ გააჩაღებდა კლასობრივ ბრძოლას. მემარცხენეები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან ნებისმიერი ფორმით გაერთიანებისა, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიებისა“ [<http://www.spekali.tsu.ge>]. ბუნებრივია, როცა პარტიის უფრო ლოიალური ფრთაც კი მკაცრად უპირისპირდებოდა ბოლშევიკებს იმ საკითხებში, რომლებიც რეჟიმს პრინციპულ საკითხებად მიაჩნდა, პარტიის ანტიბოლშევიკური იდეოლოგიის გამომხატველი რუსული გაზეთის დახურვა გასაოცარი სულაც არ არის. აღსანიშნავია, რომ იმავე 1921 წელს ბოლშევიკებმა ამ პარტიის ყოველდღიური ქართული გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტიც“ დახურეს [<http://www.nplg.gov.ge>], ხოლო 1923 წელს პარტიაც აკრძალეს. ამრიგად, ფედერალისტთა რუსული გაზეთის დახურვის რეალური მიზეზი ქალაქისა და ტექნიკურ საშუალებათა უქონლობა კი არა, საბჭოთა რეჟიმთან იდეოლოგიური შეუსაბამობა იყო.

როგორც ჩანს, იმავე მიზეზით დახურეს გაზეთი „მაშვრალთა ხმაც“, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს რევოლუციონურ სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის ორგანოს, გამოდიოდა 1921 წელს, დაიბეჭდა მხოლოდ 19 ნომერი. ვვარაუდობთ, რომ ეს პოლიტიკური ორგანიზაციაც ებრძოდა ბოლშევიკებს, რაც რეჟიმისათვის მიუღებელს გახდიდა მისი იდეოლოგიის გავრცელებას ფართო მასებში.

საყურადღებოა, რომ 20-იან წლებში არსებული საგანგებო დანებებულება ცენტრო-სიტყვა (ცენტრალური ბეჭდვითი სიტყვა), რომელსაც, სახელწოდებიდან გამომდინარე, ევალეობდა ენასთან დაკავშირებული პრობლემების გადანყვეტა, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტის ტექსტიდან უდავოდ ჩანს, რომ ცენტრო-სიტყვა პრაქტიკულად

ვერ წყვეტდა ჟურნალ-გაზეთების ყოფნა-არყოფნისა და დაფინანსების საკითხებს, სინამდვილეში ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი გამოცემის ბედ-იღბალს განაგებდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). რაც შეეხება ცენტრო-სიტყვის რეალურ ფუნქციებს, მათ შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის 1921 წლის 28 დეკემბრის დოკუმენტი, რომელიც ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთ მხარეს გვიშუქებს:

„ბრძანება ცენტრო-სიტყვის გამგისა, 28 დეკემბერი 1921.

სახალხო განათლების კომისრის #3064 ცირკულარიულ განკარგულების თანახმად, მიმონერა ცენტრო-სიტყვის განყოფილებაში უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზედ, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, როცა ეს მოუხერხებელი იქნება, სათანადო მომსახურენი ვალდებული არიან მიმართონ პირადად ცენტრო-სიტყვის გამგეს, რომლისაგან მიიღებენ შესაფერ განმარტებას. ცენტრალური ექსპედიციის გამგე, აგრეთვე გამგე ვინტალურ ექსპედიციისთვის, ქალაქის ექსპედიციის, გაკვრის, არქივის და წიგნის განყოფილების ვალდებულნი არიან ამ განკარგულების თანახმად, დაუკვეთონ ახალი ბლანკები, ან თუ შესაძლებელი იქნება ამ მიზნისთვის გამოიყენონ არსებული ბლანკები. ცენტრო-სიტყვის გამგე“ [სცა, ფ. 300, ან.1,1921, N 90].

ამრიგად, ცენტრო-სიტყვის რეალურ ფუნქციებში შედიოდა ნაბეჭდი პროდუქციის (პრესისა და წიგნების) ექსპედირება, ანუ, ახლანდელი ტერმინოლოგიით, დისტრიბუცია-გავრცელება, ოფიციალურ-ნორმატიული დოკუმენტებისა (დეკრეტების, განკარგულებების...) და აფიშების გაკვრა თვალსაჩინო ადგილებში და ნაბეჭდი პროდუქციის შენახვა-დაარქივება.

განსახილველი ბრძანების ტექსტი ადგენს ნორმას სხვა დაწესებულებების მიერ ცენტრო-სიტყვასთან და ამ დაწესებულებების მუშაკთა შიდა ურთიერთობისათვის ოფიციალური საქმისწარმოების ენის შესახებ: ასეთ ენად სახელმწიფო ენა ცხადდება, რომელშიც, ჩვენი აზრით,

ქართული ენა უნდა იგულისხმებოდეს. ცხადია, ქართულ ენაზე საქმისწარმოებისა და შესაბამისი ახალი ბლანკების შედგენის ვალდებულება დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ამ პერიოდის საარქივო მასალის მიხედვით, უმეტესად გამოიყენებოდა რუსული ენა - ჩვენ მიერ კვლევის პერიოდში ნანახ საარქივო მასალებში ხელით შედგენილი თუ ნაბეჭდი ოფიციალური დოკუმენტებისა და ბლანკების დიდი ნაწილი რუსულ ენაზეა შედგენილი. ეს ცარიზმის დროის მემკვიდრეობა იყო, რომელიც ხელს ბოლშევიკებსაც აძლევდა.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ ფაქტობრივად თითქმის ყველა წყაროში, ქართული გაზეთების გვერდით აუცილებლად არის მითითებული რუსული გაზეთების ტირაჟის, გამოცემისა თუ სხვა ტიპის საკითხები. მაგალითად:

„საქართველოს რევკომის კომიტეტის პრეზიდიუმი, ტფილისი, 1921 წლის აპრილის 23.

დადგენილება: 1. ქალაქის ეკონომიისთვის წინადადება მიეცეს საქართველოს ბეჭდვით ცენტრს მოსკოვს კედლის გაზეთების გამოცემა და გაკვრა და გახსნას სააგიტაციო სამკითხველოები მუშათა რაიონებში.

2. რუსული გაზეთები გამოიცეს 800 ცალად, უკიდურეს შემთხვევაში ცალ-ფურცლად, ხოლო ქართული გაზეთი - 1500 ცალამდე იქნეს გამრავლებული.

3. გაზეთები იყიდებოდეს“ [სეა, ფ. 300, ან.1, 1921, N5].

ამ დადგენილების საფუძველზე კედლის გაზეთების აკრძალვა, ჩვენი აზრით, არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული მხოლოდ ქალაქის დეფიციტით. როგორც ცნობილია, საქართველოს ოკუპაცია-ანექსიამ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. რა თქმა უნდა, ბოლშევიკებს აფრთხობდა ის გარემოება, რომ მათ გაუძნელდებოდათ ყველა დაწესებულების კედლის გაზეთების შინაარსის გაკონტროლება. მათ არ ჰქონდათ გარანტია, რომ ეს გაზეთები არ გადაიქცეოდნენ ანტიბოლშევიკური იდეების გამავრცელებლად. სწორედ ამიტომ მასობრივად აიკრძალა მათი გამოშვება და გაკვრა.

კედელზე გასაკრავი ხელნაწერი გაზეთებისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო იოლი იყო ნაბეჭდი პროდუქციის შინაარსის კონტროლი - სტამბები ცოტა იყო და ცენზურა მათ ადვილად მისწვდებოდა. ამით იხსნება ის გარემოება, რომ რეჟიმი დიდ ყურადღებას უთმობდა მუშათა რაიონებში სააგიტაციო სამკითხველოების გახსნას, აგრეთვე ამ სამკითხველოებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მომარაგებას ნაბეჭდი პროდუქციით, მათ შორის ყოველდღიური გაზეთებით. ამისი დამადასტურებელია შემდეგი დოკუმენტი: „გრუცენტროპეჩატის აღმრიცხველ-გამანაწილებელ განყოფილებას: თანახმად თქვენი განცხადებისა, ამით გაცნობებთ, რომ განათლების კომისარიატისთვის და ყველა მის განკარგულებაში მყოფ დაწესებულებისთვის და სასწავლებელთათვის საჭიროა ყოველდღიური რუსულ-ქართული გაზეთების სამოცი ცალი. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რომ აღნიშნული რიცხვი გაზეთებისა გვეგზავნებოდეს სრულად“ [სეა,, ფ. 300, ან.1, 1921, N 12].

მსგავსი შინაარსის მოთხოვნა გაგზავნილა განსახკომის მიერ სხვადასხვა რედაქციისთვის: „გაზეთ „სოციალ-ფედერალისტის“ და გაზეთ „კრასნი ვოინის“ რედაქციას: ვინაიდან წარსული 1921 წლის დეკემბრის 16 კანონი / კანონთა კრებული #22, კან. 235/ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა განათლების კომისარიატში წარმოდგენის შესახებ, საქართველოს რევკომის მიერ გაუქმებული არ არის, გთხოვთ ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით წარმოადგინოთ ყოველივე ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები, როგორც დღემდე გამოცემული, აგრეთვე რომელიც შემდეგში დაიბეჭდება - 14 ცალის ყოველის გამოცემისა, რა ენაზედაც არ უნდა იყოს იგი დაბეჭდილი. ეს გამოცემანი საჭიროა, რათა დაკმაყოფილებულ იქმნეს საჭიროება უნივერსიტეტისა, საქართველოს მუზეუმისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა“ [სეა, ფ. 300, ან.1, 1921, N 1910].

როგორც ვხედავთ, ბეჭდური პროდუქციის ნიმუშების

გაგზავნის მოთხოვნა მიუთითებდა იმას, რომ განსახკომი მკაცრად აკონტროლებდა მედიისა და გამომცემლების საქმიანობას. გარდა ამისა, საინტერესოა, ნამდვილად კითხულობდნენ თუ არა ამ რაოდენობის რუსულ გაზეთებს იმ პერიოდის საქართველოში, როცა ჯერ კიდევ, ზოგადად, დაბალი იყო წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. თუ არაქართულ-არარუსულენოვანი მოსახლეობისთვის ბეჭდავდნენ ამდენ რუსულ გაზეთს, არც ესაა ლოგიკური, ვინაიდან საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ამ ჯგუფში კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა გაზეთებით დაინტერესება რუსული ენის უცოდინრობის მასობრივი ხასიათის გამო. შესაძლებელია, რუსული ვერსიებით ბოლშევიკური რუსეთის წარმომადგენლები აკონტროლებდნენ, თუ რას წერდნენ და რას კითხულობდნენ საბჭოთა საქართველოში. გარდა ამისა, რუსულ ენაზე ყოველდღიური თუ ყოველკვირეული გაზეთების გამომცემის ვალდებულება კიდევ ერთი ინსტრუმენტი იყო რუსული ენის გავრცელებისათვის და მისი სტატუსის განმტკიცებისათვის.

განსახკომს ექვემდებარებოდა საოპერო და დრამატული თეატრებიც. ორი დოკუმენტიდან ჩანს, რომ საანალიზო პერიოდში ქართულთან ერთად განაგრძობდა არსებობას რუსული და სომხური დასებიც:

„დეკრეტი სახელმწიფო თეატრების გამგეობის შესახებ: სახელმწიფო თეატრის სათავეში დგას თეატრის გამგე, მას ჰყავს თანაშემწე, როგორც გამგეს, ისე მის თანაშემწეს ნიშნავს განათლების სახალხო კომისარიატი; თეატრთან არსებობს სათეატრო სათათბირო, სათათბიროში შედიან: თეატრის გამგე /თავმჯდომარე/, მხატვარი, რეჟისორი /აგრეთვე რეჟისორი რუსული დასის და რეჟისორი სომხური დასის/, ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელი, მხატვარი /ოპერაში დირიჟორიც/, ეროვნულ უმცირესობათა სექციების წარმომადგენელი /სექციებზე ერთი/. სახელმწიფო თეატრები /დრამა და ოპერა/ გასახელმწიფოებულია და ბილეთები უფასო. განათლების კომისრის მაგიერ“.

„დებულება #492 საბავშვო თეატრებისა. საბავშვო თეატრებში წარმოდგენები დაიდგმება - საოპერო და დრამატიული - ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრებში“ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1922, N 69].

მასასადამე, თეატრების მმართველ ორგანოში ქართველ, რუს და სომეხ რეჟისორებთან ერთად შედიოდა ეროვნული უმცირესობის რომელიმე წარმომადგენელი. საბავშვო თეატრებშიც სპექტაკლები იდგმებოდა ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. როგორც ვხედავთ, აქაც ქართულთან ერთად, გათვალისწინებული იყო რუსული და სხვაენოვანი ეთნიკური ჯგუფების ენობრივი და კულტურული ინტერესები.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალების ანალიზით დასტურდება, რომ საბჭოთა რეჟიმი საქართველოს რევკომისა და განსახკომის მეშვეობით ტოტალურ კონტროლს ახორციელებდა და იდეოლოგიური ზეგავლენის საშუალებებად იყენებდა ბეჭდვით სიტყვასა და საგამომცემლო საქმიანობას, საოპერო და დრამატულ თეატრებს. იმდროინდელ საქართველოში არსებულ დაწესებულებებს სინამდვილეში მართავდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის თვალი, ყური და ხელი - საქართველოს რევკომი, რომელიც ხშირად გასცემდა მხოლოდ ბოლშევიკების პარტიული მიზნებისთვის სასარგებლო გადაუდებლად და განუხრელად შესასრულებელ ნორმატიულ დოკუმენტებს. რეჟიმი თავისი რეგულაციებით, ერთი მხრივ, თითქოს უპირატეს როლს უსაზღვრავდა ქართულ სახელმწიფო ენას, მაგრამ იმავე დადგენილებებით გასცემდა მითითებებს რუსული და სხვა ენების ფართოდ და თავისუფლად გამოყენებისთვის. ეს იყო მათ მიერ განხორციელებული ენობრივი პოლიტიკის პროვოკაციული ხასიათის დადასტურება - პირდაპირ თუ ირიბად შეექმნათ არეალი რუსულის დამკვიდრებისათვის, ხოლო საამისოდ სხვა ენებისთვისაც მცირედი უფლებების მინიჭება მხოლოდ ფონის შესაქმნელად იყო გამოყენებული. ამის თვალსაჩინო მაგალითებია თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოცემული

ქართულ-რუსული გაზეთები, ქართული, რუსული და სომხური თეატრალური დასები, ასევე სამართალწარმოებასა და სასამართლოში პრაქტიკულად ყველა ენის თავისუფლად გამოყენება და სხვ.

ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი თავმჯდომარეობდა. საბჭო მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა, მაგრამ მის საქმიანობაში განსაკუთრებით აქტუალური ენობრივი პრობლემების განხილვა და ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ინტერესების დაცვა იყო.

სამეცნიერო საბჭო განათლების, სალიტერატურო და სამეცნიერო ენის კანონებისა და ტერმინოლოგიის დადგენას ხელმძღვანელობდა, მის კომპეტენციაშიც შედიოდა აგრეთვე სასწავლო სახელმძღვანელოების, გეგმებისა და პროგრამების მომზადება, დამუშავება და რეცენზირება. არქივში ინახება დებულება ამ საბჭოს მუშაობის წესების შესახებ, რომლის ტექსტის ნაწილსაც აქ წარმოვადგენთ:

„...სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიურ ცენტრთან არსდება სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომლის კომპეტენციაშიც შედის:

ა) შემუშავება სათანადო სწავლა-აღზრდის სისტემისა საქართველოსთვის;

ბ) დამუშავება ზოგად სახელმძღვანელო დებულებათა სასწავლო გეგმებისა, პროგრამებისა და აგრეთვე სახელმძღვანელოთა;

გ) შედგენა სამაგალითო /სანიმუშო/ სასწავლო გეგმებისა და პროგრამებისა;

დ) გარჩევა და რეცენზია სასწავლო წიგნებისა, სახელმძღვანელოებისა და საუკეთესო მათგანის სათანადოდ დაჯილდოება;

ე) კონკურსის გამოცხადება რომელიმე საგნისთვის საუკეთესო სახელმძღვანელოს შესადგენათ;

ვ) დადგენა ქართულ სალიტერატურო ენის საერთო კანონებისა, აგრეთვე სამეცნიერო ტერმინოლოგიისა, უმთავრესად სასკოლო დისციპლინებისათვის;

ზ) ხელის შეწყობა სამეცნიერო საპედაგოგიო საგნების გასარკვევად;

თ)...

2. სსს შესდგება 3 სექციისაგან: სამეცნიერო-პოლიტიკურისა, სამეცნიერო-ტექნიკურისა და სამეცნიერო-პედაგოგიურისაგან. სექციათა დადგენილებათ ადასტურებს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო.

3. სსს შესდგება 21 წევრისგან...

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ამტკიცებს განათლების კომიტეტის კოლეგია აკადემიური ცენტრის წარმოდგენით.

სს საბჭოს თავმჯდომარეთ არის განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრის გამგე...

სს საბჭოს გადანყვეტილება ძალაში შედის აკადემიურ ცენტრის მიერ დამტკიცების შემდეგ“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921, N 1].

ფაქტობრივად, სამეცნიერო საბჭოსა და მის სექციებზე იყო დამოკიდებული საგანმანათლებლო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების შემუშავება და სტანდარტიზება. ცხადია, 1921-1922 წლების ყოველმხრივ შეზღუდულსა და პოლიტიზებულ რეალობაში სრული თავისუფლების მინიჭების ილუზია არ ექნებოდათ საბჭოში მომუშავე პროფესიონალებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში მათ პროფესიონალიზმზე, კეთილსინდისიერებაზე, პრინციპულობასა და ლავირების უნარზეც იყო დამოკიდებული სწორი პოზიციის გატანა, დაცვა და დამკვიდრება.

ზოგჯერ საბჭოში განსახილველი საკითხები თითქოსდა შორს იდგა ამ უმთავრესი პრობლემებისაგან, მაგრამ საბჭოს წევრ მეცნიერებს კარგად ესმოდათ, რომ ენასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მეტად მნიშვნელოვანი იყო და მათი სწორად გადანყვეტა შეასუსტებდა რუსული ენის მოძალებას. მაგალითად, საბჭომ 1922 წელს რამდენიმე

სხდომაზე განიხილა თბილისში იმ დროს მოქმედი ორი კონსერვატორიის მუშაობის საკითხები [სცა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 23], კერძოდ, მათი მუშაობის პრინციპები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ეროვნული შემადგენლობა, სასწავლებლების ენობრივი ასპექტები, პრობლემები და განვითარების პერსპექტივები. საბჭოს 1922 წლის 30 მარტის სხდომაზე დაისვა საკითხი კონსერვატორიების გაერთიანების შესახებ. საქმის განხილვას დიდი კამათი მოჰყვა, კომისიის წევრები ვერ წყვეტდნენ, ტექნიკურად ეს როგორ უნდა განეხორციელებინათ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1922, N 21:34].

საბჭომ 1922 წლის 6 აპრილის სხდომაზე მიიწვიეს პირველი კონსერვატორიის დირექტორი ზაქარია ფალიაშვილი და მეორე კონსერვატორიის დირექტორი დიმიტრი არაყიშვილი. მოწვეულებმა წარმოადგინეს თავიანთი მუშაობის ანგარიში, დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ კონსერვატორიების გაერთიანებას. დ. არაყიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მისი სასწავლებელი წარმოიშვა ქართველი ერის კულტურული ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებიდან, პირველ კონსერვატორიას კი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოსთვის, ქართველი საზოგადოებისთვის, ქართული მუსიკის აყვავებისთვის და განვითარებისათვის თითქმის არაფერი გაუკეთებია, ხოლო მოწაფეები ძირითადად რუსები და სომხები იყვნენ. დ. არაყიშვილის ცნობით, 3 წლის წინ დაარსებული მეორე კონსერვატორია ეროვნულ ნიადაგზე იდგა, მიზნად ჰქონდა ხალხში მუსიკალური განათლების გავრცელება. საამისოდ შექმნილა მომდერალთა კაპელა, რომელიც დაბა-ქალაქებში მართავს კონცერტებს, ეწევა ქართული მუსიკის პოპულარიზაციას, ხოლო მასთან არსებული სტუდია მიზნად ისახავს ქართული ოპერების შესწავლასა და ქართული ძალებით დადგმას. იქვე იგეგმებოდა სახელმძღვანელოების შედგენა ქართულ ენაზე მუსიკის თეორიაში, სოლფეჯიოში. დ. არაყიშვილის სიტყვით, საქართველოს უნდა ჰქონდეს ერთი კონსერვატორია, შემოიკრიბოს ამ კონსერვატორიაში ყველა ქართული

და საჭირო უცხო ძალები, დაატრიალოს მასში ეროვნული ქართული სული, აღზარდოს ქართველ განათლებულ მუსიკოსთა თაობები, რომელნიც შეძლებენ ეროვნული მუსიკალური განძის დამუშავებას და შესწავლას [სეა, ფ. 300, ან. 1, 1922, N 22:36-37]. ცხარე კამათი გამართულა ორივე კომპოზიტორს შორის 13 აპრილის სხდომაზე. ზ. ფალიაშვილს განუცხადებია, რომ მისი კონსერვატორია კი არ არის დამნაშავე ქართველ მოსწავლეთა სიმცირეში, არამედ ის, რომ ქართველები არ ეტანებოდნენ მუსიკალურ განათლებას, ან შეძლება არ ჰქონდათ. დ. არაყიშვილმა დიდმნიშვნელოვან საქმედ დაასახელა ფილარმონიული საზოგადოებისა და მეორე კონსერვატორიის განყოფილებების დაარსება პროვინციებში, მაგ., ქუთაისში. გამომსვლელი მომხრე იყო, რომ დახურულიყო ორივე კონსერვატორია და შექმნილიყო ერთი ქართული კონსერვატორია» [სეა, ფ. 300, ან. 1, 1922, N 23:38-39]. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ივ. ჯავახიშვილმა დასკვნის სახით აღნიშნა, რომ საკითხი მეტად რთული და საფრთხილო იყო, ამიტომ ორივე მხარეს სთხოვა: „...უფრო მეტის თანხმობით დასდგეთ ჩვენი ცხოვრების ამ სფეროს სამუშაოზე და იმედია, მაშინ უფრო მაგრად წავა წინ ჩვენი მუსიკის საქმე და ამ ეროვნულ სულის ჩაქრობას ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს» [სეა, ფ. 300, ან. 1, 1922, N 23:39]. 22 ივნისის სხდომაზე საბჭომ მიიღო დადგენილება ორის ნაცვლად ერთი კონსერვატორიის დაარსების შესახებ, რომლის წესდების პირველი მუხლი ასე ჩამოყალიბდა:

„1. ტფილისის კონსერვატორია საქართველოს უმაღლესი სამუსიკო დაწესებულება და სასწავლებელია. მის მიზანს შეადგენს უმაღლესი მუსიკალური განათლება მისცეს იმ პირთ, რომელთაც მუსიკის ხელოვნება თავის განსაკუთრებულ სპეციალობად და სამოქმედო ასპარეზად აქვთ არჩეული და თანაც მუსიკური კვლევა-ძიებასა და შემოქმედებას სათავეში უდგას და ამ ხელოვნების კულტურის ამაღლებას და წარმატებას საქართველოში ხელს უწყობს.

მაგრამ თავის თავად ცხადია საქართველოს კონსერვატორიის დანიშნულება შემოქმედებისა და კვლევა-ძიების სფეროში უმთავრესად ძველი და ხალხური ქართული მუსიკის მეცნიერული შესწავლისა და ახალის აყვავებისა და წარმატებისათვის ერთი მხრით, მეორეს მხრით მახლობელ აღმოსავლეთის, ჩვენი მეზობლების სომხების, მთიელთა, სპარსელების, თურქების და სხვათა მუსიკის შესწავლაც შეადგენს. ამდაგვარად ჩვენი კონსერვატორიის პროგრამაც შესაფერისად შეცვლილი და გაფართოებული უნდა იყოს» [სეა, ფ. 300, ან. 1, 1922, N 33:172-173].

სამეცნიერო საბჭოს წევრები ზოგჯერ იმდენად პრინციპულად იცავდნენ ქართული ენის უფლებებს, რომ ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მათ სიცოცხლესაც კი. ამ მხრივ ნიშანდობლივია დიდი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძისა და ივანე ჯავახიშვილის დაპირისპირებანი ჩეკას² რუს წარმომადგენლებთან. სამეცნიერო საბჭოს 1922 წლის 27 მაისის სხდომაზე ა. რაზმაძემ კოლეგებს მოახსენა იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც მას 2 დღის წინ გადახდა. სხდომის ოქმის ჩანაწერს ვთავაზობთ სრულად:

„პროფ. ან. რაზმაძის განცხადება: 1922 წლის 25 მაისს, ამბობს ის, შუადღის სამ საათზე მივდიოდი უნივერსიტეტში პურის მისაღებად. კარებთან გამაჩერა ჩეკის აგენტმა, რომლის გვარი არ ვიცი, და მის შეკითხვაზე უპასუხე ჩემი ვინაობა ქართულად. როგორც კი გაიგონა ქართული პასუხი, მან მომმართა უშვერი სიტყვებით, რაშიც მე დავინახე შეურაცხოვა ქართული სახელმწიფო ენისა და ჩემი ეროვნებისა. ამის გამო განვაგრძობდი ქართულად ლაპარაკს. მაშინ მან დაუძახა ქართულის მცოდნე მეორე აგენტს და უკვე მის საშვალებით მელაპარაკა. შემდეგ გამომიცხადა, რომ უნივერსიტეტში არ

2. ჩეკა - სახელმწიფო უშიშროების საგანგებო კომისია. იყო სპეციალური ორგანო, რომელიც ახორციელებდა დაუნდობელ ბრძოლას ანტიკომუნისტურად განწყობილ პირთა და ორგანიზაციათა წინააღმდეგ (რუს. ВЧК – Всесоюзная чрезвычайная комиссия по борьбе с контрреволюцией и саботажем „კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი საკავშირო საგანგებო კომისია“.

გამიშვებდა და თვითონ ნაჰყვა დარაჯს პურის მოსატანად. როგორც კი დაბრუნდა, ისევ მომართა კითხვებით რუსულ ენაზე. მე გავეცი პასუხი ქართულად. ამან საშინლად გააბრაზა და დაიწყო უცენზურო გინება, რომლის განმეორება შეუძლებელია. მე მეგონა, რომ საქმე ამით დამთავრდა და კიდევ დავაპირე სახლში დაბრუნება, მაგრამ უცფათ გამომიცხადეს, რომ დაჭერილი ვარ. ორი შეიარაღებული ჯარის კაცით აგენტმა წამიყვანა ჩემი სახლისკენ. აქ დამიწყო უკვე დამშვიდებული ტონით ნატაციების კითხვა იმის შესახებ, რომ თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი, რადგანაც ვიცი რუსული ენა და უნდა მეპასუხნა „ადამიანურ ენაზე“, მე კი განზე დაუდექი და დაუნყე ლაპარაკი ქართულად. ამასთან მან დაუმატა, თუ რომ მე ახლა მას მივცემ პასუხს რუსულად, ის დაივინყებს წარსულს და მაპატიებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის იძულებული იქნება ერთის მხრით წამიყვანოს ჩეკაში და მეორეს მხრივ აცნობოს სახალხო განათლების კომისარს, „თუ როგორი პროფესურა ჰყოლია მას„. შემდეგ მომთხოვა პირადობის მონმობა, რომელიც ვუჩვენე, მაგრამ ის არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა უნივერსიტეტის დიპლომი. საბედნიეროდ, შინ დამხვდნენ კოოპერატორი იასონ გაბილაია, „რაბკრინის“ თანამშრომელი ჩიქოვანი და ჩემი და მარიამი, რომლებმაც დაარწმუნეს აღნიშნული ჩეკისტი, რომ ქართულ ენაზე ლაპარაკი დანაშაულობა არ არის და ამაზე არ იჭერენ ხალხს. ალბათ მან იგრძნო მთელი უხერხულობა ჩემი დაპატიმრებისა და თავი დამანება. ეს გარემოება ან. რაზმაძეს უცნობებია საქ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისთვის და უთხოვია მიიღოს სათანადო ზომები. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე დაპირებია საქმის საჩქაროდ გამოძიებას და ზომების მიღებას.

24 მაისს თითქმის ასეთივე შემთხვევა ჰქონია უნივერსიტეტის რექტორს ივ. ჯავახიშვილს ჩეკისტებთან ქართულად ლაპარაკის გამო. რექტორს პროტესტი განუცხადებია, რომ უნივერსიტეტის ჩხრეკა და მისი დაბეჭდვა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლების დაუსწრებლად, რასაც მოჰყოლია

მუქარა ჩეკისტების მხრით. რექტორს მაშინათვე უცნობებია მთავრობის თავმჯდომარისთვის საქმის ვითარება მისი პირადი მდივნის პირით, მთავრობის თავმჯდომარე დაპირებია სასწრაფოდ მოახდინონ გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა. სხდომამ მიიღო ცნობად და დაკმაყოფილდა მით, რომ აღმასრულებელი კომიტეტი და მთავრობა აწარმოებს სასტიკ გამოძიებას“ [სეა, ფ. 300, ან.1, 1922, N 29:46-47].

როგორც ვხედავთ, რუსი ჩეკას აგენტები აგრესიულად და კანონდარღვევით მოითხოვდნენ ქართველებს ელაპარაკათ რუსულ „ადამიანურ ენაზე“. პარადოქსია, რომ ქართველი პროფესორების ენობრივი ნიშნით დისკრიმინაციის გამოძიებას ისევ ამ აგენტთა ხელმძღვანელები აპირებდნენ. აღნიშნული ინციდენტები მოხდა 24-25 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღის (26 მაისი) წინაღვეებში. შესაძლოა, ჩეკას აგენტებს საგანგებო დავალებები ჰქონდათ, მოეწყობათ ენობრივი თუ სხვა სახის პროვოკაციები სწორედ უნივერსიტეტში.

სამეცნიერო საბჭო დიდ სიფრთხილეს იჩენდა ახლად-გასახსნელ სასწავლებლებში სწავლების ენების შერჩევის საკითხშიც, რადგან ხედავდნენ, რომ მოსკოვი ყოველნაირად ცდილობდა, ცხადად თუ ფარულად გაძლიერებინა რუსული ენის ფუნქციები ქართული ენის უფლებათა შეკვეცის ხარჯზე. ამის დასადასტურებლად გთავაზობთ სამეცნიერო საბჭოს 1922 წლის 8 ივნისის სხდომის ოქმს, რომლის მიხედვითაც საბჭოს ტექნიკური სექციის წარმომადგენლებმა ვ. კაკაბაძემ და ალ. დიდებულიძემ წარადგინეს მოხსენება გერმანული ტექნიკუმის გახსნის შესახებ: „ტექნიკური სექციის სახელით ვ. კაკაბაძემ მოახსენა სხდომას, რომ სექციაში შემოტანილი იქმნა საკითხი შემოდგომიდან გერმანული ტექნიკური სასწავლებლის დაარსების შესახებ გერმანულ გიმნაზიასთან. ამ სასწავლებლებში მიიღებიან უპირველესად გერმანელები და ქართველები. ამ ტექნიკურს სასწავლებელს, როგორც გერმანული გიმნაზიის დირექტორი ირწმუნება, შეინახავენ გერმანული ფირმები. ეს საკითხი ყოფი-

ლა შეტანილი კომისარიატში. აგრეთვე კაკაბაძემ მოახსენა სექციას გადანყვეტილება: პრინციპიალურად სასურველად არის ცნობილი ტფილისში არსებობა ქართულ-გერმანული ტექნიკური სასწავლებლის.

ალ. დიდებულიძე სექციის აზრს განმარტავს, აღნიშნავს გერმანული ტექნიკური სასწავლებლის მნიშვნელობას, საქართველოსთვის როგორც კარგა დაყენებულ სასწავლებლისა, რომელიც ერთის მხრით მისცემს დამთავრებულ და კარგ განათლებას ქართველ ახალგაზრდობას, მეორეს მხრით მოიზიდავს გერმანიიდან მცოდნე პირებს, რომელნიც გამოსადეგნი იქნებიან უნივერსიტეტისათვის და მესამე მხრით მაგალითი იქნება სხვა სასწავლებლებისათვის, როგორც კარგად დაყენებული სასწავლებელი და მდიდარი სხვადასხვა იარაღებით, რომელთაც ბუნებრივად გაავრცელებს საქართველოში.

ბ[ატონი] თავმჯდომარე არ ეთანხმება. მისი შეხედულებით ეს ტექნიკური სასწავლებელი არ იქნება არც ქართული და შეიძლება არც გერმანული. ის გარდაიქცევა რუსულ სასწავლებლად, სადაც გაბატონდება რუსული ენა, როგორც მოხდა თვით გერმანულ და ფრანგულ ლიცეუმებში. შემდეგ არ არის მართალი, რომ მცოდნე პირებს მოიზიდავს ეს სასწავლებელი. არსებობს უკვე დიდხანია გერმანული ლიცეუმი და ფრანგულიც, მაგრამ ამ სასწავლებლებმა არ გაამდიდრეს ტფილისი მეცნიერებით. რაც შეეხება იმას, რომ სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, არ არის მართალი. გერმანულ ფირმებს, რომლებიც მისცემენ საზრდოს სასწავლებლებს, აქვთ თავიანთი არა უანგარო ზრახვანი. ამისთვის ის იქნებოდა მომხრე გერმანული ტექნიკუმის სასწავლებლის დაარსებისა, თუ იქ სწავლება იქნება ქართულ ენაზე. ასეთსავე აზრს იზიარებს ვ. კაკაბაძე, ან. რაზმაძე, უკანასკნელს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ძირითადი საგნები მაინც ისწავლებოდეს ქართულად“ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1922, N 31:155].

ტოპოგრაფიაში ქართული ენის ხარჯზე რუსული ენის გამოყენების საკითხს ეხებოდა 1922 წლის 12 სექტემბრის

სხდომაც: „ან. ბენაშვილმა აღძრა საკითხი ტოპოგრაფიულ განყოფილების შესახებ, რომლის მუშაობაც მიმდინარეობს ქართველი ერის ცხოვრების გარეშე, რასაც მეტად თვალსაჩინო ვნება მოაქვს ჩვენთვის, განსაკუთრებით ჩვენი გაეროვნებული სკოლისათვის, რომელსაც რუქები ქართულ ენაზე არ მოეპოვებათ. სასურველია, გამოეყოს ამ ტოპოგრაფიულ განყოფილებას ყველა ის იარაღები, რომლითაც რუქები მუშავდება და შეიქმნას საგეოგრაფიო ინსტიტუტი სახალხო განათლების კომისარიატთან. ამ საკითხის შესახებ შუამდგომლობის აღძრა და მოლაპარაკების გამართვა განსახკომთან საბჭომ დაავალა ნიკოლოზ მგელაძეს“ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1922, N 49:262].

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალების მიხედვით ჩანს, რომ ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილი. საბჭო მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა, მაგრამ მის საქმიანობაში განსაკუთრებით აქტუალური ენობრივი პრობლემების განხილვა და ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ინტერესების დაცვა იყო. საბჭოს წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ სწორედ ამ საკითხების სწორად წარმართვაზე იყო დამოკიდებული რუსული ენის მოძალების შესუსტება. ფაქტია, რომ ან. რაზმაძისა და ივ. ჯავახიშვილის ინციდენტებით ჩეკა უარს არ ამბობდა ეროვნული ინტერესების დამცველ მეცნიერთან კონფლიქტების პროვოცირებაზე. ცხადია, იმ პერიოდისთვის პროფესორებისთვის ქართულ ენაზე ლაპარაკის აკრძალვა „საუკეთესო“ მაგალითი იქნებოდა დანარჩენი მოქალაქეებისთვის, დაფიქრებულიყვნენ თავიანთ ენობრივ არჩევანსა და კომპეტენციაზე. კონსერვატორიებისა და გერმანული ტექნიკუმის საკითხების განხილვის ოქმებით დასტურდება, რომ ჩეკას მხრიდან ზენოლისა და დაშინების მიუხედავად, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები (ივ. ჯავახიშვილი, დ. არაყიშვილი, ან. რაზმაძე და სხვები...) მაინც ბედავდნენ ქართული ენის უფლებების მტკიცედ დაცვას.

თავი მესამე.

საბჭოთა კონსტიტუციები და ადგილობრივი რეგულაციები ენათა სტატუსისა და ფუნქციონირების შესახებ

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების საქართველოდან განდევნისა და ქვეყნის სამხედრო ძალებით ოკუპაცია-ანექსიის დასრულებისთანავე შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (საქართველოს სსრ). რომლის დასახელებაში სიტყვა „საბჭოთა“ გულისხმობდა იმას, თითქოს სახელმწიფო იმართებოდა მუშების, გლეხებისა და წითელარმიელების ინტერესების დამცველი დეპუტატებისაგან, რომლებიც ხდებოდნენ საბჭოების წევრები, ანუ ვითომდა ქვეყანა იმართებოდა დემოკრატიულად, მოსახლეობის ძირითადი ფენების წარმომადგენელთა მიერ. სიტყვა „სოციალისტური“ კი იმაზე მიაჩნებოდა, თითქოს მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობა ისპობოდა და ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლება-მოვალეობები ენიჭებოდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გახდა საქართველოს საბჭოების ყრილობა, ყრილობიდან ყრილობამდე კი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი). საქართველოს უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო).

იმავე 1921 წლის გაზაფხულზე სრულიად უკანონოდ შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც თავდაპირველი გეგმით ისეთივე უფლებები უნდა ჰქონოდა, როგორც მიენიჭა საქართველოს სსრ-ს, მაგრამ ბოლოს გადაწყდა აფხაზეთის სსრ-ს შესვლა შეზღუდული უფლებებით საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში. 1921 წლის მარტში საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულებით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა

სოციალისტური რესპუბლიკა (აჭარის ასსრ), ხოლო ართვინისა და არტაანის ოლქები მიისაკუთრა ოსმალეთმა. 1922 წელს შეიქმნა მესამე ავტონომიური წარმონაქმნიც - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (სამხრეთ ოსეთის აო). ამ ავტონომიების შექმნამ სერიოზული საფუძველი გაუჩინა აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს და წარმოქმნა რეალური საფრთხე მომავალში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისათვის.

თავიდან საქართველოს სსრ ფორმალურად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობა-სუვერენიტეტს, თუმცა 1922 წლის 12 მარტს მოსახლეობის დაუკითხავად შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (ასფსრ), რომლის შემადგენლობაში შეიყვანეს საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ. იმავე 1922 წლის 30 დეკემბერს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა გაერთიანდა ახლად შექმნილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში (საბჭოთა კავშირში, ანუ სსრკ-ში), რომელიც აერთიანებდა აგრეთვე რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკას, უკრაინის სსრ-სა და ბელორუსიის სსრ-ს. ამ გარდაქმნების გამო 1936 წლამდე საქართველოს სსრ-ს მოქალაქე ერთსა და იმავე დროს იყო ასფსრ-სა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეც.

1926 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ანუ ძირითადი კანონი“. კონსტიტუციის მუხლებით რეგულირდებოდა საქართველოში მცხოვრები ძირითადი მოსახლეობისა და სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ეთნიკური და ენობრივი უფლებებიც. საამისოდ კანონმდებლებს უნდა განესაზღვრათ სახელმწიფო ენის/ენების სტატუსი და ენათა ფუნქციონირების საკითხები საქმისწარმოებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამართალწარმოებაში.

„ლენინის, სტალინისა და მათი მიმდევრების დროს მიღებული კონსტიტუციების პრინციპული შეფასება მდგომარეობს იმაში, რომ მათგან არც ერთი არ იყო ქართველი ხალხის ნების გამოხატვისა და მისი რომელიმე დამფუძნე-

ბელი ორგანოს სამართალშემოქმედების შედეგი. საბჭოთა საქართველოში კონსტიტუციის მიღება ავტომატურად მოჰყვებოდა „ცენტრში“, სსრ კავშირში (რსფსრ-ში) კონსტიტუციის მიღებას. დამოუკიდებლად საბჭოთა საქართველოს შესაბამისი ორგანოები მხოლოდ ტოპონიმებისა და ოფიციალური სახელწოდებების შეცვლის („საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ – „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკით“, „მოსკოვის“ – „თბილისით“, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს“ – „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოთი“ და ა. შ.) და რუსულიდან ქართულ და აფხაზურ ენებზე სსრ კავშირის კონსტიტუციის ოფიციალური ტექსტის თარგმანის საკითხებს წყვეტდნენ“ [<http://constcentre.gov.ge>].

წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ საკვლევი პერიოდში დამტკიცებული საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს კონსტიტუციების ენობრივ ასპექტებს, რომლებზეც მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული იმდროინდელი ხელისუფლების პოლიტიკური მიზნები და ამბიციები.

საბჭოთა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული ქვეყნის პოლიტიკური სტატუსის განმარტებაში იქნა დეკლარირებული. კერძოდ, პირველივე მუხლში აღინიშნა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის შემდეგ, „რევოლუციონერი მუშები, მშრომელი გლეხები და წითელ არმიელები ამყარებდნენ პროლეტარულ სუვერენიტეტსა და დიქტატურას“ [საქართველოს... 1922:3].

1922 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლი ეხებოდა სახელმწიფო ენის საკითხს. აქ ეწერა:

„საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა.

შენიშვნა. ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალ განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულს, ისე საერთო სახელმწიფო დანესებულებაში.

მუხლი 7. თანახმად რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა შეუწყნარებელია ეროვნულ უმცირესობათა შევიწროება, ანუ მათი სწორფლებიანობის შეზღუდვა დანარჩენ მოქალაქეებთან შედარებით“ [საქართველოს... 1922:5].

როგორც ვხედავთ, ზემოთდსასახელეული მუხლებით უნდა დაცულიყო ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნული ჯგუფების ეთნიკური და ენობრივი ინტერესები. თუმცა, კონსტიტუციაში არ დაფიქსირებულა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ზრუნვის შესახებ. არცერთ მუხლში არ გამოკვეთილა ქართველთა ეთნიკური და კულტურული იდენტობის განვითარების ხელშეწყობის ვალდებულება. ამასთანავე, გაურკვეველი იყო, კონკრეტულად ვინ მოიაზრებოდნენ ეროვნულ უმცირესობებში და რომელი ეროვნების წარმომადგენლებს ექნებოდათ სახელმწიფო დანესებულებებში მშობლიური ენის გამოყენების უფლება, ვინაიდან ტექნიკურად რთული შესასრულებელი იქნებოდა ადმინისტრაციულ ორგანოებში მოქალაქეებისთვის სხვადასხვა ენაზე მომსახურების მიღების უზრუნველყოფა. მაგალითად, იმ დროს თბილისში სპარსელების მცირე ჯგუფიც (ძირითადად ვაჭრები) ცხოვრობდა, მაგრამ კონსტიტუცია არ აზუსტებდა, ექნებოდა თუ არა ამ დიასპორას უფლება და საშუალება, დაეცვა საკუთარი დედაენა და გამოეყენებინა იგი მონოეთნიკური გარემოს გარეთ... ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, არ წესდებოდა იმ დიასპორების ნუსხა, ვისი ენებსაც ეხებოდა ეს უფლებები, არ დგინდებოდა დიასპორების წევრთა რაოდენობის მინიმუმი და კონკრეტული უფლებები დედაენების ოფიციალურად ფუნქციონირებისათვის.

კონსტიტუციის 1926 წლის რედაქციაში მე-6 მუხლის შენიშვნა ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და კულტურული განვითარების შესაძლებლობას ითვალისწინებდა, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც იყო დეკლარირებული.

კონსტიტუციის მე-9 და მე-10 მუხლები განსაზღვრავდნენ ენობრივ საკითხებს:

„მუხლი 9. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა აღიარებს მოქალაქეთა თანასწორობის უფლებას, მათი რასისა და ეროვნების დამოუკიდებლად, და ამიტომ მას რესპუბლიკის ძირითადი კანონების სრულიად შეუფერებლად მიაჩნია რაიმე (პირდაპირი ანუ არაპირდაპირი) უპირატესობის დაწესება და, მით უმეტეს, ეროვნულ უმცირესობათა რაიმე ჩაგვრა ან მათი თანასწორობის შეზღუდვა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათ მინიჭებული აქვთ თავისუფალი განვითარებისა და მშობლიური ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულსა, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში;

მუხლი 10. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ [საქართველოს... 1926:7].

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სხვადასხვა რასაზე ყურადღების გამახვილება და კონსტიტუციაში ამის ხაზგასმა პირდაპირი კალკირება იყო საბჭოთა კავშირისა და რსფსრ-ს კონსტიტუციების შესაბამისი მუხლებისა, ვინაიდან საბჭოთა კავშირის უკიდურეს ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში რეალურად მართლაც ცხოვრობდნენ ევროპეოიდული და მონღოლოიდური რასების წარმომადგენლები.

ისტორიკოსი ჯ. გამახარია წერს: „აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ (1925 წ. 26 მარტი - 1 აპრილი) 1925 წლის 1 აპრილს ყოველგვარი განხილვის გარეშე დაამტკიცა კონსტიტუცია, რომელიც ფაქტობრივად იმეორებდა საქართველოს 1922 წლის კონსტიტუციას. ამ მიზეზის გამო ეს ეწინააღმდეგებოდა საქართველოს, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციებს, საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას. სოხუმში მიღებული კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთი ცხადდებოდა სუვერენულ რესპუბლიკად; მასში აღნიშნული იყო ამიერკავკასიის ფედერაციიდან და სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება; სახელმწიფო ენად

რუსული დგინდებოდა“ [გამახარია, 2007:316]. ეს გადამეტება მოსკოვმა უმაღლვე შენიშნა და რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით აფხაზეთის საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის პროექტის რამდენიმე მუხლი შეცვალა, რის შედეგადაც საბოლოოდ აფხაზეთის ხელშეკრულებითი სსრ-ს სახელმწიფო ენებად აფხაზური, ქართული და რუსული გამოცხადდა [გამახარია, 2007:316-317].

აფხაზეთის სსრ-ს 1926 წლის კონსტიტუციის ზოგად დებულებაში განმარტებული იყო, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა იყო მუშებისა და მშრომელი გლეხობის სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედიოდა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით ასფსრ-ში. აღნიშნული კონსტიტუცია ზუსტად იმეორებდა საქართველოს სსრ-ს 1926 წლის კონსტიტუციის იმ მუხლებს, რომლებშიც ასახული იყო პოლიტიკური სისტემის, მოქალაქეობისა და მოქალაქეთა თანასწორობის უფლებები. მხოლოდ მე-8 მუხლსა და მის ორ შენიშვნაში იყო ასახული განსხვავებული ენობრივი ვითარება. კერძოდ:

„აფხაზეთის სსრ-ს დანესებულებათათვის სახელმწიფო ენა არის: აფხაზური, ქართული და რუსული“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელი იყო თავ-თავიანთი ოფიციალური ენები ჰქონოდათ მაზრებს, უბნებსა და სოფლებსაც კი, რაც მოგვიანებით რეალიზებულ იქნა კიდევ:

„ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულის ენა (მაზრების, უბნების, სოფლების) ირკვევა აფხაზეთის სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ“. სინამდვილეში, კონსტიტუციაში დასახელებული სამი სახელმწიფო ენიდან ამ ფუნქციას აფხაზეთში ასრულებდა რუსული ენა. ამას ადასტურებს 1926 წლის მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემებიც, რომლითაც ირკვევა, რომ აფხაზეთის ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში,

ძირითადად, იცოდნენ და იყენებდნენ რუსულ ენას, ხოლო სოფლებში - ქართულს. აფხაზურ ენაზე მისი ენობრივი რესურსის (აფხაზურ ენაზე არ არსებობდა სახელმწიფოს მართვის, იურისპრუდენციის, საკანცელარიო ტერმინოლოგია. ასევე არ არსებობდნენ ამ ენის კარგად მცოდნე სპეციალისტები) გათვალისწინებით, გაძნელებოდა საქმისწარმოების განხორციელება [ჭაავა, 2016:378] ამასთანავე, დიდ სირთულეს შექმნიდა აფხაზეთში სამი სახელმწიფო ენის (აფხაზური, ქართული და რუსული) გარდა, მაზრებში, უბნებსა და სოფლებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ენების (სომხურის, ბერძნულის, გერმანულის, ესტონურის, თურქულის...) სრულფასოვნად გამოყენება. სწორედ ამიტომ წარმოიქმნებოდა საქმისწარმოების რუსულ ენაზე წარმართვის საჭიროება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელოვნური ენობრივი გარემო რუსული ენისა და რუსულ-საბჭოური პოლიტიკის სასარგებლოდ იქნა შემუშავებული, რაც, საბოლოოდ, მოკავშირე რესპუბლიკებში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების რუსიფიკაციას და სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ერთმანეთისადმი გაუცხოებას ისახავდა მიზნად.

საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიები „მრავალეროვანი და მრავალენოვანი რესპუბლიკების“ მოსახლეობას კანონით ავალდებულებდნენ ინტერნაციონალური სულისკვეთებით განმსჭვალულიყვნენ ერთმანეთის მიმართ, რათა დაეცვათ „საყოველთაო მშვიდობა“. საამისოდ შემუშავებული შეუზღუდავი ენობრივი უფლებები მხოლოდ ფორმალობა იყო „ერთა თვითგამორკვევისათვის“, „სხვა ხალხთა უფლებებისათვის“ და მონური მშვიდობისათვის, ვინაიდან კონსტიტუციაში დეკლარირებული სახელმწიფო ენის/ენების უგულებელყოფა და „ენობრივი თავისუფლება“ მხოლოდ რუსული ენის ფუნქციონალურ გაფართოებას და მისი სტატუსის გამყარებას ისახავდა მიზნად.

საბჭოთა ლიდერები რუსულენოვანი და რუსული თვითშეგნების მქონე ადამიანებით, ასევე სხვადასხვა ეროვნების ეთნიკური, ენობრივი და კულტურული უფლებების დისკრიმინაციით უფრო ადვილად შეძლებდნენ თავიანთი

გეოპოლიტიკური გეგმების განხორციელებას და თავიანთი იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციებით განსაზღვრული ენობრივი რეგულაციები არ იყო დაფუძნებული იმ პერიოდის რეალობაზე და ენობრივი უფლებები მხოლოდ საბჭოური პოლიტიკური მიზნებისთვის იყო შემუშავებული.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის დროშისა და გერბის ფორმა და მათზე სხვადასხვა ენაზე შესრულებული წარწერები, რომლებიდანაც ჩანს იმ პერიოდის ენობრივი ვითარებაც, კერძოდ:

1922 წლის დროშაზე: ქართულ ენაზე - ს.ს.ს.რ. (=„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“); გერბზე: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე);

1927 წლის დროშაზე: ქართულ ენაზე - ს.ს.ს.რ.; გერბზე: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე);

აფხაზეთის სსრ-ს დროშაზე უნდა დაწერილიყო: ქართულ ენაზე - ა.ს.ს.რ. (=აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა); გერბზე - აფხაზურად, ქართულად და რუსულად: აფხ. ს.ს.რ. და პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

აფხაზეთის გერბზე სამენოვან წარწერას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, კერძოდ, ქართული გამოყენებულ იქნა, როგორც სახელმწიფო ენა, რუსული როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ენა და ფრანგული - საფრანგეთის რევოლუციის პატივსაცემადაც და იმის გამოც, რომ იგი იმ დროს საერთაშორისო ენად მიიჩნეოდა.

დედაენისა და წერა-კითხვის ცოდნის სტატისტიკური მაჩვენებლები **(1926 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით)**. 1926 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები ქართულ და რუსულ ენებზეა შედგენილი. აღნიშნულ მონაცემების | განყოფილებაში წარმოდგენილია მოსახლეობის სტატისტიკა ეროვნების, დედაენის და წერა-კითხვის ცოდნის

მიხედვით. კონკრეტულად, VI ცხრილში მოცემულია ამა თუ იმ მაზრის მოსახლეობის ეთნიკური და ენობრივი განაწილება შემდეგი კრიტერიუმებით:

„დედაენად სთვლის თავისი ეროვნების ენას;

დედაენად სთვლის არა თავისი ეროვნების ენას“
(მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, ა.კ.ს.ფ.ს.რ სტატ. ცენტრ. სამმართველოს გამოცემა. ტფილისი, 1929).

აღნიშნულ ორ მთავარ კატეგორიაში დასახელებულია ქართული, რუსული და დანარჩენი ენები. ასევე მითითებულია წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა, მათ შორის, თავისი ეროვნების ენაზე.

საქართველოს მოსახლეობის დედაენის დადგენისას ორი ენის: ქართულისა და რუსულის გამოყოფით, სტატისტიკის დამგეგმავებმა ერთგვარი მინიშნება გააკეთეს, რომ რუსულიც შესაძლოა ყოფილიყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისთვის მშობლიური ენა და გარდა ამისა, ქართულთან ერთად მისი გამოყოფით რუსული ენის არაფორმალური სტატუსის გაძლიერებასაც უწყობდნენ ხელს. რუსულის, როგორც საქართველოს არასახელმწიფო ენის, ცალკე შეტანა იმითაც უნდა ყოფილიყო გამართლებული, რომ რეჟიმს აინტერესებდა ამ ენის ცოდნის მასობრიობის ხარისხი დაპყრობილ ქვეყანაში, რათა შესაბამისად დაეგეგმათ გარუსების ენობრივი პოლიტიკა.

აღწერის მასალებში სულ 16 მაზრის მონაცემებია ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ძირითადი ეროვნებების მიხედვით (ამ მონაცემებში არ შედის აფხაზეთის სსრ-ს, აჭარის ასსრ-ს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის მაჩვენებლები). უმცირესი რაოდენობის ეთნიკური ჯგუფები გაერთიანებულია „დანარჩენი ეროვნების“ კატეგორიაში. ცალკე გამოყოფილია აგრეთვე დაბა-ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლები. სტატისტიკური კრებულის კონკრეტულ ამ ქვეთავში „მოსახლეობა ეროვნების, დედაენის და წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით მაზრობლივ“

დასახელებულია შემდეგი ეროვნებები: ქართველი, სომეხი, ბერძენი, თურქი, რუსი, გერმანელი, ოსი, უკრაინელი, პოლონელი, ქურთი, ოსმალთა, ქართველი ებრაელი, ქისტი და ლეკი.

მაზრა	სულ	თავის	არა თავის. ქართ	არა თავის. რუს	დანარჩ	ნერ	კაცი	ქალი	თავის
თბილისი	158973	126109	11830	456	20360	42476	21615	15982	35621
ახალქა	78921	37492	27	1349	2998	14030	11577	2453	13421
ახაკიხე	96945	84744	193	189	11798	13211	9201	4010	12312
ბორჩალო	85441	76342	2383	93	4538	11025	7325	3700	5466
გემო სვან	11179	11156	-		7	2144	1488	656	2122
გორი	206724	181661	23895	256	754	68769	37425	31344	58109
დუშეთი	63239	60252	2898	37	23	12960	7793	5167	11215
ზუგდიდი	129854	125653	32	10	4115	39203	26918	12285	39020
ქუთაისი	297003	295647	785	309	76	128065	76177	51888	126930
ლეჩხუმი	47587	47444	142	1	-	14455	8951	5494	14325
ოზურგე	113454	113164	216	28	32	62370	34638	27732	62209
ფლთი	14269	13175	132	125	825	8979	5093	3886	8653
რაჭა	65570	65336	228	4	-	31275	13856	17419	31054
თელავი	105244	94173	8214	93	2713	39442	21573	17869	34478
შორაპანი	191832	190535	1158	43	19	74947	46075	28872	74215
სენაკი	126372	111021	37	13	15280	52438	30948	21490	51732
სიღნაღი	158102	148080	9169	224	342	57618	33001	24617	52129

[მოსახლეობის... 1929:187-191].

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით საქართველოს სსრ-ს ტერიტორიაზე (ავტონომიებისა და ქ. თბილისის გარეშე) სულ აღრიცხულია: 1 950 715 ადამიანი. მათ შორის თავის ეროვნების ენას დედაენად აღიარებს დაახლოებით 90 % (1 781 984), ხოლო 10% (168 731) - არა თავის ეროვნების ენას. დედაენად ქართულს მიიჩნევს არაქართველთა 3% - 61 339 კაცი, დანარჩენ ენებს ასევე 3% - 63 880 და რუსულს - 0,1% - 3 230 სხვადასხვა ეროვნების ადამიანი.

წერა-კითხვის მცოდნეა მთელი მოსახლეობის 34%, სულ: 668 518 კაცი (393 654 - მამაკაცი; 274 864 - ქალი; 118 790-

ით მეტმა კაცმა იცის წერა-კითხვა, ვიდრე ქალმა); მათმა უმრავლესობამ, თითქმის 90%-მა წერა-კითხვა იცის თავის მშობლიურ ენაზე - 633 011, ხოლო 35 507 ადამიანმა - არა თავისი ეროვნების ენაზე. დედაენა არ ან ვერ დაასახელა ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანმა. ყველაზე მეტი ადამიანი აღრიცხულია: ქუთაისის, გორის, შორაპნის, თბილისის, სიღნაღის, სენაკის, ოზურგეთისა და თელავის მაზრებში, შესაბამისად, აღნიშნულ მაზრებში ყველაზე მეტი ადამიანი აღიარებს დედაენად თავისი ეროვნების ენას. არაქართველთა შორის ქართულს დედაენად ყველაზე მეტი ადამიანი ასახელებს გორის, თბილისის, სიღნაღისა და თელავის მაზრებში. სავარაუდოდ, ეს ადამიანები არიან ეთნიკურად ქართველები, რომლებსაც გრიგორიანული სარწმუნოების გამო სომხებად მიიჩნევდნენ. ყველაზე მეტმა ადამიანმა (1349) რუსული დედაენად დაასახელა ახალქალაქში, ესენი, ჩვენი ვარაუდით, სექტანტი რუსები (დუხობორები) იყვნენ. ზოგადად, ყველა მაზრაში დაბალია რუსული ენის დედაენად დასახელების მაჩვენებელი და მისი რაოდენობა 4-დან 1349-მდე მერყეობს. „დანარჩენ ენებს“ მშობლიურ ენად ყველაზე მეტად ასახელებენ თბილისის, სენაკისა და ახალციხის მაზრებში. სენაკში 15280 კაცმა დედაენად დაასახელა მეგრული, რის გამო მათი აღრიცხვა მოხდა დანარჩენი ენების კატეგორიაში.

მოსახლეობა ეროვნების, დედა-ენის და წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით, ცხრილი VI

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

სულ	რაოდ	თავის ენა	ქართ	რუს	წერა-კით	დაბა	სოფლ
ქართ(მეგრ.ლაზ)	23538	23473	-	10	4759	1920	21618
ოსი	60351	59876	422	14	7060	1152	59199
სომეხი	1374	126	1231	7	839	827	547
რუსი	157	145	11	-	121	114	43
ქართვე. ებრ.	1739	1739	-	-	415	1739	-

[მოსახლეობის... 1929:28-29].

ნარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სულ აღრიცხულია 87 375 ადამიანი. მათ შორის ყველაზე მეტნი 69% (60 351) არიან ოსები, რომელთა თითქმის 98% ცხოვრობს სოფლებში (59 199), ხოლო 2% (1152) - დაბა-ქალაქებში. ოსების 98% მშობლიურად ასახელებს ოსურ ენას, მათგან 422 კაცმა ქართული აღიარა დედაენად, ხოლო 14 კაცმა - რუსული.

მოსახლეობის 27 %-ს (23 538) შეადგენენ ქართველები, რომელთა უმეტესობაც, ოსების მსგავსად, ცხოვრობს სოფლებში (21618), ხოლო ქალაქში ბინადრობს სულ - 1920 ქართველი. დაახლოებით ამ რაოდენობის ქართველი ებრაელი ცხოვრობს ასევე დაბა-ქალაქებში (1739). 60 351 ოსიდან წერა-კითხვის მცოდნეა მხოლოდ 7060 კაცი - 12 %, ხოლო 23 538 ქართველიდან - 4759 – 20%, რაც ორივე შემთხვევაში, ძალიან დაბალი მაჩვენებელია. 1374 სომხიდან დედაენად თავისი ეროვნების ენას აღიარებს მხოლოდ 126 კაცი, ხოლო მათი დიდი უმრავლესობა (1231) - ქართულს (ეს ადამიანები ეროვნებით ქართველები და რელიგიით - გრეგორიანები უნდა ყოფილიყვნენ - ს.ჭ.). აღნიშნული მონაცემებით, რუსები ძალიან ცოტანი არიან (157) და მათი ძირითადი ნაწილი ცხოვრობს დაბა-ქალაქებში.

**მოსახლეობა ეროვნების, დედა-ენის და
წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით, ცხრილი VI
აჭარის ა.ს.ს.რ.**

სულ 128 673	ნაოდ.	თავის ეროვნ ენაზე	ქართ.	რუს.	წერა- კითხვის მცოდნე
ქართ. აჭარ.მეგრ. ლაზ. სვან	90314	89038	-	142	19027
აფხაზი	779	583	135	6	172
სომეხი	10476	10145	140	165	10145
რუსი	10190	10091	77	-	7920
ბერძენი	5547	6470	33	37	2541
ქურთი	3295	2770	3	-	-
თურქი	51	46	5	-	3

[მოსახლეობის... 1929:25-26].

როგორც ვხედავთ, აჭარის ასსრ-ს მცხოვრებთა საერთო რაოდენობაა 128 673 ადამიანი, რომელთა 70%-ს (90 314) შეადგენენ ქართველები. მათი 98% დედაენად თავის მშობლიურ ენას ასახელებს, მხოლოდ 142 კაცმა მიიჩნია რუსული მშობლიურ ენად. ქართველთა შორის წერა-კითხვის მცოდნეა 21% (19 027). ქართველების შემდეგ ყველაზე მეტნი არიან სომხები და რუსები. აჭარის ასსრ-ში 1926 წლისთვის სულ აღრიცხულია 779 აფხაზი, მათგან 583 დედაენად თვლის აფხაზურს, ხოლო 135 - ქართულს, მათგან წერა-კითხვის მცოდნეა 172 კაცი.

ამრიგად, 1926 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის არასრული მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დიდი უმრავლესობა დედაენად აღიარებს თავისი ეროვნების ენას. ცარიზმის რუსიფიკატორული ენობრივი პოლიტიკის მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, ქართველების 99% დედაენად მიიჩნევს თავის მშობლიურ ქართულ ენას და ამით, ერთგვარად, ეთნიკური იდენტობის მარკირებასაც ახდენს. XIX საუკუნეში საგანმანათლებლო სისტემასა და სახელმწიფო სტრუქტურებში რუსული ენის აქტიურად გამოყენებამ, როგორც ჩანს, დიდი გავლენა ვერ მოახდინა ქართველთა ენობრივ კომპეტენციასა და ენობრივ თვითკუთვნილებაზე. ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის ნომერ პირველი ენა ქართულია. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით მცირეა იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც სხვისი ეროვნების ენას თვლის თავის დედაენად და ამ შემთხვევაში ქართულის მაჩვენებელი უფრო მეტია, ვიდრე რუსულისა. ზოგადად მთელი ქვეყნის მასშტაბით ჯერ კიდევ ცოტაა წერ-კითხვის მცოდნეთა რიცხვი, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა წერს და კითხულობს თავის მშობლიურ ენაზე. სტატისტიკურ კრებულში აღნიშნული ენობრივი დეფინიცია გარკვეული მინიშნებაა იმ პერიოდის სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისთვის, რომ თავისი ეროვნების გარდა, დედაენა შეიძლება ყოფილიყო ქართული ან რუსული. ამ ყვესტით ეს ორი ენა ერთმანეთს გაუთანაბრეს,

ხოლო სხვა ენები „დანარჩენი ენების“ კატეგორიაში განათავსეს, რომელთა რიცხვში ითვლებოდა აგრეთვე მეგრული, სვანური და ლაზური.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული და ენობრივი განაწილება 1922-1926 წლების აღწერების მიხედვით. საქართველოში არსებული ეროვნული და ენობრივი სიტუაცია ხშირ შემთხვევაში სხვა სახელწოდებების პოლიტიკური გეგმების მიხედვით იცვლებოდა ან ვითარდებოდა. XIX-XX საუკუნეებში ცარიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფარული თუ აშკარა პროექტები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ეროვნული თვითმყოფადობის შეცვლას და მათ რუსიფიკაციას ისახავდა მიზნად. ორივე იმპერიულ სისტემას დაახლოებით ერთნაირი სამოქმედო გეგმა ჰქონდა ეთნიკური ჯგუფების ასიმილაციისთვის. სამიზნე ქვეყნებში არსებული დემოგრაფიული ვითარების შესაცვლელად ისინი ხშირად მიმართავდნენ მოსახლეობის დეპორტაციებს და ქმნიდნენ ახალ კომპაქტურ დასახლებებს, რომლებშიც ახალი ენობრივი გარემო ყალიბდებოდა. მათი ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი იყო ასევე განათლებისა და კულტურის კერები, სადაც უფრო ადვილად ფორმირდებოდნენ სასურველი ეროვნული თვითშეგნებისა და ენობრივი კომპეტენციის მქონე მოქალაქეები. მცირე ერების „თვითგამორკვევის“ ნახალისება „ჩაგრული ერების“ კულტურული აღორძინება, მათთვის დამწერლობის, სალიტერატურო ენისა და სხვა საგანმანათლებლო ორგანოების შექმნა, სინამდვილეში, მხოლოდ რუსიფიკაციას და ერთა შორის დაპირისპირების გაღვივებას ემსახურებოდა. საბჭოთა პერიოდში ჩამოთვლილი ღონისძიებები შესაბამისი კანონებითა და დადგენილებებით იყო გამყარებული, რითაც იქმნებოდა ახალი სივრცე რუსული თვითშეგნების მქონე და რუსული ენის მცოდნე „საბჭოთა ადამიანების“ აღსაზრდელად. ამ მხრივ გამონაკლისს არ ქმნიდნენ საქართველოს ის მხარეები, რომლებშიც მე-19 საუკუნეში რადიკალურად შეცვალეს ეთნიკური და ენობრივი ვითარება და ხელოვნურად შეიქმნა პოლეთნიკური და

მულტილინგვური გარემო (აფხაზეთი, სამცხე-ჯავახეთი, ჰერეთ-საინგილო, ქვემო ქართლი, ნაწილობრივ აჭარა). ქვემოთ საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ აფხაზეთის სსრ-ში არსებული ენობრივი ვითარების ანალიზს. ამ მხარის შერჩევა იმითაა განპირობებული, რომ აქ ყველაზე მძიმე და რთული ენობრივი ვითარება იყო საანალიზო პერიოდში, რამაც მხარის შემდგომ ბედზეც იმოქმედა.

1924 წელს მიღებული დეკრეტით, საქართველოს სსრ-ში სახელმწიფო ენის, ანუ ქართულის გარდა, პრიორიტეტი მიენიჭა ეროვნულ უმცირესობათა ენებს: რუსულს, სომხურს და თათრულს (აზერბაიჯანულს) [გამახარია, 1997:19-22]. 1925 წელს აფხაზეთის საბჭოების ყრილობის მიერ, უკანონოდ მიღებულ კონსტიტუციაში აფხაზეთის სსრ-ს სახელმწიფო ენად ჩაინერა მხოლოდ რუსული [გამახარია, 2007:315-316]. 1926 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციაში კი ქართული ენისა და ეროვნულ უმცირესობათა ენების სტატუსი უცვლელი დარჩა, ხოლო აფხაზეთში სახელმწიფო ენებად აღიარეს: აფხაზური, ქართული და რუსული [აფხაზეთის... 1926:6].

მაშასადამე, 1921 წლიდან 1926 წლამდე მიღებულ კონსტიტუციებსა და საკანონმდებლო აქტებში საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული, ხოლო უმცირესობების პრიორიტეტული ენები გახდა სომხური და თათრული (აზერბაიჯანული), აფხაზეთში კი ერთდროულად 3 ენას მიენიჭა სახელმწიფო ენების სტატუსი: აფხაზურს, ქართულსა და რუსულს. საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს ეროვნული და კულტურული განვითარებისთვის თავისუფლად შეეძლოთ გამოეყენებინათ თავიანთი მშობლიური ენები, თუმცა მათ არავინ ავალდებულებდა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესწავლას. ამასთანავე, რუსული ენა სახელმწიფო ენის ფუნქციას ასრულებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო ეროვნული უმცირესობის ენის ფუნქციას - მთელ საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ ზემოთდასახელებული ენობრივი საკანონმდებლო გადაწყვეტი-

ლებები სტატისტიკური მონაცემების მეშვეობითაც გაემყარებინათ. საამისოდ ისინი ატარებდნენ მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს. ამ პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო მოსახლეობის ეროვნული და ენობრივი კუთვნილების აღწერა. ხშირ შემთხვევაში, სასურველი სურათის მისაღებად სტატისტიკოსები ფაქტებს აყალბებდნენ, ხოლო მიღებული მონაცემების გათვალისწინებით შემდეგ პოლიტიკურ ღონისძიებებს გეგმავდნენ.

1922 წლის მოსახლეობის საქალაქო აღწერისა და 1923 წლის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო აღწერების მასალებში მოცემულია აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და მათი განაწილება სალაპარაკო ენის მიხედვით. აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებში დასახელებულია აფხაზეთში მცხოვრები შემდეგი ეროვნებები: ქართველი, აფხაზი, რუსი, სომეხი, ბერძენი, ოსი, ებრაელი და თურქი, სხვა ეთნიკური ჯგუფები კი გაერთიანებულია „დანარჩენი ეროვნების“ კატეგორიაში.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, აფხაზეთის სოფლებში სულ აღრიცხულია 145 619 ადამიანი, რომელთა თითქმის ნახევარს შეადგენდნენ ქართველები (44,8%), მოსახლეობის მეოთხედს კი - აფხაზები (24,5%). უფრო ნაკლები რაოდენობით და დაახლოებით თანაბარი მაჩვენებლებით არიან წარმოდგენილი სომხები (13,9%) და ბერძნები (12,9%), ხოლო რუსებისა (2,4%) და დანარჩენი ეროვნებების (1,5%) რაოდენობა ძალიან მცირეა [სტატისტიკური... 1926:18-21].

1922 წლის მოსახლეობის საქალაქო აღწერით, ქალაქ სოხუმის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 17 426 შეადგენდა. აღრიცხულ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე მეტნი ყოფილან ბერძნები - 28,6%, რუსები - 25,6%, ქართველები - 21,4%. ამ ეთნოსებთან შედარებით, მცირეა სომხებისა (10,8%) და აფხაზების წილი (2,4%) [სტატისტიკური... 1926:22-25].

როგორც ვხედავთ, 1922-23 წლების მოსახლეობის აღწერების მიხედვით, აფხაზეთში მცხოვრები ძირითადი

ეთნიკური ჯგუფებია: ქართველები, აფხაზები, ბერძნები და სომხები. განსხვავებულია მათი რაოდენობრივი განაწილება სოფლებისა და ქ. სოხუმის მიხედვით. აფხაზეთის სოფლებში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ქართველები და აფხაზები, ქ. სოხუმში კი მათი წილი შედარებით მცირეა. ბერძნები და სომხები ორივეგან თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი, ამასთანავე ბერძნები ქ. სოხუმში მოსახლეობის უმრავლესობას, დაახლოებით 30 %-ს შეადგენენ. ჩვენი ვარაუდით, ქალაქში მოსახლე ბერძენთა და სომეხთა უმრავლესობა კომერციითა და მომსახურების სფეროში დასაქმებული პირები და მათი ოჯახის წევრები უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ქალაქელი რუსები - უპირატესად მოხელეები, პედაგოგები, სამხედრო პირები და მათი ოჯახის წევრები.

1922-1923 წლებში საქართველოს სსრ-ში სულ აღრიცხულია 37 119 აფხაზი, რომლებიც, ძირითადად, აფხაზეთის სოფლებში არიან განაწილებული. ქ. სოხუმში სულ 426 აფხაზია დაფიქსირებული, აფხაზეთის ქალაქის ტიპის დასახლებებში - 1 067, ხოლო აფხაზეთის სოფლებში - 35 749.

1923 წლის სტატისტიკური მონაცემებით, სოფლებში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ჯგუფებიდან ქართულს სალაპარაკო ენად მიიჩნევს 334 აფხაზი, 40 სომეხი, 17 ბერძენი და 16 რუსი, ასევე სხვადასხვა ეთნოსის 80 წარმომადგენელი. აფხაზურ ენას მხოლოდ აფხაზები ფლობენ და მათი რიცხვი 35 747-ს შეადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სოფლებში მცხოვრებმა არცერთმა აფხაზმა რუსული სალაპარაკო ენად არ დაასახელა, ხოლო ქართული ენის მცოდნეთაგან ყველაზე მეტი აფხაზი აღმოჩნდა. რუსულ ენაზე ლაპარაკი შეეძლო 54 ქართველს, 10 ბერძენს, 3 სომეხს და დანარჩენი ეროვნების 70 კაცს. საერთო ჯამში, 487-მა არაქართველმა დაასახელა ქართული სალაპარაკო ენად, ხოლო 137 არარუსმა - რუსული [სტატისტიკური... 1926:26-30].

1923 წლისთვის აფხაზეთის სოფლებში უმეტესად გავრცელებული სალაპარაკო ენები ყოფილა ქართული (44,8%)

და აფხაზური (24,5%), რომლებზეც ძირითადად, ქართველები და აფხაზები ლაპარაკობდნენ, ასევე სომხური (13,8%) და ბერძნული (12,8%), რომლებსაც მხოლოდ სომხები და ბერძნები იყენებდნენ. რუსული ენა ძირითადად რუსებმა იცოდნენ და მათი წილი მხოლოდ 2,5%-ს შეადგენდა. ამკარაა, რომ აფხაზეთში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა სალაპარაკო ენად, უმეტესად, თავიანთი მშობლიური ენები დაასახელეს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათ მიერ სხვა ენების ცოდნას. იგივე შეიძლება ითქვას, იმ მცირე რაოდენობის ადამიანებზეც, რომლებმაც სალაპარაკოდ არამშობლიური ენები მიუთითეს, თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ მათ თავიანთი დედაენაც სცოდნოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, ერთ სივრცეში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს ერთმანეთთან კომუნიკაცია არ ჰქონოდათ. საინტერესოა, რომელი ენა ან ენები ასრულებდნენ შუამავალი ენის ფუნქციას ამ პერიოდში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზეთის სოფლებში უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები, შესაბამისად, ქართული იყო ამ რეგიონში უმეტესად გავრცელებული ენა. ქართველთა და აფხაზთა ისტორიული, კულტურული და ტრადიციული თანაცხოვრების შედეგად, აფხაზების დიდი ნაწილიც დაუფლებული იყო ქართულ ენას. აფხაზეთში მცხოვრები ქართველები (45%) და აფხაზები (25%) საერთო ჯამში შეადგენდნენ მოსახლეობის დაახლოებით 70%-ს, რომლებიც სალაპარაკოდ იყენებდნენ ქართულ და აფხაზურ ენებს, ხოლო დანარჩენი ეროვნებების 30% ფლობდა ან თავიანთ მშობლიურ ენას, ან რუსულს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის სოფლებში მცხოვრები ბილინგვა აფხაზების უმეტესობამ მეორე ენის სახით იცოდა ქართული, ხოლო სხვა ეროვნებების მცირე ნაწილმა - რუსული. ამ ფაქტებიდანაც ჩანს, რომ ბუნებრივ გარემოში, სანამ საბჭოთა ხელისუფლება ხელოვნურად ჩაერეოდა აფხაზეთის ეთნიკურ და ენობრივ ვითარებაში, აფხაზეთში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები და აფხაზები ქართული და აფხაზური

ენებით. რაც შეეხება ცარიზმის პერიოდში განხორციელებულ პროექტებს, რომელთა მიზანიც ასევე იყო აფხაზეთის ეთნიკური და ენობრივი ვითარების შეცვლა, მათი შედეგები უფრო მეტად აისახა დაბა-ქალაქებში არსებულ მდგომარეობაზე, ვინაიდან ძირითადად იქ ფუნქციონირებდა განათლებისა და კულტურის კერები, რომლებსაც შეეძლოთ ზეგავლენის მოხდენა ადამიანთა ენობრივ და ეთნიკურ ცნობიერებაზე.

1922 წლისთვის ქალაქ სოხუმში მცხოვრები ქართველები, ძირითადად, ქართულ ენას ფლობდნენ, მხოლოდ 323 ქართველი რესპონდენტი ასახელებს რუსულს სალაპარაკო ენად. სხვა ეთნოსებიდან ქართული იცის 204 არაქართველმა, მათ შორის, 129 ებრაელმა და 45-მა აფხაზმა. სხვადასხვა ნაციონალური ჯგუფის 919 ადამიანიდან ქართულად მეტყველება შეეძლო მხოლოდ 6 კაცს, ხოლო რუსულად - 400-ს. 426 აფხაზიდან უმრავლესობამ, 288-მ სალაპარაკოდ იცის აფხაზური, 69-მ - რუსული და 45-მა - ქართული. მაშასადამე, ქ. სოხუმში მცხოვრები 17 426 ადამიანიდან - 35% სალაპარაკო ენად ასახელებს რუსულს, 27% - ბერძნულს, ხოლო 20% - ქართულს [სტატისტიკური... 1926:32-37].

ქ. სოხუმში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფიდან ყველაზე მეტნი იყვნენ ბერძნები და მხოლოდ ისინი ფლობდნენ ბერძნულ ენას, შესაბამისად, ბერძნული ენა ვერ შეასრულებდა საკომუნიკაციო ენის ფუნქციას სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას სომხურ და აფხაზურ ენებზეც, რომლებიც ქ. სოხუმში მხოლოდ სომხებმა და აფხაზებმა იცოდნენ. ბერძნულის მსგავსად, არც ეს ენები გამოიყენებოდა საურთიერთობო ენებად სხვა ეთნოსებს შორის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქ. სოხუმში რუსები რაოდენობრივად მეორე ადგილზე იყვნენ და მოსახლეობის დაახლოებით 25%-ს ქმნიდნენ. მათ გარდა, სხვა ეთნოსის ორენოვანი ადამიანებიც მეორე სალაპარაკო ენად იყენებდნენ რუსულს. ცხადია, ქ. სოხუმში ქართული ენის გავრცელება რუსულზე ნაკლები იყო, მაგრამ ის მაინც ასრულებდა საკომუნიკაციო ენის ფუნქციას, ვინაიდან მასაც მეორე სალაპარაკო ენად ასახელებდნენ.

ამ ვითარებისგან განსხვავებით, სოფლებში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნების უმეტესობამ მშობლიური ენის მერე, მეორე ენად დაასახელა ქართული. მაშასადამე, ქ. სოხუმში ბილინგვური მოსახლეობის მეორე ენად ანუ საკომუნიკაციო, შუამავალ ენად გამოიყენებოდა რუსული და ქართული.

1923 წლის აღწერის მიხედვით, აფხაზეთის სოფლებში წერ-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ძალიან დაბალი იყო ყველა ეროვნების წარმომადგენელს შორის. 124 704 ადამიანიდან წერა-კითხვა შეეძლო მთელი მოსახლეობის მხოლოდ 16%-ს. წერა-კითხვის მცოდნეთაგან ყველაზე მეტნი იყვნენ ქართველები, თითქმის ერთნაირი რაოდენობით - ბერძნები და სომხები, ასევე დახლოებით თანაბარი მაჩვენებლებით აფხაზები და რუსები განათლების დაბალ დონეს განაპირობებდა ის, რომ იმ პერიოდის სოფლებში არ ფუნქციონირებდა სკოლები, ხოლო ქალაქში სწავლა მოსახლეობის უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. აფხაზეთის სოფლებისგან განსხვავებით, ქალაქ სოხუმში მცხოვრებთა 68%-მა იცოდა წერა-კითხვა [სტატისტიკური... 1926:58-65].

1926 წლის აღწერის სტატისტიკურ კრებულს დართული აქვს ინსტრუქცია კითხვარების შესავსებად და დასამუშავებლად, რომლებიც შედგენილია სსრკ ცაკის მიერ შემუშავებული დადგენილებებით. ამ დანართის მიხედვით, მთავარ ეროვნებათა სახით საქართველოს მასალის დამუშავების დროს გამოყოფილია ქართველი (აჭარელის, მეგრელის, ლაზის და სვანის ჩათვლით), სომეხი, თათარი (ТЮРКИ) და რუსი. ყველა დანარჩენი ეროვნებანი მოქცეულია ერთ ჯგუფში სახელწოდებით „დანარჩენი ეროვნებანი“. გარდა ამისა, დამატებით გამოყოფილია აფხაზეთის ასსრ-ში აფხაზი, აჭარისტანის ასსრ-ში - აჭარელი (?! - ს.ჭ.) და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში - ოსი [1926 წლის... 1929:197].

აჭარლების, როგორც სხვა, დამოუკიდებელი ეთნოსის გამოყოფა ალოგიკურია მრავალი მიზეზის გამო. გარდა ამისა, თავიანთ ქვემოთმოყვანილ განმარტებებში აჭარელი მოხსენიებულია მეგრელების, ლაზებისა და სვანების

გვერდით „ეროვნებით ქართველის“ კატეგორიაში. ე.ი. პირველ დებულებაში აჭარელი ცალკე ეთნიკური ჯგუფია, მეორეში კი იგივე ქართველია.

სსრკ ცაკის დადგენილებით, აღნიშნული ეროვნებანი პუბლიკაციის დროს უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ ჯგუფად ქართველების სახელწოდებით და ამ საერთო ჯგუფიდან უნდა გამოყოფილიყო „მათ შორის აჭარელი, მეგრელი, ლაზი და სვანი„; ენებიც უნდა გაერთიანებულიყო ერთ ჯგუფად „ქართველური ენების“ სახელწოდებით; აქაც საერთო რიცხვიდან უნდა გამოყოფილიყო „მათ შორის საკუთრივ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური„. „რადგან ქართული ენა წარმოადგენს საერთო ნაციონალურ ენას ყველა ქართველი ტომისთვის, „თავისი ეროვნების ენას“ სვეტში მოთავსებული იქმნენ ყველა ქართველები (მათ შორის აჭარლები, მეგრელები, ლაზები, სვანები), რომელთაც დედანად ნაჩვენები ჰქონდათ როგორც თავის ეროვნების ენა, ისე ქართული ენაც [1926 წლის... 1929:199].

როგორც ვხედავთ, ეროვნებათა და ენათა თავდაპირველ ინსტრუქციაში დამოუკიდებელ ერებად აღნუსხეს ქართველები, მეგრელები, ლაზები და სვანები, ასევე ცალკე-ცალკე ენებად დააფიქსირეს ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური. შემდეგ სსრკ ცაკის მიერ მიღებული დადგენილებებით, ეს „ეროვნებები და ენები“ გააერთიანეს „ქართველის და ქართველურის“ სახელწოდებებით, თუმცა ამავე განმარტებაში მეგრული, ლაზური და სვანური ამ „ეროვნებების ენებად“ მოიხსენიეს.

1926 წლისთვის აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების უმრავლესობა დედა ენად თავისი ეროვნების ენას მიიჩნევდა. მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანები აღიარებდნენ მშობლიურად სხვა ენას, მაგ., რუსულს უფრო მეტი არარუსი აღიარებდა მშობლიურად, ვიდრე ქართულს - არაქართველი [1926 წლის... 1929:21-25].

აღნიშნულ სტატისტიკურ კრებულში ქართველთა 26% და აფხაზთა 16% დანარჩენ ენებს მიიჩნევდა მშობლიურად.

სხვადასხვა ცხრილის შედარებისას აღმოჩნდა, რომ არ შესრულებულა ინსტრუქციაში მითითებული დავალებები, რომელთა მიხედვითაც, ქართველურ ენებში უნდა გაერთიანებულიყო მეგრულის, ლაზურის და სვანურის მონაცემები. ქართული ენის გრაფაში მხოლოდ საკუთრივ ქართულის მაჩვენებლებია შეტანილი, ხოლო მეგრულის, ლაზურისა და სვანურის მაჩვენებლები „დანარჩენი ენების“ კატეგორიაშია ჩაწერილი. სწორედ, ამიტომაც, სავარაუდოდ, ქართველთა 26%-ის და აფხაზების 16%-ის (სულ 42%) მიერ დედა ენად „დანარჩენ ენებში“ აღნიშნული რაოდენობა მეგრულის, ლაზურისა და სვანურის მაჩვენებლებს გულისხმობს. ჩვენი ვარაუდით, სტატისტიკური მონაცემები გაყალბებულია იმისათვის, რომ ქართული ენის მცოდნეთა რიცხვი ნაკლები რაოდენობით წარმოჩენილიყო.

1926 წლის მოსახლეობის აღწერით, აფხაზეთში ცხოვრობდა 186 004 ადამიანი. მოსახლეობის უმრავლესობა - 83% დედაენად თვლიდა თავისი ეროვნების ენას. მათ შორის, ქართულ ენას დედაენად მიიჩნევდა 67 არაქართველი, ხოლო რუსულს - 5 168 არარუსი. ეს იმას ნიშნავდა, რომ წინა აღწერიდან გასულ მცირე დროში მხარეში ჩამოსახლდა რუსულენოვანთა საგრძნობი რაოდენობა.

დასახელებულ პერიოდში აფხაზეთში სულ წერა-კითხვის მცოდნე იყო მთელი მოსახლეობის 28%. მათ უმრავლესობას (80%) წერა-კითხვა შეეძლო თავის მშობლიურ ენაზე. დაბა-ქალაქებში (68%) უფრო მეტად იყვნენ წერა-კითხვის მცოდნეები, ვიდრე სოფლებში (21%) და მათ უმრავლესობას კაცები შეადგენდნენ [1926 წლის... 1929:21-25].

ამრიგად, 1922, 1923 და 1926 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აფხაზეთის სოფლებსა და დაბა-ქალაქებში ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელთა უმეტესობამ მშობლიურად თავისი ეროვნების ენა დაასახელა, რითაც მათ ხაზი გაუსვეს თავიანთ ეთნიკურ თვითკუთვნილებას. ამავე მონაცემებით, აფხაზეთის სოფლებში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები და

აფხაზები, რომლებმაც მშობლიურად ან სალაპარაკო ენად დაასახელეს ქართული და აფხაზური ენები. განსხვავებული ვითარება იყო ამ მხრივ დაბა-ქალაქებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ბერძნები, სომხები, ქართველები და რუსები, რომლებმაც რუსულ და ქართულ ენებს მიანიჭეს უპირატესობა, ვინაიდან დაბა-ქალაქებში რუსული და ქართული იყო კომუნიკაციის, განათლებისა და კულტურის ენები. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ მძლავრად არ იყო გატარებული რეჟიმის სასურველი ენობრივი პოლიტიკა, მოსახლეობა ლაპარაკობდა თავის მშობლიურ ენაზე - ქართულად ან აფხაზურად. დაბა-ქალაქებში კი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ძირითადი საკომუნიკაციო, პრესტიჟული რუსული ენა თანდათან იკიდებდა ფეხს და დაასუსტებდა ქართული ენის ფუნქციონირებას და სტატუსს.

თავი მეოთხე.

ენობრივი პოლიტიკა ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემაში

4.1. ენობრივი პოლიტიკა ფორმალური განათლების სისტემაში. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოში უკანონო საბჭოური სისტემის დამყარების შემდეგ ახალი რეჟიმი ძირეულ ცვლილებებს ახორციელებდა ყველა მიმართულებით. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო საგანმანათლებლო სფეროში დაწყებული რეორგანიზაცია, რის შედეგადაც სასწავლო, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები იმ მთავარ პლატფორმად უნდა ქცეულიყვნენ, სადაც აღიზრდებოდნენ საბჭოური თვითშეგნებისა და უპირატესად რუსული ენობრივი კომპეტენციის მქონე ადამიანები. საგანგებოდ შექმნილი ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმცემი სასწავლო ორგანიზაციები სწორედ ამ გეგმის შესრულებას ისახავდნენ მიზნად. საბჭოთა ფუნქციონერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, რომ მათ მიერ შექმნილი ახალი სისტემა ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე 1918-1920 წლებისა. 1922 წელს გამოქვეყნდა განათლების სახალხო კომისრის დავით კანდელაკის მიერ შედგენილი მოხსენება, რომელშიც ასახულია 1921 წლამდე დამოუკიდებელ საქართველოში და საბჭოთა რეჟიმის დროს არსებული სასწავლო დაწესებულებების განაწილება ეროვნული და ენობრივი ნიშნის მიხედვით. საქართველოში არსებული ფორმალური განათლების მიმცემი სასწავლებლები 1921 წელს ასე ნაწილდებოდა: უმაღლესი სასწავლებელი – 4, ვაჟთა გიმნაზია - 51, ქალთა გიმნაზია - 30, რეალური სასწავლებელი - 7, სამასწავლებლო ინსტიტუტი და სემინარია - 12, სპეციალური სასწავლებელი – 42, სულ - 136 (42.276 მოსწავლე, 2.986 მასწავლებელი). დახურულა ადრე არსებული 17 კერძო სასწავლებელი, ხოლო საშუალო სასწავლებლების საფუძველზე შექმნილა 30 ტექნიკუმი. 1921 წლისთვის 136 სასწავლებლიდან 102 იყო ქართული, ხოლო 34 სხვადასხვა ეროვნული ნიშნის მატარებელი.

საბჭოთა პერიოდის დასაწყისში და შემდეგაც ცალ-ცალკე არსებობდა შრომის სკოლები და ტექნიკუმები, რომლებსაც ჰქონდათ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. კერძოდ, შრომის სკოლა იყო ჩვეულებრივი სასკოლო დანესებულება, სადაც სწავლების მეორე საფეხურზე ასწავლიდნენ ზოგი ხელობის ელემენტებს, ტექნიკუმში სწავლა შეეძლო სკოლის კურსდამთავრებულს და ასწავლიდნენ კონკრეტულ ხელობას.

დ. კანდელაკის ანგარიშში მითითებული იყო, რომ მთელ საქართველოში ქართული, როგორც სახელმწიფო ენა სავალდებულო იყო ყველა ტექნიკუმისთვის, რაც იმას ნიშნავდა, რომ არაქართულენოვან ტექნიკუმებშიც ქართული ისწავლებოდა, როგორც სავალდებულო საგანი. სწავლების ენის მიხედვით, ამ ტიპის სასწავლებლები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ყველაზე მეტი იყო რუსულენოვანი და მათი რაოდენობა 10-ს შეადგენდა. თანაბარი იყო ქართულისა (4) და სომხურის (4) რიცხვი, ხოლო ქართულ-რუსული - 9. საერთო ჯამში, 1921 წელს იყო 19 რუსული, 13 ქართული, 4 სომხური, 1 გერმანული და 1 ფრანგული ლიცეუმი [განათლების... 1922:29]. თბილისში არსებობდა 10 ქართული, 6 რუსული, 7 სომხური და 1 გერმანული ტექნიკუმი [განათლების... 1922:122]. სულ 1921 წლისთვის საქართველოში გახსნილა 25 რუსული, 23 ქართული და 11 სომხური ტექნიკუმი. ცხადია, ამდენი რუსული სასწავლებლის გახსნა წინაპირობა იყო იმისა, რომ მოსწავლეთა მშობლებს თავიანთი შვილებისთვის წინა საფეხურის სკოლებიც რუსული აერჩიათ, რათა ადვილად გაეგრძელებინათ სწავლა იმავე ენაზე.

თბილისში მოქმედი 80 შრომის სკოლიდან ყველაზე მეტი იყო რუსული (30), შემდეგ სომხური (27) და ქართული (10). დანარჩენების რაოდენობა კი 5-ს არ აღემატებოდა. თითქმის თანაბარი რაოდენობის მოსწავლეები სწავლობდნენ სომხურ (7.681) და რუსულ (7.141) შრომის სკოლებში, ხოლო ყველაზე ნაკლები მოსწავლე სწავლობდა ბერძნულ სკოლაში (42) [განათლების... 1922:122]. მაზრებში სულ

274 შრომის სკოლა არსებობდა, მათ შორის ახალქალაქში - 35, ბორჯომში - 6, ქუთაისში - 5, თბილისის რაიონსა და ბორჩალოში - 46, კახეთში - 13, გორში - 5, ფოთში, მუხრანში, სურამში, ცხინვალში, ჭიათურაში, ახალციხესა და ანყურში - თითო, ხოლო ცხინვალის მხარეში - 60. ამრიგად, 1921 წელს ყველაზე მეტი შრომის სკოლა გახსნილა შიდა ქართლში (60), ქვემო ქართლსა (46) და სამცხე-ჯავახეთში (35), სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ოსები, სომხები და თათრები. უცნაურია ის ფაქტი, რომ საქართველოს ზოგიერთ ნაწილში არც ერთი შრომის სკოლა არ დაუარსებიათ, ხოლო დასახლებულ ადგილებში მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია. სავარაუდოდ, საბჭოთა ხელისუფლება ამ მხარეებში შრომის სკოლებს მოსახლეობაზე ზემოქმედების ინსტრუმენტად იყენებდა: ერთი მხრივ, არაქართული მოსახლეობისათვის ახალი სასწავლებლების მასობრივად დაარსება ამ მოსახლეობაზე ზრუნვად აღიქმებოდა, ხოლო მეორე მხრივ, სწავლების ენად ამ ტიპის სკოლების უმრავლესობაში რუსულის გამოყენება რუსიფიკაციისათვის სერიოზულ საფუძველს ქმნიდა.

1921 წელს არაქართულენოვან სკოლებს შორის ყველაზე მეტი იყო სომხური სკოლა (88), შემდეგ - რუსული (48), ხოლო თითქმის თანაბარი რაოდენობით - თათრული (30) და ოსური (21) [კიკნაძე... 1962:14-15]. ცხადად ჩანს, რომ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების დროს წილობრივად მეტი იყო ქართული სასწავლებლები, რითაც მაშინდელი ხელისუფლება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების გაფართოებას უწყობდა ხელს, ხოლო საბჭოთა პერიოდის დასაწყისშივე ქართული, სომხური და რუსული სასწავლებლების რაოდენობა თითქმის გაუთანაბრდა ერთმანეთს, ზოგ შემთხვევაში კი რუსული უფრო მეტი იყო, ვიდრე ქართული.

1921 წელს განათლების სახახალხო კომისარიატის აკადემიურ ცენტრთან არსებულმა სარეორგანიზაციო კომისიამ მთლიანი შრომის სკოლის დებულება შეიმუშავა,

რომელშიც განისაზღვრა სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანა. უფასო, საყოველთაო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა თავისთავად დადებითი მოვლენა იყო. რაც შეეხება „სწავლების მშობლიურ ენაზე გადაყვანას“, შესაძლოა ეს მოთხოვნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური დიასპორებისთვის თავიანთ ეროვნულ ენაზე სწავლების შემოღების შესაძლებლობას გულისხმობდა, ვინაიდან დამოუკიდებელ საქართველოში სწავლება ისედაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლები განსაკუთრებით იმ რაიონებში მრავლდებოდა, სადაც ისინი ადრე სრულებით არ იყო, ან საბჭოთა ხელისუფლებამდე ძალიან ცოტა იყო (მთიანი და უმცირესობებით დასახლებული რაიონები). „ჩვენ არ ვუშვებთ დავხუროთ ისეთი სკოლებიც კი, რომლებშიაც მოსწავლეთა რაოდენობა ნორმაზე ნაკლებია. აზერბაიჯანელებსა და სომხების სკოლებში ბავშვთა რიცხვი ხშირად 8-14-ს არ აღემატება, მაგრამ ჩვენ ასეთ სკოლებს ვტოვებთ და ვღებულობთ ყოველგვარ ზომებს მათ შესავსებად და გასაძლიერებლად“ [კიკნაძე... 1962:14] – აცხადებდნენ განსახკომის მუშაკები.

1921 წელს საქართველოს სსრ განსახკომის აკადემიურ ცენტრთან შედგა სპეციალური კომისია საბჭოთა სკოლის პროგრამებისა და სასწავლო გეგმების დასამუშავებლად. „ახალ გეგმებში გაძლიერდა ბუნებისმეტყველების, ხელსაქმისა და რუსული ენის სწავლება. მაგ., სათანადო ტიპის რევოლუციამდელი სკოლის სასწავლო გეგმებში 120 კვირეული საათიდან ენებს დათმობილი ჰქონდა 45 საათი ანუ მთელი კვირეული საათების 37,5 %, საბჭოთა სკოლის ეს პირველი სასწავლო გეგმა კი საათების 30%-ს უთმობდა. მენშევიკების დროინდელ დაწყებით სკოლაში რუსულს არ ასწავლიდნენ, საბჭოთა დაწყებითი სკოლის მე-4 კლასის სასწავლო გეგმით მას კვირეულად 4 საათი დაეთმო,“-ო, ნიშნის მოგებით წერდნენ საბჭოთა სისტემის აპოლოგეტები [კიკნაძე... 1962:23]. თუმცა ამკარაა, რომ მათ მიერ დასახელებული ფაქტი რუსიფიკაციისკენ მიბრუნებას ნიშნავს.

„სსრ-ს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, რეკომენდაცია გამოსცა დანერგვითი მითითებანი ყველა სახელმწიფო დანერგვებულებაში საქმის წარმოებისა და ყოველგვარი მიმონერის ქართულ ენაზე შემოღების შესახებ. კონსტიტუციის ამ მუხლის საფუძველზე განსახკომმა გამოსცა აგრეთვე შემდეგი დირექტივები:

ყოველგვარი სასწავლო-აღმზრდელობითი დანერგვებები, როგორც არის საბავშვო ბალები, შრომის სკოლები და სხვა სასწავლებლები, მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე, ე.ი. იმ ენაზე, რომელიც არის ამ ბავშვის სალაპარაკო ენა ოჯახში.

არამშობლიური ენის სწავლება შემოღებულ უნდა იქნეს სწავლების მე-4 წლიდან. ქართული და რუსული ენები, როგორც საგნები უნდა ისწავლებოდეს აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობათა ყველა სკოლაში სწავლების მე-4 წლიდან“ [კიკნაძე, 1959:42]. ამ ტექსტის ავტორს დაავინყდა, ან განგებ არ გაახსენდა, რომ როგორც ქართულ, ისე არაქართულენოვან სკოლებში რუსული სავალდებულო საგნად გამოცხადდა მე-4 კლასიდან. მამასადამე, რუსული ენა ხელოვნურად გაუტოლდა ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას.

როგორც ჩანს, მოსწავლეებში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა ზემოთაღნიშნულ ენობრივ რეფორმებს. მაგ., „შოვინისტური განწყობილების გამო, ზოგიერთი მოსწავლე უარს აცხადებდა რუსული ენის გაკვეთილებზე დასწრებაზე. ხაშურის სკოლის მოსწავლეები - წერდა პედაგოგი კაპანაძე, - არ ესწრებოდნენ რუსული ენის გაკვეთილებს, მოტივად მოჰყავდათ ის, რომ კომუნისტები მათ ძალით ახვევდნენ თავს რუსულ ენას, რადგან სურთ მათი გარუსებაო. გამოირკვა, რომ აზრს მათში ავრცელებდნენ „ახალგაზრდა მარქსისტები“ [კიკნაძე, 1959:115]. ამის საპირისპირო ფაქტები დაფიქსირდა რამდენიმე რუსულ სკოლაში. მაგ., „თბილისის მე-6 რუსული სკოლის მოსწავლემ განაცხადა: თქვენ ტყუილ-უბრალოდ გვანვალბებთ თქვენი ქართული ენით, ჩვენ ის არ მოგვწონს, არც არაფერში დაგვჭირდება, ამიტომ ჩვენ მას არ ვსწავლობთ!“ [კიკნაძე, 1959:115].

საანალიზო პერიოდში შემუშავდა ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი პროგრამა საბჭოთა სკოლისთვის: „ქართული ლიტერატურის, როგორც სასწავლო დისციპლინის სწავლება 1921 წელს იქნა შემოღებული საშუალო სკოლის უფროს კლასებში, ტექნიკუმის I, II, III და IV კლასებში (ოთხივე კლასში კვირაში 12 საათის რაოდენობით). ქართულ ლიტერატურასთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებდა რუსული და საზღვარგარეთული ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ნიმუშების შესწავლას“ [კიკნაძე... 1962:198-199].

განათლების სახალხო კომისრის 1921 წლის ანგარიშში ცალკეა გამოყოფილი საქართველოში მცხოვრები დიასპორების განათლების მდგომარეობა. დ. კანდელაკის მონაცემებით, განსახკომმა 1921 წელს შექმნა „ეროვნებათა უმცირესობის საბჭო“ (ეუსი), რომელსაც ხელმძღვანელობდა განათლების სახალხო კომისარი. საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: სომხები, რუსები, თათრები, ებრაელები, ბერძნები, გერმანელები და ასირიელები, სულ 11 კაცი. განსახკომმა თავის მმართველობაში გადაიყვანა მანამდე არსებული კერძო და საზოგადო საგანმანათლებლო დაწესებულებები და ყველას ახალი ხელმძღვანელები დაუნიშნა [განათლების... 1922:120]. ეუს-ის დავალებით განყოფილებამ შეიმუშავა: სასკოლო პროგრამები ენებისა და ისტორიისა - რუსულ და სომხურ ენებზე. სასწავლო წიგნები - ასურულ ენაზე - 1 (დედა ენა), სომხურზე - 3 (დედა ენა და ბუნება); ჟურნალი: სომხურ ენაზე - 1; სარევიოლუციო სიმღერების კრებული: თათრულ ენაზე - 1, სომხურ ენაზე - 1, სულ: 7 [განათლების... 1922:121]. ამ გამოცემებიდან უკიდურესად იდეოლოგიზებული იყო სარევიოლუციო სიმღერების კრებული, რომლის მიზანი იყო კომუნისტური დოგმების გავრცელება ახალ თაობაში მუსიკის გამოყენებით, მუსიკა კი პიროვნებაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღია.

დ. კანდელაკი აღნიშნავდა: „ყოფილ ეთნოგრაფიულ საზოგადოების მიერ შემოწირულ წიგნებისაგან შესდგა 35

პატარა ბიბლიოთეკა სომხურ ენაზე; 1. მთლ. შრომის სკოლა რუსულ ენაზე სწავლებით; 1. საც. საჩვ. საბავშვო სახლი სომხის ბავშვებისთვის; 1. საც. საჩვ. საბავშვო ბაღი რუსი ბავშვებისთვის. არსდება 1 სკოლა იეზიდებისთვის რუსულ ენაზე სწავლებით და კლუბი კომუნა მუსლიმანებისთვის. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ კავშირი მაზრებთან ვერ არი სასურველად მოწყობილი. მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან მაჰმადიანური, ბერძნული და ოსური სკოლები პედაგოგიურ ძალთა უქონლობით. მაშინ, როცა სასულიერო პირნი განდევნილ არიან ქართულ და რუსულ სკოლებიდან, მაჰმადიანთა და ებრაელთა სკოლებში მათ კიდევ ვხედავთ“ [განათლების... 1922:124]. ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მხარს უჭერდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასა და კულტურული საზოგადო დანესებულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, თუმცა იეზიდებისათვის რუსული სკოლის შექმნა რუსიფიკაციის აშკარა გამოვლინება იყო.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წელს განათლების სახალხო კომისარიატში განხორციელდა შემდეგი ენობრივი რეფორმები:

1. ენობრივი კანონმდებლობით განისაზღვრა საქმისწარმოებისა და განათლების ენა;

2. გაიზარდა რუსულენოვანი სკოლების რაოდენობა;

3. გაძლიერდა რუსული ენის სტატუსი და ფუნქციები სასწავლებლებში. ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებში რუსული სავალდებულო ენად გამოცხადდა და ირიბად ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსს გაუთანაბრდა;

4. შედგა ენათა სწავლების ახალი სასწავლო პროგრამები და გეგმები;

5. იმ რაიონებში, სადაც არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა, მასობრივად შეიქმნა ახალი არაქართულენოვანი სკოლები და კულტურული ორგანიზაციები;

6. ჩამოყალიბდა ეროვნულ უმცირესობათა საბჭო (ეუს-ი) და დაიწყო მისი მხარდაჭერით არაქართულ ენებზე სასწავლო წიგნებისა და ჟურნალების გამოცემა.

ცხადია, რომ დასახლებული რეფორმების აშკარა და ღია მიზანი იყო რუსული ენის სტატუსისა და ფუნქციის უფრო მეტად გაძლიერება ქართული ენის შესუსტების ხარჯზე. არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის მათ მშობლიურ ენებზე სწავლების გაფართოება და არაქართულ სკოლებში ქართული ენის უფლებების შეზღუდვა მიზნად ისახავდა ენობრივი კონფლიქტის წარმოქმნას ქართულ და არაქართულ მოსახლეობას შორის. ამ გზით არაქართველ მოსახლეობას ესპობოდა შესაძლებლობა, მეტად ინტეგრირებულიყო ქვეყნის ძირითად, სატიტულო მოსახლეობასთან და აიძულებდა მათ, ქართველებთან კონტაქტი დაემყარებინათ მესამე ენაზე, რაც კიდევ უფრო გააღრმავებდა გაუცხოებას.

ენის სწავლების სპეციფიკა, ანბანის ზეპირი და გრაფიკული სისტემის ახლებურად გადაცემა, მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება და სხვა მეთოდური რეკომენდაციებია განხილული განსახკომის აკადემიური ცენტრის შესაბამისი სექციის მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელშიც ჩამოყალიბებულია წერა-კითხვის სწავლების ეტაპები და ახალი მიდგომები, ხოლო მეორეში - აზრის გადმოცემისა და გრამატიკის სწავლების ახალი პედაგოგიკური მოთხოვნები: პირველ დოკუმენტში ჩამოთვლილია ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაეცვათ პედაგოგებს წერა-კითხვის სწავლების პროცესში [სცა, ფ. 300, ან. 1, N 26:3]. რაკი წინამდებარე ნაშრომის მიზანი სცილდება ამ კონკრეტული საკითხების კვლევას, ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა სკოლა ენის სწავლების ასეთ ეტაპებს ამკვიდრებდა საქართველოში: 1. ენის ზეპირი სწავლება; 2. ანბანის გრაფიკული შესწავლა; 3. ასოების შესწავლა წიგნის გარეშე, ამოჭრილი დიდი ფერადი ასოებით; 4. სწავლება წიგნის გამოყენებით.

საქართველოს განსახკომის საარქივო მასალებში დაცულია სტატისტიკური ცნობები საქართველოში 1919-1922 წლებში არსებულ სხვადასხვა ტიპის სასწავლებელთა, მოსწავლეთა და პედაგოგთა შესახებ. მათში ჩანს, რომ ამ პერიოდში სასწავლებელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა იზრდებოდა მთელ საქართველოში. დროის მცირე მონაკვეთის მიუხედავად, განსახკომმა საქართველოს თითქმის ყველა მხარეში მრავალი მიმართულებით განახორციელა რეორგანიზაცია. 1919-1920 წლებიდან 1922 წლამდე სასწავლებელთა რიცხვი 55 ერთეულით გაიზარდა, მასწავლებლებისა - 1.657 კაცით, ხოლო მოსწავლეთა - 23.266 ბავშვით. 1919-1920 სასწავლო წელს საქართველოში სულ 1.704 სასწავლებელია აღრიცხული, მოსწავლეთა რაოდენობა - 159.423 ბავშვია, ხოლო მასწავლებელი - 5.809. ყველაზე მეტია დაწყებითი სკოლები - მათი საერთო რაოდენობა ქალაქებსა და მაზრებში 1.612-ს შეადგენდა, მეორე ადგილზე იყო ქალ-ვაჟთა გიმნაზიები - 65, ხოლო მესამეზე - სატეხნიკო-საპროფესიო სასწავლებლები - 10. ამ პერიოდში უკვე გაუქმებულია 1914 წელს არსებული ზოგი ტიპის სასწავლებლები, მაგალითად, პროგიმნაზიები, წმ. მარიამის ქალთა სასწავლებლები, გაერთიანებული, ერთი მხრივ, დაწყებითი და, მეორე მხრივ, სამოქალაქო და უმაღლესი დაწყებითი სკოლები, მათ ბაზაზე კი ჩამოყალიბებულია ახალი დაწყებითი სკოლები. გაჩნდა ახალი სასწავლო დაწესებულებები: კომერციული, სატეხნიკო-საპროფესიო, უნივერსიტეტი.

საბჭოთა რეჟიმმა თავიდანვე გააჩაღა სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა ადრე არსებული სასწავლო სისტემის წინააღმდეგ. შინაარსობრივად, სტრუქტურულად და ფუნქციურად შეცვლილი, გადაკეთებული და ახლადშექმნილი სასწავლო დაწესებულებები აღნიშნულ პერიოდში ასე გადანაწილდა: „...ტეხნიკუმები - 72, შრომის სკოლები - 1.556, პროფესიონალური სკოლები - 18, საბავშვო ბაღები და სახლები - 54, პედაგოგიური კურსები - 1, მუსიკალური სტუდიები და სასწავლებლები - 12, საფერშლო სკოლები - 2,

უნივერსიტეტი - 2, კონსერვატორიები - 2“ [სეა, ფ. 300, ან. 8, N 115].

1920-1921 წლებში სულ საქართველოში არსებულა 281 არაქართული დაწყებითი და უმაღლესი დაწყებითი სკოლა. მათ შორის ყველაზე მეტი იყო სომხური (67) და ბერძნული (66) სკოლები, შემდეგ მოდიოდა რუსული (58), ოსური (48), თათრული (31), გერმანული (3), ესტონური (3), აისორული (2), ებრაელთა (2) და პოლონური (1). ყველაზე მეტი არაქართული სკოლა იყო ქალაქ თბილისში - 47, ხოლო თბილისის მაზრაში - 24, სულ - 71 სკოლა. ცალკეულ ქალაქებსა და მაზრებს შორის არსებული დაწყებითი სკოლებიდან ყველაზე მეტი ოსური სკოლა ყოფილა გორის მაზრაში, ყველაზე მეტი ბერძნული სკოლა კი - ბორჩალოსა (31) და გუმისთის მაზრებში (22). ყველაზე მეტი რუსული სკოლა ფუნქციონირებდა ქალაქ თბილისში (20), თბილისის მაზრაში (14), გუმისთის მაზრაში (8), სიღნაღისა (7) და გუდაუთის მაზრებში (5). ყველაზე მეტი სომხური სკოლა მოქმედებდა თბილისში (19), გუმისთაში (15) და გუდაუთში (5), ხოლო ყველაზე მეტი თათრული სკოლა არსებულა (16) ბორჩალოს მაზრაში [სეა, ფ. 300, ან. 8, N 154]. შეიძლება ვთქვათ, რომ საბჭოთა რეჟიმი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე საგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნას. ქართველი ბოლშევიკები ბრმად იმეორებდნენ საბჭოთა რუსეთსა და მის მიერ 1917-1920 წლებში ხელახლა დაპყრობილ სხვა ქვეყნებში საქართველოზე ადრე დაწყებულ აქციებს, რომლებსაც სამი უმთავრესი მიზანი ჰქონდა: 1. ცარიზმის მემკვიდრეობის მოსპობა; 2. ყველა გასაბჭოებულ ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა მიმხრობა; 3. ეროვნულ უმცირესობათა გადაქცევა ეთნიკურ უმრავლესობათა საწინააღმდეგო დასაყრდენად. ამ დასკვნის სისწორეს ადასტურებს ის, რომ, როგორც ნაშრომის სხვა ნაწილებში ვაჩვენებთ, 1921-1922 წლების საქართველოში მოქმედ სომხურ, ბერძნულ, ოსურ სასწავლებელთა დიდ ნაწილში არც მოსწავლეებმა და არც მასწავლებლებმა არ იცოდნენ სომხური, ბერძნული და

ოსური ენები, სწავლება კი რუსულად (უპირატესად), ან ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სომხებად მიჩნეულთა ერთი ნაწილი უკვე დიდი ხნის წინათ გაქართველებულ წინაპართა შთამომავალი იყო, მეორე ნაწილი კი ეთნიკურად ქართველები, მაგრამ კონფესიურად გრიგორიანები იყვნენ. ორივე ჯგუფი არ ფლობდა სომხურ ენას. საკუთარი ეროვნების ენა ჰქონდა დაკარგული და უკვე გაქართველებული იყო აგრეთვე ოსების ის ნაწილი, რომელიც მცირე ჯგუფებად ცხოვრობდა ქვემო ქართლში, თრიალეთსა და კახეთის ზოგ სოფელში. ქვემო ქართლში, თრიალეთსა და ჯავახეთში მცხოვრებ, მე-19 საუკუნეში ოსმალეთიდან გადმოსახლებულ, ბერძნებად სახელდებულ თურქულენოვან დიასპორაში, როგორც ირკვევა, რეალურად ენადაკარგული პონტოელი ლაზებიც იყვნენ, რომლებსაც ქრისტიანობის გამო უწოდეს პონტოელი ბერძნები (ბერძნ. Πόντιοι, Ελληνοπόντιοι; თურქ. Pontus Rumlari, Karadeniz Rumlari). აქ დასახლებული „სომხების“, „ბერძნებისა“ და „ოსების“ შვილებისათვის სომხურ, ოსურ და ბერძნულ ენებზე სასკოლო განათლების შემოღების მცდელობა სხვა არაფერი იყო, თუ არა საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა საერთო რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის მცდელობა.

რაც ზემოთ ითქვა, იგივე ითქმის მთლიანი შრომის სკოლების შესახებაც: I საფეხურის 1-კომპლექტიანი 96 სკოლიდან 40 იყო ქართული (35 შრომის სკოლა და 5 პროფესიული), 26 - ბერძნული, 12 - რუსული, 9 - სომხური, 5 - გერმანული, 3 - თათრული და 1 - ოსური.

ცალკე ახსნას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ იხსენიება საარქივო მასალებში აფხაზური სასწავლებლები. საქმე ისაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, 1921 წლის 31 მარტს ყოფილ სოხუმის ოლქს კომუნისტებმა მიანიჭეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (აფხაზეთის სსრ) სახელწოდება და ტერმინოლოგიურ დონეზე გაუთანაბრეს ეს ავტონომიური ერთეული საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას (საქართველოს სსრ-ს). ამის გამო აფხაზური ენა მიიჩნეოდა აფხაზეთის

სსრ-ს სატიტულო ერის ენად ისევე, როგორც ქართული იყო საქართველოს სსრ-ს სატიტულო ერის ენა. სწორედ ამიტომ არ შეჰქონდათ ეროვნულ უმცირესობათა ენების კატეგორიაში აფხაზური ენა, თუმცა რეალურად აფხაზეთის სსრ, როგორც „ხელშეკრულებითი რესპუბლიკა“ (ასეც უწოდებდნენ აფხაზეთის სსრ-ს 1921 წლის 16 დეკემბრიდან 1930 წლის 11 თებერვლამდე, როცა მხარეს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (აფხაზეთის ასსრ) ეწოდა და კვლავ საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში დარჩა) და არა ნამდვილი სსრ, ოფიციალურად შედიოდა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში.

შრომის სკოლების მასწავლებლებს შორის (სულ 157, მათგან მამაკაცი - 89, ქალი - 62) რაოდენობრივად ჭარბობდნენ ქართველი მასწავლებლები - 73, შემდეგ მოდიოდნენ რუსი (28), ბერძენი (27) და სომეხი (14) პედაგოგები [სცა, ფ. 300, ან. 1, 1921-1922, N 25].

საანალიზო პერიოდში დამტკიცდა „დებულება საბჭოთა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ტექნიკუმებისა“ [სეა, ფ. 300, ან. 4, , N 18]. მის საფუძველზე ქალაქებსა და მაზრების ცენტრებში დაუყოვნებლივ შეიქმნა ტექნიკუმების ფართო ქსელი, რომლებშიც მოსწავლეები ეუფლებოდნენ კონკრეტულ ხელობას. ამ ტექნიკუმების სტუდენტთა უმრავლესობა ქართველი იყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ტექნიკუმებში ნილობრივად მეორე ადგილზე სომხები იყვნენ. იშვიათად, სტუდენტთა ეთნიკური ჯგუფების წილი 80 პროცენტსაც აღემატებოდა [სეა, ფ. 300, ან. 8, 1921, N 1ა]. რაც შეეხება თბილისს, აქ ტექნიკუმები ეროვნულ-ენობრივი ნიშნით იყოფოდა, თუმცა ეს პრინციპი მკაცრად დაცული არ ყოფილა. ყველა მათგანში სხვადასხვა ეროვნების სტუდენტობა სწავლობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა ეთნიკურ-ენობრივ ნიშნებზე უფრო უპირატესობას სასწავლებლის პროფილსა და შესასწავლ ხელობას ანიჭებდა. თვალსაჩინოებისათვის გავეცნოთ სტატისტიკას:

ტფილისის ტექნიკუმები, ცნობები მონაფეთა შესახებ:

„საერთოდ მონაფეთა რიცხვი: ქართველი: 2 553 (50%), რუსი 885 (12%), სომეხი 1 532 (26%), ებრაელი 226 (6%), გერმანელი 69 (2%), სხვა 127 (4%). სულ 5 392.

ტექნიკუმების რიცხვი: სულ 30. ქართული - 15, რუსული - 4, სომხური - 7 და სხვა - 4.

ქართულ ტექნიკუმებში:

ქართველი: 2 408, ქალი - 1 015 (42%), ვაჟი - 1 393 (58%).

რუსი: 297, ქალი - 159 (56%), ვაჟი - 138 (44%).

სომეხი: 338, ქალი - 142 (41%) ვაჟი - 149 (59%).

სხვა ეროვნება: 89, ქალი - 41 (48%), ვაჟი - 48 (52%).

რუსულ ტექნიკუმებში:

ქართველი: 120, ქალი - 43 (32%), ვაჟი - 68.

რუსი: 362, ქალი - 250 (69%), ვაჟი - 112 (31%).

სომეხი: 149, ქალი - 53 (30%), ვაჟი - 96 (70%).

სხვა ეროვნება: 45, ქალი - 24 (52%), ვაჟი - 21 (48%).

სომხურ ტექნიკუმებში:

ქართველი: 36, ქალი - 28 (76%), ვაჟი - 8 (24%).

რუსი: 108, ქალი - 87 (79%), ვაჟი 13 (21%).

სომეხი: 993, ქალი - 447 (45%), ვაჟი - 546 (55%).

სხვა ეროვნება: 35, ქალი - 21 (67%), ვაჟი - 14 (33%).

სხვა ეროვნების ტექნიკუმებში:

ქართველი: 42, ქალი - 26 (58%), ვაჟი - 16 (42%).

რუსი: 115, ქალი - 90 (73%), ვაჟი - 25 (27%).

სომეხი: 217, ქალი - 62 (35%), ვაჟი - 155 (65%).

სხვა ეროვნება: 231, ქალი - 66 (30%), ვაჟი - 165 (70%)“ [სეა, ფ. 300, ან. 8, 1921, N 1ა].

ამრიგად, ქალაქ თბილისის 30 ტექნიკუმიდან ნახევარი იყო ქართულენოვანი, ხოლო დანარჩენი - სომხური, რუსული და სხვაენოვანი. სტუდენტების საერთო რაოდენობის ნახევარს შეადგენდნენ ქართველები, 25% იყვნენ სომეხები, რუსები - 12% და უფრო მცირე რაოდენობით - სხვა ეროვნებები. ქართულ ტექნიკუმებში თითქმის თანაბარი რაოდენობის სომეხი და რუსი სტუდენტებიც სწავლობდნენ

(სულ 3.085). რუსულ ტექნიკუმებში (სულ 676) რუსების გარდა, ასევე თითქმის თანაბარი რაოდენობით სწავლობდნენ ქართველი და სომეხი სტუდენტები; სომხურ ტექნიკუმებში (სულ 1.172) სომხების გარდა ყველაზე მეტი რუსი სწავლობდა და თანაბარი რაოდენობით იყვნენ ქართველი და სხვა ეროვნების ადამიანები. სხვა სასწავლებლებში (სულ: 605) სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა გარდა ყველაზე მეტი სომეხი იღებდა განათლებას. მთლიანობაში ყველაზე მეტი სტუდენტი ირიცხებოდა ქართულ ტექნიკუმებში. ქართულსა და სხვადასხვა ეროვნების ტექნიკუმებში ვაჭები უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე ქალები, ხოლო რუსულ და სომხურ ტექნიკუმებში - პირიქით, ქალების რაოდენობა სჭარბობდა კაცებისას.

1921 წელს საქართველოში სულ 101 ტექნიკუმი არსებობდა, რომლებშიც ირიცხებოდა 22.580 სტუდენტი, მათ შორის ქართველი - 15.737, სომეხი - 3.151, რუსი - 2.471, ებრაელი - 613, სხვა ეროვნება - 608.

ირკვევა, რომ 1921-1922 სასწავლო წლებში საქართველოში სხვადასხვა ტიპის ქართული და არაქართულენოვანი სასწავლებელი ფუნქციონირებდა, ზოგი უკვე არსებული და ზოგიც - ახლადშექმნილი, ან გადაკეთებული. მათში ქართველების გარდა ირიცხებოდნენ და მუშაობდნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. არაქართულენოვანი სასწავლებლების სიმრავლე ცხადყოფს, რომ ახალი ხელისუფლება ხელს უწყობდა ქვეყანაში ამ ეთნიკურ ჯგუფთა შენარჩუნებას, ან მათი რაოდენობის ზრდას, თუმცა ხშირად პროვოკაციული მათი განათლების ენების სწორად განსაზღვრა და ამ ენებზე სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვა. პრობლემას ქმნიდა ამა თუ იმ ენის მასწავლებელთა ნაკლებობა, საჭირო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის არარსებობა, ღარიბი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეუსაბამო სასწავლო შენობა-ნაგებობები.

წესით, ხელისუფლებას ამ მრავალფეროვან

სასწავლებლებში უნდა შეექმნა კარგი პირობები როგორც ქართველთათვის, ასევე არაქართველთათვის ქვეყნის სატიტულო ერის ენაზე, ანუ ქართულად განათლების მისაღებად. უნდა გაეთვალისწინებინა სახელმწიფო ენის უპირატესი როლი, რათა ამ ენის ფლობით მოეხდინა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია ქართულ რეალობასთან. თუმცა საპირისპირო რამ იკვეთება საარქივო მასალებში. დოკუმენტების მიხედვით, მრავალრიცხოვანი არაქართული სკოლების ფუნქციონირება მხოლოდ ფორმალობა იყო, ვინაიდან ასეთ სკოლებში სწავლება სინამდვილეში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. საარქივო მასალები ცხადად გვიჩვენებენ, რომ კომუნისტების მთავარი მიზანი იყო არა ქართველთა და სხვა ეთნიკურ ჯგუფთა დაახლოება ქვეყნის სატიტულო ერის ენაზე განათლების ორგანიზებით, არამედ სხვადასხვა ენებზე მოქმედი სასწავლო დაწესებულებების გამოყენებით საქართველოს მოსახლეობაში ეთნიკური სხვაობისა და დეზინტეგრაციული ნიშნების წინ წამოწევა, პროვოკაციული ენობრივი პოლიტიკის ნიადაგზე ქართველთა ნაწილის მიკუთვნება სხვა ეთნოსებისადმი და მცირერიცხოვან არაქართულ ჯგუფთა რიცხოვნობის გაზრდა.

ფორმალური განათლების ენა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აჭარასა და აფხაზეთში. საარქივო მასალებში ასახულია ენობრივი კანონმდებლობის, ენათა სწავლების, ეთნიკურ-ენობრივი იდენტობისა და კომპეტენციის საკითხები ავტონომიებში. ირკვევა, რომ განსაკომი მონდომებით ინიშნავდა მემკვიდრეობით მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებს და მაქსიმალურად ცდილობდა შელამაზებულად წარმოეჩინა ახალი პერიოდის შეცვლილი ან ახალი საქმეების „სიდიადე“. ამას ადასტურებს საგანგებოდ გაგზავნილი ინსტრუქტორებისა და განათლების მუშაკების ანგარიშები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ, რომლებიც

გაცილებით უარეს სურათს წარმოაჩენს, ვიდრე განსახკომი ავრცელებდა. აქ მოკლედ მიმოვიხილავთ საბჭოთა რეჟიმის ხელშეწყობით შექმნილი ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსის მქონე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის სსრ-ში არსებულ ეთნიკურ შემადგენლობას, ენობრივ სიტუაციასა და საგანმანათლებლო რეფორმებს.

განსახკომის სასწავლო კოლეგიის 1921 წლის 8 მარტის სხდომის ოქმში წარმოდგენილია ინსტრუქტორ გიორგი მელიქიძის მოხსენება ე.წ. სამხრეთ ოსეთის განათლების კომისარიატის მუშაობის შესახებ. იგი წერდა: „განსახკომს სათავეში უდგას სახალხო კომისარი პ.გ. თედეევი, რომელსაც დამთავრებული აქვს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი და 27 წელიწადი მსახურობს პედაგოგიურ ასპარეზზე. სახალხო კომისრის მოადგილე /იგივე მოანგარიშე/ ზ.გ. ქუმარიტოვი, დაუმთავრებია ქუთაისის სამეურნეო დაბალი სკოლა. პედაგოგიური სტაჟი სულ არა აქვს. მდივანი თ. სანაკოევი და 1 რეგისტრატორ-მემანქანე - ვ. სამონოვის ასული - ორივე საშუალო განათლებით, ყველა ეს პირნი არიან უპარტიო. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ითვლება 45 სკოლა. ამ რიცხვებში განსახკომს შეტანილი აქვს ის სკოლებიც, რომლებიც არსებობენ მათ ტერიტორიის გარეთ, მაგ. დუშეთის, გორის და სიღნაღის მაზრებში. მათში სწავლობს 3 126 მოწაფე ორივე სქესის. ჰყავთ სულ 89 მასწავლებელი“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921, N 2]. დოკუმენტში დასახელებულია 89 გამგისა და მასწავლებლის მონაცემები. მათ შორის 88 იყო ეროვნებით ოსი და მხოლოდ 1 (სოფიო მიროტაძე) - ქართველი. უმაღლესი განათლება ჰქონდა 11-ს, საშუალო - 34-ს, დაბალი და საშინაო - 46-ს (ამათგან ზოგიერთს არ ჰქონია დამთავრებული 4 კლასი). გ. მელიქიძის აზრით, „ეს ციფრები შეიძლება არ შეიცავდეს სიმართლეს, მაგრამ ცოტა თუ ბევრათ მაინც მაჩვენებელია იმისა, რომ ოსეთის განსახკომს მასწავლებელთა კადრის შექმნისთვის მიზნად დაუსახავს მხოლოდ რიცხვი და რაც შეეხება ხარისხს, მისთვის გვერდი აუხვევია“ [სეა, ფ. 300,

ან. 4, 1921, N 2]. აქ გ. მელიქიძე ეჭვს გამოთქვამს, რომ მისთვის ადგილზე მიწოდებული ინფორმაცია მასწავლებელთა განათლების ცენზის შესახებ არ შეესაბამებოდა სიმართლეს. თუმცა საეჭვოა მასწავლებელთა ეთნიკური შემადგენლობაც, ვინაიდან საპირისპირო სურათს იძლევა განსახკომის სხვა ფონდში დაცული საარქივო მასალები, რომლებშიც რაიონებისა და სოფლების მიხედვით დასახელებულია მასწავლებელთა ეთნიკური შემადგენლობა და განათლების მიღების ადგილი, კერძოდ:

„ცხინვალის რაიონი: ვანათი, ერედვი, არბო, მასწავლებელი - 3, ქართველი - 3, ისწავლეს საქართველოში;

ქარელის რაიონი: ქარელი, ზღუდერი, კლდე, ქვემო ხვედურეთი, კეხიჯვარი, ელბაქიანთ-კარი, სამწერისი, ტყემლოვანი, მასწავლებელი - 22, ბერძენი - 11, ქართველი - 6, ოსი - 5 (ქელეხსაევი ნიკოლოზი, გაგლოევი გიორგი, ბერეკოევა ვერა, ბერეკოევი ტიმოთე, ჯიოევი პეტრე), ისწავლეს საქართველოში;

მეჯვრისხევის რაიონი: პატარა მეჯვრისხევი, აძვი, ზერტი, ბერშუეთი, მასწავლებელი - 6, ქართველი - 6, ისწავლეს საქართველოში;

ტყვიავის რაიონი: ტყვიავი, ტირძნისი, ფლავი, ქინწისი, მელვრეკისი, მასწ. 5. ქართველი - 5. ისწავლეს საქართველოში;

ხელთუბნის რაიონი: ხელთუბანი, სვენეთი, კარალეთი, მასწავლებელი - 3, ქართველი - 3, ისწავლეს საქართველოში;

კავთისხევის რაიონი: კავთისხევი, თვალადი, ჩორეთის-უბანი, თელათ-გორი, წინარეხი, იდლეეთი, ოლლა, ჩივანთ-უბანი, მასწავლებელი - 8. ქართველი - 7, სომეხი - 1, ისწავლეს საქართველოში;

სურამის რაიონი: ბეკამი, ქემფერი, იტრია, ქვიშხეთი, ნაბლოვანი, ცოცხნარა, ტეზერი. მასწავლებელი - 11, ქართველი - 11, ისწავლეს საქართველოში;

ქვემო ჭალის რაიონი: ქვემო ჭალა, სამთავისი, კასპი, მასწავლებელი - 4, ქართველი 4 (დავითაშვილი მელანია - პეტერბურგის სამეურნეო უმაღლესი კურსი; ტაგანაშვილი

ალექსანდრა - რიაზანის სასწავლო სამეურნეო კურსი), 2-მა ისწავლა საქართველოში, 2-მა - რუსეთში;

ხიდისთავის რაიონი: ხიდისთავი, ატენი, ჭვარები, ღვარები, მასწავლებელი - 6, ქართველი - 5, ოსი 1 (გაგლოშვილი დავითი), ისწავლეს საქართველოში;

შინდისის რაიონი: შინდისი, ზემო ხვითი, ფხვენისი, ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ვარიანი, მასწავლებელი - 7. ქართველი - 7, ისწავლეს საქართველოში;

რუისის რაიონი: რუისი, დირბი, ბებნისი, ურბნისი, სალოლაშენი, ბრეთი, მასწავლებელი - 10, ქართველი 10, ისწავლეს საქართველოში“ [სცა, ფ. 300, ან. 8, 1921, N 14].

მაშასადამე, ოლქის მასწავლებლები ეროვნებისა და სწავლების ადგილის მიხედვით ასე გადანაწილდნენ: ქართველი - 68; ბერძენი - 11, ოსი - 6 (ქელეხსაევი ნიკოლოზი, გაგლოევი გიორგი, ბერეკოევა ვერა, ბერეკოევი ტიმოთე, ჯიოევი პეტრე, გაგლოშვილი დავითი), სომეხი - 1, დანარჩენებს განათლება მიუღიათ საქართველოში.

გ. მელიქიძე მოხსენებაში ასახელებს ოლქის სასწავლო დაწესებულებების სტატისტიკურ მონაცემებსაც: „თვით ცხინვალში აქვთ გახსნილი: 1 ოსური პედაგოგიური ტეხნიკუმი, რომლის პირად შემადგენლობას წარმოადგენს 9 მასწავლებელი და სწავლობს 25 მოწაფე. ამ რიცხვში 20 ოსია და 5 სომეხი. 2 ოსური სრულკომპლექტიანი შრომის სკოლა, სადაც სწავლობს 192 მოწაფე და ჰყავთ 15 მასწავლებელი, დანარჩენი 42 სკოლა გახსნილია შემდეგ პუნქტებში: (სოფლები მოსწავლეთა რაოდენობით): არკენთი - 57, ბელოთი - 73, ვახტანა - 62, გაღმა ხევი - 44, გეორგი წმინდა - 85, ღრომი - 70, ჯავა - 104, ჯამისი - 55, ჯრისი - 42, ძარი - 47, დმენისი - 49, ზაკორსკი - 35, ზოუბირი - 49, იმერხევი - 38, ქალეთი - 55, ქვათეთრი - 48, ყორნისი - 98, მეტეხი - 43, მსხლები - 80, ორტევი - 54, პიჩიჯინი - 73, ორინევი - 45, რუსთავი - 69, სამწყარო - 85, სათიკარი - 69, სნეკი - 42, თერგვანი - 77, ტილიანი - 40, ტყისუბანი - 52, თორმანეული - 86, სხლითი - 83, წონა - 57, წორბისი - 107, წრისი - 49, წნისი - 80, წუნარი - 71, ცხინვალი - 192, ჩასავალი - 98, შუა ხევი -

60, გერი - 88, წხსიონი (?) - 73, წირსი - 96, თედელეთი - 87. ზემოხსენებული 2 ქართული და 1 სომხური სკოლის გარდა, ოსეთის ტერიტორიაზე არსებობენ კიდევ შემდეგი ქართული სკოლები: კეხვის (1 მასნ. 36 მონაფე), ქურთის (1 მასნ. 31 მონაფე) და ვანათის (1 მასნ. და 36 მონაფე)“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921, N 2].

ამრიგად, ოლქის განსახკომის მმართველობის ქვეშ ფუნქციონირებდა სულ 45 სკოლა. მათ შორის, 39 - ოსური, 5 - ქართული და 1 - სომხური. გორის, დუშეთისა და სიღნაღის ტერიტორიებზე არსებული „ოსური“ სკოლებიც ამავე კომისარიატის შემადგენლობაში შედიოდნენ. როგორც ვხედავთ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის განათლების კომისარს, მის მოადგილესა და სხვა ქართველი თუ არაქართველი მასწავლებლების უმრავლესობას სკოლის შემდგომ საფეხურზე განათლება საქართველოში მიუღიათ. სწორედ ეს მასწავლებლები უნდა გადანაწილებულიყვნენ 45 სკოლაში, რომელთაგან 39 იყო ოსური. სამწუხაროდ, ავტორი არ აზუსტებს, რამდენად სრულფასოვნად შეეძლოთ ქართველ მასწავლებლებს სასწავლო პროცესის წარმართვა ოსურ ენაზე.

სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების შესახებ მსჯელობისას გ. მელიქიძე აღნიშნავს, რომ ერთადერთი საბავშვო ბაღის მომავალმა გამგემ არ იცოდა ოსური ენა: „წასული 1920-21 წლის განმავლობაში ოსეთში არ ყოფილა არც ერთი საბავშვო ბაღი, სახლი და თავშესაფარი, ბინის მოწყობილობისა და მომზადებულ ხელმძღვანელთა უქონლობის გამო. ახლო მომავალში ოსეთის განსახკომს განზრახული აქვს გახსნას სოფელ თამარაშენში საბავშვო სახლი - თავშესაფარი ოსეთის ობოლ ბავშვთათვის. ამ მიზნისთვის დაკავებულია ყოფილ თავადის ვასო მაჩაბლის სახლი. საბავშვო სახლის გამგედ დასახელებულია სანაკოვეისა, რომელსაც დაუმთავრებია კიევში ფრემელის კურსები, მხოლოდ ოსური ენა არ იცის“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921, N 2].

გ. მელიქიძე თავის მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებს ცხინვალის სომხურ სკოლაზე და მნიშვნელოვან ცნობებს

იძლევა სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ სომეხთა ენობრივ კომპეტენციაზეც. მისი ინფორმაციით: „ქ. ცხინვალში არსებობს სომხური სამრევლო სკოლა. ამ სკოლას ინახავდა ჯერ საქველმოქმედო საზოგადოება, შემდეგ სომეხთა ეროვნული საბჭო და ამჟამად იმყოფება გორის განსახკომის განმგებლობაში. შარშან მეცადინეობდა იქ ჩვეულებრივ ადგილობრივი მღვდელი გრიგორიანცი. მიზანი სკოლის დაარსებისა ყოფილა ის, რომ შეასწავლონ ბავშვებს სომხური ანბანი, რათა სომხურ ეკლესიას ჰყოლოდა მსახურნი-მგალობლები. მთლიან დამთავრებულ სწავლას ხსენებული სკოლა არ იძლეოდა. დაჰყოფდა რა მონაფე ერთ-ორ წელს დასტოვებდა და გადადიოდა ყოფილ სამინისტროს სკოლებში, სადაც ასრულებდა კურსს. სამრევლო სკოლაში შექცინილს კი ივიწყებდა, ვინაიდან სომხურ ენას ცხინვალში არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. სომხების მცხოვრებთა 100% ლაპარაკობს ქართულად, მათი 98%-მა სომხური ლაპარაკი სულ არ იცის. სომხის ბავშვი, როგორც სახლში, ისე გარეთ ლაპარაკობს მხოლოდ ქართულად, მის სამშობლო ენათ ითვლება ქართული ენა. ამიტომ ხსენებული სკოლის მაგ სახით დარჩენა უბრალო შემთხვევით შეცდომათ კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ პედაგოგიურ არცოდნათ, ვინაიდან იმ მეთოდს, რომელსაც სამწუხაროთ ჰქონდა ფეხი მოკიდებული, დიდი ხანია დაჰგმო პედაგოგიურმა მეცნიერებამ. ამიტომ საჭიროა ეხლა მაინც მოზარდი თაობა დავაყენოთ გაჯანსაღებულ გზაზედ. ამ გზის გამონახვა იქნება ის, რომ სომხური სკოლა შეუერთდება რომელიმე ქართულ სკოლას და რომ არ შეიღახოს ზოგიერთ მშობელთა სურვილი, იქმნას შემოღებული სომეხთა ეროვნული / სამშობლო ენას ვერ ვუნოდებთ/ ენის სწავლება მხოლოდ მეოთხე განყოფილებიდან, როგორც მიღებულია საერთო წესით“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921, N 2].

სომხების მიერ ქართული ენის სრულყოფილად ფლობა და მათ მიერ ამ ენის „სამშობლო ენად“ აღქმა, სავარაუდოდ, განპირობებული იყო ქართული ენობრივი გარემოთი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთ ოსეთში სკოლების უმრავლესობა იყო ოსური, სავარაუდოდ, სომეხ მოსწავლეებს ნაკლები შანსი ექნებოდათ ქართულ სკოლებში მოხვედრისა და მათი უმრავლესობა ისწავლიდა ოსურ სკოლებში. მიუხედავად ამისა, გ. მიქელაძემ დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სომხის ბავშვები შინ და გარეთ ლაპარაკობდნენ მხოლოდ ქართულად. ამ ფაქტიდანაც დასტურდება, რომ სამხრეთ ოსეთის მცხოვრები არაქართველები (ოსები, სომხები, ბერძნები) სალაპარაკოდ და განათლების ენად იყენებდნენ ქართულ სახელმწიფო ენას.

„ცხინვალში სწავლა სწარმოებდა წარსული წლის განმავლობაში შემდეგ სასწავლებლებში:

1. ოსური პედაგოგიური ტექნიკუმი (ტეხნიკუმის გამგე კოჩიევი);

2. ქართული სამეურნეო ტექნიკუმი - 5 მასწავლებელი, 10 მონაფე (სასწავლებელი დაიხურა კომისარიატის განკარგულებით);

3. ოსური სრულკომპლექტიანი შრომის სკოლა - 15 მასწავლებელი, 192 მონაფე;

4. ქართული სრულკომპლექტიანი შრომის სკოლა - 2 მასწავლებელი, 119 მონაფე;

5. სომხური ორგანყოფილებიანი შრომის სკოლა“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921, N 2].

გ. მიქელაძემ ოლქის ცაკის სხდომაზე წარადგინა რეკომენდაციები სამხრეთ ოსეთის სახალხო განათლების კომისარიატისთვის:

„1. გაუქმდეს ცხინვალის განათლების განყოფილება, ყველა არა ოსური სკოლები გადავიდნენ გორის განათლების განყოფილების განკარგულებაში;

2. ის ოსური სასწავლებლები, რომლებიც არსებობენ ოსეთის ტერიტორიის გარეთ, დაექვემდებაროს სათანადო განათლების განყოფილებებს: გორის, დუშეთის და სიღნაღის;

3. შეუერთდეს ცხინვალის სომხური სკოლა რომელიმე

ქართულ შრომის სკოლას და მე-4 განყოფილებიდან შემოღებულ იქმნას მსურველთათვის ეროვნული ენის სწავლება;

4. ოსური პედაგოგიური ტექნიკუმის 75%-ის ხარჯის გადატანა ადგილობრივ თანხებზე დადასტურდეს, ან არადა სულ დაიხუროს და მის მაგიერ გაიხსნას შრომის სკოლასთან 1-2 წლიანი კურსები მასწავლებლების მოსამზადებლად;

5. ვინაიდან ოსეთის მასწავლებელთა დიდი ნაწილი შესდგება გამოუცდელ პირებისაგან და ძველი მასწავლებლებიც არ არიან გაცნობილი შრომის საფუძველზე აღზრდის პრინციპებთან და ახალ მეთოდებთან, ამიტომ ცხინვალში გაიხსნას ამ სამოსწავლო წელშივე მოკლე ვადიანი კურსები“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921, N 2].

გ. მიქელაძის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ხელმძღვანელმა პირებმა არ მიიღეს მისი წინადადება მასწავლებელთა 2-წლიანი კურსების გახსნის შესახებ. ავტორი აღნიშნავდა, რომ სომხური სკოლის არსებობა ფუჭი და უსარგებლო იყო, თუმცა მაინც დაუშვა მე-4 კლასიდან ეროვნული ენის სწავლების შესაძლებლობა მსურველთათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას შესაძლოა სომხების უკმაყოფილება გამოეწვია. მითითებების მეორე პუნქტიდან ჩანს, რომ ოსური სკოლები არსებობდნენ ოსეთის ტერიტორიის გარეთაც, კერძოდ, გორის, დუშეთისა და სიღნაღის მაზრებში. იმის გასარკვევად, თუ რამდენი ოსური სკოლა არსებობდა აღნიშნულ მაზრებში, მოვიძიეთ კონკრეტულად ამ რაიონების მონაცემები:

„გორის მაზრაში შრომის სკოლები სულ 67: ქართული - 61, სომხური - 4, ბერძნული - 1, რუსული - 1.

სომხური სკოლები: ცხინვალში - 1, ქ. გორში - 2, წითელ სულარში - 1.

ბერძნული სკოლა 1- ქ. ბორჯომში; რუსული სკოლა 1 - ქ. ბორჯომში.

მასწავლებლები გორის მაზრაში: სულ 138 (ქალი 84, კაცი 54). ქართველი - 108, სომეხი - 16, დანარჩენი - 14“.

გორის მაზრაში არ ფუნქციონირებდა არცერთი ოსური

სკოლა. საინტერესო სურათს იძლევა გორის სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა განაწილება დედაენის მიხედვით. კერძოდ, სულ აღრიცხულია 4.764 მოსწავლე, მათ შორის ქართველია 2.513, ხოლო დედაენად ქართულს აღიარებს 4.275 მოსწავლე. ანუ 2.251 არაქართველი მშობლიურ ენად აღიარებდა ქართულ ენას. 699 სომხიდან 199 აღიარებდა სომხურს დედაენად, 227 ოსიდან 166 ოსურს, ხოლო 48 ბერძნიდან 10. მონაცემებში ნაჩვენებია 74 ეთნიკური რუსი, ხოლო რუსულს თავის დედაენად მიიჩნევს 110 ადამიანი. 121 მოსწავლეს გარკვეული არ ჰქონდა თავისი ეთნიკური და ენობრივი იდენტობა [სეა, ფ. 300, ან. 8, 1921, N 14].

სავარაუდოდ, მოსწავლეებს გაუჭირდებოდათ დედაენის მიხედვით კუთვნილების განსაზღვრა, თუ ისინი სხვადასხვა ენებს იყენებდნენ საშინაო და განათლების ენებად. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ქართულის დედაენად აღიარების მაღალი მაჩვენებელი, ვინაიდან ამ მონაცემებითაც ჩანს, რომ არაქართველი მოსახლეობის უმეტესობამ იცოდა ქართული სახელმწიფო ენა და თავის მშობლიურ ენადაც მიიჩნევდა მას.

დუშეთის მაზრა: „სულ დუშეთის მაზრაში მთლიანი შრომის სკოლა 37: ქართული - 31, სხვა ეროვნების - 3, გერმანული - 1, ოსური 2 (ოსურ სკოლებში მეცადინეობა სწარმოებს რუსულ ენაზე). ერთკომპლექტიანი ქართული სამეურნეო პროფესიული სკოლა - 1, ტექნიკუმი მაზრაში არ არსებობს.

მასწავლებლები და ადმინისტრაციული მომსახურენი სულ - 66, ქართველი - 60, ოსი - 4, სომეხი - 2. კომუნისტი - 2, ფედერალისტი - 7, უპარტიო - 58“ [სეა, ფ. 300, ან. 8, 1921-1924, N 3].

მაშასადამე, დუშეთის მაზრაში 37 სკოლიდან მხოლოდ 2 იყო ოსური სკოლა, ისიც ფორმალურად, ვინაიდან წყაროში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ოსურ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. გორის მაზრის მსგავსი ვითარებაა დუშეთის მაზრაში დედაენის მაჩვენებლების თვალსაზრისით. კერძოდ, აღრიცხულია 1.503 ქართველი, ქართულს დედაენად აღიარებს 1.647 მოსწავლე. 88 ოსიდან ოსურს მშობლიურ ენად მიიჩნევს 82. 126 სომხისა და 12

სხვა ეროვნების ადამიანის ენობრივი კუთვნილება არ არის მითითებული. ქართველების გარდა, სწორედ ამ უკანასკნელთა საერთო რაოდენობა თვლიდა თავის დედაენად ქართულს [სეა, ფ. 300, ან. 8, 1921-1924, N 3].

სიღნაღის მაზრა: „მთლიანი შრომის სკოლა: ქართული - 62, რუსული - 8, სომხური - 3, სხვა ეროვნების (თათრული) - 6. ტეხნიკუმი ქართული - 2, რუსული - 1, სომხური - 1. სიღნაღის ტეხნიკუმი იყო სომხური განყოფილებით, რომელიც გადაჯგუფების შემდეგ მოისპო. ტეხნიკუმში მონაფეები სულ 157: ქართველი - 134, რუსი - 11, სომეხი - 12“ [სეა, ფ. 300, ან. 8, N 16].

ირკვევა, რომ გორისა და სიღნაღის მაზრებში არ ფუნქციონირებდა არცერთი ოსური სკოლა, მხოლოდ დუშეთის მაზრაში არსებობდა 2 ოსური სკოლა, რომლებშიც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. თუმცა სხვა წყაროში შემდეგი სახის ინფორმაციაა განთავსებული - ეს არის სია ეროვნულ უმცირესობათა დაწყებით და უმაღლეს დაწყებითი სკოლებისა 1920-1921 წლებში: ოსური სკოლები საქართველოში: ტფილისში - 1, სიღნაღში - 5, გორში - 45, შორაპანში - 1, სულ 48 ოსური სკოლა [სეა, ფ. 300, ან. 8, N 154].

ამგვარად, საარქივო მასალების მიხედვით 1921 წლისთვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ასეთი ენობრივი სიტუაცია იკვეთება:

1. სკოლების უმრავლესობას შეადგენდა ოსური სკოლები და მათ შორის იყო რამდენიმე ქართული და 1 სომხური სკოლა. ფუნქციონირებდა ასევე ქართული, ოსური და სომხური ტექნიკუმები;

2. დუშეთის ოსურ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასევე იქნებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსურ სკოლებშიც;

3. არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი (სომხები, ოსები, ბერძნები) მშობლიურ ენად მიიჩნევდნენ ქართულ ენას და მას შინსახმარ და

განათლების ენად იყენებდნენ. გამოდის, რომ ოსურ სკოლებში ისინი იძულებით სწავლობდნენ რუსულ ენაზე;

4. მასწავლებელთა და გამგეთა უმეტესობას შეადგენდნენ ქართველები, თუმცა მათ გვერდით მომუშავე სხვა ეროვნების სომეხ, ბერძენ და ოს მასწავლებლებსაც განათლება საქართველოში (შესაძლოა ქართულ ენაზე) ჰქონდათ მიღებული.

1921 წლის 18 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში განათლების მდგომარეობის შესასწავლად გაემგზავრა სპეციალური კომისია განათლების კომისარ დ. კანდელაკის ხელმძღვანელობით. მის ანგარიშში აღწერილია აჭარის განათლების ვითარება:

„აჯარისტანის რესპუბლიკა. ქ. ბათომში სასწავლო წლის განმავლობაში არსებობდნენ: 1. 3 ტეხნიკუმი, 2 - ჰუმანიტარული და 1 - მექანიკური და ელექტრო ტეხნიკური განყოფილებით. 2. 13 შრომის სკოლა, ამთგან 2 სრულკომპლექტიანი და დანარჩენი 1 კომპლექტიანი. 3. 2 საბავშვო ბაღი, 4. სამკურნალო კურსები მოზრდილ მუშათათვის. 5. ხელგარჯილობის კურსები, 6. ქართული ენის კურსები ორი განყოფილებით, ხოლო მთელ ოლქში კი სულ 33 შრომის სკოლა ითვლებოდა.

აჯარისტანის განათლების კომისრის ახ. ლორთქიფანიძის ცნობით ოლქში არცერთი ქართული ენის მასწავლებელი არ მოიპოვება. სწავლებას თურქულ ენაზედ აწარმოებენ თურქი მასწავლებლები, რომლებიც ძრიელ სუსტად არიან მომზადებულნი და სრულიად არ შეეფერებიან თავის საპასუხისმგებლო თანამდებობებს.

მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მთელს ოლქში სასწავლებლები ხელში ჩაუგდიათ სასულიერო პირებს, ხოჯებს, რომლებიც თავისი შეხედულების მიხედვით სწვრთნიან მოზარდ ახალ თაობას და უნერგავენ გულში ათასგვარ ცრუმორწმუნეობას.

კომისიამ გაითვალისწინა რა ზემოაღნიშნული ანორმალური პირობები და გაეცნო რა პირადის დათვალიერების საშუა-

ლებით, დაავალა განათლების განყოფილებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეთანხმებით შემდეგი: 1. გაიხსნას ქ. ბათომში საბავშვო სახლი 50 ლარით და უმწეო ბავშვთათვის. 2. ვინაიდან ვაჟთა სახლი N3 მეტად ანტისანიტარულ პირობებშია და ხელმძღვანელთა პერსონალი თავის დანიშნულებას არ შეეფერება, დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნას ყველა მასწავლებლები და მათ მაგივრად მოწვეულ იქმნას უფრო გამოცდილნი და მომზადებულნი ხელმძღვანელებად. 3. აუცილებლად მოეწყოს ქ. ბათომში 1 საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლა. 4. გადაცემულ იქმნას აჯარისტანის განსახკომის სრულ გამგებლობაში ქ. ბათომში და ოლქში არსებული თეატრების და კინოთეატრების იდეური ხელმძღვანელობა. 5. ვინაიდან საზოგადოდ აჯარისტანში მასწავლებლების ნაკლებობაა, აღიძრას სათანადო შუამდგომლობა, რათა დაკანონებულ იქმნას როგორც დროებითი ზომა, მასწავლებელთა მობილიზაცია. 6. ოლქის შრომის სკოლებში, საცა წარსულ სასწავლო წლის განმავლობაში საერთო საგნების სწავლა არ სწარმოებდა, დაუყონებლივ დაინიშნოს გამოცდილი მასწავლებლები და ამრიგად ხოჯების უშუალოდ ზეგავლენას ბოლო მოეღოს. 7. სასურველია მოკლე ვადაში დაარსებულ იქმნას მასწავლებელთა კურსები“ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1921, N 15].

როგორც ვხედავთ, აჭარის ტერიტორიაზე არსებული 33 სასწავლებლიდან მხოლოდ ერთი 2-განყოფილებიანი სკოლა არსებობდა ქართულ ენაზე. დანარჩენ სკოლებში თურქი სასულიერო პირები თურქულად (ალბათ არაბულ ენაზეც) წარმართავდნენ სწავლებას. დ. კანდელაკი მოითხოვდა მოქმედ მასწავლებელთა დათხოვნას და ახალი კადრების მომზადებას, რაც შესაბამისად გამოინვევდა აჭარის საგანმანათლებლო სისტემის ენობრივი სიტუაციის შეცვლას - თურქული (და არაბული) ენის პოზიციის შესუსტებასა და ქართულის ენის ფუნქციონირების გაფართოებას.

ამგვარი ვითარების გამო, საგანმანათლებლო სისტემისა და ენობრივი გარემოს შეცვლას ჰპირდებოდნენ ახალი ხელისუფლების მესვეურები აჭარლებს და ასეთი ლოზუნგით

ცდილობდნენ მხარდაჭერის მოპოვებას: „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას! აჭარის მშრომელთ! აჭარას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს საშუალება ეძლევა თავისუფლათ ისწავლოს, სწეროს თავის ენაზე, იქონიოს თავისი მშრომელი მთავრობა“ [უწყებები... 1921:2].

1922 წელს სახალხო განათლების კომისარიატმა განმარტებითი ბარათი გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც განხილული იყო აფხაზეთის განათლების სისტემაში არსებული მძიმე ვითარება: „სსრ რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატის მიერ დანიშნულ იქნა საგანგებო რევიზია აფხაზეთში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესასწავლად. რევიზიის ხანგრძლივმა მუშაობამ და საქმის დეტალურად გაცნობამ გამოარკვია ანორმალური მდგომარეობა, რომელშიაც მოქცეულა სწავლა-განათლების საქმე აფხაზეთში. ცხადი გახდა, რომ აფხაზეთის სკოლებში დიდი არეგ-დარევაა გამეფებული და რომ არ ტარდება ცხოვრებაში დაწესებულ პროგრამასთან შეფარდებული მინიმალური მოთხოვნილებანიც კი. განათლების ბედი აფხაზეთში დაკავშირებული დისციპლინასთან და საერთო პროგრამასთან და მის გამავრცელებელ ტექნიკურ პერსონალთან - მასწავლებლობასთან - საფრთხეშია ჩავარდნილი, ვინაიდან როგორც ეს რევიზიამ გამოარკვია, არც ერთი ზემოთაღნიშნული ელემენტი სწავლა-განათლების ხალხში რეალიზაციისთვის არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

აფხაზეთი, როგორც კულტურულ-პოლიტიკური მოვლენა საქართველოს განუყრელ ერთეულს წარმოადგენს და ამიტომ ორივე ქვეყნის კულტურულ წინსვლედობის ინტერესები მოითხოვენ მჭიდრო კავშირს და მთლიან სამოსწავლო გეგმას, რასაკვირველია, ადგილობრივი ინტერესების და ანგარიშის განვიით, პატივისცემით და დაცვით.

აფხაზეთში სწავლა-განათლების შეფერხების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელებულ იქნეს სწორედ ის გარემოება, რომ მისი სახალხო განათლების კომისარიატი მოქმედებს განცალკევებულად, არა აქვს საერთო საქმისთვის აუცილებელი

კავშირი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატთან და ახორციელებს უშუალო დამოკიდებულებას რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკასთან.

ამ მიზნით მას ყავს თავისი რწმუნებული საბჭოთა რუსეთის სახალხო განათლების კომისარიატთან, მაშინ როდესაც უკანასკნელთან იმყოფება სსრ რესპუბლიკის რწმუნებული ამხ. ჯგუშია.

მოგახსენებთ რა ზემოთხსენებულს სსრ რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატი ამასთანავე დასძინს თავის შეხედულებას აქ აღძრულ საკითხის შესახებ:

აფხაზეთში სწავლა-განათლების სათანადო დონეზე დაყენებისთვის აუცილებელია მჭიდრო კავშირის შექმნა სახალხო განათლების კომისარიატთან.

სწავლა-განათლების გატარებაში ერთი სისტემის და პოლიტიკის ჩამოყალიბება ადგილობრივი ინტერესების სასტიკი დაცვით.

არ არის მიზანშეწონილი და საჭირო აწარმოოს აფხაზეთის სახალხო განათლების კომისარიატმა უშუალო დამოკიდებულება რ.ს.ფ.ს.რ. სახალხო განათლების კომისარიატთან.

უნდა გაუქმდეს აფხაზეთის სახალხო განათლების კომისარიატის რწმუნებულება საბჭოთა რუსეთში და ყოველგვარი დამოკიდებულება მასთან აწარმოოს სსრ საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის საშუალებით.

მხოლოდ ასეთი ზომების განხორციელება შესძლებს აფხაზეთის სწავლა-განათლების მდგომარეობის გამოსწორებას. ზედმეტი ხარჯების შემცირებას ცალკე რწმუნებულის შენახვისთვის განეულს და შექმნის მტკიცე შეთანხმებულ მუშაობას ორ კულტურულად განუყრელ რესპუბლიკას შორის განათლების საქმეში“ [სეა, ფ. 300, ან. 4, N 16].

მართალია, ამ მიმართვაში პირდაპირ არ არის ნათქვამი, თუ რომელ ენებზე მიმდინარეობდა სწავლება აფხაზეთის გა-

ნათლების სისტემაში, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა მიმართულებით და რომელი ენის სასარგებლოდ წარმართებოდა ენობრივი პოლიტიკა აფხაზეთის სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში. საქართველოს განათლების კომისარიატი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყრელი კულტურულ-პოლიტიკური ერთეული იყო, ამიტომ განცალკევებულად და დამოუკიდებლად არ უნდა ემოქმედა. მნიშვნელოვანია კომისარიატის მიერ ამ წერილში დაბეჯითებით გამეორებული მოთხოვნა განათლების ერთიანი სასწავლო გეგმის შექმნის შესახებ: „ადგილობრივი ინტერესების და ანგარიშის განვიით, პატივისცემით და დაცვით“...; „სწავლა-განათლების გატარებაში ერთი სისტემის და პოლიტიკის ჩამოყალიბება ადგილობრივი ინტერესების სასტიკი დაცვით“. ცხადია, ქართული განსაკვებოში ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებაში აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების და მათ შორის, განსაკუთრებით, აფხაზთა ეთნიკური, ენობრივი და კულტურული ღირებულებების დაცვასა და განვითარებას გულისხმობდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის განათლების სისტემის მიზმა უშუალოდ რსფსრ-ს სისტემაზე და იქ წარმომადგენლის ყოლა მოსკოვის მოთხოვნით თუ არა, მისი დემონსტრაციული დუმილიდანაც ჩანს.

1920-1921 წლებში აფხაზეთში სულ 295 სასწავლებელი (8 უმაღლეს-დანყებითი და 287 დანყებითი) ფუნქციონირებდა. მათ შორის ქართული იყო 228, ხოლო 67 არაქართული სკოლიდან ყველაზე მეტი და თითქმის თანაბარი რაოდენობით იყო ბერძნული (26) და სომხური (24) სკოლები, რუსული - 13, ესტონელთა - 3 და გერმანული - 1 [სეა, ფ. 300, ან. 8, N 154].

მაშასადამე, 1921-1922 წლების მასალები მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ე.წ. სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და აფხაზეთის განათლების ენისა და ენობრივი სიტუაციის შესახებ. ირკვევა, რომ:

1. მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში მრავალი ოსური სკოლა იყო გახსნილი, იქ მცხოვრებ ქართველთა და არაქართველთა უმრავლესობა (ოსები, სომხები, ბერძნები)

საშინაო და განათლების ენად იყენებდა ქართულ ენას და მას მშობლიურ ენადაც მიიჩნევდა. ფორმალურად ოსურ სკოლებში სინამდვილეში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

2. აჭარაში თურქი სასულიერო პირების მეშვეობით, რომლებიც ამავდროულად სასწავლებლებში მასწავლებლის ფუნქციასაც ითავსებდნენ, ფაქტობრივად იგნორირებული იყო ქართული სახელმწიფო ენა და მის ნაცვლად სწავლების ენად გამოყენებული იყო თურქული (და/ან არაბული);

3. აფხაზეთის განათლების კომისარიატი თვითნებურად, ალბათ, მოსკოვის კარნახითაც, საქართველოს განსახკომის ნებართვის გარეშე, უშუალო კავშირს ამყარებდა რუსეთის განათლების კომისარიატთან და იქიდან იღებდა მმართველობის დირექტივებს, რაც პირდაპირ სეპარატიზმის გამოვლინებადაც შეიძლება ჩაითვალოს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი საგანმანათლებლო და ენობრივი პოლიტიკა დაიგეგმებოდა რუსული განსახკომის მითითებებით. ნიშანდობლივია, ქართული განათლების კომისარიატის დაჟინებული მოთხოვნა, რომ აფხაზეთის წარმომადგენლობას შეეწყვიტა დამოუკიდებლად მოქმედება რუსეთის სტრუქტურასთან. ამავდროულად, საქართველოს განსახკომი აფხაზეთს ადგილობრივი ინტერესების სრულ დაცვას ჰპირდებოდა ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის შესაქმნელად, რაც თავისთავად იქ მცხოვრებთა ეთნიკურ-ენობრივი ინტერესების დაცვას გულისხმობდა.

სწავლების ენა საქართველოს მაზრებსა და ქალაქებში **1921-1922 წლებში**. განსახკომის კოლეგიის სხდომის ოქმებში აღწერილია 1921-1922 სასწავლო წლის მდგომარეობა საქართველოს მაზრებსა და ქალაქებში. საარქივო მასალებში მოცემულია სხვადასხვა ტიპის სასწავლებელთა სტატისტიკური მონაცემები და მათი განაწილება სწავლების ენების მიხედვით. ირკვევა, რომ სკოლებსა და ტექნიკუმებში არსებულ მძიმე ვითარებას, ძირითადად, განაპირობებდა განათლების განყოფილებების ხელმძღვანელ პირთა

არასწორი მმართველობა, მასწავლებელთა არასაკმარისი და არაკვალიფიციური კადრები, სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე ლიტერატურის ნაკლებობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა. განსახკომის მუშაკები მკაცრად აკრიტიკებდნენ ადგილებზე არსებულ მძიმე ვითარებას. ისინი ხშირად მიუთითებდნენ, რომ განათლების განყოფილებათა გამგეები არ აკონტროლებდნენ და კავშირს არ ამყარებდნენ სასწავლებლებთან, არ აცნობდნენ მათ ახალ საერთო სასწავლო გეგმას, შრომის პრინციპებსა და ახალ სტანდარტებს, არ ტარებოდა მასწავლებელთა კონფერენციები, სადაც უნდა განხილულიყო განათლების საკითხები. ამას ერთვოდა ქვეყანის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

1921-1922 სასწავლო წლის განსახკომის დოკუმენტებში აღწერილია შემდეგი საკითხები:

1. ქართული, სომხური, ბერძნული და რუსული სასწავლებლების ფუნქციონირებისა და დახურვის მიზეზები;

2. ერთ ენაზე მოქმედი სხვადასხვა არაქართულენოვანი სასწავლებლები;

3. ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომეხი მოსწავლეებისა და თურქულად მოლაპარაკე ბერძენი ბავშვების განათლების ენა;

4. არაკვალიფიციური და არასაკმარისი პედაგოგიური კადრები (ბერძნული ენის არმცოდნე ბერძენი მასწავლებლები და რუსული ენის მასწავლებელთა ნაკლებობა);

5. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენელთა პრეტენზიები და მოთხოვნები სომხურ და ბერძნულ ენებზე სწავლების შესახებ;

6. განათლების სახალხო კომისარიატის ენობრივი რეგულაციები;

7. სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილი სახელმძღვანელოები და ლიტერატურა;

8. განსახკომის მიერ შემცირებული, გადაკეთებული და შექმნილი სასწავლებლები.

ირკვევა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ესა თუ ის

სასწავლებელი დაუხურავთ შეუსაბამო და არასწორად განსაზღვრული სწავლების ენის გამო. მაგალითად:

„ოქმი განათლების კომისარიატის კოლეგიის სდომისა 1922 წლის 23 აგვისტოს. სახალხო განათლების კომისარს, მოხსენება ამხ. ჭუმბურიძისა სიღნაღის, თელავისა და თიანეთის მაზრების განათლების განყოფილებათა მოქმედების შესახებ 1921-1922 სასწავლო წლის განმავლობაში...“

სიღნაღი: სომხური ტეხნიკუმის საკითხის გარკვევის დროს მონვეულ იქმნა სიღნაღის მეორე შრომის სკოლის გამგე ალ. აბრამიანი, როგორც სომხური საზოგადოებისა და მასწავლებელთა წარმომადგენელი.

ცნობები: გასული წლის პირველ კლასში ყოფილა მხოლოდ 9 მოწაფე. ტეხნიკუმს შენობა არა აქვს. მეცადინეობს მეორე რიგში [მეორე ცვლაში - ს.ჭ.]. სწავლება სწარმოებდა რუსულ ენაზე. წელს სომხური შრომის სკოლა დაუმთავრებია 16 მოწაფეს. მაზრაში სხვა შრომის სკოლები არ არსებობს, რომლებმაც უნდა მისცენ სიღნაღის სომხურ ტეხნიკუმს მოწაფეთა კონტიგენტი. სომეხი მოწაფეები კარგად ლაპარაკობენ ქართულად და სწავლაც თავისუფლად შეუძლიათ ქართულ ენაზედ.

სხდომის დადგენილება: ამ დასახელებული მოტივის მიხედვით და იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია შეინახოს ასეთი არანორმალური სახის ტეხნიკუმი, ამიტომ სიღნაღის სომხური ტეხნიკუმი დაიხუროს მომავალი სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან. მოწაფეები გადაყვანილ იქნან ქართულს ტეხნიკუმში, ხოლო იმ სომეხ მოწაფეთა /2-3 ყმანვილი/, რომელთაც არ შეუძლიან სწავლა ქართულ ენაზე, აღმოეჩინოს დახმარება, რათა შესძლონ სწავლების გაგრძელება ტფილისის ტეხნიკუმებში.

თელავის მაზრა / საკითხი სომხური ტეხნიკუმის შესახებ.

კრებას დაესწრო ტეხნიკუმის გამგე ტერ-სარქისიანი. ტეხნიკუმს აქვს 4 კლასი. მთელ სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვი არის 58. სწავლება სწარმოებს რუსულს და სომხურ ენაზე. მოწაფეები ქართულად კარგად ლაპარაკობენ, მათთვის ეს ენა არის მშობლიური ენა, სომხურ ენაზე სწავლება არ

შეუძლიათ. ასეთის არანორმალურის სახით სკოლის არსებობა სხდომის მიერ შეუწყნარებელი და დაუშვებელი იქმნა. ამის გარდა ეკონომიური თვალსაზრისით ამ ტეხნიკუმის ცალკე შენახვა მიზანშეუწონელია. მიმდინარე წელს სომხურ შრომის სკოლაში სწავლადამთავრებული მოწაფენიც ვერ შესძლებენ სომხურ ენაზე სწავლას, რადგან მათაც რუსულათ უსწავლიათ.

ამიტომ სხდომამ დაადგინა: თელავის სომხური ტეხნიკუმი შეუერთდეს ქართულ ტეხნიკუმს, რომელიც უნდა შესდგეს ქართულ ვაჟთა და ქალთა ტეხნიკუმის შეერთებისგან და მოთავსდეს ყოფილ წმინდა ნინოს გიმნაზიის შენობაში. 4 მოწაფეს, რომლებიც სუსტობენ ქართულ ენაში, მიეცეს დახმარება აღმასკომის მიერ, უკეთუ ისინი ვერ შესძლებენ თავიანთი ხარჯით ტფილისში სწავლის გაგრძელებას. შემდეგ, თუ სომხური შრომის სკოლა გამოუშვებს მოწაფეთა საკმაო კონტიგენტს, გახსნას ქართულ ტეხნიკუმთან პირველი სომხური პარალელური კლასი, რადგან შრომის სკოლაში მოწაფეებს სწავლა მიღებული ექნებათ სომხურ ენაზე.

ფინანსური თვალსაზრისით ვ. კანდელაკი მხარს უჭერს ამნაირ შეხედულებას, შავერდოვა და სააკიანცი წინააღმდეგი არიან. შავერდოვა გამოდის წინადადებით, შეუერთდეს სომხის ტეხნიკუმი ქართველების ტეხნიკუმს პარალელური განყოფილების სახით.

დაადგინეს: თელავის სომხის ტეხნიკუმის შეერთების შესახებ მიეცეს წინადადება პროფ. განათლების მთავარმართველობას. ეს საკითხი მოაგვაროს „სოვნაცმენის“ და პროფ კავშირის წარმომადგენლის შეთანხმებით.

საკითხი ლაგოდეხის ქართული და რუსული ტეხნიკუმების შესახებ.

ქართულ ტეხნიკუმში არის მხოლოდ 8 მოწაფე. რაიონში არ არსებობს არც ერთი სრულკომპლექტიანი შრომის სკოლა. ახალი მოწაფეები ტეხნიკუმს არ ეყოლება. ასეთსავე პირობებში იმყოფება რუსული ტეხნიკუმიც, სადაც წელს სწავლობს

მხოლოდ 14 მონაფე პირველ კლასში. მასწავლებლები არ ჰყავს. მომავალში მონაფეები არ ეყოლება, ამიტომ ჯერ აქ ამ ტეხნიკუმის არსებობა ზედმეტია.

დადგენილება: ლაგოდეხის ქართული ტეხნიკუმი დაიხუროს.

საერთოდ სიღნაღის მაზრის განათლების განყოფილების მოქმედება ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი.

სიღნაღის სომხური ტეხნიკუმის და რუსული ტეხნიკუმის დახურვის საკითხი დაევალოს პროფ. განათლების მთავარმართველობას. გამოარკვიოს პროფ. კავშირის და „სოვნაცმენის“³ თავმჯდომარის თანდასწრებით და წარედგინოს განსახკომის კომისიარს დასამტკიცებლად“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921-1922, N 2].

როგორც ვხედავთ, სიღნაღისა და თელავის სომხური ტექნიკუმების დახურვის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ სწავლება მიმდინარეობდა ან მხოლოდ რუსულ, ანდა რუსულ და სომხურ ენებზე. გარდა ამისა, მოხსენებიდან ირკვევა, რომ სომხურ შრომის სკოლებშიც სინამდვილეში რუსულად მეცადინეობდნენ. შესაბამისად, შემდეგ საფეხურზე სომხებს უჭირდათ, ან არ შეეძლოთ სომხურ ენაზე განათლების მიღება. ისინი თავისუფლად ფლობდნენ ქართულ ენას და მას მშობლიურადაც მიიჩნევდნენ. არასწორი სასწავლო გარემოს გამო მოსწავლეთა კონტიგენტიც მცირე იყო აღნიშნულ ტექნიკუმებში. ამიტომ განსახკომი მიიჩნევდა, რომ სომხური ტექნიკუმი უნდა შეერთებოდა ქართულ ტექნიკუმს, სადაც სომეხი მოსწავლეები უფრო ადვილად შეძლებდნენ სასწავლო პროცესში ჩართვას და იმ ენაზე განათლების მიღებას, რომელსაც უფრო სრულყოფილად ფლობდნენ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სომხური ტექნიკუმების ყველა მოსწავლე ალბათ სულაც არ იყო სომეხი - უფრო ადრეც და საკვლევ პერიოდშიც, როგორც ცნობილია, სიტყვა სომეხი აღნიშნავდა როგორც ეთნიკურ სომეხს, ისე გრიგორიანობის მიმდევარსაც.

3. სოვნაცმენი < რუს. Совет национальных меньшинств „ეროვნულ უმცირესობათა საბჭო“.

ლაგოდების ქართული და რუსული ტექნიკუმების გაუქმების მიზეზად დასახელდა მოსწავლეთა სიმცირე და რუსული ენის მასწავლებელთა ნაკლებობა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქართველოს განსახკომმა ამავე კრებაზე მიიღო ლაგოდების ქართული სასწავლებლის დახურვის დადგენილება. რაც შეეხება, სომხურ და რუსულ ტექნიკუმებს, განსახკომმა სიფრთხილე გამოიჩინა და პროფესიული განათლების მთავარმმართველობას დაავალა, საკითხი შეეთანხმებინა „სოვნაცმენსა“ და პროფკავშირებთან. უკმაყოფილების ნიშნები სხდომის მიმდინარეობისასვე გამოიკვეთა ეროვნებით სომეხი შავრდოვასა და სააკიანცის მხრიდან, რომლებიც მოითხოვდნენ სომხური ტექნიკუმის დატოვებას. აღსანიშნავია, რომ ყველა სხდომაზე, რომლებზეც განიხილებოდა ამ ტიპის საკითხები, მოწვეულნი იყვნენ სომხური სასწავლებლების ხელმძღვანელები და „სოვნაცმენის“ წარმომადგენლები. განსახკომი ფინანსურ დახმარებასა და თბილისში სწავლის გაგრძელებას ჰპირდებოდა იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სუსტად იცოდნენ ქართული ენა და თუ სომხური სკოლა შექმნიდა მოსწავლეთა კონტიგენტს, ტექნიკუმში პარალელურ სომხურ განყოფილებასაც გახსნიდნენ. ფაქტობრივად, განსახკომი ცდილობდა, რომ არაქართველთა ინტერესები არ შელახულიყო. მიუხედავად ამისა, ეროვნული უმცირესობის საბჭოს წარმომადგენლები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. ისინი არ ითვალისწინებდნენ, რომ მცირეკონტინგენტიანი სასწავლებლების არსებობა ფინანსურადაც პრობლემური იყო. მათი პრეტენზიები ასახულია კოლეგიის სხვა სხდომების ოქმებშიც, სადაც „სოვნაცმენი“ ჯიუტად მოითხოვდა სომხური და ბერძნული ენების სწავლების საკითხის დადებითად გადაჭრას. გთავაზობთ ამონარიდს ერთი ასეთი სხდომის ოქმიდან:

„საგანი: მოხსენება ეროვნულ უმცირესობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. სააკიანცისა, რომ შრომის სკოლებში სწავლობენ საკმარისი რიცხვი სომხების მოსწავლეებისა და საჭიროა მათთვის შემოღებულ იქმნას სავალდებულო სწავლება სომხური ენისა.

დადგენილება: სასურველია, რომ იმ სასწავლებლებში, სადაც სომეხთა ეროვნების რიცხვი 25%-ს აღემატება, შემოღებულ იქმნას სომხური ენის სწავლება ნებაყოფლობით. ტექნიკური მოგვარება ამ საკითხისა მიენდოს ტფილისის განათლების გამგეს.

საგანი: მოხსენება მისივე - ბერძენთა ეროვნების სკოლებში ამ უამად სწავლება სწარმოებს რუსულ ენაზე, ვინაიდან, როგორც შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, თითქმის არც ერთმა ბერძენ მასწავლებელმა ბერძნული არ იცის იმდენად, რომ სწავლება ყველა საგნებისა ამ ენაზე აწარმოოს. ამიტომ ამხ. სააკიანცს ჰსურს გამოარკვიოს საბოლოოდ, რა ენაზედ უნდა იქმნას წარმოებული სწავლება ბერძენთა ეროვნების სკოლებში.

დაადგინეს: დაევალოს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს თავმჯდომარეს შეაგროვოს მოხსენებული საკითხის შესახებ სათანადო ცნობები ტფილისის მაზრის განათგანის⁴ გამგეს შემწეობით და შედეგი წარმოადგინონ განსახილველად.

მიეცეს წინადადება ამხ. გურგენიძეს წარმოადგინოს დასაბუთებული მოხსენება, თუ რომელ ენაზე უნდა სწარმოებდეს წალკის რაიონში სწავლა“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1922, N 18].

საკიანცი სომხური ენის სავალდებულო სწავლებას მოითხოვდა მაშინ, როდესაც კოლეგიის სხდომებზე ისმენდა ანგარიშებს სომეხ მოსწავლეთა მცირე რაოდენობის შესახებ. იგი თვითონაც აღნიშნავდა, რომ ფორმალურად ბერძნულ სკოლებად სახელდებულ სკოლებში სინამდვილეში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ისევე როგორც ზოგი რაიონის ე.წ. სომხურ სკოლებში. მაშასადამე, სომეხმა მოსწავლეებმა არ იცოდნენ სომხური, არც ბერძენმა მასწავლებლებმა იცოდნენ ბერძნული, რუსულის მასწავლებლები კი ძალიან ცოტანი იყვნენ და, მიუხედავად ამისა, სომხურ და ბერძნულ სასწავლებლებში სწავლება მაინც რუსულად ენაზე მიმდინარეობდა.

4. განათგანი - განათლების განყოფილება.

არაქართული სკოლების სიმრავლით გამოირჩეოდა ახალქალაქის მაზრა, თუმცა როგორც ირკვევა, ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური ნიშნებით დაყოფილ სკოლებში მოსწავლეთა კონტიგენტი ძალიან მცირე იყო. გთავაზობთ განათლების მუშაკის ლევიცკის მოხსენებას ახალქალაქის მაზრის განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ:

„სტატისტიკური ცნობები: სკოლათა საერთო რიცხვი - 41, სომხური - 19, ქართული - 8, რუსული - 4, თურქული - 3, ქართულ-კათოლიკური - 4 და სომხურ-კათოლიკური - 3. მონაფეთა საერთო რიცხვი 2428 (ვაჟი - 1889, ქალი - 539). ვინაიდან მხარის მასწავლებლები სრულიად არ იცნობენ შრომის სკოლის პრინციპებს და საერთოდ ახალი პედაგოგიკის მიმართულებას, გაიხსნას მათთვის ახალქალაქში მოკლე ვადიანი კურსები /ერთთვიანი/. უღარიბეს მონაფეთათვის უფასოდ წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების მიცემა. გაიხსნას ქალაქში დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რათა შესაძლებელი გახდეს დაბალი მეურნეობისთვის საჭირო მუშა-ხელმძღვანელთა მომზადება. ცნობა: ფაქტიურად განათლების განყოფილებას განაგებს ერთი კადრი ამხ. რუხაძე. მასწავლებელთა უმრავლესობა საშუალო განათლებითაა. მაზრაში არ ყოფილა კონფერენციები. შრომის პრინციპები სკოლაში არ ტარდება“ [სეა, ფ. 300, ან. 4, 1921-1922, N 2].

კომუნისტებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ სასწავლებლებში მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით მოქალაქეებს ვერ მიიმხრობდნენ, ამიტომ ყველაზე მგრძობიარე და ფაქიზი თემებით - ეროვნული, ენობრივი და კულტურული ღირებულებების დაცვისა და განვითარების დაპირებებით ცდილობდნენ მათ მოქცევას პოლიტიკური გავლენის ქვეშ. განსახკომმა რეგულაციაც შეიმუშავა, რომელშიც გათვალისწინებულია არაქართველი მოსახლეობის ინტერესებიც:

„სახალხო განათლების კომისარიატის ცირკულარი ქალაქებისა და მაზრების განათლების განყოფილებებს:

გარდაუვალ პედაგოგიურ ჭეშმარიტებად არის ცნობილი, რომ ბავშვები უნდა ვითარდებოდნენ იმ ენაზე, რომელზედაც ისინი ლაპარაკობენ. მიუხედავად ამისა, ცხოვრების სინამდვილე ხანდახან გვერდს უხვევს ამ საღს დებულებას და მშობლების სურვილების მიხედვით ზოგიერთი სკოლა აწარმოებს სწავლებას არა ბავშვისთვის გასაგებ ენაზე, არა დედის ენაზე, რომელიც ხშირად არ არის ეროვნული ენა, არამედ იმ ენაზე, რომელიც ბავშვებს სრულიად არ ესმის, თუმცა იგი შეიძლება იყოს ეროვნული, ნაციონალური ენა. ასეთია მაგ. მდგომარეობა ბორჩალოს მაზრისა და წალკის რაიონის ბერძნებისთვის, სადაც ბავშვები თათრულად ლაპარაკობენ, ხოლო მშობლების სურვილია შემოღებულ იქმნას სწავლების ენათ ბერძნული ენა. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან საქართველოს ზოგიერთ სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრები სომეხი და ებრაელი ბავშვები, რომლებიც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ.

სკოლებში ამ არანორმალური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად და სწავლა-აღზრდის საკითხის სწორსა და რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად სოციალური აღზრდის თვითმმართველობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია შემოღებულ იქმნას შემდეგი წესები:

1. ყოველს სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, როგორცაა საბავშვო ბაღები და შრომის სკოლები, სწავლა-აღზრდის ენად მიღებულია ის ენა, რომელზედაც ბავშვები ლაპარაკობენ თავიანთ ოჯახებში.

2. ეროვნული ენა, რომელიც ბავშვებმა სრულიად არ იციან და რომელიც მათთვის ჯერ უცხო ენას წარმოადგენს, უნდა შემოღებულ იქნას როგორც ცალკე სასწავლო საგანი, სწავლების მეოთხე წლიდან /თანახმად შრომის სკოლის პროგრამებისა/, როცა ბავშვები საკმაოდ გამაგრდებიან სწავლების ენაში და სათანადოდ შეითვისებენ მას.

3. ქართული ენა, როგორც საქართველოს სსრესპუბლიკის სახელმწიფო ენა არა ქართულ სკოლებში ისწავლება, თანახმად იმავე პროგრამებისა, სწავლების მეოთხე წლიდან.

4. უკეთეს სწავლება შემოღებულ იქნება ბავშვებისათვის უცხო ენაზე, მაგ. თათრულად მოლაპარაკე ბერძენი ბავშვები ისწავლიან ქართულად ან რუსულად, (ახალი უცხო ენები) გერმანული ან ფრანგული შეიძლება გამორიცხულ იქმნას სავალდებულო სასწავლო საგნების სიიდან, რათა მათ ადგილზე გაძლიერდეს ეროვნული ენის სწავლება.

5. გეგზავნებათ რა ეს ცირკულარი სახელმძღვანელოდ, სოციალური აღზრდის მთავარმართველობა წინადადებას გაძღვეთ დაიცვათ იგი მტკიცედ და სისწორით გაატაროთ თქვენდამი რწმუნებულს სასწავლო-სააღმზრდელო დანესებულებებში. მთავარ მმართველობის გამგე: მ. ორახელაშვილისა“ [სეა, ფ. 300, ან. 1, 1921-1922, N 17:109].

აღნიშნული ცირკულარის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტები მოითხოვდა, რომ მოსწავლეს მე-4 კლასიდან უნდა ესწავლა დედაენა და სახელმწიფო ენა. მაგ., თუ თურქულად მოლაპარაკე ბერძენ ბავშვებს შეიყვანდნენ თურქულ სკოლაში, მე-4 კლასიდან უნდა ესწავლათ ბერძნულიც და ქართულიც. სინამდვილეში ეს გეგმა იდეოლოგიურ შირმას წარმოადგენდა და მიზნად ეროვნული უმცირესობების ეთნიკურ გრძნობებზე იყო გათვლილი. იგი არარეალური და ძნელი შესასრულებელი იყო, ვინაიდან არ არსებობდნენ ბერძნულის, თურქულის, ებრაულის მცოდნე მასწავლებლები, არ იყო სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა და ა.შ. გააზრებული არ იყო, სად უნდა გამოეყენებინათ თურქულ ენაზე მიღებული განათლება ბერძენ ბავშვებს, ან სად უნდა მიეღოთ მათ მომდევნო საფეხურის განათლება ამ ენაზე.

თავისი პრეტენზიები ჰქონდა სომხეთის სსრ-საც, კერძოდ, არქივში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში წარმოდგე-

ნილია ინფორმაცია საქართველოს შინაურ საქმეებში ამ რესპუბლიკის წარმომადგენლის უხეში ჩარევის შესახებ: სომხეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში წერილობით მოუთხოვია განსახკომთან შექმნილიყო ეროვნულ უმცირესობათა განათლების განყოფილება. საკითხი განუხილავს განსახკომს და მიუღია გადაწყვეტილება მისი განხილვის გადადების შესახებ. საბუთში მოკლედ წერია: „სომხეთის სრულუფლებიან საქართველოში წარმომადგენლის მომართვა განათლების კომისარიატთან ეროვნულ უმცირესობის განათლების განყოფილების დაარსების შესახებ. დადგენილება: გადაიდო კომისარიატის საერთო რეორგანიზაციის შემუშავებამდე“ [სეა, ფ. 300, ან. 4, N 2, N18]. როგორც ჩანს, განსახკომს არ ჰქონდა მტკიცე პოზიცია და საკითხი ამის გამო გადაიდო. არაა გამოსარიცხი, რომ თბილისმა მოსკოვის მითითებების გარეშე ვერ გაბედა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დროს იგებდა.

სირთულეს ქმნიდა არაქართული სკოლებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოების არქონა. ცხადია, საქართველოს განსახკომი ვერ შეძლებდა ამ საკითხის უზრუნველყოფას მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ფინანსური პირობების გამო, ამიტომ მარტივი გამოსავალი წიგნების სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანა იყო, რასაც არავითარი გამართლება არ ჰქონდა. ცხადია, სხვა რესპუბლიკებისთვის შექმნილი სახელმძღვანელოები ვერ იქნებოდა საქართველოს ინტერესების შესაბამისი. გარდა ამისა, რუსეთში შექმნილი ლიტერატურით უნდა ესწავლებინათ ქართველი თუ არაქართველი მოსწავლეებისთვის პოლიტიკური განათლების საფუძვლები. აშკარაა ისიც, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დღიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებას, მაგრამ ადგილობრივ მარიონეტულ რეჟიმს ფიქრადაც კი არ მოსდიოდა ამ საქმეში მინიმალური დამოუკიდებლობის გამოხატვაც კი.

ამრიგად, 1921-1922 წლებში ფორმალური განათლების სისტემის ენობრივი ვითარება ასეთ სურათს ქმნიდა:

- ეთნიკური სომხების ნაწილმა, კონფესიურად გრიგორიანმა ქართველებმა და ებრაელებმა მხოლოდ ქართული იცოდნენ და მას დედაენად მიიჩნევდნენ;

- ფორმალურად სომხურ და ბერძნულ სკოლებსა და ტექნიკუმებში რეალურად სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა;

- ბორჩალოს მაზრისა და წალკის რაიონის ბერძენი ბავშვები თათრულად ლაპარაკობდნენ;

- ბერძენმა მასწავლებლებმა არ იცოდნენ ბერძნული ენა;

- ცოტანი იყვნენ რუსული ენის მასწავლებლები;

- განსახკომი ცდილობდა დაეცვა არაქართველთა ინტერესები, ამიტომ ზრუნავდა მათთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო დედაენის სწავლება, თუმცა ამ მხრივ უფრო ხშირად რეალობა სასურველისაგან შორს იყო და ეს მცდელობები უფრო იდეოლოგიურ აქციებად რჩებოდა;

- განსახკომს არაქართული სკოლებისთვის საჭირო სახელმძღვანელოები შემოჰქონდა სხვა რესპუბლიკებიდან, რაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამებოდა;

- ე.წ. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს („სოვნაცმენის,“) წევრები განსახკომისგან დაჟინებით მოითხოვდნენ, უზრუნველყო სომხური და ბერძნული ენების სწავლების საკითხები და პროვოკაციულად ცდილობდნენ ამ საკითხის გამწვავებას;

- ნაკლები ყურადღება ეპყრობოდა ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებასა და არაქართულ მოსახლეობაში მისი ცოდნის დონისა და მასშტაბის გაზრდას.

მოკლედ, შეუსაბამო წიგნები, სომხური და ბერძნული ენების არმცოდნე მასწავლებლები და მოსწავლეები, სასწავლო ლიტერატურის სიმწირე, ანდა სრული უქონლობა და უღარიბესი საგანმანათლებლო სივრცე ქმნიდა განათლების დაბალ დონესა და მოსწავლეთა მცირე კონტინგენტს. ასეთ გაუმართავ განათლების სისტემაში მხოლოდ რუსული ენის ფუნქციონირებისთვის იზრდებოდა არეალი, ვინაიდან ფორმალურად სომხურ, ბერძნულ, თათრულ და სხვა

არაქართულ სკოლებში სწავლება სინამდვილეში რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ განსახკომის კოლეგიის სხდომებს ესწრებოდნენ არაქართული სკოლების ხელმძღვანელები და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები, ამ უკანასკნელის თავმჯდომარე სააკიანცი მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა და განსახკომს ადანაშაულებდა იმაში, თითქოს ისინი არ იწვევდნენ მათ წარმომადგენლებს სკოლათა საკითხების განხილვის პროცესებზე. ამ ბრალდებას პრინციპულად არ დაეთანხმა მარიამ ორახელაშვილი, ამ უკანასკნელს კი მხარი დაუჭირა პროფესიონალური განათლების მთავარი მმართველობის გამგემ ნ. მგელაძემ [სეა, ფ. 300, ან. 4, N 2].

ჩვენი აზრით, ეუს-ის თავმჯდომარე აშკარად აჭარბებდა პრეტენზიების გამოთქმისას. მას გაფეტიშებული ჰქონდა უმცირესობათა უფლებები და ამ უფლებათა შელახვას ხედავდა მაშინაც, როდესაც საამისო მონაცემები არ არსებობდა. იგი ალბათ ასრულებდა მოსკოველი უფროსობის მითითებებს და ცდილობდა ეროვნებათშორის ურთიერთობათა გამწვავებას საქართველოში. სააკიანცის ამგვარმა ქცევამ განსახკომის საბჭო აიძულა საგანგებოდ განეხილა ეუს-ის სტრუქტურა და მისი ფუნქცია-მოვალეობები. წარმოვადგენთ პრინციპული მნიშვნელობის ამ სხდომის ოქმს:

„ოქმი #9, განათლების კომისარიატთან არსებული საბჭოს სხდომისა, 12 ივლისს 1922. მოხსენება კომისრის ამხ. დ. კანდელაკისა ეროვნული უმცირესობათა საბჭოს შესახებ. ამხ. კანდელაკმა მოახსენა კრებას, რომ საჭიროა საბოლოოდ გარკვეულ იქმნას ეუს ფუნქციები, ვინაიდან არსებული დებულების მიხედვით ერთგვარი გაუგებრობა იბადება ამ საბჭოსა და კომისარიატის მართველთა შორის როგორც პრინციპიალურისას, ისე კერძო ხასიათის საკითხების ცხოვრებაში გატარების დროს. კომისრის აზრით, საჭიროა დარჩეს ეუსი, რომლის თავმჯდომარედ უნდა იყოს განათლების კომისარი, ხოლო წევრებად მონვეულ იქმნას, საჭიროების

მიხედვით, ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელი. კომისარი და კომისარიატის მართველობის მთავარი გამგენი საჭირო შემთხვევებში მოიწვევენ ამ წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის დროს. ამნაირად საკითხი ამ ჟამად ასეთია: დარჩეს თუ არა ეუს არსებული დებულების თანახმად, თუ მისი ფუნქციები შეიცვალოს ჩემ მიერ წამოყენებული დებულების მიხედვით.

ამხანაგი სააკიანცი წინააღმდეგია კომისრის მიერ წარმოდგენილი წინადადებისა საბჭოს ფუნქციების შესახებ და მოითხოვს დადასტურებულ იქმნას მის მიერ შედგენილი აქვე დართული დროებითი დებულება და ინსტრუქცია ეუს შესახებ.

ამხ. ორახელაშვილისა წინააღმდეგია, როგორც არსებულის, ისე ამხ. სააკიანცის მიერ წარმოდგენილი დებულების და მხარს უჭერს ამხ. დ. კანდელაკის წინადადებას. ამხ. კურულოვი, დ. რუხაძე და ნ. მგელაძე ამხ. სააკიანცის მიერ წარმოდგენილ დებულების დამტკიცებას მიზანშეწონილად სთვლიან. ამხ. კურულოვი ფიქრობს, რომ მოწყობილ იქმნას სათათბირო ხასიათის საბჭო, რომელიც უეჭველად დანიშნულებას შეასრულებს. თავმჯდომარემ ამის შემდეგ საკითხი ამონურულად მიიჩნია და კენჭი უყარა ამხ. სააკიანცის წინადადებას. კრებამ მიიღო ამხ. კანდელაკის წინადადება“ [სეა, ფ. 300, ან. 4, N 2].

ამრიგად, სააკიანცის ბრალდებები, თითქოს განსახკომი არ იწვევდა და აზრს არ ეკითხებოდა ეუს-ის წარმომადგენლებს, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და მას შესაბამისი მკაცრი პასუხი გასცა კომისრის მოადგილემ მარიამ ორახელაშვილმა. უფრო მეტიც, მომდევნო სხდომაზე კომისარმა დ. კანდელაკმა მთლიანად შეცვალა ორგანიზაციის სტრუქტურა და მისი პირადი შემადგენლობა. მან, ფაქტობრივად, მოხსნა საბჭოს თავმჯდომარეობიდან სააკიანცი და თავისი თავი წარადგინა ახალ ხელმძღვანელად. რაც შეეხება კომისიის წევრებს, ისინი საჭიროებისამებრ იქნებოდნენ შერჩეული ამა თუ იმ საკითხის განხილვის დროს. უცნაურია, ის ფაქტი, რომ ნ. მგელაძემ,

რომელმაც წინა სხდომაზე მხარი დაუჭირა მ. ორახელაშვილს, ბოლო შეხვედრაზე საპირისპირო აზრი დააფიქსირა და სააკიანცს დაუჭირა მხარი (შესაძლოა, ეს ვინმე ზემდგომის მითითებითაც გააკეთა).

დროთა განმავლობაში კომუნისტები უფრო დაუფარავად ებრძოდნენ ქართულ ენას და ცდილობდნენ, მის მაგიერ სახელმწიფო ენის ფუნქციები დაეკისრებინათ რუსული ენისათვის. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1927 წლის გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „რუსული ენა ქართულ სკოლებში“. წერილში გადმოცემულია განათლების კომისრის დავით კანდელაკის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა რუსული ენის მასწავლებელთა კონფერენციაზე. შესავალ ნაწილში დ. კანდელაკმა რუსული ენის პრობლემას „რთული და დიდი საკითხი“ უწოდა, რომელიც არც ისე ადვილი გადასაწყვეტი იყო. კომისარმა ხაზი გაუსვა სკოლების ნაციონალიზაციას და აღნიშნა, რომ ამას ზედმეტი „გადათვალეობა“ არ სჭირდებოდა. მან გააკრიტიკა ისინი, ვისაც თურმე სურდა ქართულის მაგივრად მთელი რიგი საგნების სწავლება რუსულად წარმართულიყო და მათ სუსტი მოაზროვნეები უწოდა, იქვე ისიც აღნიშნა, რომ ამის არა თუ მიღება, განსახილველ საკითხად დასმაც კი არ შეიძლებოდა. მიუხედავად ამ პოზიციისა, კომისარმა ვრცლად ისაუბრა რუსული ენის სწავლების აუცილებლობაზე და დეტალურად განმარტა, რატომ იყო მნიშვნელოვანი და საჭირო ამ ენის დაუფლება. დ. კანდელაკი აღნიშნავდა: „რუსული ენის გაძლიერების აუცილებლობა სავსებით ცხადია და მნიშვნელოვანი ყველა ჩვენთვის არა მარტო ამ პრინციპის მოსაზრებით, რომ ჩვენ შევდივართ მთლიან საბჭოთა კავშირში და რომ რუსული ენა წარმოადგენს ოქტომბრის რევოლუციის ენას, არამედ წმინდა საქმიანი მოსაზრებითაც, მთელი ჩვენი ინტელიგენციის და იმ ახალგაზრდობის არსებითი ინტერესებითაც, რომლებსაც ჩვენ ვამზადებთ. ყველაფერი ეს იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ აუცილებელია რუსული ენის გაძლიერება.

თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ჩვენი ქვეყანა იყო ერთგვარი წყარო, საიდანაც გამოდიოდნენ რუსული ენის მცოდნე ძალები მეზობელ გუბერნიებისთვის, ხოლო ეხლა რესპუბლიკებისთვის, სადაც ქართულ ინტელიგენციას შეეძლო თავისი ცოდნის გამოყენება. ჩვენ ქვეყანაში, უდავოა, იქნება კულტურულ-ინტელიგენტურ ძალების ერთგვარი სიჭარბე, და ამიტომ საკითხი ამ ინტელიგენციის ცოდნის გამოყენების შესაძლებლობისა არა მარტო ჩვენს, არამედ მეზობელ რესპუბლიკებშიც, წარმოადგენს სადღეისო, საჭირობო საკითხს. რუსული ენის სწავლება ამ თვალსაზრისით აბსოლიტურად აუცილებელია“ [„კომუნისტი“, 1927, N 45:3].

კომისრის აზრით, მეორე მიზეზი, რის გამოც აუცილებელი იყო რუსული ენის შესწავლა, უმაღლესი განათლება იყო. მისი განცახდებით: „პროფესორი იძულებულია ისაგებლოს რუსული წყაროებით, რომ შემდეგ ცოდნა გადასცეს ქართულ ენაზე, სტუდენტი ისმენს ლექციებს ქართულ ენაზე, სწავლობს რუსულზე და აბარებს ქართულზე. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ეს ძალიან რთული საკითხია, და შეიძლება წარმოიდგინოთ ასეთი მეცადინეობის ნაყოფი. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ უმაღლესი, სპეციალური განათლების საკითხი უნდა გადავწყვიტოთ იმ ხაზით, რომ სწავლა უნდა მიმდინარეობდეს რუსულ ენაზე დაწერილ სახელმძღვანელოების საშუალებით. საქმე ასე არ არის. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ენერგიულად, სახელმწიფო დახმარებით, მივიღოთ ზომები სახელმძღვანელოების გამოსაცემად ქართულ ენაზე ისეთი ანგარიშით, რომ შეგვეძლოს სპეციალური ცოდნის მიცემა სამშობლო ენაზე. ეჭვს გარეშეა, რომ უახლოეს წლებში სავსებით აუცილებელი გახდება რუსული ენა, რადგან ჩვენ მოკლე ხანში ვერ მოვახერხებთ წიგნის პროდუქციის საკმარაოდენობის გამოშვებას ქართულ ენაზე. ზოგიერთი ხალხი გადის საგნებს ყოველგვარი წყაროების გარეშე,

რადგან არა აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სათანადო ლიტერატურით რუსულ ენაზე. განსაკუთრებით ცუდათ არის ამ მხრივ საქმე უმაღლეს სკოლებში, შედარებით საშუალო სკოლებსა და სხვა საფეხურის სკოლებთან. ამიტომ რუსული ენის გაძლიერება იმდენად, რომ მოსწავლეს შეეძლოს სხვადასხვა ხელსაწყოებით, სახელმძღვანელოებით სარგებლობა ამა თუ იმ საგნის შესასწავლად, წარმოადგენს აბსოლიტურად აუცილებელ საჭიროებას. უმაღლესი განათლების საქმე ჩვენ უნდა დავაყენოთ სათანადო სიმაღლეზე, და ეს საკითხი ჩვენს წინაშე მწვავედ არის წამოჭრილი. რუსული ენის გაძლიერების საჭიროებას აღიარებს ჩვენი ქართული ინტელიგენციის მთელი, ასე ვთქვათ, მოწინავე პროგრესიული ნაწილი. რუსული ენის გაძლიერების საჭიროებას გვიკარნახებს პრაქტიკა და ამას გრძნობს არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ თვით ჩვენი მოსახლეობა. საჭიროა ზომების მიღება რუსული ენის გასაძლიერებლად“ [„კომუნისტი“, 1927, N 45:3].

დ. კანდელაკის ეს წინადადება ალოგიკური და წინააღმდეგობრივი იყო: სტუდენტებს ქართული ენა უეჭველად უნდა ვასწავლოთ, მაგრამ ქართულად წიგნების დასაბეჭდი თანხა არ გვაქვს და ამიტომ რუსული ენის სწავლება უნდა გავაძლიეროთო. სინამდვილეში გეგმავდნენ ნებისმიერი საბაბით ქართული ენის ამოგდებას ჯერ საუნივერსიტეტო სწავლებიდან, შემდეგ კი სასკოლო განათლების სისტემიდანაც. დ. კანდელაკის მიერ გახმოვანებული ეს გეგმა საბჭოური დემაგოგიის ტიპური გამოვლინება იყო.

დ. კანდელაკის ეს ინიციატივა შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. მსგავსი ინიციატივები შემდგომ პერიოდებშიც არაერთგზის წამოუყენებიათ ქართველ ფუნქციონერებსა და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც და მათ მოსკოველ დამკვეთებსაც. საბედნიეროდ, ეს გეგმა ვერ განხორციელდა, თუმცა შეტევები ქართული ენის წინააღმდეგ არ შეწყვეტილა.

დ. კანდელაკის ინიციატივა რომ იმდროინდელი ენობრივი პოლტიკის განუყოფელი ნაწილი იყო, ამას ადასტურებს იმავე 1927 წლის 30 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სახელმწიფო გამომცემლობის (სახელგამის) გამგის ბ. ბიბინიშვილის 1927 წლის მუშაობის ანგარიშიც. მისი ცნობით, სახელგამს განსაკუთრებული შეთანხმება ჰქონია დადებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ამის საფუძველზე გამოუცა უნივერსიტეტის მიერ დადასტურებული სახელმძღვანელოები - 10 დიდი წიგნი (გამოსაცემი იყო კიდევ ხუთი). ასეთივე ხელშეკრულება ჰქონდა სახელგამს ქართული დივიზიის შტაბთანაც, რომლის არჩევითაც გამოსცეს 33 პოპულარული წიგნი სამხედრო თემატიკის შესახებ (დაგეგმილი იყო კიდევ ამდენივეს დაბეჭდვა). 1927 წელს ცხრა თვის განმავლობაში სახელგამს სულ გამოუცია 222 სახელწოდების წიგნი 882.200 ტირაჟით. გარდა ამისა, სახელგამი გამოსცემდა შემდეგ ჟურნალებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე: „მნათობი“, „პროლეტარული მწერლობა“, „ახალგაზრდა ბოლშევიკი“, „ქართული მწერლობა“; საბავშვო ჟურნალებს: „ნაკადული“, „პიონერი“, „კარმირ-წილერ“ (სომხ.), „კიზილ-შეფეკ“ (თურქ.).

საყურადღებოა სახელგამის ხელმძღვანელის ცნობა რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობასთან თანამშრომლობის შესახებ: „სახელგამს სათანადო ხელშეკრულება აქვს დადებული რუსეთის სახელგამთან და სხვა გამომცემლობებთან, რაც საშუალებას გვაძლევს გავავრცელოთ რუსული წიგნი ისეთსავე პირობებში, როგორადაც საკუთარ გამომცემებს გავავრცელებთ. თბილისის ყველა ჩვენს მაღაზიებში უკვე არსებობს „რუსული წიგნის“ განყოფილება და ფართო მუშაობასაც აწარმოებს. თბილისის გარდა ასეთი განყოფილება არის ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბათუმში, სადაც სახელგამმა ჩაიბარა მთლიანად რუსეთის სახელგამის მაღაზია და ამ მხრით აჭარისტანის ყოველ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს“ [„კომუნისტი“, 1927, N :2].

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ქართული სახელგამი გამოსცემდა ქართულ, სომხურ და თათრულ ჟურნალებსა

და წიგნებს, მაგრამ ხელს უწყობდა რუსული წიგნების პოპულარიზაციასა და გაყიდვასაც.

ვფიქრობთ, ქართულ სახელგამს რეჟიმის დავალებით ხელი უნდა შეეწყოს რუსული წიგნების რეალიზაციისთვის. თბილისის მაღაზიებში რუსული წიგნების განყოფილებების დაარსება, რუსული წიგნების ისეთსავე პირობებში გავრცელება, როგორც ქართულისა, ბათუმში რუსეთის სახელგამის მაღაზიის გახსნა ნათლად ადასტურებს იმას, რომ ეს ყველაფერი რუსული ენის გავრცელების ხელშესაწყობად კეთდებოდა და პირდაპირ უკავშირდებოდა დ. კანდელაკის მოთხოვნას, საუნივერსიტეტო განათლებაში დანერგულიყო რუსული სახელმძღვანელოებითა და რუსულ ენაზე სწავლება, ხოლო მოსწავლეები დაეინტერესებინათ რუსული ენით. დ. კანდელაკისა და ბ. ბიბინიშვილის სტატიების ურთიერთკავშირს მათი შინაარსის გარდა ადასტურებს მათი თითქმის თანადროული გამოქვეყნება ერთსა და იმავე გაზეთში, რაც კამპანიურობის შთაბეჭდილებას ახდენს. 20-იან წლებში ქართულმა ენამ მაინც საგრძნობლად შეინარჩუნა თავისი პოზიციები - მიუხედავად რეჟიმის ძალისხმევისა, რუსული ვერ გახდა საქართველოს მოსახლეობის მასობრივად სასაუბრო ენა, ბუნებრივ გარემოში ამ ფუნქციას ისევ ქართული ენა ასრულებდა.

ფორმალურ განათლებაში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა საუნივერსიტეტო განათლებას, როგორც განათლების უმაღლეს საფეხურს. საქართველოში საკვლევ პერიოდში მოქმედებდა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით. ამ უნივერსიტეტში ქართულ ენაზე სწავლება დაარსების დღიდან სავალდებულო იყო ნებისმიერი ეროვნებისა და სამეცნიერო ცენზის ლექტორებისათვის, თუმცა, როგორც აღინიშნა, კომუნისტები ცდილობდნენ რუსულის გაბატონებას ქართულის ხარჯზე. საყურადღებოა, რომ საკვლევ პერიოდში თბილისში მოქმედებდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტიც. არქივში ინახება მეტად საინტერესო დოკუმენტები ამ უნივერსიტეტში არსებული ენობრივი ვითარების შესახებ,

რომლებიც საშუალებას იძლევიან, გავერკვეთ იმდროინდელ ტენდენციებში.

ერთ-ერთი ამგვარ საბუთთაგანია სახალხო განათლების კომისარიატის ფონდში დაცული ვუკოლ ბერიძის მიერ 1923 წელს დაწერილი წერილი, რომლითაც ის მიმართავს მარიამ ორახელაშვილისას და აცნობს მას ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში არსებულ ენობრივ ვითარებას. მეცნიერის მიმართვის ტექსტს კომენტარის გარეშე წარმოვადგენთ სრულად:

„ქართულმეტყველების, სომხურ, თურქულ საგნებს უნივერსიტეტის სასწავლო დისციპლინაში არავითარი დამოუკიდებელი ადგილი არა აქვთ დათმობილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სტუდენტებისთვის სავალდებულო «История Запада и России»-ს პროგრამაში ერთი სიტყვა «Восток» -ს, რომელიც, ცხადია, სიტყვადვე დარჩება, რადგან საზოგადო ისტორიის მოძღვარი მისი მასწავლებელი არასოდეს არც ყოფილა და ვერ იქნება.

ამგვარივე მდგომარეობაა ადგილობრივ ეთნოგრაფიაშიც, მაგრამ... რაღა საზოგადოებათა მეცნიერების საგნები... ენა, **ეროვნული ენა, მომავალ საბჭოთა მუშაკის ერთად ერთი საჭირო და აუცილებელი იარაღი ხალხთან ურთიერთობისა**, ისიც განდევნილია უნივერსიტეტის სასწავლო დისციპლინათაგან.

ამ მხრივ პირდაპირ დაუჯერებელი რამ მომხდარა. სასწავლო წლის გასვლისას, როდესაც ჩვენის მოსაზრებანი წარვადგინეთ თვითეულ საგნის შესახებ, უნივერსიტეტის გამგეობამ საჭიროდ და აუცილებლად დაინახა პროგრამაში **ეროვნულ ენათა** შეტანა, სათანადო სასწავლო გეგმა კიდევაც დაამტკიცა /დღესაც აღნიშნულია გეგმაში: **ენები/**. საზაფხულოდ მთელი რიგი სამუშაოთა ვანარმოეთ - სალიტერატურო მასალის სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა მიხედვით შერჩევის მხრივ და დღეს კი ყველაფერი ეს ზედმეტ ბარგადაა მიჩნეული.

ამ მხრივ აღსანიშნავია მოქ. **ნოვიკოვის** ახსნა-განმარტება ამხ. **ტაკოვის** საპასუხოდ, რომელმაც

წარმოდგენილ პროგრამათა დეფექტი აღნიშნა - ეროვნული ენები განდევნილიაო - **«ვინაიდან ყველა საგნის სწავლება აუცილებლად რუსულად უნდა იწარმოოს, საჭიროა ამ ენის ზედმინვენით ცოდნა, ამიტომ მისი გაკვეთილები გავაძლიეროთ ეროვნულ ენების ხარჯზე. უკანასკნელი ენები კი როგორც სავალდებულო, მხოლოდ მომავალ წლიდან შეიძლება შემოვიღოთ.** საგულისხმოა, რომ ამგვარივე დადგენილება შარშან პედაგოგიურ ფაკულტეტის შესახებაც /მეორე წელია არსებობს/ იყო გამოტანილი, მაგრამ **ეროვნულ ენებს არც წრეულს აქვს ადგილი.**

ერთი რითმე კი არის მოქ. ნოვიკოვის პოზიცია გაუგებარი, შარშან, როდესაც ეროვნულ სექტორებზე **რუსული ენის სუსტი ცოდნა აღინიშნა**, ჩვენ შეურყვევლად იგი **ეროვნულ საგნების შემცირებით გავაძლიერეთ** და ამას ერთადერთი იმით ვასაბუთებდით, რომ «ვინაიდან სექტორში ყველა საგანი ქართულად იკითხება და მაშასადამე სტუდენტებს საშუალება აქვთ ივარჯიშონ ამ ენაზე ყოველ გაკვეთილის დროს, შესაძლებელია, ენის, როგორც აგეთის გაკვეთილების არამც თუ შემცირება, მთლად მოხსნაც კი».

და გაუგებარია, რით აიხსნება, რომ ერთგვარი მიზეზი /ყველა საგნის განსაზღვრულ ენაზე სწავლება/ აუცილებლად ეროვნულ ენების საზარალოდაა მიმართული.

ამავე დროს, თუ მივიღებთ მხედველობაში უნივერსიტეტში შემოსულთა სისუსტეს **სამშობლო ენის ცოდნაში** /საკმაოა, გადაათვალიეროთ მათი უბრალო საგანზე ნაწერები, რომ სავსებით დარწმუნდეთ ამაში/, აგრეთვე არ უგულებელვყოფთ უნივერსიტეტის მიზანს - მოამზადოს პარტიული და საბჭოთა პასუხისმგებელი მუშაკები, რომელნიც მომავალ ცხოვრების ნამდვილი საჭემპყრობელნი უნდა შეიქმნენ, თავის ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებით, - ცხადზე უცხადესი იქნება, რომ არამც თუ ენის, როგორც ასეთის, აუცილებელი სწავლება, თვით სოციალურ-პოლიტიკურ და სხვ. საგნების შეთვისებაც კი ყოველ მიზეზ გარეშე **სამშობლო ენაზე** უნდა წარმოებდეს.

ესაა ჩემი რწმენა, მთელი საღი პედაგოგიურ არსების ნაკარნახევი, ამასვე ამბობს განურჩევლად ყველა სტუდენტი, რომელიც არაჩვეულებრივ დაჩაგრულობას გრძნობს და იტანჯება მხოლოდ იმიტომ, რომ საგანი იცის, სურვილი აქვს შეისწავლოს, მაგრამ ვერ დაუძლევია რუსული ენის უცოდინარობის გამო.

ერთად ერთი კომპრომისი, რომელიც გამგეობას მიუღია მოქ. ნოვიკოვის განმარტების შემდეგ, ესაა:

შეივსოს რუსული სიტყვიერების პროგრამები ადგილობრივი ლიტერატურის მასალებით.

მე შევასრულე რუსული ენის მასწავლებელთა სურვილი: თვითეულს მათ მიერ წარმოდგენილ ციკლს სათანადო ქართული ნიმუში დავურთე და ამიერიდან რუსულის მასწავლებელი, რომელმაც არამც თუ ქართული ლიტერატურა, ანბანიც არ იცის და არც უნდა იცოდეს, როდესაც იგი სტუდენტებს, მაგ. ბატონყმურ მეურნეობის ანარეკლს გააცნობს რუსულ ლიტერატურიდან, თანვე დასძენს «Т.к. нечто подобное у вашего Чавчавадзе тоже имеется, не мешало - ны прочесть» [„რაკი რაღაც მსგავსი თქვენს ჭავჭავაძესაც აქვს, ზედმეტი არ იქნებოდა მისი წაკითხვა“ - ს.ჭ.]. ამაზე მეტს დღევანდელს პირობებში ვერც ერთი რუსულის მასწავლებელი ვერ იზამს და, ცხადია, მას არავითარი კავშირი არ ექნება არამცთუ ენასთან /ეს უდავოა/, არც ქართულ საზოგადოებრივ აზრის განვითარების მკრთალ სურათთანაც კი. მე მხედველობაში არა მაქვს საკითხის პოლიტიკური მხარე - უპასუხისმგებლო კრიტიკანთა სადერდლის ამშლელი - ის გარემოება, მაგ., რომ მაღალ სკოლაში ეროვნული ენები ასე დაჩაგრული თვით ცნობილ ტფილისის ქალთა კურსებზედაც არ ყოფილა, არა, მე ვლავარაკობ მხოლოდ როგორც პედაგოგი.

1. კომუნისტურ უნივერსიტეტში მომსვლელი განსაკუთრებით მუშა-გლეხია, რომელსაც არავითარი საშუალება არ ჰქონდა თავის დროზე მიეღო „ოფიციალური განათლება“ და ყოველ შემთხვევაში რუსულში «ენა გაეტეხა». იგი მეტად სუს-

ტია ზოგადი, განათლების საგნებში, მოკლებულია აზროვნების უნარს თავის ენაზედაც როგორც ზეპირად, ისე განსაკუთრებით წერილობით.

2. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ორგზის /შარშან და წრეულს/ წარმოებული გამოცდები და მეცადინეობა;

3. უნივერსიტეტში კურსდამთავრებული კვალად სოფელს უნდა დაუბრუნდეს და **საბჭოთა მშენებლობისას მისი ხალხთან ურთიერთობის იარაღი უწინარეს ყოვლისა სამშობლო ენა იქნება, რომელსაც იგი დღევანდელ პირობებში ვერ სწავლობს.**

ყველაფერი ზემოთქმული, ვფიქრობ, საკმაო საბუთია იმისა, რომ ა/კ კომუნისტურ უნივერსიტეტის სასწავლო გეგმას სათანადო ყურადღება მიექცეს“ [სეა, ფ. 300, ან. 2. 1923, N 59:23-25].

იმას, რომ დასახელებული უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა ციტირებული წერილის დაწერიდან 5 წლის შემდეგაც კი არ იცოდნენ რუსული ენა და უჭირდათ ამ ენაზე სწავლა, ადასტურებს სხვა დოკუმენტი, რომელიც შექმნილია 1929 წლის 5 ოქტომბერს. პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების დარგის II კურსის სტუდენტებმა შემდეგი განცხადებით მიმართეს ამავე ფაკულტეტის დეკანს:

„მოგახსენებთ, რომ ჩვენ, სიტყვიერების დარგის მეორე კურსის სტუდენტებმა ჩავაბარეთ სავალდებულო მინიმუმი გარდა რუსული ენისა, რომლის ჩაბარება ჩვენ ამაჟამად ვერ შევსძელით, რადგან ხელს გვიშლიდა სხვადასხვა პირობები, რომელთა შორის აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ როგორც პროვინციიდან ჩამოსულნი, რუსული ენის ასე თუ ისე უცოდინარი ვართ. გარდა ამისა, არ გვინცობდა ხელს ეკონომიური საშუალებანი, რომ სისტემატიურად გვევლო ლექციებზე, რომ ამით შეგვევსო ჩვენი დანაკლისი.

ეხლა, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გთხოვთ მოგვცეთ საშუალება მესამე კურსზედ გადასვლისა (პირობითი ნიშნის დაწერის ქვეშ), და ერთი სემესტრის მოსმენისა. რომლის [სემესტრის] განმავლობაში, ჩვენ ვიძლევიტ პირობას, რომ

შევავსებთ ჩვენს დანაკლის[ს] და მის დასრულებისას ჩავაბარებთ კიდეც რუსულ ენას. წინააღმდეგ შემთხვევაში /თუ სემესტრის დასრულებისას, ვერ ჩავაბარებთ ზემოაღნიშნულ ენას/, კანონიერათ ჩავთვლით, რომ ვიქნეთ დატოვებული მეორე კურსზედ.

განმცხადებელნი: მიხეილი კუჭუხიძე, გძელიშვილი კონსტანტინე, კორძახია რაფაელი, კუბლაშვილი გაბრიელი, კენჭოშვილი აკაკი, კახიანი კონსტანტინე, კოკელაშვილი მიხეილ, ჯაფარიძე ალექსი, ათანელიშვილი გიორგი, ვაშალომიძე, არჩილ ძმანაშვილი“ [სეა, ფ. 471, ან. 1, 1926-1929, N 195:112].

4.2. ენობრივი პოლიტიკა არაფორმალური განათლების სისტემაში. საბჭოთა კავშირში იმთავითვე შეიქმნა უამრავი ორგანიზაცია, საზოგადოება და კურსები, რომლებიც მიზნად ისახავდა საბჭოთა იდეოლოგიის მასობრივ დანერგვას მოსახლეობის უმრავლესობაში, რასაც უნდა შეექმნა კომუნისტური რეჟიმის ხელუხლებლობისა და ხანგრძლივობის გარანტია. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში რეჟიმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო არა მარტო სკოლების მასობრივად გახსნასა და რეფორმირებას, არამედ უკლებლივ ყველა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში, ერთი მხრივ, წერა-კითხვის უცოდინრობის სრულ ლიკვიდაციას და, მეორე მხრივ, კომუნისტური იდეოლოგიის ასევე მასობრივად დანერგვას. ყველა ამ აქციას თან ახლდა ენობრივი ასპექტები, რომლებსაც განვიხილავთ აფხაზეთის სსრ-ს ვითარების ამსახველი დოკუმენტის მაგალითზე.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927, N 640:130]. დაცულია რუსულენოვანი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია აფხაზეთში 1925-1927 წლების კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის მუშაობა. დოკუმენტის ბოლოს, 137-ე გვერდზე მიწერილია, რომ ეს საბუთი შეუდგენიათ 1927 წლის 14 ოქტომბრის მიმართვის პასუხად.

აღნიშნული საარქივო მასალის სათაურია „აფხაზეთი“, რომელიც შემდეგი ორი ქვეთავისაგან შედგება:

„წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია“ და „საბჭოთა პარტიული სკოლები“. დოკუმენტის ავტორს წარმოდგენილი აქვს ცნობები აღნიშნული ორგანიზაციების ეროვნული და ენობრივი ნიშნით დაყოფის შესახებ. შესავალ ნაწილში განმარტებულია ის მთავარი მიზეზები, რამაც განაპირობა ამ ორი ტიპის სტრუქტურის ჩამოყალიბება, კერძოდ: „ქვეყნის სამეურნეო ზრდით გამოწვეულმა აფხაზეთის გლეხობის მიერ პოლიტიკური აქტიურობის გამოჩენამ და გადამჭრელმა გადაწყვეტამ ლოზუნგისა „სახით სოფლისაქენ“ მთავარპოლიტიკანის⁵ წინაშე წამოჭრა განუხრელი ამოცანა ქალაქისა და სოფლის მოზრდილი მოსახლეობის პოლიტიკური და კულტურული განვითარების ტემპის გაძლიერებისა.

სოფლის დაბალი დონე (18-დან 40 წლამდე ასაკის მოსახლეობის 80,9% წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობა), მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე, მძიმე და ბნელი ყოფა, მოსახლეობის სიმეჩხრე ([დასახლების] ხუტორული ტიპი), მძიმე უგზობობა, სოფელში კულტურული ძალების არარსებობა და მუშაობისათვის მინიმალურად საკმარისი კრედიტების არარსებობა და ბოლოს, ქართულ და სომხურ ენებზე ეროვნული ლიტერატურის მწვავე უკმარისობა და აფხაზურ და ბერძნულ ენებზე მისი სრული უქონლობა წარმოადგენდა გადაუღალახავ დაბრკოლებას ადგილებზე პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის ორგანიზებისათვის. ხოლო შესაბამისი შენობების, ყველაზე აუცილებელი ინვენტარისა და საჭირო კვალიფიკაციის პოლიტიკანათლების არარსებობა კიდევ უფრო ართულებდა ამ ამოცანას“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:130].

სხვადასხვა საარქივო მასალების არაერთი ავტორი ხაზგასით აღნიშნავს, რომ განათლების სისტემაში სირთულეს ქმნიდა აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე, კულტურული ძალებისა და ეროვნული ლიტერატურის არარსებობა ან ნაკლებობა. წარმოდგენილ დოკუმენტშიც

5. მთავარპოლიტიკანი - პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო.

მსგავსი მიზეზის დასახელების გარდა, აღნიშნულია, რომ აფხაზეთში ქართული და სომხური ლიტერატურის მწვავე უკმარისობა იყო, ხოლო აფხაზური და ბერძნული ლიტერატურა საერთოდ არ არსებობდა. ასევე დოკუმენტებში ხშირად მითითებულია ის ფაქტი, რომ საჭირო სხვადასხვაენოვანი წიგნები და სახელმძღვანელოები სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ, თუმცა პრობლემის აღმოსაფხვრელად ლონიძეების განხორციელების ნაცვლად, იქმნებოდა ისეთი ორგანოები, როგორებიცაა ლიკბეზე^{ბი} და საბჭოთა პარტიული სკოლები. ცხადია, ამას ნაკლები ბიუჯეტი სჭირდებოდა და გარდა ამისა, ამ სკოლების ფუნქცია პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია იყო.

საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ლიკბეზების ჩამოყალიბება 1924-25 წლებიდან იწყება. 1926-27 წლებში აფხაზეთში ეროვნული ნიშნის მიხედვით სულ 131 ლიკპუნქტი და მცირედმცოდნეთა სკოლა არსებობდა. მათგან ყველაზე მეტი იყო ქართული ლიკპუნქტი (55), შემდეგ აფხაზური (36) და სომხური (21), ხოლო ყველაზე ცოტა ბერძნული (10) და რუსული (9). ლიკვიდაციის სკოლა 1925-26 წლებში გაიარა 3.930 კაცმა, მათ შორის: ქართველი იყო 1.650, აფხაზი - 1.080, სომეხი - 630, ბერძენი - 300, რუსები - 270.

ლიკპუნქტები						მცირედმცოდნეთა სკოლები					
აფხ.	ქართ.	სომხ.	ბერძ.	რუს.	სულ	აფხ.	ქართ.	სომხ.	ბერძ.	რუს.	სულ
29	45	17	9	4	104	7	10	4	1	5	27

ამ პუნქტებში ცოდნა მიიღეს:

ლიკპუნქტები						მცირედმცოდნეთა სკოლები					
აფხ.	ქართ.	სომხ.	ბერძ.	რუს.	სულ	აფხ.	ქართ.	სომხ.	ბერძ.	რუს.	სულ
870	1350	510	270	120	3120	210	300	120	30	150	810

1926-27 წელს ეროვნული ნიშნის მიხედვით მაზრებში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის სკოლები შემდეგნაირად ნაწილდება:

მაზრები	ლიკპუნქტები						მცირედმცოდნეთა სკოლები					
	აფხ	ქარი	სომხ	ბერძ	რუს	სულ	აფხ	ქარი	სომხ	ბერძ	რუს	სულ
სოხუმის	2	8	5	7	2	24	1	2	2	-	1	6
კოდორის	15	1	1	-	-	17	3	1	-	-	-	4
გალის	3	19	-	-	-	22	1	9	-	-	-	10
გუდაუთის	10	-	2	-	3	15	-	-	2	-	5	7
გაგრის	1	3	-	-	3	7	-	-	2	-	-	2
ქ. სოხუმში	-	1	-	-	1	2	-	-	-	-	3	3
ჯამი	31	32	8	7	9	87	5	13	6	-	9	32

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:131-132].

წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის სკოლები ყველაზე მეტი იყო სოხუმისა და გალის მაზრებში, ყველაზე ნაკლები - ქ. სოხუმში, ვინაიდან ამ უკანასკნელში ისედაც ფუნქციონირებდა სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი.

დოკუმენტის ამ ქვეთავის ბოლო აბზაცში აღნიშნულია, რომ ლიკპუნქტები და მცირედმცოდნეთა სკოლები არ არსებობდა თვითმპყრობელობისა და მენშევიკური მთავრობის დროს და რომ ამ ტიპის სკოლები საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნილი მუშაობის ახალი სახეობა იყო. მიხედვად ზემოთაღნიშნული დაბრკოლებებისა, მნიშვნელოვანი იყო ვ. ლენინის ანდერძის შესრულება. ავტორის თქმით: „თუ გავითვალისწინებთ **აფხაზეთში ეროვნულ ენებზე მომზადებული მასწავლებელ-ლიკვიდატორთა უყოლობას** და ზემოთ აღნიშნული ობიექტური პირობების არსებობას, რაც სკოლებში მეცადინეობების მიმდინარეობას არანორმალურად აქცევს, ცხადი ხდება წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის ორგანიზებისა და ლიკვიდაციის სკოლების არსებობისათვის საჭირო მუშაობის მთელი სირთულე...

წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ ვ. ლე-

ნინის ანდერძის რაც შეიძლება ინტენსიურად შესრულებისათვის, ქვეყნის კულტურული და სამეურნეო აღმავლობისათვის, მასებში კომუნიზმის იდეების დასანერგად და მოსახლეობის მასის მსოფლიო პროლეტარულ კულტურასთან საზიარებლად აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, სალიკვიდაციო სკოლების ასიგნების გაზრდა და ნაწილობრივ (მთლიანად თუ არა) ზემოთ აღნიშნული პირობებისა, რომლებიც ამუხრუჭებენ სალიკვიდაციო სამუშაოებს“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:132].

როგორც ვხედავთ, ზემოთჩამოთვლილი არაერთი მიზეზის გამო არანორმალურ პირობებში მიმდინარეობდა ლიკვიდაციის და მცირედმცოდნეთა სკოლებში სასწავლო პროცესი, თუმცა ავტორი ამ ყველაფერს ობიექტურ მიზეზებს უწოდებს. ამ ვითომ საგანმანათლებლო ორგანოების უპირველესი მიზანი ამავე დოკუმენტშიც დაუფარავად არის განმარტებული, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები, სინამდვილეში, კომუნისტური პოლიტიკური იდეოლოგიის პროპაგანდისთვის იქმნებოდა. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა საარქივო მასალაში აღნიშნული ფაქტები და შეფასებები, კერძოდ:

1. ხაზგასმა აფხაზეთის ეთნიკური მრავალფეროვნებისა და ამის ერთ-ერთ პრობლემად წარმოჩენა;
2. სხვადასხვაენოვანი ლიტერატურის სიმწირე ან სრული უქონლობა;
3. სხვადასხვაენოვანი მასწავლებლების არარსებობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილ დოკუმენტში ავტორი გვაცნობს სტატისტიკურ მონაცემებს ეროვნული ნიშნით ლიკვიდაციის განაწილების შესახებ და ასევე ეთნიკური ნიშნით მათი მსმენელების რაოდენობას. ცხადია, რომ ეს ციფრები ფორმალობისთვის იყო დაფიქსირებული, ვინაიდან თავად ავტორი აღნიშნავს, რომ არ არსებობდნენ შესაბამისი კადრები და არ ჰქონდათ წიგნები.

ასეთ პირობებში საკითხავია, აგიტაციისთვის რომელ ენებს იყენებდნენ ძირითადად - ქართულს, აფხაზურს თუ რუსულს? ამ კითხვის სარწმუნო პასუხი საარქივო მასალის მეორე

ქვეთავშია მოცემული, რომელშიც აღნიშნულია, რომ სოხუმში არსებულ პირველი საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლაში, რომელსაც უკვე ოთხი გამოშვება ჰქონდა, „მსმენელთა ეროვნული შემადგენლობის ნარეგობის გამო მეცადინეობები... რუსულ ენაზე მიმდინარეობს„. დასახელებულ სკოლაში 1925-27 წელს 31 კაცი სწავლობდა: მამაკაცი - 27, ქალი - 4; აფხაზი - 21, ქართველი - 18, სვანი - 5, ბერძენი - 7, რუსი - 1, სომეხი - 6; პარტიის წევრი - 1, წევრობის კანდიდატი - 16, კომკავშირელი - 12, უპარტიო - 2; მუშა - 2, გლეხი -29 [სცა. ფ. 284, ან. 1, N 640:134]. აქ საყურადღებოა სვანის გამოყოფა ცალკე ეროვნებად, რაც ემთხვევა 1926 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებს, სადაც სვანი ასევე ცალკე ეროვნებად იყო გამოყოფილი. საბჭოთა პარტიული სკოლის მიზანი იყო სპეციალური მომზადებისა და საჭირო პოლიტიკური განვითარების მქონე კადრების მომზადება.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არაფორმალური განათლების ორგანოებიდან აფხაზეთში პირველად ქობ-სამკითხველოები შექმნილა 1922 წლის ბოლოს. ქობ-სამკითხველოები „... მოწოდებულია გლეხობის დასახმარებლად სოფლის მეურნეობის წარმოების უფრო კულტურული ფორმების გამოყენებაში, სოფლად საბჭოთა საზოგადოებრიობის დასანერგად“ [სცა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:135]. აქაც მთავარი მიზანი იყო მოსახლეობის შეგნებაში იდეოლოგიური გარდატეხა!

ახლა განვიხილოთ, თუ როგორი მუშაობა მიმდინარეობდა ბერძნული და გერმანული დიასპორებით დასახლებულ სოფლებში.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში (ფონდი 284, ანაწერი 1. საქალაქი: „საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. 13.9.1927 წ. – 28.4.1930 წ.“ ხელმოწერილია - 12/II.30 წ.) დაცულია დოკუმენტი სათაურით: „**მოხსენება ბერძენ და გერმანელ ნაცუმცირესობებს შორის პოლისატგანათლებლო მუშაობის შესახებ**„. მასში აღწერილია დასახელებული ეთნოსებისთვის შექმნილ ქობ-სამკითხველოებში, წერა-

კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო და მცირედმცოდნეთა სკოლებში არსებული ენობრივი სიტუაცია. მითითებულია, რომ ტფილისის ოლქში არსებობდა 2 გერმანული (ალბულაღის რაიონში - ასურეთისა, ლუქსემბურგის) და 7 ბერძნული ქოხ-სამკითხველო (ალბულაღის რაიონში - ირაგისა, წინწყაროსი; წალკის რაიონში - ავრანლოსი, ბარმაქსიზისა, ბემთაშენისა; ბაშკირეთის რაიონში - კაშკატაღისა; ბორჩალოს რაიონში - ოფრეთისა) [სცა. ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:50]. დოკუმენტში მითითებულია, რომ ავრანლოს, ბემთაშენის, ირაგის, წინწყაროს, კაშკატაღისა და ოფრეთის ბიბლიოთეკებში ყველა წიგნი რუსულია. გარდა ამისა, დეტალურად არის აღწერილი, თუ რა შინაარსისა და რა რაოდენობის წიგნები იყო განაწილებული ამ ბიბლიოთეკებში, კერძოდ: „ლუქსემბურგის ქოხ-სამკითხველოში სრულებით არ არის საბავშვო წიგნები გერმანულ ენაზე, რუსულად მხოლოდ 20 წიგნია. სამხედრო ლიტერატურაც ასევე არ არის გერმანულ და რუსულ ენებზე; გერმანულ ენაზე ანტირელიგიური ლიტერატურიდან არის მხოლოდ 2 წიგნი: „რელიგიის წარმოშობა“ და „ანტირელიგიური ბიბლია„. რუსულ ენაზეც ანტირელიგიური [ლიტერატურა] ძალზე ცოტაა - სულ 12 ბროშურა, ეს მაშინ, როცა გერმანელთა შორის ძალიან განვითარებულია სექტანტობა, არსებობს ბაპტისტებისა და ლუთერანების სექციები. სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა არსებობს, მაგრამ არ შეესაბამება ადგილობრივ პირობებს - ლუქსემბურგში მეურნეობის მთავარი დარგები მევენახეობა და მებოსტნეობაა, მიუხედავად ამისა, ამ საკითხებზე ლიტერატურა სრულებით არ არსებობს. არ არის ლიტერატურა არც კოოპერაციის საკითხებზე.

ასეთივე მდგომარეობაა ასურეთის გერმანულ და ბერძნულ ქოხ-სამკითხველოებშიც. ბერძნულ ქოხ-სამკითხველოებში წიგნები ცოტაა, არსებული წიგნები, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, არ შეესაბამება ადგილობრივ პირობებს. ანტირელიგიური, სამხედრო და საბავშვო ლიტერატურა ზოგ ქოხ-სამკითხველოში ცოტაა, სხვებში კი

სულ არ არის. 1930 წლიდან ქობ-სამკითხველოთა მომარაგება ხდება გეგმიური წესით - ცენტრალიზებულად. გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო გამომცემლობასთან [სახელგამი], რომელიც ტფილისის პოლიტგანათლების [სამმართველოს] მიერ შედგენილი სტანდარტის შესაბამისად ამარაგებს ქობ-სამკითხველოებს ლიტერატურით (გათვალისწინებულია რაიონების მხარეთმცოდნეობითი და სხვა თავისებურებანი). ყველა ქობ-სამკითხველო, როგორც გერმანული, ისე ბერძნული, მომარაგებულია ანტირელიგიური, პოლიტიკური, საბავშვო, სასოფლო-სამეურნეო სტანდარტის მიხედვით, აგრეთვე საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისადმი მიძღვნილი ლიტერატურით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:52].

მაშასადამე, დოკუმენტში რამდენჯერმე ხაგასმული წიგნების განაწილების სტანდარტი გულისხმობდა ლიტერატურის განაწილებას განსაზღვრული რაოდენობით, ძირითადად, რუსულ ენაზე: საბავშვო, ანტირელიგიური, სამხედრო, სასოფლო-სამეურნეო და პოლიტიკური. წარმოდგენილი დოკუმენტის კონკრეტულად ამ ნაწილის პირველ აბზაცში საყვედურია გამოთქმული, რომ ბიბლიოთეკები არ მარაგდებოდა შესაბამისი ენისა და რაოდენობის წიგნებით, მეორე აბზაცში კი დაბეჯითებით არის ნათქვამი, რომ წიგნები წინასწარ შემუშავებული სტანდარტის შესაბამისად ნაწილდებოდა.

საბუთში მითითებულია, რომ გაზეთებს ძირითადად კითხულობდა 15-20 კაცი და მათ ნახევარს გერმანელები შეადგენდნენ. სხვადასხვა ქობ-სამკითხველოში კითხულობდნენ შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: პარტიის ცკ-ს ნაცუმცირესობათა სექციის ორგანო „...ნაია გაზეთა“ (გაზეთის სახელწოდების პირველი სიტყვა არ იკითხება - ს. ჟ.), უკრაინის ცკ-ს გამოცემა „დას ნოიე დორფ“, უკრაინის კომკავშირის ორგანო „დი ზაატ“, გერმანიის კომპარტიის ორგანო „მუშათა ილუსტრირებული გაზეთი“, „ზარია ვოსტოკა“, „რაბოჩაია პრავდა“, „კრესტიანსკაია გაზეთა“, „მოსკოვსკაია პრავდა“; ჟურნალები: „უჩის სამ“, „ნოვაია

დერევნია“, „კრესტიანკა“, „ბეზბოჟნიკ“, „ტარტაროსი“ და „კოლექტივისტი“ („Коллективист“). 8 გაზეთიდან 3 - გერმანული იყო, 5 - რუსული, ხოლო 6 ჟურნალიდან ექვსივე - რუსული. აქაც მითითებულია, რომ ჟურნალ-გაზეთები არ იყო კოოპერაციისა და ანტირელიგიურ საკითხებზე.

„არსებობს შემდეგი წრეები: გუნდი, წრე, დრამატული წრე, ოსოავიაქიმის [სამოქალაქო თავდაცვის] წრე, პოლიტიკური განათლების წრე. უღმერთოთა წრე არსად არსებობს, არც გერმანულ და არც ბერძნულ ქობ-სამკითხველოებთან, ასევე არ არის სასოფლო-სამეურნეო წრე, რადგან არ არსებობენ ხელმძღვანელები. დრამწრის დახმარებით იმართება სპექტაკლები თვეში, ზოგჯერ ორ თვეში ერთხელ. სპექტაკლების დადგმას დიდ დაბრკოლებას უქმნის პიესების უქონლობა. სოფლის თეატრებისათვის არამცთუ ნაცუმცირესობათა ენებზე, არამედ რუსულადაც სპექტაკლები იმართება თავლებში, გარდა ლუქსემბურგისა, სადაც არსებობს კლუბი. რადიო არის როგორც ბერძნულ, ისე გერმანულ ქობ-სამკითხველოებში, გარდა წინწყაროსა და ავრანლოსი. მაგრამ ბევრ ქობში რადიო არ მუშაობს ბატარეების უქონლობის გამო, გარდა ამისა, იზბაჩებმა⁶ არ იციან რადიოსთან მოპყრობა და ხშირად აფუჭებენ მას. ტფილისის ოლქში 8 მოძრავი კინო არსებობს (ცეკავშირს 2 მოეპოვება). ირჩევა იდეოლოგიურად შემოწმებული [კინო]სურათები. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის დაიგზავნა სურათები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შესახებ: „ძველი და ახალი“, „ღრუბლების თავშესაფარი“, „ორი ძალა“ და „მინის ძახილი“. მცირედმცოდნეთა სკოლებში სულ 85 გერმანელი და 2.772 ბერძენი მსმენელია. წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო და მცირედმცოდნეთა ბერძნულ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზეა, ხოლო გერმანულში - გერმანულ ენაზე“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:55-57].

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში

6. იზბაჩი - რუს. ქობ-სამკითხველოს გამგე, ან აქტივისტი.

მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებზე პოლიტიკური ზეგავლენისთვის შექმნილი იყო შემდეგი ორგანოები: გუნდი, წრე, დრამატული წრე, ოსოავიაქ^{მის} წრე, პოლიტიკური განათლების წრე, უღმერთოთა წრე, სასოფლო-სამეურნეო წრე, კლუბი, თეატრი, კინო, ქოხ-სამკითხველოები, მცირედმცოდნეთა და წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები. თითოეულ ამ სტრუქტურაში წინასწარგანსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად იგზავნებოდა კონკრეტული შინაარსის წიგნები და მათ შორის, ძირითადად, რუსულენოვანი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ენაზე და აგრეთვე, რუსულ ენაზე იდგმებოდა სპექტაკლები, კინოში აჩვენებდნენ ცენზურაგავლილ იდეოლოგიურ ფილმებს, მცირედმცოდნეთა ბერძნულ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო გერმანულში - გერმანულად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები ამა თუ იმ ეროვნების ადამიანებისთვის შექმნილი ზემოაღნიშნული ობიექტები პოლიტიკური პროპაგანდისა და რუსული ენის გავრცელებისა და დამკვიდრების საშუალება იყო

თავი მესამე.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და ტერმინთშემოქმედების პრობლემები

საქართველოს ეროვნული არქივში დაცული მასალების მიხედვით [სცა, ფ. 300, ან. 3], ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს მოქმედებდა სასწავლო კომიტეტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ქართული ტერმინოლოგიის შედგენა-დამკვიდრებაზეც ზრუნავდა. ამ კომიტეტს მუშაობა განუახლებია საბჭოთა პერიოდში განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სახელწოდებით. განახლებული საბჭოს პირველი სხდომა გახსნა განათლების სახალხო კომისარმა დ. კანდელაკმა, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას მიმართა შემდეგი სიტყვებით:

„სამეცნიერო საბჭო იქმნება იმ მიზნით, რომ მან ხელი შეუწყოს განათლების კომისარიატს, განამტკიცოს, მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს სწავლა-აღზრდის საკითხი და საქმე საქართველოში. როგორც სახალხო კომისარიატი, ისე მთავრობაც ფართო ასპარეზს უთმობს საბჭოს ნაყოფიერ მუშაობისათვის. მის კომპეტენციაში შედის სახალხო განათლების კომისარიატის მოქმედების თითქმის ყველა ძირითადი საკითხები, რომელთა მსჯელობის და გადაწყვეტის დროს იგი უნდა შეიქმნეს არა მარტო სათათბირო ორგანოდ, არამედ აქტიურ მოქმედადაც. ასეთი საპასუხისმგებლო და რთული მუშაობის პროცესში შესაძლებელია შეიქმნას რაიმე გაუგებრობა ან იქნებ უთანხმოებაც საბჭოს და კომისარიატს შორის, მაგრამ გულწრფელი ურთიერთობა და სურვილი - ვემსახუროთ ჩვენ დიად საქმეს ჩვენი ახალი თაობის სწავლა აღზრდისას, ვიმედოვნებ ყოველთვის საშუალებას მოგვცემს დროზედ მოვსპოთ ყოველივე გაუგებრობა და უთანხმოება. აი, ამ ღრმა რწმენით და სრული იმედით ნება მიბოძეთ გავათავო ჩემი მოკლე სიტყვა და მოგიწოდოთ ნაყოფიერ მუშაობისთვის“.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ივ. ჯავახიშვილი, მდივნად - მ. ზანდუკელი, ხოლო საბჭოს წევრები (მ. თაქთაქიშვილი, გედევანიშვილი, გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი, ს. გორგაძე, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, მ. კონიაშვილი, ალ. ჟორჟოლიანი, დ. უზნაძე, გ. ჭუმბურიძე, ევ. ჭოლოშვილი, ილ. ყიფშიძე, აკ. შანიძე, მ. შალამბერიძე, ალ. წერეთელი, ს. კაკაბაძე, თ. კიკვაძე) სამ სექციაში გაერთიანდნენ:

1. სამეცნიერო-პოლიტიკური სექცია: გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, აკ. შანიძე;

2. სამეცნიერ-ტექნიკური სექცია: ა. დიდებულიძე, ა. ბენაშვილი, ვ. კაკაბაძე, ა. რაზმაძე, ნ. მგელაძე, მ. თაქთაქიშვილი, ე. ჭოლოშვილი;

3. სამეცნიერო-პედაგოგიური სექცია: გ. ნათაძე, ნ. ჩიგოგიძე, გ. კონიაშვილი, ე. ჭოლოშვილი, მ. კონიაშვილი, ს. გორგაძე, მ. ზანდუკელი, ა. შანიძე, ნ. მგელაძე, ა. რაზმაძე [სეა, ფ. 300, ან. 3, 1921, N 1].

სამეცნიერო საბჭოს იმავე წლის სხდომის #4 ოქმის მიხედვით, განისაზღვრა დასახელებული სექციების ფუნქციები: „პირველი სექცია არჩევს საერთო მეცნიერულ საკითხებს, მეცნიერულ საზოგადოებების, დანესებულებების და უმაღლეს სასწავლებლების გახსნის და დახურვის შესახებ. ტექნიკური სექცია იხილავს საერთო ტექნიკურ საკითხებს მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, ხოლო პედაგოგიური სექცია არჩევს წმინდა პედაგოგიურ საკითხებს და სახელმძღვანელოებს“.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი პირველ სხდომაზე განმარტავს სათათბიროს მიზანსა და ფუნქციას. იგი საუბრობს აქამდე არსებული სასწავლო კომიტეტის შესახებ, რომლის ფუნქციონირება ქვეყანაში არსებული ისტორიული პირობების გამო შეწყვეტილა და დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანიათ. კოლეგებისადმი მიმართვაში ივ. ჯავახიშვილი მოუწოდებს მეცნიერებს, რაც შეიძლება მალე შეარჩიონ და დაამკვიდრონ სამეცნიერო ტერმინები და სალიტერატურო ენის ფორმები: „თუ წარსულს გადავაავლებთ თვალს, აღვადგენთ იმ დაუმთავრებელ

მემკვიდრეობას, რომელიც დაგვიტოვა ყოფილმა სასწავლო კომიტეტმა, რომლის წევრებიც ჩვენ თითქმის ყველა ვიყავით და რომლის დამთავრებას გვაკისრებს ახალი წესდებაც. სახელდობრ, სამეცნიერო ტერმინოლოგიის და ქართულის საერთო ლიტერატურული ფორმების დამუშავებას, დავრწმუნდებით, რომ საქმე დიდი და საპასუხისმგებლო გვანევს და თუ ამას მაინც შევასრულებთ, ისიც დიდი სამსახური იქნება, მასაც დიდი მნიშვნელობა ექნება. თუ ამავე საკითხებს არ დავაყენებთ პირველ რიგში და არ დავამთავრებთ ამ მუშაობას ცუდს მდგომარეობაში დავტოვებთ როგორც დაბალ და საშუალო სასწავლებლებს ისე უმაღლესაც. უნდა მოისპოს ის საშინელი ენათა აღრევა, რომელიც არსებობს დღეს. აი, უპირველესი და უახლესი მიზანი ჩვენი მუშაობისა [სცა, ფ. 300, ან. 3, 1921, N 1].

სამეცნიერო საბჭოს 1921 წლის 15 მარტის სხდომის #41 ოქმის მიხედვით, ივ. ჯავახიშვილი ისევ უბრუნდება სასწავლო კომიტეტის დანიშნულებაზე საუბარს შემდეგი სიტყვებით: „სასწავლო კომიტეტი შეწყვეტილი იყო ჩვენი სამშობლოს მძიმე ისტორიული პირობებით. თანამედროვე მდგომარეობა ყოველ ჩვენგანს, ყოველ ჩვენს დაწესებულებას უკარნახებს მაინც გაორკეცებული ენერგიით განაახლოს და განაგრძოს შეწყვეტილი მუშაობა. სამშობლო ერის ბედნიერებისა და კულტურის განმტკიცებისთვის. სასწავლო კომიტეტი მოვალეა განაახლოს ამგვარადვე თავისი მუშაობა. მას დაკისრებული ჰქონდა სამი უმთავრესი საკითხის მოგვარება:

- ა) ტერმინოლოგიის შემუშავება;
- ბ) სალიტერატურო ენის საერთო ფორმის გამომუშავება და მათი დაკანონება;
- გ) სამწერლობო შრომათა გაცხრილვა და საუკეთესოს დაჯილდოვება.

ამ სამი მუშაობის გაძლოლა საკმარისი სამუშაო იქნება. ასეთი მუშაობა კომიტეტის უნდა გაგრძელდეს, სანამდის იგი ოფიციალურად გაუქმებული არ იქნება. ჩვენ შეგვიძლია დღეს ვიქონიოთ მსჯელობა იმაზე, თუ რომელია ამ საკითხთაგან

უფრო საჩქარო და ყურადსაღები. ჩემის აზრით, სამივე ერთობ და ერთნაირად საჩქაროა და საჭირო. ამისათვის გეგმა მიუშაობისა დარჩება ძველი“.

ივ. ჯავახიშვილის მსგავსად ზემოთდასახელებულ „საჩქარო და ყურადსაღებ საქმეებს“ ეხმიანება სოლ. ქურდიანი, რომელმაც იმავე 1921 წლის 22 დეკემბრის (ოქმი #8) სხდომაზე «აღძრა საკითხი, საბჭო დაუბრუნდეს ტერმინოლოგიის განხილვას, ვინაიდან ყალბი ტერმინებით სავსე სახელმძღვანელოები იბეჭდება და ამით ენაში ბატონდებიან ეს მიუღებელი ტერმინები» [სეა, ფ. 300, ან. 3, 1921, N 1:29].

ამავე ოქმში ა. შანიძე და პ. დიდებულიძე აღნიშნავენ, რომ იმ დროისათვის მეცნიერული წიგნებისა და გამოკვლევების ბეჭდვა შეფერხებულია, ამიტომ მოითხოვენ სამეცნიერო საბჭოს გადაეცეს სტამბა, რომელიც მოწყობილი იქნება ყოველი შრიფტითა და საჭირო იარაღებით. თუმცა საბჭოს თავმჯდომარის თქმით, საბჭოსთვის სტამბის გადაცემა ვერ მოხერხდებოდა.

სამეცნიერო საბჭოს 1921 წლის სხდომათა ოქმები გვაძლევს საშუალებას, გავეცნოთ იმ მეტად საინტერესო მასალას, რომლებშიც აღწერილია მეცნიერთა მსჯელობები ზემოთდასახელებულ საკითხთა შესახებ. შემონახულია არაერთი რეცენზია და მეცნიერული დასკვნა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო თუ სალიტერატურო ენის ფორმათა ნორმად შემოღების შესახებ.

1923 წელს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. ივ. ჯავახიშვილი განათლების სახალხო კომისრისადმი გაგზავნილ წერილში აღწერს 1918 წლიდან 1923 წლამდე საქართველოში ტერმინოლოგიის შემუშავების ეტაპებსა და მათი დამკვიდრების პრინციპებს. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ცნობით:

„ჯერ კიდევ 1918 წელში, როდესაც დაწესებულებათა გაეროვნულება დაიწყო და მასწავლებელთა საზაფხულო კურსები მოეწყო ტფილისში მასწავლებელთა ყველა საგნების ქართულად სწავლებისათვის მოსამზადებლად, მაშინ შესდგა

ყოველ დარგისთვის მასწავლებელთა კომისიები, რომელთაც მასალები ჰქონდა მოწოდებული ტერმინების შესამუშავებლად. ამ კომისიებმა შეადგინეს კიდეც ერთგვარ შეთანხმებებზე დამყარებული ტერმინოლოგია, რომელსაც დროებითი ხასიათი ჰქონდა, სანამ საქართველოს სათანადო დაწესებულება ყველასათვის სავალდებულო საერთო ტერმინოლოგიას არ დააკანონებდა. ამის შემდეგ მალე თანდათანობით სხვა და სხვა საგნებისთვის სახელმძღვანელოც იქმნა სხვა და სხვა პირთაგან შედგენილი და გამოიცა კიდეც. ამ სახელმძღვანელოებში ტერმინოლოგიის ერთგვარობა დაცული არ იყო და ამის გამო ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, სხვა და სხვა სასწავლებელში, ზოგჯერ ერთი და იმავე სასწავლებლების სხვა და სხვა კლასების მონაწევრებს სახელმძღვანელოების და მასწავლებლების და მიხედვით ზოგიერთ ტერმინს სულ სხვა და სხვა ნაირად ხმარობდნენ» [სეა, ფ. 471, ან. 1, 1923, N 123:3].

მასწავლებელთა კომისიების მიერ შედგენილი დროებითი ტერმინოლოგია, ცხადია, ვერ იქნებოდა მაღალპროფესიული სტანდარტების შესაბამისი. მით უფრო, რომ ამას დაერთო სხვადასხვა პირების მიერ თვითნებურად შედგენილი სახელმძღვანელოები, რომლებშიც ტერმინები საერთო შეთანხმების გარეშე იყო გამოყენებული. საბოლოო ჯამში, ამ ფაქტებმა ენობრივი სიჭრელე გამოიწვიეს, ვინაიდან სხვადასხვა სასწავლებლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და სახელმძღვანელოთა ავტორები ერთსა და იმავე ტერმინს განსხვავებული მნიშვნელობებით იყენებდნენ.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი იქვე დასძენდა:

„1919 წელს შედგა ერთი ჯგუფი, რომელმაც ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულად შექმნა დაისახა მიზნად. ამ ჯგუფში უმთავრეს მონაწილეობას იღებდნენ და-ძმანი ნიკოლაძენი და ტექნიკოსები, რომელთაც თუმცა კეთილი განზრახვა ჰქონდათ, მაგრამ ქართული ენის ბუნების უცოდინარობის გამო ასეთი რთული და პასუხსაგები საქმისთვის სრულებით მოუმზადებელნი იყვნენ. თავიდან ეს ჯგუფი ყალბს შეხედულებას მიემხრო და მცდარს გზას დაადგა.

ჩეხურ-გერმანულ უკიდურეს ნაციონალისტურ მიმართულების მაგალითისამებრ მათაც გადასწყვიტეს ქართული ენიდგან სამეცნიერო ტერმინოლოგიის ყველა საერთაშორისო სიტყვების განდევნა და მათ მაგიერ უეჭველად ქართულად ნათარგმნი ან სრულებით ხელოვნურად მცდარად ნაწარმოები მოგონილი სიტყვები შემოეღოთ და გაეცვლენათ.

1920 წელს ამ ჯგუფმა დაბეჭდა კიდევ თავისი ნამუშევარი, რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი /„სიტყვარი„/, რომელიც თავიდგან ბოლომდის ამ მცდარსა და უკუღმართს საფუძველზეა დამყარებული. ამის წყალობით АЗОТ - აზოტის მაგიერ მათ შეთხზეს „ჰაისი“, Азо-грунт-ისთვის „ანყვირთო“, „ჰართო“, ანალიზის მაგიერ - „ალღევა“, სინთეზის მაგიერ - „ალკაზმა“, познание-სათვის ჩვეულებრივ მიღებული „შემეცნების“ მაგიერ მათ შეთხზეს არ არსებული და ქართულად არაფრის მნიშვნელი „გნობა“, ინდუქციის მაგიერ „ალგნობა“, პედოლოგიისათვის «ბავშვოგნობა», «ბუნებისმეტყველების მაგიერ «ბუნებგნობა», გეოლოგიისათვის «სივრცგნობა», ოპტიკისათვის «სხივთგნობა», ქიმიისათვის «ნივთგნობა», სპექტრისათვის «შიშუქი», კუბის მაგიერ «ნესვრცი», პირამიდის მაგიერ «ფერადო», ცილინდრის მაგიერ «გოდლი», ეკვატორისთვის «შუამპი», ელექტრონის მაგიერ «ელვისო» და მრავალი სხვა ამგვარი სრულებით უვარგისი და ქართულის არაფრის მეტყველის სიტყვებით არის სავსე ეს ლექსიკონი. ამ ტერმინების დასწავლა უეჭველია უფრო ძნელი იქნება, ვიდრე უკვე არსებული საერთაშორისო. ამ ლექსიკონის შემდგენელთ დავიწყებით, რომ ჩეხიაში და გერმანიაში ჯერ ერთი ტერმინების გადმომთარგმნელნი თავიანთი ენის ბუნების მცოდნენი იყვნენ და დედა ენას არ ამახინჯებდნენ და მეორეც ის, გერმანელები ასი წლის განმავლობაში სცდილობდნენ ამის განხორციელებას თანდათანობით. მათ კი სრულებით მოუშზადებლებს ამის გაკეთება ერთბაშადა სურთ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსიკონმა ქართულ ენას და სამეცნიერო მწერლობას უფრო მეტი ვნება

და ზიანი მოუტანა, ვიდრე სარგებლობა და ისედაც რთული საქმე უფრო გააძნელა და აწენა» [სეა, ფ. 471, ან. 1, 1923, N 123:3].

შენიშვნა: დოკუმენტში ხსენებული და-ძმა ნიკოლაძეები იყვნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის შვილები: ქიმიკოსი, ქიმიის ტერმინოლოგიის ერთ-ერთი შემდგენელი, პროფ. რუსუდან ნიკოლაძე (1884-1981 წწ.) და მათემატიკოსი, მეტალურგი, სპორტისა და ალპინიზმის ორგანიზატორი გიორგი ნიკოლაძე (1888-1931 წწ.).

პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ამგვარ მდგომარეობაში დატოვება საბედისწერო იქნებოდა ჩვენი კულტურული ალორძინებისათვის. მისი ინფორმაციით, არსებული ვითარების გამოსწორება 1920 წელსვე სცადა სასწავლო კომიტეტმა, რომელმაც გადაწყვიტა მიეღო საერთოდ ყველასთვის სავალდებულო ტერმინოლოგია. ამისთვის კომიტეტის წევრებმა ერთმანეთს შეადარეს და შეაჯერეს სხვადასხვა სახელმძღვანელოებში გამოყენებული ტერმინები და შექმნეს საშუალო სასწავლებლების საერთო სამათემატიკო ტერმინოლოგია [სეა, ფ. 471, ან. 1, 1923, N 123:4].

როგორც ციტირებული დოკუმენტები გვიდასტურებენ, ივანე ჯავახიშვილი საბჭოს უმთავრეს მიზნად ქართული ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნა-დაკანონებასა და ტერმინოლოგიური სიჭრელის დაძლევას მიიჩნევდა. ეს იყო სტრატეგიული მიმართულება. მართლაც, აღნიშნულ პერიოდში პროფ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით სამეცნიერო საბჭოს მუშაობა აქტიურად და ნაყოფიერად მიმდინარეობდა. სამუშაო პროცესს წარმართავდნენ სხვადასხვა მიმართულების საგანგებო კომისიები, რომელთა მიერ დამუშავებული მასალები და რეკომენდაციები საბოლოოდ განიხილებოდა და მტკიცდებოდა სამეცნიერო საბჭოს მიერ.

1921 წელს აღნიშნული ორგანოს წევრებმა, ძირითადად, შეიმუშავეს ქართული სალიტერატურო ენისათვის მისაღები საერთო ფორმები; 1922 წლისთვის დაიწყეს მზადება ტექნიკური

ტერმინოლოგიის მისაღებად; 1922-1923 წლებში მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა ახალი ლექსიკური ერთეულების დამუშავების პრინციპები, 1923 წელს კი სამეცნიერო საბჭო ცალ-ცალკე განიხილავდა დარგობრივ და სამეცნიერო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს, ამასთანავე აკანონებდა კონკრეტულ საერთაშორისო თუ ახლადშექმნილ ქართულ ტერმინებს.

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს 1921 წლის სხდომების ოქმებში მოცემულია მსჯელობა საერთო სალიტერატურო ენაში დასამკვიდრებელი სწორი გრამატიკული ფორმების შერჩევისა და დაკანონების შესახებ. ყოველი საკითხის განხილვა რთული და შრომატევადი იყო, ვინაიდან საბჭოს წევრებს ჰქონდათ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებები, რის გამოც ხშირად ვერ ხერხდებოდა საერთო აზრის გამომუშავება. მიუხედავად ამისა, 1921 წელს სამეცნიერო საბჭომ ჩაატარა ათეულობით სხდომა, სადაც მწვავე კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შეაჯერეს ქართულ ენასა და მის დიალექტებში გავრცელებულ ფორმათაგან სალიტერატურო ენაში გამოსაყენებელი ტერმინები. მეცნიერები უმთავრესად დავობდნენ ტერმინოლოგიის შერჩევის პრინციპებზე, რომლებიც წინასწარ არ იყო შემუშავებული, ამიტომ სამუშაო პროცესის დროს იკვეთებოდა ამა თუ იმ ობტიმალური ფორმის მიღების საფუძველი. მაგალითად, 1921 წლის 1 თებერვლის სხდომის #38 ოქმში ვკითხულობთ:

„ბ. მ. კონიაშვილი ეკითხება კომისიას: რომელი ფორმა იხმარებოდა დღემდის, როგორ იხმარება ახლა და თუ ახალი ფორმა არ ეგუება ძველ ფორმას, რომელი მათგანი უნდა გავამეფოთ, რა პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ბ. ს. გორგაძე უპასუხებს, რომ კომისია ორ ფორმაში, ძველში და ახალში უპირატესობას აძლევდა ახალს, თუ ძველი მკვდარი, ან თითქმის მკვდარია და ახალი კი გავრცელებული“ [სეა, ფ. 300, ან. 3, 1923, N 1:20].

თითქმის ყველა მეცნიერი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მნიშვნელოვანი იყო, რაც შეიძლება სწრაფად შეერჩიათ ქართული ენისათვის მისაღები ლექსიკური ვარიანტები. ხშირ შემთხვევაში სამეცნიერო საბჭოს წევრები რამდენჯერმე

უბრუნდებოდნენ ერთი და იმავე სადავო საკითხის განხილვას. გთავაზობთ მეცნიერთა მიერ დისკუსიების დროს გამოთქმულ იმ არგუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც სახელდებოდა ტერმინების შერჩევა-დამტკიცების დროს:

- „ეს ფორმა დღესაც ცოცხალია ხალხის ლაპარაკში;
- უფრო გავრცელებულია და მწერლობაშიაც მიღებულია;
- უკვე მიღებულია ძველიდანვე განსაზღვრული მნიშვნელობით და დარჩეს ისტორიულად მიღებული სახელი;
- ეს სიტყვები უკვე შემოვიდა და ამისთვის შეიძლება მართებულ ფორმად იყოს აღიარებული, მაგრამ მასთან ერთად სასურველია პარალელურად დარჩენილი იყოს ძველი ფორმაც;
- მართალია, ფორმა ცოცხალი აღარ არის ხალხში, მას კაბინეტური ხასიათი აქვს, მაგრამ საჭიროა მისი დარჩენა, პარალელურად რთულ ფორმასთან, რადგანაც ზოგ შემთხვევაში ძალიან მოსახერხებელია;
- ჩვენ გვაქვს ერთიანი სახელმწიფო და უნდა ვეცადოთ შევექმნათ ერთი მთლიანი გასაგები სწორი ლიტერატურული ენა... ამისათვის უნდა დარჩეს ერთი ფორმა ხმარებაში ყველასათვის, როგორც სავალდებულო;
- ყოველს მწერალს თავისებურად ესმის ეს წესი და ამიტომ ენაში საშინელი სხვადასხვაობაა, რომელსაც ბოლო უნდა მოედოს. ეს კი შესაძლებელი არაა რომლისამე დღევანდელი კილოს ფორმების გაბატონებით და არც ამა თუ იმ პირის სუბიექტური შეხედულების გატარებით, არამედ საკითხის ობიექტურად შესწავლისა და გამორკვევის საშუალებით;
- შეცვლა მაშინ შეგვეძლო, თუ ახლანდელს თაობისათვის ეს ძველი გამოთქმა შეუძლებელი შეიქმნებოდა;

- კომისია დიდ ანგარიშს უწევს ტერმინის ტერიტორიალურ გავრცელებას: მთლად აღმოსავლეთ საქართველოში იხმარება, ან ცოცხალი ფორმაა მთლად დასავლეთ საქართველოში;

- ახალს ენაში ეს შეიცვალა, როგორც ეტყობა მოთხოვნილებაა ხორხისა;

- ეს სიტყვა რუსიციზმია, ამიტომ არ უნდა იყოს დაკანონებული;

- სიმარტივისთვის უმჯობესია, ის მოვსპოთ. ამ სიმარტივეს მოითხოვს ნორჩი გონება მოზარდისა, რომლისთვისაც გრამატიკული ანალიზი ოთხსართულიანი წესებისა ტანჯვაა“ [ჭაავაძე, 2012:345-353].

მაშასადამე, ზემოთ წარმოდგენილი შეხედულებები ტერმინთა შერჩევის რამდენიმე პრინციპად შეიძლება დავყოთ:

1. ისტორიულად დამკვიდრებული ძველი ტერმინები;
2. ხალხში და მწერლობაში გავრცელებული სიტყვები;
3. პარალელური ფორმები;
4. ტერიტორიულად გავრცელებული ფორმები;
5. ერთი საერთო და სავალდებულო ფორმები;
6. ახალი და მარტივი ფორმები;
7. არარუსული ფორმები.

სამეცნიერო საბჭოს 1922 წლის სხდომებში იცვლება ტერმინოლოგიაზე მუშაობის დედაარსი, კერძოდ, შეწყდა სალიტერატურო ენისთვის კონკრეტული ლექსიკური ერთეულების შერჩევა. მხოლოდ ერთ-ერთ სხდომაზე აღინიშნა, რომ:

„სალიტერატურო ქართულისათვის“ პროექტი ქართული ორთოგრაფიის საკითხების მოსაწესრიგებლად შემუშავებულია საორგანიზაციო კომისიის და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ, უკვე დაბეჭდილია, ხოლო არ არის გამოსყიდული და მით სარგებლობა გვიანდება, რადგან ხსენებული პროექტი მეტად საჭიროა სალიტერატურო ქართულის მოსაწესრიგებლად და სკოლებში ერთგვაროვნობის დასამყარებლად, მასწავლებლებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ. საბჭომ გადასწყვიტა აღიძრას შუამდგომლობა კომისარიატის წინაშე, პროექტი დაჩ-

ქარებით იყოს გამოსყიდული. შუამდგომლობის აღძრა პირადად დაევალოთ ს. გორგაძეს, გ. ახვლედიანს და მ. ზანდუკელს» [სეა, ფ. 300, ან. 3, 1923, N 49:95].

ამ პერიოდში სამეცნიერო საბჭოს წევრები ემზადებიან სხვადასხვა ტიპის ტექნიკური ტერმინოლოგიის შესამუშავებლად, კერძოდ:

„აღიძრა საკითხი ტერმინოლოგიის შემუშავების შესახებ, რადგანაც მრავალი დარგებისთვის ტერმინოლოგია არ მოგვეპოვება, რის გამოც საშინელი სხვადასხვაობა არის გამეფებული, რაც მეტად სახიფათო და მავნებელია. საბჭომ ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ დაადგინა, რომ ტერმინოლოგიის საქმე გადაუდებელია და საჩქარო მუშაობაა საჭირო. დაევალოს ტექნიკური ტერმინოლოგიის /ფიზიკის, ქიმიის და სხვა დარგების/ შემუშავება ტექნიკურ სექციას, რომელსაც დაემატება ქართული ენის სპეციალისტები: აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი და ს. გორგაძე, ხოლო ლოლიკა-ფსიქოლოგიის ტერმინები - პოლიტიკურ სექციას» [სეა, ფ. 300, ან. 3, 1923, N 49:95].

როგორც ვხედავთ, 1922 წელსაც მეცნიერები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ტერმინოლოგიის სიჭრელე საზიანო იყო ენისთვის. ისინი ისევ ხაზგასმით მიუთითებდნენ საქმის გადაუდებლობასა და ჩქარი ტემპით მუშაობის აუცილებლობაზე. ვვარაუდობთ, რომ საბჭოს წევრები სხდომებზე ხმამაღლა არ აჟღერებდნენ იმას, რომ მათ ცარიზმის პერიოდის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით რუსიფიკაციის ახალი ძალით შემოტევისა ეშინოდათ და სურდათ, დაესწროთ ამ ხიფათისათვის და საქმე სწრაფად წაენიათ წინ.

საბჭოს წევრებს ისიც გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ აუცილებელი იყო მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რათა დრო არ დაკარგულიყო იმ საკითხებზე ზრუნვაში, რომელთა გადაწყვეტის ანალოგია ევროპულ ენებში უკვე არსებობდა. ამიტომ ერთ-ერთ სხდომაზე მეცნიერმა ი. მოსაშვილმა სხდომას შესთავაზა, მიემართათ განსახკომისთვის,

რათა მათ მიერ შექმნილი დეინგარტის და შლომელის ტექნიკური ლექსიკონები სამეცნიერო საბჭოს სარგებლობაში გადმოეცათ, ვინაიდან ხსენებული ლექსიკონები მეტად საჭირო იყო ტერმინოლოგიის დამუშავების დროს [სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 19:30].

ამის შემდეგ იმავე მეცნიერმა ი. მოსაშვილმა საბჭოს წარუდგინა მოხსენება სათაურით: «ძირითადი პრინციპები ქიმიურ ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის», რომელშიც მოცემული იყო მეცნიერის ზოგადი ხასიათის შეხედულებები ტერმინთა შერჩევის მეთოდოლოგიაზე. მოგვყავს ძირითადი დებულებები:

1. „საჭიროა ტერმინოლოგიის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს, როგორ ვითარდებოდა და წყდებოდა ტერმინოლოგიის საკითხი სხვა და სხვა კულტურულ სახელმწიფოში.

2. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ქართულ ენაში ბრმად არის გადმოტანილი ბევრი ტერმინი პირდაპირ რუსეთიდან, რომელიც არ შეეფერება ქართული ენის ბუნებას.

3. უნდა აგრეთვე შესწავლილი იყოს ქართული ტერმინოლოგია ძველი დროიდან.

4. ტერმინები სასურველია შემოტანილ იქნეს უცხო ენების ტერმინებიდან: ბერძნული, ლათინური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იაპონური ენებიდან.

შემდეგ მომხსენებელი გადადის კონკრეტიულ მაგალითებზე სახელდობრ, ტერმინები ახსნა/გადაწყვეტა/ პირდაპირ რუსულიდან არიან ნათარგმნი. ეს ტერმინები ვერ გამოსთქვამენ ნამდვილად ზედმიწევნით იმ შინაარსს, რომლისთვისაც ისინი იხმარებიან და არც ქართული ენის მოთხოვნილებას შეეფერება. ქართულში სამოციანი წლებიდან ყიფიანს აქვს ნათარგმნი როგორც განმარტება, რაც უფრო სწორია, ახსნა კი იხმარება პასუხის მნიშვნელობით» [სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 28:44].

სამეცნიერო საბჭოს წევრებს და თავმჯდომარეს სხდომაზე არ გაუპროტესტებიათ ი. მოსაშვილის დებულებები. თავმჯდომარემ იქვე დასძინა: «თუმცა საჭიროა არ დავივიწყოთ, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ უნდა შევიმუშავოთ დროებითი ტერმინოლოგია. შევთანხმდეთ ერთმანეთთან, რომ ბოლო მოელოს არსებულ ენათა აღრევას, შემდეგ უფრო დამშვიდებულ პირობებში შევძლებთ თანდათან დავამუშავოთ სრული მეცნიერული ტერმინები. ამისთვის მსჯელობას უნდა ვეცადოთ, მივცეთ პრაქტიკული ხასიათი»[სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 28:44].

ამის შემდეგ პროფ. ანდრია რაზმაძემ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ მათემატიკის ტერმინოლოგიის დამმუშავებელი კომისიაც აპირებდა მოხსენების წარდგენას ტერმინოლოგიის შერჩევის პრინციპებზე, ამიტომ პროფესორმა ი. მოსაშვილს შესთავაზა, მოემზადებინათ საერთო მოხსენება ამ საკითხზე. სხდომამ ერთხმად მიიღო ივ. ჯავახიშვილისა და ან. რაზმაძის წინადადებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მათემატიკურ ტერმინებზე მუშაობის დასრულება მიანდო მ. კონიაშვილს და ამასთანავე დაავალა, შეედარებინა სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული ტერმინები უნივერსიტეტში მიღებულ ტერმინოლოგიასთან. ამ საქმეში კი მისთვის დახმარება უნდა გაენია ან. რაზმაძეს, როგორ უნივერსიტეტის წარმომადგენელს. მ. კონიაშვილმა მოითხოვა, დავალებული სამუშაოს შესასრულებლად კომისიას დამატებოდა ქართული ენის მცოდნე ერთი პირი, რაც სავსებით სწორი მოთხოვნა იყო. საბჭომ გადაწყვიტა, კომისიას შემატებოდნენ აკ. შანიძე და ან. ბენაშვილი [სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 21:34-35].

როგორც ჩანს, თითქმის მთელი წელი გაგრძელდა უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის მუშაობა ტერმინოლოგიაზე, ვინაიდან ივ. ჯავახიშვილმა 1922 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე განაცხადა, რომ სარედაქციო კოლეგია ახლო მომავალში აპირებდა საბოლოო დამუშავებული ვერსიის წარმოდგენას. გადაწყვიტეს, საბჭოს ტექნიკურ სექციას და უნივერსიტეტის მათემატიკოსებს

ერთობლივად გაეგრძელებინათ მუშაობა [სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 59:175].

ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიის საკითხი ზოგჯერ სახელმძღვანელოების რეცენზირების დროსაც განიხილებოდა. მაგ.:

„ხელმეორედ აღიძრა საკითხი ბ. ჭიჭინაძის ორთქლის ქვაბების შესახებ. მოსმენილი იქმნა ამა ოქმს დართული რეცენზია ა. შანიძის მხოლოდ ენისა და ტერმინოლოგიის მხრივ. რეცენზიაში აღნიშნულია მრავალი ტერმინები, რომლებიც რეცენზენტის აზრით მიუღებელია, რადგანაც ამათ შექმნის დროს არ არის მიღებული არც ქართული ენის ხასიათი და არც მისი კანონები. ისინი უნდა შეიცვალნონ ან საერთაშორისო ტერმინით ან, თუ არა გვაქვს ასეთი, პირდაპირ გადმოღებული იყოს უცხო ენიდან.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადასწყდა: ნაცვლად აკ. შანიძის მიერ აღნიშნული უვარგისი ტერმინებისა, მიღებული იყოს ჯერ-ჯერობით მაინც საერთაშორისო ტერმინები, რომელნიც იხმარებიან ჩვენს ენაში. ის ტერმინები, რომელთათვის არ მოიპოვება საერთაშორისო ტერმინი, მათთვის უნდა იყოს გამონახული შესაფერი ქართული შესატყვისი. ამ მიზნისათვის შედგება კომისია, რომელშიც შედის: აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. გორგაძე, დ. უზნაძე, ალ. დიდებულიძე, ვ. კაკაბაძე და ი. მოსეშვილი“ [სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 48:98].

როგორც ვხედავთ, აკ. შანიძის რეკომენდაცია, რომ საერთაშორისო ტერმინების ქართული შესატყვისების არარსებობის შემთხვევაში სიტყვები პირდაპირ უცხო ენიდან გადმოეღოთ, საბჭოს წევრებმა არ გაითვალისწინეს და დაადგინეს, ასეთი სიტყვების ნაცვლად, გამოენახათ „შესაფერი ქართული შესატყვისები“. შანიძისეული პირდაპირ გადმოღების პრინციპი ემთხვევა ი. მოსაშვილის მიერ შემოთავაზებულ პრინციპს: გადმოეღოთ სიტყვები „არა რუსული, არამედ ბერძნული, ლათინური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და იაპონიურ ენებიდან“.

1922 წლის ნოემბრის თვეში ჩატარებულ 3 სხდომაზე კომისიამ უარყო შეთავაზებული პროექტი და უარყოფილ ტერმინთა ნაცვლად მიიღო ბ. ჭიჭინაძის ნაშრომში გამოყენებული 55 ტერმინი [სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 53:102]; [სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 55:133].

დეკემბრის თვეში სამეცნიერო საბჭომ განიხილა ტექნიკური სექციის მიერ დამუშავებული პოლიტექნიკური ფაკულტეტის საგანთა აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, მსჯელობის შემდეგ საბჭომ დაამტკიცა 73 ტერმინი [სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 57:154; სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 58:164; სეა, ფ. 300, ან. 3, 1922, N 59:175].

ჯამში 1922 წლის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე მეცნიერებმა დაამტკიცეს 128 ტექნიკური ტერმინი. ფაქტობრივად, 1922 წელი სამეცნიერო საბჭოსთვის წინა მოსამზადებელი პერიოდი აღმოჩნდა, ვინაიდან მეცნიერებმა მომდევნო 1923 წლისთვის უფრო ინტენსიურად განაგრძეს ტექნიკური ტერმინოლოგიის შერჩევა-დაკანონება:

1923 წელს სამეცნიერო საბჭოს 30 სხდომაზე მიიღეს 1382 ტექნიკური ტერმინი, მათ შორის 1334 მათემატიკური და ფიზიკის 48 ტერმინი. აღნიშნული პერიოდის სხდომებზე განიხილეს ბოტანიკისა და დენდროლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის, სამხედრო და ზოგადად, სამეცნიერო ტექნიკური ტერმინოლოგია [სეა, ფ. 300, ან. 3, 1923, N 64].

1923 წლის 3 დეკემბერს ტექნიკური საზოგადოების გამგეობამ განცხადებით მიმართა მთავარ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს და განათლების ახალ კომისარს:

„გამგეობა ფიქრობს, რომ ამ საქმეში, მისი შეძლებისამებრ სისწორით და მიზანშეწონილად გადასაჭრელად, მონაწილეობა უნდა მიიღოს გადამწყვეტი ხმით სხვა და სხვა დარგის სპეციალისტებმა, როგორც სხვა და სხვა ორგანოების არჩევით და დავალებით /მაგალითად, უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი, ქართული ტექნიკური საზოგადოება, საშუალო ტექნიკური სასწავლებლები/ ისე პერსონალურად მოწვეულმა ასე თუ ისე ცნობილმა ტექნიკოსებმა.

ტექნიკურ საზოგადოების გამგეობა დარწმუნებულია, რომ სამეცნიერო საბჭო სავსებით გაიზიარებს ამ წინადადებას, ვინაიდან ტექნიკურ ტერმინოლოგიის სხვა გზით განხილვა აშკარა ანორმალობა იქნებოდა» [სეა, ფ. 300, ან. 3, 1923, N 64, N 550:447].

აღნიშნული მიმართვიდან აშკარად ჩანს, რომ ტექნიკური საზოგადოება უკმაყოფილო იყო სამეცნიერო საბჭოს მუშაობით და ითხოვდა ამ პროცესში სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების ჩართვას. გამგეობის წერილში არ ჩანს, კონკრეტულად რა ფაქტორებმა განაპირობეს მათი პრეტენზიები. იმას, რომ ტექნიკური ტერმინოლოგიის მიღების საქმე მიმდინარეობდა ჯგუფური დაპირისპირების ფონზე, ადასტურებს სამეცნიერო საბჭოს შემდეგი სხდომის ოქმიც:

„მოსმენილ იქმნა ამა ოქმს დართული საქართველოს ტექნიკური საზოგადოების გამგეობის მომართვა, რომ სამეცნიერო საბჭომ ტექნიკური დარგების ტერმინოლოგიის განხილვის დროს მიიწვიოს დაინტერესებული დაწესებულებების, როგორებიც არიან: საქართველოს ტექნიკური საზოგადოება, უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი და საშუალო ტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენელი, რომლებიც მიიღებენ გადამწყვეტი ხმის უფლებით ტერმინოლოგიის მიღებაში მონაწილეობას.

ამ მომართვამ გამოიწვია ხანგრძლივი კამათი. აღნიშნული იქმნა, რომ ჩვენი ტერმინოლოგიის დამუშავების საქმე მიმდინარეობს არა ნორმალურ პირობებში: თავიდანვე იჩინა ორმა მოწინააღმდეგე მიმართულებამ თავი, რომელიც განაგრძობს მუშაობას დამოუკიდებლად. ხდება ძალების დაქსაქსვა. საბჭო იმედს არ კარგავს, რომ ამ ორი მიმართულების მორიგება შეიძლება, რომ შევიკრიბნეთ ერთად, გაუზიაროთ ყოველივე თავთავისი საბუთიანობა ერთმანეთს, შესაძლებელია დავაჯეროთ ბევრში მაინც ერთმანეთი» [სეა, ფ. 300, ან. 3, 1923, N63, N 114:446].

სამწუხაროდ, ოქმებიდან არ ჩანს, ვინ იყვნენ დაპირისპირებული ჯგუფები და კონკრეტულად რა საკითხებზე ვერ თანხმდებოდნენ ისინი.

ამის შემდეგ სამეცნიერო საბჭოს განცხადებით მიმართა სამხედრო სარეგოლაციო საბჭოს ქართული სამხედრო სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქართულ ენაზე შეედგინა და გამოეცა ყოველგვარი სამხედრო წესდება, სახელმძღვანელოები და სამხედრო ტერმინთა კრებული.

„კოლეგია სთხოვს საბჭოს დანიშნოს ერთი მცოდნე პირი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კრებულის შედგენაში და თუ ეს შესაძლებელი არ იქმნება საბჭოსთვის, კოლეგიის მიერ წარმოდგენილ კრებულის განხილვას დაესწროს კოლეგიის წარმომადგენელი.

საბჭომ მსჯელობის შემდეგ გადასწყვიტა, ტერმინოლოგიის საფუძვლიანად დამუშავებისთვის გაიგზავნოს ხსენებულ კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის საბჭოს ორი წარმომადგენელი ს. გორგაძე და ან. ბენაშვილი. ხოლო შემდეგ კოლეგიაში დამუშავებული ტერმინოლოგია წარმოდგენილი უნდა იყოს საბჭოში საბოლოოდ განსახილველად, მაშინ კოლეგიის წარმომადგენელიც დაესწრება საბჭოს სხდომებს.

ვინაიდან საბჭოს კომისარიატის შენობაში არა აქვს განსაკუთრებული ბინა, განათლების კომისრის წინადადების თანახმად საბჭომ გადასწყვიტა, თავის სხდომები გადაიტანოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში“ [სეა, ფ. 300, ან. 3, N 63, 1923, N118:453].

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო საბჭო მაქსიმალურად ითვალისწინებდა სხვადასხვა მიმართულების ტერმინოლოგიაზე მომუშავე კომისიების მოთხოვნებს. მეცნიერთა ეფექტურ და სწრაფ მოქმედებაზე იყო დამოკიდებული სასკოლო და უმაღლეს სასწავლებელთა სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემის პროცესი, სალიტერატურო ქართულისათვის მისაღები საერთო ფორმების მცდარი სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინების ნაცვლად საერთაშორისო ან ახალი ქართული შესატყვისების შერჩევა-დაკანონება.

პროფ. ივ. ჯავახიშვილმა განსახკომისათვის გაგზავნილ ზემოთ აღნიშნულ წერილში ანგარიში ჩააბარა სამეცნიერო

საბჭოს 1923 წლის მუშაობის შესახებ და აქაც ხაზი გაუსვა კომისიაში არსებულ შეუთანხმებლობას. თავმჯდომარის განმარტებით:

„სამეცნიერო საბჭოს დაარსებისთანავე ეს სატერმინოლოგიო მუშაობა კვლავ განახლდა უფრო მეტის სიძლიერით. რომ მათემატიკის ტერმინოლოგია მთლად დამთავრებულიყო, სამეცნიერო საბჭომ გადასწყვიტა, საშუალო სასწავლებლის სამათემატიკო ტერმინებთან ერთად უმაღლეს მათემატიკის ტერმინებიც მოენესრიგებინა და ამ მიზნით უნივერსიტეტში განსაკუთრებული კომისია შესდგა პროფესორ ა. რაზმაძის თავმჯდომარეობით და პროფესორ ნ. მუსხელიშვილისა, დოც. არჩილ ხარაძისა და გ. ნიკოლაძის მონაწილეობით.

სამეცნიერო საბჭომ მათ მიაშველა პროფესორები გ. ახვლედიანი და დ. უზნაძე. თუმცა ამ კომისიამ სრულ თანხმობამდე ვერ მიაღწიეს, მაგრამ ტერმინოლოგია მაინც შემუშავებული იქმნა და სამეცნიერო საბჭოში შემოვიდა განსახილველად და დასადასტურებლად. სამეცნიერო საბჭომ უნივერსიტეტის კომისიის წევრების თანდასწრებით განიხილა უმაღლეს-უმაღლეს მათემატიკის მთელი ტერმინოლოგია და 40 სხდომამდე მოანდომა ამ რთულ საქმეს. იგი თავის მუშაობის დროს ხელმძღვანელობდა სამი ყველა წევრთაგან ერთხმად მიღებული დებულების მიხედვით:

1/ როდესაც ორი ტერმინია, ერთი საერთაშორისო და მეორე ქართულად ნათარგმნი, მაგრამ უვარგისი ენის კანონებისა თუ მნიშვნელობის თვალსაზრისით, რჩება საერთაშორისო, ქართული უარყოფილი უნდა იყოს.

2/ როდესაც ორი ქართული ტერმინი წესიერად არის ნაწარმოები და შეეფერება ცნებას, ორივე ტერმინი რჩება.

3/ თუ რამდენიმე ქართული ტერმინია, უპირატესობა ეძლევა იმას, რომელიც ენის კანონების თვალსაზრისით წესიერად არის ნაწარმოები.

ამ სამი დებულების ხელმძღვანელობით სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ განიხილა და მიიღო მათემატიკის ტერმინოლოგია, რომელიც 1000 სიტყვას შეიცავს.

მოგახსენებთ, რა სამეცნიერო საბჭოს დავალებით ამ ტერმინოლოგიას, გთხოვთ, იგი სასწრაფოდ დაამტკიცოთ საყოველთაოდ სავალდებულო სახმარებლად. მომავალ სასწავლო წლიდან მაინც მოელოს ბოლო ამ არეულობას და შეუთანხმებლობას, რომელიც ტერმინოლოგიის მხრივ გამეფებულია საქართველოს სასწავლებლებში. თუ ამას დაუყონებლივ ბოლო არ მოელო, მთელი ჩვენი კულტურული აღორძინების საქმე უკიდურეს განსაცდელში ჩავარდება“ [სეა, ფ. 471, ან. 1, 1923, N 123:4].

სავარაუდოდ, პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ ნახსენები „სამი ყველა წევრთაგან ერთხმით მიღებული დებულებები“ მიღებული იყო უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის, ტექნიკური საზოგადოებისა და სამეცნიერო საბჭოს წევრთა მიერ. გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ ცალ-ცალკე მომუშავე კომისიებს ექნებოდათ ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებები ტერმინოლოგიის შერჩევასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო საბჭოს კომპეტენტურ პასუხსა და დასკვნას, რომელსაც უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება ამა თუ იმ ტერმინთა მიღების პრინციპებსა და დაკანონებაზე. თუმცა ალბათ დრო სჭირდებოდა მეცნიერთა მიერ შერჩეული ტერმინების დამკვიდრებასა და ენაში გათავისებას.

ჩვენ მიერ მიკვლეული «ცირკულიარი - ნაციონალურ პრინციპულ ტერმინების ხმარების შესახებ» შედგენილია 1928 წლის 7 ივნისს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან (ს.ს.რ. ცაკ-თან) არსებულ მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის მიერ. როგორც ჩანს, ტერმინოლოგიის მიღება დიდი ენობრივი პოლიტიკის ნაწილი გახდა. ცირკულარი განკუთვნილი იყო «ზოგიერთ ქვემდებარე დანესებულებებისათვის». მის ტექსტს უკვე აშკარად ემჩნევა კომუნისტური იდეოლოგიისა და რუსიფიკაციის სუსხი, ამიტომ გთავაზობთ სრულად:

„მიუხედავად მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ

მოცემულ განკარგულებისა და დირექტივებისა, ზოგიერთი დანესებულება, სხვადასხვა ხასიათის მიმონერის დროს, მაინც ხმარობს ისეთ ტერმინებს, რომელიც უაღრესად ნაციონალისტურ პრინციპებზეა დამყარებული, აგრეთვე ენის ისეთ ფორმებსაც, რომელიც სავსებით შეუფერებელია ქართულის ბუნებისა და თვისებისათვის.

ამგვარია, ანგარანი ყველგან მიღებულ კანტორის მაგიერ;
დასტურლამა - ინსტრუქციის,
საყუდი - დეპოს,
განწილი - კლასის,
განწევრი - სექციის,
გეგმარი - პროექტის,
გოდლი - ცილინდრის,
ელვისო - ელექტროს,
მარაგელი - რეზერვუარის,
კროჭი - კრანის,
მზიდარო - კრანის,
საქმედრო - სააგენტოს,
ხოლოუფლება - მონოპოლიის,
ამმართი - მონტიორის,
სხივარა - რადიის,
ძალარი - სპირტის,
ელწერი - ტელეგრაფის,
თბილანდი - ტემპერატურის,
შეჯიბრი - შეჯიბრების და მრავალი სხვა.

ყველა ზემოხსენებული ტერმინი ნაძალადევია და არავითარი საჭიროებითაც არაა მათი შეთხზვა გამოწვეული: საქმისთვის სრულიად დაუბრკოლებლივ შეიძლება - თვითეულ მათგანის მაგიერ ვიხმაროთ ინტერნაციონალური ტერმინი, რაიც ყველგან, ყველა ხალხში მიღებულია. გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, გთხოვთ განკარგულებას, რათა რწმუნებულ თქვენდამი დანესებულებების სათანადო განყოფილება, განსაკუთრებით ბეჭდვითი ორგანოს გამომცემელი, ტერმინოლოგიისა და, საზოგადოდ, ენის საკითხში, უთუოდ

შეუთანხმდეს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომისიას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არაა განხილული და მთავარ კომიტეტის მიერ დამტკიცებული, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს შემდეგით:

ა/ ყველა ის ტერმინი, რომელიც დღეს ინტერნაციონალურადაა ცნობილი და ყველა ხალხი ხმარობს, ქართულშიაც აუცილებლად უნდა იქნეს დატოვებული;

ბ/ ქართული ტერმინის შექმნა მხოლოდ მაშინაა საჭირო, როდესაც ინტერნაციონალური არ მოგვეპოვება;

გ/ ინტერნაციონალურთან პარალელურად ქართულის ხმარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი და სავალდებულო, როდესაც ეს უკანასკნელი დადასტურებულია ცოცხალ ენაში და აგრეთვე მოპოვებული აქვს მოქალაქეობრიობა ლიტერატურაში.

ამ საზით თქვენ მიერ მიღებულ ზომათა შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ. ს.ს.რ. ცაკ-თან არსებულ მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარე /ფ. მახარაძე/» [სეა, ფ. 300, ან. 3, 1928, N 127:3].

წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ უკვე 1928 წლისთვის ცალკე ფუნქციონირებდა სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომელიც ექვემდებარებოდა განათლების სახალხო კომისარიატს და ამავდროულად, აღმასრულებელ ხელისუფლებას. როგორც ჩანს, ტერმინოლოგიის შექმნა-დაკანონებას მეცნიერულის გარდა, პოლიტიკური მნიშვნელობაც მიენიჭა. წინა წლებში მეცნიერთა მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიის შერჩევის პრინციპები ახალი დებულებებით შეიცვალა, კერძოდ, ფილიპე მახარაძისთვის მიუღებელი იყო «უალრესად ნაციონალისტურ პრინციპებზე» «ნაძალადევი შეთხზული» ტერმინები და მათ ნაცვლად ინტერნაციონალური ტერმინების გამოყენებასა და დამკვიდრებას მოითხოვდა.

არქივში დაცულია 1928 წლის 6 აპრილს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ბერიძისადმი გაგზავნილი წერილი. დოკუმენტში მოცემულია

აზერბაიჯანის განათლების სახალხო კომისარიატის მიმართვა ფ. მახარაძისადმი, რომელშიც აზერბაიჯანელი ფუნქციონერი სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარეს სთხოვს სატერმინოლოგიო დებულების, ინსტრუქციისა და მუშაობის მასალების გაგზავნას. ქართულ მხარეს მოთხოვნილი მასალები გადაუგზავნია აზერბაიჯანის განსახკომისთვის [სეა, ფ. 300, ან. 3, 1928, N 127:1].

როგორც ჩანს, მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში ქართველებს დიდი წარმატება ჰქონდათ და სთხოვდნენ გამოცდილების გაზიარებას აღნიშნულ საქმეში.

ამრიგად, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრები ერთხმად თანხმდებოდნენ, რომ ტერმინთა შერჩევისა და დაკანონების პროცესი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმე, რათა დასრულებულიყო ის „ენათა აღრევა“, რომელიც იმ პერიოდისთვის ქართულ სალიტერატურო ენაში არსებობდა. ტერმინთშემოქმედების სწორად განსაზღვრაზე იყო დამოკიდებული ქართული სამეცნიერო ენის განვითარება, სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა. საამისოდ კი საბჭოს წევრებმა ტერმინთა შერჩევის პრინციპები საბოლოოდ ასე ჩამოაყალიბეს:

1. ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ სიტყვები რუსული ენიდან არ უნდა შემოეღოთ, ვინაიდან არ შეესაბამებოდა ქართული ენის ბუნებას;

2. უნდა გაეთვალისწინებინათ ევროპული ქვეყნების გამოცდილება და ლექსიკური ერთეულები ძირითადად სხვადასხვა ენებიდან (ბერძნული, ლათინური, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, იაპონური...) უნდა ესესხებინათ;

3. ერთი და იმავე ცნების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინის არსებობის შემთხვევაში, ის სიტყვა უნდა დარჩენილიყო, რომელიც ქართული ენის კანონების გათვალისწინებით იქნებოდა მიღებული;

4. საერთაშორისო და ქართული ტერმინების არჩე-

ვისას, თუ ქართული არასწორად იქნებოდა წარმოებული
ან ნათარგმნი, რჩებოდა საერთაშორისო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხუთი წლის შემდეგ ზემოთჩა-
მოთვლილი ტერმინთა მიღების პრინციპები შეიცვალა სამეც-
ნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ, რომლის ხელმძღ-
ვანელი ფილიპე მახარაძე დაჟინებით ითხოვდა, რომ ქართული
ტერმინების ნაცვლად, უპირატესად დამკვიდრებულიყო ინტერ-
ნაციონალური ლექსიკური ერთეულები, რაც უთუოდ შეაფერ-
ხებდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებას.

თავი მეექვსე.

ენობრივი ვითარება აფხაზეთის სახელმწიფო სსრ-ში

XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ენობრივი ვითარება სრული ვერ იქნება იმდროინდელ აფხაზეთში არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზის გარეშე. როცა ახალი პოლიტიკური რეჟიმი დედაქალაქსა და ქვეყნის ცენტრალურ მხარეებში ახორციელებდა პროვოკაციულ ენობრივ პოლიტიკას სატიტულო ეთნოსის დედაენის, ანუ საქართველოს სახელმწიფო ენის უფლებების განუხრელი შეკვეცის, დიასპორათა ენების ფსევდოუფლებების დეკლარაციულად წინ წამოწევისა და რუსული ენის ფუნქციონის სფეროების უწყვეტი ზრდისკენ მიმართული პოლიტიკით, ბუნებრივია, ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობა უნდა შექმნილიყო იმდროინდელი საქართველოს ეთნიკურად და ენობრივად ყველაზე ჭრელ მხარეში - აფხაზეთში, სადაც 1864 წლიდან მიმდინარეობდა აგრესიული რუსიფიკატორული პოლიტიკა. ამ მიზეზთა გამო ჩვენ საგანგებოდ მოვიძიეთ რამდენიმე ვრცელი დოკუმენტი საკვლევე პერიოდის აფხაზეთის ენობრივი ვითარების შესახებ. ამით შევეცადეთ, თავიდან აგვერიდებინა დოკუმენტირებული ცნობების სიმწირე და სხვადასხვა წყაროს მონაცემებით მიგვეღწია ემპირიული ინფორმაციის მეტი სისრულისა და კომპლექსურობისათვის.

აქვე დავძენთ: ვიდრე აფხაზეთის ვითარების დეტალებს განვიხილავდეთ, გვსურს მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს ენობრივი სიტუაციის ზოგი არსებითი მომენტი, რომლებიც ეხმიანება აფხაზეთის მონაცემებს.

საქართველოს ეროვნული არქივში დაცულია დოკუმენტი [სცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 597:98-108], რომელშიც აღწერილია 1926-1927 წლების საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულები **საქმისწარმოებისა და მასობრივად სასაუბრო ენების** მიხედვით (დოკუმენტი რუსულ ენაზეა შედგენილი). აღნიშნულ საარქივო მასალაში საქართველოს სსრ დაყოფილია 26 მაზრად და 519

ადმინისტრაციულ ერთეულად. მათ შორისაა **აფხაზეთის სსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი**. საანალიზო მასალაში საქართველოში საქმისწარმოების ენებად დასახელებულია: **ქართული, რუსული, სომხური და თურქული**⁷. მიუხედავად იმისა, რომ 1926 წლის კონსტიტუციით აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენებად დასახელებული იყო ქართული, აფხაზური და რუსული, ამ საბუთში აფხაზეთის ტერიტორიაზე სრულებით არ არის მითითებული აფხაზური ოფიციალურ ენად. უფრო მეტიც, კონკრეტულად ამ დოკუმენტში მხოლოდ გაგრის მაზრის საქმისწარმოების ენაა ნაჩვენები და ისიც რუსულია, სოხუმის, გუდაუთის, კოდორისა და გალის მაზრების საქმისწარმოების ენები კი არ არის დაზუსტებული. თუმცა არსებობს სხვა წყარო, სადაც ცალკეა აფხაზეთის ენობრივი მონაცემები აღრიცხული და იქ ზემოთ დასახელებულ მაზრებში ოფიციალურ ენებად რუსული და აფხაზურია დასახელებული, გალში კი - ქართული ენა. ამ დოკუმენტის დასახელებული მონაცემები ცხადი მაგალითია იმისა, რომ ბოლშევიკებს კონსტიტუცია მხოლოდ ფარატინა ქალაქად მიაჩნდათ და მას შირმად იყენებდნენ, გარდა ამისა, მათ კარგად იცოდნენ, რომ გამოტოვებული აფხაზური ენა რეალურად კონკურენციას ვერ გაუწევდა ვერც რუსულს და ვერც ქართულს. ამიტომ ამახინჯებდნენ თვითნებურად ენათა ოფიციალურ სტატუსს.

საკვლევი საბუთის მიხედვით, საქართველოს სსრ-ში 1926-27 წლებში საქმისწარმოების ენად ქართული გამოიყენებოდა 395 ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსული 92-ში, სომხური 8-ში და თურქული 6-ში (იგულისხმება სოხუმის, გუდაუთის, კოდორისა და გალის მაზრების მონაცემებიც). **მაზრებში საქმისწარმოება ერთენოვანი, ორენოვანი, სამენოვანი და ოთხენოვანი ყოფილა. ენები ამ მხრივ შემდეგნაირად ნაწილდებოდა:**

1. საქმისწარმოება ერთენოვანი იყო 23 მაზრის 446 თემში, მათ შორის მხოლოდ ქართულენოვანი - 18 მაზრის 367 თემში, მხოლოდ რუსულენოვანი - 5 მაზრის 79 თემში;

7. დოკუმენტის იმ ნაწილებში, სადაც თურქული ენაა მითითებული, იგულისხმება თათრული, ანუ აზერბაიჯანული ენა.

2. **ორენოვანი იყო საქმისწარმოება მხოლოდ თბილისის მაზრაში:** ქართული გამოიყენებოდა 24 თემში და რუსული - 7 თემში;

3. **სამი ენა გამოიყენებოდა ახალქალაქის მაზრაში:** სომხური - 8 თემში, თურქული - 6 თემში, რუსული - 6-ში და ქართული - 4-ში;

საქმისწარმოება მხოლოდ რუსულად მიმდინარეობდა შემდეგ თემებში: **ბორჩალოს მაზრის 18** თემში; **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 15** თემში; **გაგრის მაზრის 5** თემში; **გუდაუთის მაზრის 21** თემსა და **სოხუმის მაზრის 20** თემში, ანუ ოფიციალურ ენად მხოლოდ რუსული ფუნქციონირებდა 5 მაზრის 79 თემში. გარდა ამისა, რუსული სხვა ენებთან ერთად გამოიყენებოდა 3 მაზრის 13 თემში - **სულ 92 თემში.**

განსაკუთრებით ირღვეოდა აფხაზური ენის იურიდიული სტატუსი, რომელიც, ამ საბუთის მიხედვით, არცერთ თემში არ გამოიყენებოდა საქმისწარმოების ენად, თუმცა ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ ეს ენა არამცთუ იმ დროს, დღესაც კი ვერ ასრულებს ამ ფუნქციას.

დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილია მასობრივად სასაუბრო ენების მაჩვენებლები მთელი საქართველოს მასშტაბით. აქ ამ კატეგორიის სასაუბრო ენებად დასახელებულია: **ქართული, რუსული, სომხური, ბერძნული, თურქული (იგულისხმება თათრულიცა და საკუთრივ თურქულიც), აფხაზური, ოსური და გერმანული.** წარმოვადგენთ 1926-1927 წლების საქართველოს ერთენოვანი, ორენოვანი, სამენოვანი და ოთხენოვანი ადმინისტრაციული ერთეულების მონაცემებს:

სულ 418 ერთენოვანი თემია აღწერილი, მათ შორის ქართული - 367, აფხაზური - 18, თურქული - 11, სომხური - 9, ოსური - 6, რუსული - 6 და ბერძნული - 1⁸.

ორენოვანი იყო 75 თემი. მათ შორის 46 თემში ერთ-ერთი ენა იყო ქართული, 14-ში - რუსული, 14-ში -

8. სასაუბრო ენათა ჩამონათვალი სრული არ არის. მასში არ ჩანან საქართველოს სოფლებში მეტ-ნაკლებად გავრცელებული ნოვათუშური, ქისტური, უდიური, ხუნძური, ქურთული ენები, რომელთაგან მხოლოდ ქურთული არ დასტურდებოდა სასოფლო თემების მასობრივად სასაუბრო ენად.

სომხური. ქართულთან ერთად დაწყვილებული სათემო ენები ყოფილა: ოსური (13 თემში), თურქული (9 თემი), რუსული (8 თემი), სომხური (7 თემი), აფხაზური (5 თემი), ბერძნული (4 თემი). **სხვა ბილინგვური თემების წილი ასეთია:** სომხურ-ბერძნული - 5, სომხურ-აზერბაიჯანული - 3, სომხურ-რუსული - 2, რუსულ-აფხაზური - 2, სომხურ-აფხაზური - 2, თურქულ-ბერძნული - 1, ბერძნულ-რუსული - 1, რუსულ-თათრული - 1.

სამენოვანი ყოფილა 7 მაზრის 16 თემი, მათგან 13 თემის ერთ-ერთი ენაა ქართული: ახალქალაქის მაზრაში: თურქულ-სომხური-რუსული - 1; ახალციხის მაზრაში: ქართულ-თურქულ-რუსული - 1, სომხურ-თურქულ-ქართული - 1; ბორჩალოს მაზრაში: თურქულ-ქართულ-სომხური - 1; სიღნაღის მაზრაში: ქართულ-თათრულ-ოსური - 1; თბილისის მაზრაში: ქართულ-რუსულ-სომხური - 1, სომხურ-ბერძნულ-თათრული - 2, ქართულ-რუსულ-თათრული - 1; სოხუმის მაზრაში: ქართულ-ბერძნულ-სომხური - 4, ქართულ-სომხურ-აფხაზური - 1; კოდორის მაზრაში: ქართულ-სომხურ-აფხაზური - 1, ქართულ-სომხურ-ბერძნული - 1.

ოთხენოვანი თემები იყო 4 მაზრის 7 თემში, შვიდივე მათგანში ერთ-ერთი სასაუბრო ენა იყო ქართული: ბორჩალოს მაზრა: გერმანულ-თათრულ-სომხურ-ქართული - 1; გაგრის მაზრაში: ქართულ-ბერძნულ-სომხურ-რუსული - 1; თბილისის მაზრაში: ქართულ-სომხურ-ბერძნულ-რუსული - 1; სოხუმის მაზრაში: ქართულ-ბერძნულ-სომხურ-რუსული - 4.

საანალიზო დოკუმენტის მიხედვით, აფხაზურად საუბრობდნენ 29 თემში, მათ შორის 18-ში მხოლოდ აფხაზურად, 11-ში სხვა ენასთან ან ენებთან ერთად, კერძოდ: ქართულ-აფხაზური იყო 5 თემი, სომხურ-აფხაზური - 2, ქართულ-სომხურ-აფხაზური - 3, რუსულ-აფხაზური - 2. ოსური სასაუბრო ენად გამოიყენებოდა 20 თემში, მათ შორის მხოლოდ ოსური - 6-ში, 13-ში ქართული და ოსური და 1-ში ქართული, ოსური და თურქული.

მაზრების მიხედვით საქმისწარმოების ენები ჯამში ასე ნაწილდებოდა:

ერთენოვანი - 23 მაზრა, ორენოვანი - 1, სამენოვანი - 1, ოთხენოვანი - 1.

სასაუბრო ენები სასოფლო თემები: ერთენოვანი - 418, ორენოვანი - 75, სამენოვანი - 16, ოთხენოვანი - 7. სულ - 98 რამდენიმენოვანი თემი.

როგორც ვხედავთ, განსახილველ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესწილად ქართული სახელმწიფო ენა გამოიყენებოდა საქმისწარმოებისა და სასაუბრო ენებად. ქართულის შემდეგ ყველაზე მეტად ხმარობდნენ რუსულ ენას, თუმცა შეუსაბამო შეფარდებაა რუსულის საქმისწარმოებისა (92 თემი) და მასობრივ სასაუბრო ენად (20 თემი) გამოყენების მაჩვენებლებს შორის. ეს ენა მეტწილად ოფიციალური ენის ფუნქციას ასრულებდა სხვადასხვა სტრუქტურებში, ხოლო ეროვნებით რუსებიცა და ამ ენაზე მოლაპარაკე სხვა ეროვნების ადამიანებიც გაცილებით ნაკლებნი იყვნენ. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ რუსულის საქმისწარმოების ენად გამოყენების აუცილებლობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკით იყო გამყარებული.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გადავდივართ საკუთრივ აფხაზეთის მდგომარეობის დეტალურ აღწერაზე სხვადასხვა დოკუმენტის მონაცემთა მიხედვით:

ანდრია ჭოჭუას დოკუმენტი აფხაზეთის სსრ-ს ენობრივი ვითარების შესახებ. საანალიზო პერიოდის **აფხაზეთის სახელშეკრულებო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში არსებული ენობრივი ვითარების საყურადღებო აღწერას შეიცავს** აფხაზი განმანათლებლის ანდრია ჭოჭუას მიერ შედგენილი საბუთი, რომელიც ინახება საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში [სცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640]. ანდრია ჭოჭუა აფხაზეთის სსრ-ს განათლების სახალხო კომისარი იყო 1925-1931 წლებში. მისი ტექსტი წარმოადგენს განუვლი მუშაობის ანგარიშს სათაურით: „საგანმანათლებლო მუშაობა ნაცუმცირესობათა შორის აფხაზეთის სსრ-ში„.

ანგარიშის შესავალი ნაწილი არ განსხვავდება საბჭოთა იდეოლოგიის მომხრე იმდროინდელი ქართველი თუ აფხაზი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების წინასიტყვაობებისაგან, რომლებშიც ზუსტად ერთნაირადაა დაგმობილი ცარიზმისა და მენშევიკური ხელისუფლების საგანმანათლებლო სფეროს

ენობრივი პოლიტიკა და ამის საპირისპიროდ ახალ კომუნისტურ მმართველობას სხვადასხვა ეროვნებების ეთნიკური და ენობრივი იდენტობისთვის მებრძოლ პოლიტიკურ სისტემად წარმოაჩენენ.

ა. ჭოჭუა დოკუმენტის პირველ თავში აფხაზეთის იმდროინდელ ეთნიკურ ვითარებას ასე გადმოგვცემს: «აფხაზეთი წარმოადგენს ერთადერთ ქვეყანას სსრკ-ში, სადაც ასეთ მცირე ტერიტორიაზე ერთიმეორის გვერდით ცხოვრობს რვა ეროვნების მოსახლეობა: აფხაზები, ქართველები, სომხები, ბერძნები, რუსები, თურქები, ესტონელები და გერმანელები» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:1]. ა. ჭოჭუა ამ ნაწილში არ უთითებს, რომელი ეროვნებები იყვნენ აფხაზეთის ძირითადი მოსახლეობა და რომელი უმცირესობები.

ამის შემდეგ ა. ჭოჭუა იწყებს მეფის რუსეთისა და მენშევიკების პერიოდის განათლების სისტემაში არსებული ენობრივი ვითარების ერთნაირად განქიქებას. მისი თქმით: «საგანმანათლებლო მუშაობა ყველა ამ (სკოლებს - ს.ჭ.) შორის ცარიზმის დროს მიმდინარეობდა მხოლოდ რუსულ ენაზე. ცალკეულ ეროვნებათა ყოველგვარი მცდელობანი, გაეხსნათ თავიანთი ეროვნული სკოლები, ანდა შემოეღოთ სწავლება მოსწავლეთა დედაენებზე, დაუნდობლად იდევნებოდა. ამიტომ 1917 წლამდე აფხაზეთში ისევე, როგორც მთელი ყოფილი მეფის რუსეთის სხვა ადგილებში, წმინდა ეროვნული სკოლები სრულებით არ არსებობდა.

ამგვარი სკოლები გაჩნდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის მერე, როცა ყოველ ეროვნებას მიეცა შეფარდებითი შესაძლებლობა, სწავლება წარემართა დედაენაზე. მაგრამ ამის შემდეგ მთელი ოთხი წლის განმავლობაში აფხაზეთში ნაციონალიზებული იყო მხოლოდ დაწყებითი სკოლა, - დაწყებითი სკოლის იქით ნაცუმცირესობათა კულტურული მუშაობა არ მიდიოდა. ეროვნული საშუალო სკოლა და, მით უმეტეს, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო მუშაობა აფხაზეთში მოსახლე ეროვნებებს შორის არ არსებობდა. ეროვნული დაწყებითი სასკოლო ქსელიც მენშევიკების ბატონობის მთელი დროის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა. 1917 წელს სკოლების საერთო რაოდენობა

148 იყო, ხოლო 1920 წელს - 146. ცხადია, რომ მენშევიკების რეჟიმის დროს საგანმანათლებლო მუშაობას საერთოდ და განსაკუთრებით ცალკეულ ეროვნებებს შორის არ ექცეოდა არავითარი ყურადღება, ამიტომ კულტურული განვითარება აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებებში საერთოდ შეწყდა. განათლების საქმის ასეთი სრული უძრაობის მდგომარეობაში მოგვისწრო სოვეტიზაციამ 1921 წლის მარტში» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:1].

როგორც ვხედავთ, ა. ჭოჭუასთვის თითქოს სასტიკად მიუღებელია განათლების ენად მხოლოდ რუსული ენის გამოყენება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში დედაენებზე სკოლების გახსნა მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ დაუნდობლად იდევენობდაო. გასაოცარი გამონაკლისია, რომ ცარიზმის ტრაფარეტული ლანძღვის მერე აფხაზი პოლიტიკოსი ნანილობრივ მაინც აღიარებს ეროვნული სკოლის არსებობას 1917-1921 წლებში. ავტორი ციტირებულ აბზაცში მენშევიკებს ადანაშაულებს იმაში, თითქოს ეროვნული სკოლები მხოლოდ დანყებით საფეხურს მოიცავდა, თუმცა ა. ჭოჭუა არ განმარტავს იმას, რომ სხვადასხვა ენებზე უფრო მაღალი საფეხურის სკოლების გახსნა ტექნიკურად ვერ მოხერხდებოდა სახელმძღვანელოების უქონლობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების არარსებობის გამო. ამ პრობლემების მოხსნა 4 წელიწადში შეუძლებელი იყო.

განათლების კომისარი ერთმანეთს უდარებს საქართველოს დამოუკიდებლობის და საბჭოთა პერიოდების აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა სტატისტიკას, რითაც ნამდვილად დასტურდება მათი რაოდენობრივი ზრდა:

„1920 წელს - სკოლა - 146; მასწავლებელი - 248, მოსწავლე - 10.468;

1922 წელს - სკოლა - 183, მასწავლებელი - 530, მოსწავლე - 11.403“ [სცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:2].

მოხსენებაში წარმოდგენილი მონაცემებით 1920 წელს აფხაზეთში 146 სკოლიდან ყველაზე მეტი ყოფილა ქართული სკოლა (55), შემდეგ აფხაზური (36), დაახლოებით თანაბრად რუსული (19), ბერძნული (18) და სომხური (11), ხოლო მცირე

რაოდენობით იყო ესტონური (3), შერეული (3) და გერმანული (1) სკოლები. 248 მასწავლებლიდან უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები (94), არაქართველთა შორის ყველაზე მეტნი იყვნენ რუსები (58), შემდეგ აფხაზები (36), თითქმის თანაბრად სომხები (27) და ბერძნები (24), ცოტანი იყვნენ ესტონელები (3), გერმანელები (1) და სხვები (5). 10.468 მოსწავლიდან ყველაზე მეტნი ყოფილან ქართველები (4.294), დაახლოებით თანაბრად აფხაზები (1.790) და რუსები (1.618), ასევე თითქმის ერთნაირი რაოდენობით სომხები (1.341) და ბერძნები (1.115), ხოლო მცირე რაოდენობით ესტონელები (168), გერმანელები (56) და სხვები (86).

ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდიდან ნამდვილად იმატა სასწავლო დანესებულებებმა, არაერთი სტატისტიკური მონაცემით დასტურდება, მათ შორის ქვემოთ მოყვანილი ცხრილითაც.

სკოლათა რაოდენობა აფხაზეთში

სკოლები	გასაბჭოებამდე	1925-26 წ	1926-27 წ	1927-28წ.
აფხაზური	36	46	49	56
ქართული	55	76	87	86
სომხური	11	67	77	77
ბერძნული	18	48	56	54
რუსული	19	14	15	17
გერმანული	1	1	1	1
ესტონური	3	3	3	3
თურქული	-	1	1	3
ინტერნაც.	3	19	13	12
ჯამი	146	268	302	302

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:82].

როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, 1927-28 სასწავლო წლისთვის ყველაზე მეტი იყო ქართული სკოლა (86), შემდეგ სომხური (77), დაახლოებით თანაბრად აფხაზური (56) და ბერძნული (54), ასევე თითქმის თანაბრად რუსული (17) და

ინტერნაციონალური (12), ძალიან ცოტა იყო თურქული (3), ესტონური (3) და გერმანული (1) სკოლები.

გასაბჭოებამდე ყველაზე მეტი იყო ქართული და აფხაზური სკოლები, გასაბჭოების შემდეგ კი ქართული და სომხური. გასაბჭოების შემდეგ 31-ით მეტი ქართული სკოლა გაიხსნა, აფხაზური - 20-ით მეტი, სომხური - 66-ით მეტი, ბერძნული - 36-ით მეტი, ინტერნაციონალური - 9-ით მეტი. რუსული სკოლების რიცხვი შემცირდა 19-დან 17-მდე. იმავე რაოდენობის დარჩა ესტონური (3) და გერმანული (1) სკოლები, ხოლო გასაბჭოებამდე არ არსებობდა და მის შემდეგ შეიქმნა 3 თურქული სკოლა. მაშასადამე, კომუნისტური რეჟიმის დროს ორჯერ მეტი სომხური და ბერძნული სკოლები დაარსდა. მართალია, ამ მონაცემებით ჩანს, რომ რუსული სკოლების რაოდენობა შემცირდა კიდევაც, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სომხურსა და ბერძნულ სკოლებში არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობის სახელმძღვანელოები და არ ჰყავდათ საკმარისი სომხურენოვანი და ბერძნულენოვანი მასწავლებლები (ამაზე ვრცლად ნერს ა. ჭოჭუა დოკუმენტის მეორე თავში - ს. ქ.), ცხადია, ასეთ სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე წარიმართებოდა. სწავლების მეორე საფეხურიდან პრაქტიკულად რუსულად ხდებოდა სწავლება აფხაზურ სკოლებშიც. შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლებას არც კი სჭირდებოდა ოფიციალურად რუსული სკოლების დამატებით გახსნა, ვინაიდან ე.წ. ეროვნულ სკოლებში ხელოვნურად იქმნებოდა გარემო იმისთვის, რომ განათლების ენად რუსული გამოეყენებინათ.

ა. ჭოჭუა ხოტბას ასხამს ახალი სოციალისტური სისტემის დამკვიდრებას, რომელიც «მხსნელად» მოეწვინა აფხაზეთში მცხოვრებს მოსახლეობას: „1921 წლის მარტის თვემ აფხაზეთის მშრომელებს მისცა აღორძინებისა და კულტურული მშენებლობის ფართო შესაძლებლობები, ყველა ცალკეულ ეროვნებას შეუქმნა შესაძლებლობა თავისი ეროვნული კულტურის შენებისა და განვითარებისა. მომდევნო წლებში შეინიშნება ეროვნული სკოლების ქსელის ასეთივე სწრაფი ზრდა, მატულობს სკოლაში ბავშვი მოსახლეობის ჩართულობა, მიმდინარეობს სისტემატური

მუშაობა ნაცუმცირესობათა სკოლების მასწავლებლობის მოსამზადებლად, გადასამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მიმდინარეობს მუშაობა ნაცუმცირესობებში წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ, დაიძრა მკვდარი წერტილიდან და შედეგებს იძლევა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა ნაცუმცირესობათა ასაკოვან მოსახლეობაში, ყოველი ახალი წელი აღინიშნება მუშაობის ხარისხის ამაღლებითა და გაღრმავებით» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:2-3]. ასეთი პათეტიკური შეფასებით ასრულებს ა. ჭოჭუა პირველ თავს, მაგრამ მის მიერ დოკუმენტში წარმოდგენილი მასალებით სინამდვილეში საპირისპირო რამ მტკიცდება.

ა. ჭოჭუა კონკრეტულ-საქმიან მსჯელობას იწყებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მიმოხილვით: «სკოლამდელი აღზრდა, რომელიც სრულებით არ არსებობდა სოვეტიზაციამდე, აფხაზეთში ჩასახვას 1921 წლიდან იწყებს. სამწუხაროდ, სახსრების უქონლობა არ იძლევა საშუალებას ამ საქმის საკმარისი ზომით გასაშლელად და, მით უმეტეს, წარიმართოს იგი ცალკეული ეროვნებების ხაზით. საბავშვო ბაღების 8-ერთეულიანი მცირე ქსელი დგას ყველა ეროვნების ერთდროულად მომსახურების აუცილებლობის წინაშე. ამა წლის მარტიდან ქ. სოხუმში გაიხსნა საბავშვო სახლი, რომელიც ასევე ყველა ეროვნებას ემსახურება. ყველა ეროვნების მომსახურე საბავშვო ბაღებსა და სკოლამდელთა საბავშვო სახლში პედაგოგთა შემადგენლობა ეროვნულად შერეულია» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:3]. გამომდინარე იქიდან, რომ მანამდე საერთოდ არ არსებობდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სავარაუდოდ, საანგარიშგებო პერიოდისთვისაც ნაკლები მოთხოვნა იქნებოდა საბავშვო ბაღებზე, ამიტომ სხვადასხვაენოვანი ჯგუფები ცალ-ცალკე არც იარსებებდა.

მომდევნო ნაწილში ა. ჭოჭუა დაწყებითი სკოლების მდგომარეობას მიმოხილავს. მისი განცხადებით: „დაწყებითი ეროვნული სკოლა, რომელიც გაფორმდა და მყარად ამუშავდა მოსწავლეთა დედაენაზე 1923 წლისთვის, ყველა გასული წლის განმავლობაში განუხრელად იზრდება“.

ეროვნული სკოლების რაოდენობა 1927-1928 სასწავლო წელს:

	ეროვნული სკოლების რაოდენობა							სულ
	სომხ.	ბერძნ.	რუს.	ესტონ.	გერმან.	თურქ.	შერეული	
I საფეხ.	76	55	11	3	1	2	3	151
შვიდნლი I საფეხ.	-	-	4	-	-	-	-	4
ცხრანლი I საფეხ.	1	1	-	-	-	-	3	5
ჯამი	77	56	15	3	1	2	6	160

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:3].

აქ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით სხვადასხვა საფეხურის 160 სკოლიდან ყველაზე მეტი იყო სომხური (77) და ბერძნული (56) სკოლები. ძალიან ცოტაა რუსული (15), შერეული (6), ესტონური (3), თურქული (2) და გერმანული (1) სკოლები. მათი დიდი ნაწილი პირველი საფეხურისაა (151). ამის საპირისპიროდ, სულ 4 შვიდნლედი (ოთხივე რუსული) და 5 ცხრანლედია (3 - შერეული, 1 - სომხური და 1 - ბერძნული) აღნუსხული. როგორც ვხედავთ, აფხაზეთში 1927-28 სასწავლო წლისთვის ჯერ კიდევ მცირე იყო მაღალი საფეხურის სკოლათა რიცხვი.

საყურადღებო ინფორმაციას გვანვდის ა. ჭოჭუა სკოლების დაფინანსების შესახებ: „აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობაში მოთხოვნილება დაწყებით განათლებაზე იმდენად დიდია, სახალხო განათლების ბიუჯეტი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მას, მაგრამ მოსახლეობა, განსაკუთრებით სომხური და ბერძნული, არ ფერხდება სახელმწიფო ასიგნებათა უქონლობის წინაშე, თვითონ ხსნის სკოლებს და მთლიანად ინახავს მათ თავისი ხარჯით - ხელფასს უხდის მასწავლებლებს და ფარავს სკოლის ყველა ხარჯს. არსებობს სასოფლო საზოგადოებების მიერ შენახული ასეთი 32 სომხური სკოლა 40 მასწავლებლით და 15 ბერძნული სკოლა 15 მასწავლებლით» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:4].

მაშასადამე, საბჭოთა რეჟიმის ზრუნვა იმდენად „დიდი“ ყოფილა, რომ სომხური სკოლების თითქმის ნახევარი თვით სომეხი მოსახლეობის მიერ ყოფილა დაფინანსებული, ხოლო 56 ბერძნული

სკოლიდან 15, ანუ თითქმის 1/4 - ბერძნების მიერ. საკითხავია, ამას დასახლებული ეთნოსების წარმომადგენლები მართლა თავიანთი სურვილით აკეთებდნენ, თუ ეს სახელმწიფოს ფარული თუ აშკარა დაკვეთა იყო? ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ბიუჯეტიდან მხოლოდ მცირეოდენ ხარჯს იმეტებდა და ეროვნული სკოლების გარკვეული ნაწილის ფუნქციონირების უზრუნველყოფას მოსახლეობას ავალდებულებდა.

ა. ჭოჭუა წარმოგვიდგენს და დაწყებითი სკოლის მიერ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის ამსახველ სტატისტიკურ მაჩვენებლებს. ნაცუმცირესობათა სკოლების მოსწავლეების, მათ შორის ასაკგადაცილებულთა, საერთო რაოდენობა ეროვნებათა მიხედვით ასეთი ყოფილა:

სომხ.	ბერძნ.	რუს.	ესტონ.	გერმან.	თურქ.	სხვები	სულ
4607	3456	1063	97	59	92	153	9526

დაწყებითი სკოლის მიერ მომსახურების ხარისხი ამგვარია:

ნაცუმცირესობები	მოსახლ.რაოდ. დაახლ.	სულ ეროვნ. სკოლ.ცალკ. ეროვნ. მიხ.	მოსახლ.რაოდ. მოდის 1 სკოლაზე
სომხები	25.000	77	325
ბერძნები	20.000	56	357
რუსები	12.000	15	800
ესტონელები	900	3	300
გერმანელები	300	1	300
თურქები	500	2	250

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:4].

მაშასადამე, 9.526 მოსწავლიდან ყველაზე მეტნი ყოფილან სომხები (4.607), შემდეგ ბერძნები (3.456) და რუსები (1.063). ყველაზე ცოტანი იყვნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები (153), ესტონელები (97), თურქები (92) და გერმანელები (59). უცნაურია, რომ იმ დროს შედგენილი სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით, წინამდებარე მასალაში ცალკე არ არიან გამოყოფილი მეგრელები, ლაზები და სვანები, ისინი სრულიად მართებულად ქართველებად მიიჩნევიან.

**ეროვნული სკოლის მიერ სასკოლო ასაკის ბავშვთა
ჩართულობის ხარისხი ეროვნებათა მიხედვით:**

ნაცემცირესობათა დასახელება	8-დან 12 წლამდე სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა (დაახლ.)	მათგან ეროვნულ სკოლებში	%
სომხები	4.000	3.501=499	87,6
ბერძნები	3.800	2.448=1352	64,4
რუსები	940	812=128	86,3
ესტონელები	130	72=58	55,3
გერმანელები	60	47=13	78,3
თურქები	85	69=16	81,2
სხვები	509	113=396	22,2

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:5].

ავტორის მიერ შედგენილ ამ ცხრილში აღნუსხულია 8-დან 12 წლამდე ასაკის სხვადასხვა ეროვნების 9.524 მოსწავლე, რომელთა შორის 7.062 დადიოდა თავისი ეროვნების სკოლაში, ხოლო 2.462, ანუ 1/4 - სხვა ეროვნების სკოლაში. აქ განათლების კომისარის დასძენს: „დანწყებითი ესტონური ეროვნული სკოლის მიერ სასკოლო ასაკის ბავშვთა დაბალი მომცველობა იმით აიხსნება, რომ ესტონელებს თავიანთი შვილები გადაჰყავთ ქალაქების რუსული სკოლების მაღალ ჯგუფებში“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:5].

ამავე ცხრილიდან ძნელი გასარკვევია, რომელ ენაზე იღებდა განათლებას 2462 მოსწავლე, რომლებიც თავიანთ ეროვნულ სკოლებში არ დადიოდა: ქართულად, რუსულად თუ აფხაზურად? ჩვენი აზრით, მათი მცირე რაოდენობა, სავარაუდოდ, ქართულად სწავლობდა, ხოლო უმრავლესობა - რუსულად.

ავტორი განაგრძობს: „დანწყებითი სკოლის მიერ ყველა ეროვნების სასკოლო ასაკის ბავშვთა საერთო მომცველობა კი აფხაზეთში, აფხაზთა და ქართველთა ჩათვლით, 63,1%-ს შეადგენს. ეს გამოთვლა შესრულდა 1926-27 წლების [მოსახლეობის] საყოველთაო აღრიცხვის ფარგლებში საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს

მონაცემთა საფუძველზე გადათვლის მეთოდის გამოყენებითა და სიკვდილიანობის პროცენტის გათვალისწინებით“ [სცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:6]. როგორც ჩანს, ხსენებული აღწერის დროს საქართველოს სტატისტიკის კომიტეტი კრებდა, ამუშავებდა და აწვდიდა ინფორმაციას აფხაზეთს.

საკვლევი საბუთის ერთ-ერთი ქვეთავია „ამაღლებული განათლება“ [повышенное образование]. განათლების კომისრის ინფორმაციით, «ამაღლებული ტიპის სკოლათა საერთო რაოდენობა აფხაზეთში აქამდე შეზღუდული რჩება: არსებობს ყველა ეროვნების 13 შვიდწლედანი, 8 ცხრანწლედანი და 6 გლეხი ახალგაზრდობის სკოლა» (შემოკლებით: გას ს.ჭ.). შვიდწლედანი და ცხრანწლედანი მრავალი წელია არსებობს, ხოლო გლეხი ახალგაზრდობის სკოლები პირველად მიმდინარე საბიუჯეტო წელს [1926-1927 წწ.] გაიხსნა. გეგმის მიხედვით მომდევნო წელს გაიხსნება სომხური და 2 ბერძნული გლეხი ახალგაზრდობის სკოლა» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:6].

დოკუმენტში წარმოდგენილია ცხრილები ეროვნული ნიშნის მიხედვით სკოლებისა და მოსწავლეთა განაწილების შესახებ:

სკოლების დასახელება	აფხაზური	ქართული	სომხური	ბერძნ.	თურქ.	მოსწ. ნარევი შემადგენლ.	სულ
შვიდწლედანი	3	6	-	-	4	-	13
ცხრანწლედანი	-	3	1	1	-	3	8
გას	3	3	1	-	-	-	6
ჯამი	6	11	2	1	4	3	27

ამაღლებული ტიპის სკოლების კლიენტურა ამგვარია:

სკოლის დასახელება	აფხაზ.	ქართ.	სომხ.	ბერძნ.	რუს.	სხვა	სულ
შვიდწლედანი და ცხრანწლედანი	233	1486	276	103	247	107	2452
გას	33	51	16	-	-	2	122
ჯამი	286	1537	292	103	247	109	2574

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:6].

როგორც ვხედავთ, 27 სხვადასხვა საფეხურის სკოლიდან ყველაზე მეტი იყო ქართული (11) და აფხაზური (6), თურქული ყოფილა - 4, ნარევი - 3, სომხური - 2 და ბერძნული - 1. ამ მონაცემებში არ ჩანს რუსული სკოლების რაოდენობა, თუმცა ზემოთ აღნიშნულ მონაცემებში მითითებული იყო, რომ არსებობდა 4 რუსული შვიდწლედის სკოლა. 2.574 მოსწავლიდან ამაღლებულ ტიპის სკოლებში სწავლობდა ყველაზე მეტი ქართველი მოსწავლე (1.537), დანარჩენი ეროვნებების რაოდენობა ბევრად ნაკლები იყო: სომხები - 292, აფხაზები - 286, რუსები - 247, სხვა- 109 და ბერძნები - 103.

მასწავლებელთა დაბალ კვალიფიკაციას ადასტურებს ქვემოთმოყვანილი ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია მათი განათლების ცენზი:

სკოლები	მასწავლებელთა განათლება						სულ
	უმღლ.	არასრ. უმღლ.	სპეც. უმაღლ.	საშუალო	არასრული საშუალო	უდაბლესი	
1. პირველი საფეხური							
სომხური	2	7	7	122	2	9	149
ბერძნული	-	-	1	16	20	58	95
რუსული	1	3	9	28	-	-	41
ესტონური	-	-	1	2	-	-	3
გერმანული	-	-	-	2	-	-	2
თურქული	-	-	-	1	-	1	2
2. მეორე საფეხური							
სომხური	-	-	-	7	-	-	7
ბერძნული	-	-	3	2	-	-	5
რუსული	10	4	4	4	-	-	22

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:8].

მაშასადამე, უმაღლესი განათლება ჰქონდა 22 რუს, 7 სომეხ და 5 ბერძენ მასწავლებელს; სპეციალური პედაგოგიური განათლება - 13 რუსს, 7 სომეხს, 4 ბერძენს და 1 ესტონელს. 149 სომეხი მასწავლებლიდან 122-ს ჰქონდა საშუალო განათლება, 95 ბერძენი მასწავლებლიდან 58-ს - უდაბლესი განათლება, 63 რუსი პედაგოგიდან 32-ს საშუალო განათლება. ამ მონაცემებით მართლაც ყველაზე მეტნი და ყველაზე კვალიფიციურნი რუსი მასწავლებლები გამოდიან.

ა. ჭოჭუა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პედაგოგიური პერსონალის გადამზადებისა და კვლიფიკაციის ამალღების აუცილებლობაზე. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ უსახსრობის გამო აფხაზეთში არ არსებობდა ეროვნული პედაგოგიური ცენტრები, ხოლო სხვა რესპუბლიკების მასწავლებლებში გაგზავნა ვერ ხერხდებოდა ფინანსების არქონის, მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურებისა და მსურველთა არარსებობის გამო: «ერთადერთი შესაძლებლობა, რაც რჩება განსახკომის ხელთ ნაცემ მასწავლებელთა მომზადების საქმეში, არის ეროვნული ცხრანლედეების ორი მაღალი კლასისათვის პედაგოგიური განხრის მინიჭება, რაც განსახკომმა უკვე განახორციელა. სოხუმში არსებულ სომხურ და ბერძნულ ცხრანლედეებს გასული წლიდან მიენიჭა პედაგოგიური განხრა და უახლოეს დღეებში თანდათან დაიწყებენ დაწყებითი ეროვნული სკოლისათვის ადგილობრივი მოსახლეობიდან სომეხი და ბერძენი მასწავლებლების გამოშვებას» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:8].

როგორც ჩანს, ამ გადამწყვეტილების მიუხედავად, აფხაზეთის განსახკომი ვერ უზრუნველყოფდა სხვადასხვა ეროვნების მასწავლებელთა გადამზადებას, ამიტომ პედაგოგებს სხვაგან აგზავნიდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ავტორი წერდა: «არ მოეპოვება რა ადგილებზე ყველა ეროვნებისათვის გადამზადების კურსების დაარსების საშუალება, განსახკომი ჯერჯერობით ყოველწლიურად მეზობელ რესპუბლიკებში საზაფხულო კურსებზე გზავნის სომეხ და ბერძენ მასწავლებლებს. ასე, 1926 წელს სომხურ კურსებზე ახალქალაქში გაიგზავნა 5 სომეხი მასწავლებელი და ანაპაში ბერძნულ კურსებზე 5 ბერძენი მასწავლებელი, 1927

წელს - 6 სომეხი და 7 ბერძენი მასწავლებელი. რუსი, ესტონელი და გერმანელი მასწავლებლები იგზავნიან გადამზადების კურსებზე, რომლებიც ყოველწიურად ეწყობა ქ. სოხუმში ერთდროულად ყველა ეროვნების მასწავლებლებისათვის. დამდეგ ზაფხულს მასწავლებელთა გადამზადების გეგმის მიხედვით ბერძნულ კურსებზე ანაპაში უნდა გაიგზავნოს 4 ბერძენი და სომხურ კურსებზე 4 სომეხი მასწავლებელი» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:9].

მეტად საყურადღებო და საინტერესოა დოკუმენტის ინფორმაცია ბერძნული ენისა და ბერძნული ორთოგრაფიის რეფორმის შესახებ⁹: „1927 წლის ივნისში ქ. სოხუმში გაიმართა ბერძენ მასწავლებელთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 52 ბერძენი მასწავლებელი. მეცადინეობათა ძირითადი საგნები [= თემები] იყო:

1. მართლწერის რეფორმა;
2. პოპულარული [ხალხური] ენის (დიმოტიკის) დანერგვა, როგორც სკოლაში სწავლების ენისა;
3. პირველი საფეხურის სკოლის დედაენის პროგრამა;
4. შრომის სკოლა და სწავლების კომპლექსური სისტემა;
5. სკოლაში აღმზრდელით-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზება, შინაარსი და მეთოდები.

კონფერენციის ყველა მონაწილე წინასწარ იყო მომარაგებული წერილობითი მასალებით: 1. გრამატიკასა და ორთოგრაფიაში ცვლილებებისა და 2. პირველი საფეხურის სკოლების პროგრამებით ბერძნულ ენაზე.

კონფერენციამ გაითვალისწინა რა ორთოგრაფიის რეფორმის ცხოვრებაში დანერგვისა და პოპულარულ ენაზე გადასვლის სირთულე შესაბამისი ლიტერატურისა და ბერძნული მოსახლეობის ნაკლებად შეგნებული ნაწილის მხრიდან შესაძლო თანადგომის უქონლობის გამო, ერთხმად გამოთქვა მხარდაჭერა ახალი ორთოგრაფიისა და პოპულარული ენის დამკვიდრებისადმი.

9. ქრონოლოგიური უზუსტობები ჩანს ა. ჭოჭუას მიერ გადმოცემულ ფაქტებში, ვინაიდან, მისი თქმით, 1926-27 წლებში აფხაზეთის ბერძნულ სკოლებში დაწყებულა ის ენობრივი რეფორმა, რომელიც ეყრდნობოდა როსტოვში 1928 წელს (?) მიღებულ დადგენილებებს.

განსახკომი 1926 წლიდან თანდათანობით, დიდი სიფრთხილით ახორციელებს კონფერენციის ამგვარ დადგენილებას, რომელიც მთლიანად ეყრდნობა დონის როსტოვში 1928 წლის მაისში გამართული იმ ბერძნული თათბირის ავტორიტეტულ დადგენილებას, რომელსაც აფხაზეთიდან 3 დელეგატი ესწრებოდა. დადგენილ იქნა: „ყველა ბერძნულ სკოლაში უნდა დაინერგოს საკავშირო ბერძნული თათბირის მიერ დამტკიცებული ახალი ბერძნული ორთოგრაფია; ამასთანავე პირველი საფეხურის სკოლებში, რომელთათვისაც არსებობს ახალი ორთოგრაფიის სახელმძღვანელოები, იგი აუცილებლად უნდა იქნეს დანერგილი; ხოლო მეორე საფეხურის კლასებში, შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის უქონლობისა და მოსწავლეებისათვის ახალ მართლწერაზე სწრაფად გადასვლის სიძნელის გამო, რეკომენდებულია ახალ ორთოგრაფიაზე გადასვლა, [მაგრამ] მოსწავლეებს არ უნდა აეკრძალოთ ძველი ორთოგრაფიით წერაც. რაც შეეხება სწავლების ენას, ხალხური ენა (დიმოტიკა) უნდა ჩაითვალოს სავალდებულოდ იმ კლასებისათვის, რომლებსაც არსებობს შესაბამისი მითითებები და სახელმძღვანელოები.

მიუხედავად საქმისადმი ამგვარი ფრთხილი მიდგომისა, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე რეფორმა მნიშვნელოვნად აიოლებს ენის შესწავლას და ზოგავს დროს, განსახკომის ღონისძიებებმა ბერძნული სკოლის ახალ ორთოგრაფიასა და სწავლების პოპულარულ ენაზე გადასაყვანად ზოგ ადგილას მოსწავლეთა მშობლებს შორის, უმეტესად შეძლებულთა კლასებში, უკმაყოფილება გამოიწვია» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:9-10].

ბერძნულ სკოლებში ახალი ორთოგრაფიისა და ხალხური სამეტყველო ენის შემოღების პროცესი კანონიერად იწვევდა უკმაყოფილებას, რადგან საზოგადოებას ექმნებოდა არცთუ უსაფუძვლო შთაბეჭდილება, რომ დაინყო ეროვნულობის მთავარი ატრიბუტის - ენის შერყვნა. ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩანს, თითქოს აფხაზეთის განათლების კომისარიატი ძალიან იყო მონადინებული, რომ ბერძენ მოსწავლეებს გაადვილებოდათ ბერძნული ენის შესწავლა. ის, რომ განსახკომს ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა ენობრივი რეფორმის

მოწინააღმდეგეთა მიმართ, ამას ადასტურებს უკმაყოფილო ბერძენთა სოციალურ სტატუსზე ხაზგასმა.

ა. ჭოჭუას ცნობით, აფხაზეთის განსახკომის დაქვემდებარებაში იყვნენ სომეხი, ბერძენი, რუსი მეთოდისტები და ინსტრუქტორები, რომლებიც კურირებდნენ შესაბამის მეთოდიკურ მუშაობასა და სკოლების მართვას: „მეთოდიკურ მუშაობას საერთოდ ეწევა განსახკომთან არსებული მეთოდიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც განსახკომის საინსტრუქტორო აპარატის გარდა შედიან ყველაზე აქტიური მასწავლებლები. მეთოდსაბჭო იყოფა ეროვნულ სექციებად, რომელთა შორის არის სომხური, ბერძნული და რუსული სექციებიც. ყოველი მათგანი ეწევა მეთოდიკურ მუშაობას შესაბამისი ეროვნების სკოლებში. ნაცუმცირესობათა სკოლების ინსტრუქტირებისათვის განსახკომში არიან სომეხი, ბერძენი და რუსი ინსპექტორები, რომელთაგან თითოეული განაგებს შესაბამისი ეროვნების სკოლათა ინსტრუქტირების საქმეს» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:10]. საკითხავია, როგორ შეძლებდნენ მეთოდისტები და ინსტრუქტორები სრულფასოვნად მუშაობას, როდესაც დასახელებული კადრები ვერ აკმაყოფილებდნენ კვალიფიკაციის ელემენტარულ მოთხოვნებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ა. ჭოჭუას მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 1927-28 წლებისთვის აფხაზეთის სკოლებში სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შესახებ. ამ საკითხს ხელმძღვანელობდნენ განსახკომის წიგნისა და საწერი ქალაქის ცენტრალური საწყობი და სამაზრო ქალაქებში მდებარე განყოფილებები. როგორც ვხედავთ, საწერი ქალაქიდან კი კონტროლქვეშ იყო.

საყურადღებოა შემდეგი ინფორმაციაც: „ობიექტური პირობების გამო ნაცუმცირესობათა ყველა სკოლას არა აქვს საშუალება საკმარისად უზრუნველყოფილნი იყვნენ მათთვის საჭირო სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით. თუ სომხური, რუსული, ესტონური სკოლები შესაბამის რესპუბლიკებში ამ ენებზე უკვე აწყობილი გამომცემლობების წყალობით იღებენ მათი მუშაობისათვის საჭირო ყველაფერს, მნიშვნელოვნად უფრო ძნელია საჭირო სახელმძღვანელოებითა

და ლიტერატურით ბერძნული და თურქული სკოლების უზრუნველყოფა.

ცოცხალი ხნის წინ დონის როსტოვში დაწყებულმა ბერძნული [წიგნების] გამოცემამ ჯერ კიდევ ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. ჯერჯერობით მან ბერძნულ სკოლას მხოლოდ ანბანისა და მისი მომდევნო სამ კლასში საკითხავი წიგნის მიწოდება შეძლო. თუკი ეს ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ნაწილობრივ აღმოიფხვრას წიგნის შიმშილი, მეორე საფეხურის სკოლა ჯერ მაინც რჩება სახელმძღვანელოსა და საჭირო ლიტერატურის გარეშე. ეს გარემოება განსაკუთრებით აძნელებს შრომას მოსწავლეებისა და მასწავლებლისა, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ, შეიქმნას მეტ-ნაკლებად ასატანი სამუშაო პირობები. ამის გამო განსახკომი ჯერ კიდევ 1926 წლის დასაწყისში დადგა აუცილებლობის წინაშე, გამოენერა მეორე საფეხურის სახელმძღვანელოები საბერძნეთიდან. სახელმძღვანელოების მიღებული პარტია გულდასმით იქნა გამოკვლეული ბერძენი მასწავლებლებისაგან, განსახკომის ინსპექტორებისაგან, მთავლიტისა¹⁰ და საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკებისა) საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის შემადგენლობით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ. კომისიის მუშაობის შედეგად შესაძლებლად იქნა ცნობილი, სკოლაში მიმოქცევისათვის დაშვებულიყო სახელმძღვანელოთა ძალზე შეზღუდული რაოდენობა, სხვები კი დაწუნებულ იქნა“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:11]. როგორც ჩანს, საკითხი გადაწყვიტა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა ფაქტორმა, რაზეც კომისიის მუშაობაში მთავლიტის წარმომადგენლისა (ანუ ოფიციალური ცენზორისა) და კომპარტიის საოლქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების განყოფილების გამგის მონაწილეობა მიგვანიშნებს.

შემდეგ ა. ჭოჭუა დასძენს: „მიმდინარე წელს განსახკომმა საქართველოს განსახკომის შუამავლობით საბერძნეთში გაგზავნა ახალი შეკვეთა 3.500 მანეთამდე ღირებულების ლიტერატურის შესაძენად. გამოსანერი ლიტერატურის სია შეადგინა იმავე კომისიამ და შედგება მათემატიკური

10. მთავლიტი (რუს. Главлит) - საბჭოური საცენზურო კომიტეტი.

და საბუნებისმეტყველო-ისტორიული დისციპლინების სახელმძღვანელოებისაგან, სწავლების მე-5 წელს საკითხავი წიგნებისაგან (პოპულარულ ენაზე), დიმოტიკის გრამატიკისაგან, ბერძენი კლასიკოსებისა და რუსულიდან თარგმნილი ლიტერატურისაგან. ლიტერატურა ჩამოსვლის შემდეგ გაივლის სპეციალურ კომისიას“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:11].

ცხადია, რუსული ლიტერატურის ბერძნული თარგმანების ფუნქცია იყო მოსწავლეთა შეგუება რუსული ლიტერატურის მოსალოდნელ სავალდებულო სწავლებასთან. მაშასადამე, აფხაზეთის განათლების კომისარიატს სომხური, ბერძნული, რუსული და ესტონური სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა მეზობელი რესპუბლიკებიდან და სხვა სახელწიფოდან შემოჰქონდა და საჭიროების შემთხვევაში, ამ საქმის განსახორციელებლად საქართველოს განსახკომსაც მიმართავდა დახმარებისთვის.

ირკვევა, რომ გაზეთებიც სხვა რესპუბლიკებიდან მოდიოდა: „მიმდინარე წელს, წინა წლების მაგალითისამებრ, სომხური სკოლების 40% მომარაგდა გაზეთ „სოვეტსკაია არმენია“-თი და ბერძნული სკოლების 50% - „გრეჩესკი კომუნისტ“-ით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:12]. აქ უბრალოდ გაუგებარია, რატომ მოდიოდა სომხურ და ბერძნულ სკოლებში მაინცდამაინც რუსული გაზეთები. ალბათ იმიტომ, რომ რუსულენოვანი გაზეთები იოლი საკონტროლებელი იყო და თან შესანიშნავ შანსს ქმნიდა იდეური და ენობრივი გავლენისთვის.

ა. ჭოჭუას მოხსენების მე-3 თავი ეხება აფხაზეთში პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას. ანგარიშის შესავალში ასახული პათოსი, რომ სოვეტიზაცია მხსნელად მოეფლინა აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებებს, ამ თავის პირველ აბზაცშიც ბათილდება, ვინაიდან სწორედ ამ ნაწილშია დასახელებული ყველა ის პრობლემა, რის გამოც ფერხდებოდა საგანმანათლებლო ქსელის განვითარება აფხაზეთში, კერძოდ: «დიდი კულტურული და ეკონომიკური ჩამორჩენა, ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე, საყოფაცხოვრებო და ენობრივი პირობები, სრული უგზობა ზამთრობით, მომზადებულ მუშაკთა უყოლობა, ლიტერატურის უკმარისობა

და უქონლობა, სახსრების შეზღუდულობა და სხვა აისახება მუშაობის წარმატებაზე. ამიტომ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის განვითარებაში ბოლო წლებში შეინიშნება უძრაობა».

ავტორი პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებად ასახელებს შემდეგ ობიექტებს: წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო პუნქტებს, მცირედმცოდნეთა სკოლებს, ქობ-სამკითხველოებს, წითელ კუთხეებსა და ბიბლ-სამკითხველოებს. წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით 1925 წლიდან 1928 წლამდე აღნიშნული დაწესებულებების რაოდენობა 1-2 ერთეულით ან იკლებს, ან იმატებს, ზოგიერთი მათგანის რაოდენობა კი უცვლელი რჩება.

დაწესებულებათა დასახელება	1925-26	1926-27	1927-28
ლიკპუნქტები ¹	18	17	19
მცირედმცოდნეთა სკოლები	11	11	10
ქობ-სამკითხველოები	10	11	11
წითელი კუთხე-ები	20	22	22
ბიბლ.-სამკითხველოები	1	1	1

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:13].

რაკი წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებად სახელდება, ცხადია, წერა-კითხვის უცოდინრობის (შემოკლებით: წკუ) ლიკვიდაცია დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ-იდეოლოგიურ აქციად მიიჩნეოდა: „ლიკპუნქტებში ძნელად მოიზიდება გაუნათლებელი მოსახლეობა. ხშირად ლიკპუნქტები მუშაობას იწყებენ 30-35 მოსწავლით და უშვებენ არა უმეტეს 10-15 კაცს. მასწავლებელ-ლიკვიდატორები მათი შრომის მწირი ანაზღაურების გამო მეტად იშვიათი მოვლენაა; შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში ლიკპუნქტებში შეთავსების წესით მუშაობენ სოციალური აღზრდის სკოლების მასწავლებლები. თვით წერა-კითხვის სწავლება უკეთესის სურვილს აჩენს. ზოგ ადგილას, განსაკუთრებით ბერძნულ ლიკპუნქტებში, სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე, ეს გარემოება კი აუარესებს ხარისხსა და შრომის შედეგიანობას» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:12-13].

ა. ჭოჭუა დოკუმენტში წარმოადგენს ცხრილებს, რომლებშიც ასახულია ლიკპუნქტებისა და მათ კურსდამთავრებულთა ეროვნული შემადგენლობა:

წლები	ეროვნება:					სულ
	სომეხი	ბერძენი	რუსი	თურქი	ესტონელი	
1925-26 წ.	12	5	12	-	-	29
1926-27 წ.	12	5	11	-	-	28
1927-28 წ.	9	8	10	1	1	29

ნაცუმცირესობათა ლიკპუნქტებში განათლებამიღებულთა განაწილება ეროვნების მიხედვით:

წლები	ეროვნება:					სულ
	სომეხი	ბერძენი	რუსი	თურქი	ესტონელი	
1925-26 წ.	213	91	273	-	-	577
1926-27 წ.	182	96	161	-	-	439
1927-28 წ.	180	160	200	20	20	580

[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:12-13].

განათლების კომისრის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით 1925-1928 წლებისთვის სომეხური, ბერძნული და რუსული ლიკპუნქტების რაოდენობა 5-დან 12-მდეა, ხოლო თურქული და ესტონური თითო ლიკპუნქტი გახსნილა 1928 წელს. სომეხი, ბერძენი და რუსი მოსწავლეების რაოდენობა ამ დაწესებულებაში 90-დან 280-მდეა, თურქებისა და ესტონელების - 20-20.

ქობ-სამკითხველოთა შესახებ ა. ჭოჭუა წერდა: „ქობ-სამკითხველოების ქსელი აფხაზეთში ძალზე ღარიბია. დღემდე განხორციელებამდე ძალზე შორსაა პარტიის XIII ყრილობის დირექტივა - თითო ქობ-სამკითხველი თითო თემს: 100 თემში 30 ქობ-სამკითხველოა. პირველი ქობ-სამკითხველოები გაიხსნა 1922 წელს. ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში ისინი იბრძოდნენ არსებობისა და გლახობაში ავტორიტეტის

მოპოვებისათვის. ამჟამად არსებული ქოხ-სამკითხველოები იყოფა [ასე]: სომხური - 1, ბერძნული - 2, რუსული - 2, ესტონური - 1, შერეული - 5, სულ - 11. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 25.000 სომეხ მცხოვრებზე მოდის 1 ქოხ-სამკითხველო; 20.000 ბერძენზე - 2; 17.000 რუსზე (უკრაინელთა ჩათვლით) – 2; 900 ესტონელზე - 1». აქ საყურადღებოა უკრაინელთა მითვლა რუსებზე. მათ ცალკე ეთნიკურ ჯგუფად არ მიიჩნევენ და წირავდნენ გასარუსებლად. ძალზე მცირერიცხოვან ესტონელებს, გერმანელებსა და თურქებს გაუხსნეს სკოლები და ქოხ-სამკითხველოები, უკრაინელები უდავოდ მეტნი იქნებოდნენ, მაგრამ მათ არ ეძლეოდათ დედაენაზე განათლების უფლება. ეს მითითება ალბათ მოსკოვიდან მოდიოდა, რადგან ანტიუკრაინული პოლიტიკა იმ დროს თვით უკრაინაშიც კი ტარდებოდა.

საბიბლიოთეკო მუშაობაც პოლიტიკურ-იდეოლოგიური დატვირთვის მქონე მიმართულება იყო: „აფხაზეთში არ არსებობს წმინდა ნაცუმცირესობათა ლიტერატურის ბიბლიოთეკები და სამკითხველოები. არსებულ 4 ბიბლიოთეკასა და 1 სამკითხველოში (ყველა ქალაქებშია) აქეთ ლიტერატურა ნაცუმცირესობათა ყველა ენაზე და ემსახურებიან ყველა ეროვნებას. მათი მატერიალური მდგომარეობა მძიმეა, იგრძნობა ნაცუმცირესობათა ლიტერატურის დიდი უკმარისობა»[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:15]. ა. ჭოჭუა ნაკლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ცალ-ცალკე არ არსებობდა სომხური, ბერძნული და სხვაენოვანი ბიბლიოთეკები. მისი აზრით, ბიბლიოთეკებში არსებული მცირე რაოდენობის ბერძნულენოვანი ან სომხურენოვანი ლიტერატურა საკმარისი არ იყო.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აფხაზეთის სახალხო განათლების კომისარი საბჭოთა ხელისუფლებას შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს:

„აფხაზეთის ნაცუმცირესობათა შორის საგანმანათლებლო მუშაობის უდიდესი წარმატების მიზნით განსახკომი აუცილებლად მიიჩნევს [შემდეგს]:

1. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან აუცილებლად იქნეს აყვანილი სახელმწიფო კმაყოფაზე სასოფლო საზოგადოებათა

კმაყოფაზე მყოფი 40 სომეხი და 15 ბერძენი მასწავლებელი.

2. ყოველწლიურად გამოიყოს სპეციალური ასიგნება ბერძენი მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

3. სომხურ და ბერძნულ 9-წლიან სკოლებში, რომლებშიც არის პედაგოგიური განხრა, სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებით გაიხსნას საერთო საცხოვრებლები უფროსი, მე-8 და მე-9 კლასებისათვის, რაც, ერთი მხრივ, გაუადვილებს გლეხებს შესაძლებლობას, მიბარებული ჰყავდეთ თავიანთი შვილები სკოლებში სრული 9 წლის განმავლობაში სასწავლად, მეორე მხრივ კი - გაჩნდება შესაძლებლობა უფრო სწრაფად მომზადდნენ ადგილობრივ მასწავლებელთა კადრები სომეხთა და ბერძენთაგან.

4. გაძლიერდეს როსტოვში ორგანიზებული მუშაობა პირველი საფეხურის ბერძნული სახელმძღვანელოების გამოსაცემად და დაიწყოს ბერძნულ ენაზე მე-2 საფეხურის სახელმძღვანელოების, ლიტერატურისა და დამხმარე სასწავლო მასალების ბეჭდვა.

5. ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვაში შენარჩუნდეს კრედიტების რაც შეიძლება მეტი წილი ნაცუმცირესობათა სკოლებში ბიბლიოთეკებით, დამხმარე სასწავლო საშუალებებითა და ავეჯით უზრუნველსაყოფად.

6. დაარსდეს სპეციალური ფონდი სასკოლო მშენებლობისათვის.

7. გაძლიერდეს მუშაობა ნაცუმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ, ქობ-სამკითხველოთა ქსელის გასაფართოებლად და მათ სათანადოდ მოსაწყობად, რისთვისაც გაიზარდოს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისათვის განკუთვნილი კრედიტების წილი»[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:15-16].

ამრიგად, აფხაზეთის სახალხო განათლების კომისრის ა. ჭოჭუას მიერ შედგენილ დოკუმენტში უამრავი საინტერესო ფაქტი და მოვლენაა ასახული, დეტალურადაა გადმოცემული აფხაზეთის სსრ-ს საგანმანათლებლო სფეროს ენობრივი ვითარება. ავტორი მოხსენების წინასიტყვაობაში შემართებით აღნიშნავდა, რომ კომუნისტურმა სისტემამ «ყველა ცალკეულ ეროვნებას შეუქმნა შესაძლებლობა თავისი

ეროვნული კულტურის შენებისა და განვითარებისათვის», რომ აფხაზეთში მცხოვრებ ეთნოსებს შეეძლოთ განათლება მიეღოთ თავიანთ დედაენაზე და ამისთვის საჭირო ყველა პირობა იყო შექმნილი. სინამდვილეში, ამავე დოკუმენტში ა. ჭოჭუას მიერვე წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებითა და აღწერილობებით ხშირად საპირისპირო რამ დასტურდება.

გთავაზობთ საარქივო მასალაში აღწერილი სხვადასხვა ფაქტობრივი მონაცემებისა და ცალკეულ დეტალების შეჯამებას, რომლებიც გარკვეულ ენობრივ სიტუაციას ქმნიდნენ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძოდ:

1. 1921 წლის მარტის ანუ გასაბჭოების შემდეგ აფხაზეთის სსრ-ს ტერიტორიაზე „სტიქიურად“ გახსნილი სომხური და ბერძნული სკოლები, რომელთა დაფინანსებასაც საბჭოთა ხელისუფლება თვით სომხებსა და ბერძნებს ავალებდა;

2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, რომლებშიც ერთად იყვნენ განთავსებული სხვადასხვა ეთნოსის აღსაზრდელები და მასწავლებლები;

3. ადგილობრივად მასწავლებელთა კადრებისა და პედაგოგიკური კურსების არარსებობა, სომხეთიდან ან თბილისიდან ჩამოსული სომეხი მასწავლებლები, 2-3 კლასის განათლებამიღებული დაბალი კვალიფიკაციის ბერძენი მასწავლებლები, მასწავლებელთა გადასამზადებლად სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში გაგზავნილი პედაგოგები, ბევრი და კარგად მომზადებული რუსი მასწავლებლები;

4. ბერძნული ენის რეფორმა: ორთოგრაფიისა და სალაპარაკო ენის გამარტივება ბერძნული ენის შესწავლის გასაადვილებლად;

5. სხვა რესპუბლიკებიდან და საბერძნეთიდან შემოტანილი რუსული, სომხური, ბერძნული, ესტონური სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა;

6. სკოლების მომარაგება რუსულენოვანი იდეოლოგიზებული გაზეთებით;

7. სავაჭროებსა და ფარდულებში შეყუჩული ქოხ-სამკითხველოები, რუსული წიგნებით სავსე ბერძნული ქოხ-სამკითხველოები, ბერძნულ ლიკპუნქტებში რუსულად სწავლება;

8. ესტონელი ბავშვების გადასვლა მაღალი საფეხურის რუსულ სკოლებში;

9. ერთ სკოლაზე 800 რუსი ბავშვის განაწილება;

10. სკოლებისთვის შეუსაბამო გასარემონტებელი შენობა-ნაგებობები, უღარიბესი ინვენტარი და სასწავლო საშუალებები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზემოთჩამოთვლილი მონაცემებით აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების ეროვნული, ენობრივი და კულტურული განვითარებისთვის თითქმის არაფერი კეთდებოდა და «ენობრივი პირობები» მხოლოდ რუსული ენის გავრცელებისა და დამკვიდრებისთვის იყო შექმნილი.

ა. ჭოჭუას ანგარიშში გამოყოფილია შემდეგი ქვეთავი: «სამეცნიერო და კულტურულ-ეროვნული მუშაობა», რომელშიც მხოლოდ აფხაზური მიმართულებით არსებული ვითარებაა ასახული. ავტორი წერს:

„ამ მუშაობის მიღწევებად უნდა დასახელდეს: 1/ **აფხაზური დამწერლობის გადაყვანა ახალ ანბანზე.** შრიფტის არსებობა საშუალებას იძლევა დაწყებულ იქნეს ახალი ანბანით როგორც აფხაზურ ენაზე არსებული ძველი ნაშრომების, ისე ახლადდანიერულთა გამოცემა. 2/ აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოებასთან სახელმწიფო მუზეუმის ორგანიზება, რომელსაც აქვს მეტად ფასეული ობიექტების მნიშვნელოვანი რაოდენობა და **სამეცნიერო ხასიათის სოლიდური ბიბლიოთეკა.** 3/ უკვე ნოტებზეა გადატანილი და ამჟამადაც მიმდინარეობს **აფხაზური ხალხური მოტივების ნოტებზე გადატანა გუნდის, სიმებიანი და სასულე ორკესტრებისათვის**“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 640:25].

ამრიგად, აფხაზი ოფიციალური პირი თავის მოხსენებაში, ერთი მხრივ, აცხადებდა, რომ აფხაზეთის ძირითადი მოსახლეობა აფხაზები და ქართველები იყვნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ოფიციალურ ანგარიშში, რომელიც საქართველოს დედაქალაქში, ამ ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოს, ცაკს ეგზავნებოდა, მხოლოდ აფხაზური ენისა და კულტურის საჭიროებებზე წერდა და ქართული ენობრივი მიმართულება არც ახსენდებოდა. სამწუხაროდ, დოკუმენტზე, რომელიც თბილისში მრავალი მოხელის ხელში გაივლიდა, ერთი

საპროტესტო მინანერიც კი არ არსებობს. მაშასადამე, არამცთუ აფხაზი ფუნქციონერისა და მისი სოხუმელი კოლეგებისათვის, არამედ თბილისელი ფუნქციონერებისთვისაც აფხაზეთში მცხოვრები ორი ძირითადი ეთნოსიდან «ეროვნულობა» მხოლოდ აფხაზებსა და აფხაზურ გარემოს უკავშირდებოდა, რაც შეიძლება ქართველებისა და ქართული ენის უფლებების უხეშ შელახვად შეფასდეს.

სამსონ ჭანბას დოკუმენტი აფხაზეთის სსრ-ს ენობრივი ვითარების შესახებ. საქართველოს ეროვნული არქივის საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში [სცა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640] დაცულია კიდევ ერთი საყურადღებო საბუთი სათაურით: „აფხაზეთის სსრ-ში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის განეული მუშაობის შესახებ“, რომლის ტექსტი შედგენილია 1930 წლის იანვარში. სათაურის ქვემოთ მიწერილია: **Материалы к содокладу т. Чанба в Совете национальностей Союза ССР. Январь 1930 года** „მასალები ამხ. ჭანბას თანამოსხენებისათვის სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოში. 1930 წლის იანვარი“ [იგულისხმება სსრკ-ს ცაკის ეროვნებათა საბჭო - ს. ჭ.].

დოკუმენტის ავტორია აფხაზი მწერალი და ფუნქციონერი, იმ დროს აფხაზეთის სსრ ცაკის თავმჯდომარე სამსონ ჭანბა. მისი ტექსტი, ისევე როგორც ზემოთ უკვე განხილული ა. ჭოჭუას მოხსენება, წარმოადგენს ანგარიშს იმ მუშაობის შესახებ, რაც აფხაზეთში მიმდინარეობდა ეროვნულ უმცირესობებს შორის. ს. ჭანბას მოხსენება ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით იმეორებს ა. ჭოჭუას ტექსტს, უფრო ხშირად კი ავსებს იმ ინფორმაციას, რასაც ა. ჭოჭუა აწვდიდა ზემდგომ ინსტანციებს. იგი კომპლექსურ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური საკითხების, არამედ მხარეში მიმდინარე ენობრივი პოლიტიკის იმავე და სხვა ასპექტების შესახებ.

ს. ჭანბაც ცდილობს, საბჭოთა ხელისუფლების დამსახურებად წარმოაჩინოს აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის კულტურული განვითარება. საამისოდ ერთმანეთს უდარებს ცარიზმის, მენშევიკებისა და კომუნისტური მმართველობის პერიოდში შედგენილ სტატისტიკურ მონაცემებს.

ამ საარქივო დოკუმენტში მოცემულია აფხაზეთის სსრ-ს ადმინისტრაციული ერთეულების დაყოფა საქმისწარმოებისა და სასაუბრო ენების მიხედვით. საგულისხმოა ს. ჭანბას დამოკიდებულება და შეფასებები მხარის სამივე სახელმწიფო ენისადმი. იგი განმარტავს, თუ რატომ არის რუსული ენა განსაკუთრებული აფხაზეთის მოსახლეობისთვის და ამავდროულად, ხაზს უსვამს აფხაზური ენის განვითარებისათვის ხელშეწყობის აუცილებლობას. მართალია, აფხაზი პოლიტიკოსი თანასწორუფლებიან ენებად მოიხსენებს სახელმწიფო ენებს, მაგრამ ისიც არაფერს ამბობს ქართული ენის სტატუსსა და მის მნიშვნელობაზე.

დოკუმენტის მიხედვით, 1927-1930 წლებში აფხაზეთი დაყოფილი იყო 5 მაზრად: (გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, კოდორისა და გალისა) და 3 ქალაქად (ოჩემჩირი¹¹, გუდაუთი, სოხუმი). მაზრები ნაწილდება 90 თემად ანუ სასოფლო საბჭოებად, რომლებსაც მინერული აქვთ თემის, ანუ სოფლსაბჭოს ცენტრის დასახელებები. გაგრის მაზრაში კვლავ შედიოდა 5 თემი, გუდაუთისაში - 21, სოხუმისაში - 20, კოდორისაში - 19 და გალისაში - 25. ცხრილის სახით წარმოვადგენთ დოკუმენტის მონაცემებს თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის საქმისწარმოებისა და სასაუბრო ენების შესახებ:

1. გაგრის მაზრა

N	თემების (სოფლ-საბჭოების დასახელება	მათი ცენტრების დასახელება	საქმისწარმ. ენა	მასობრივად სასაუბრო ენები
1	ახალი გაგრის სოფლსაბჭო	გაგრა	რუს.	რუს., სომხ., ბერძნ.
2	ალაჰაძის „	ალაჰაძი	რუს.	სომხ.
3	კალდახვარის „	კალდახვარა	აფხაზ.	აფხაზ.
4	კოლხიდის „	ქვ. კოლხიდა	რუს.	სომხ., ბერძნ., რუს.
5	ხოლოდნაია რეჩკას „	ძვ. გაგრა	რუს.	სომხ. და ბერძნ.

11. აქ და ქვემოთ გეოგრაფიული სახელების დანერგობა უპირატესად უცვლელად გადმოგვაქვს, თუკი ტექსტში ამკარა შეცდომა არ არის.

II. გუდაუთის მაზრა

N	თემების (სოფლსაბჭოების დასახელება	მათი ცენტრების დასახელება	საქმისნარმ. ენა	მასობრივად სასაუბრო ენები
1	აბლარხუჯის (წერია: აბლარხუჯის) სოფლსაბჭო	აბლარხუჯი (წერია: აბგაურთა)	აფხაზ.	აფხაზ.
2	აფხაზ. ანუხვის „	ბერძნ. ანუხვა	აფხაზ.	აფხაზ.
3	სომხ. ანუხვის „	სომხ. ანუხვა	რუს.	სომხ.
4	ააცის „	ააცი	რუს.	სომხ.
5	აჭანდარის „	აჭანდარა	აფხაზ.	აფხაზ.
6	ბაკლანოვკის „	ბაკლანოვკა	რუს.	რუს.
7	ბარმიშის „	ბარმიში	რუს. [?]	აფხაზ.
8	ბლაბურხვის „	ბლაბურხვა	რუს. [?]	აფხაზ.
9	ბომბორის „	ბომბორა	რუს.	რუს.
10	დურიფშის „	დურიფში	აფხაზ.	აფხაზ.
11	ზვანდრიფშის „	ზვანდრიფში	აფხაზ.	აფხაზ.
12	კავაქლუკის „	კავაქლუკი	აფხაზ.	აფხაზ.
13	კალდახვარის „	კალდახვარა	აფხაზ.	აფხაზ.
14	ლიძავის „	ლიძავა	რუს. [?]	აფხაზ.
15	ლიხნის „	ლიხნი	აფხაზ.	აფხაზ.
16	მუგუძირხვის „	მუგუძირხვა	აფხაზ.	აფხაზ.
17	მწარის „	მწარა	რუს.	სომხ.
18	ოთჰარის „	ოთჰარა	რუს. [?]	აფხაზ.
19	პეტროპავლოვსკის „	არსაული	რუს.	რუს.
20	ფსირცხის „	ფსირცხა	რუს.	სომხ., აფხაზ. და რუს.
21	ჯირხვის „	ჯირხვა-ახუნა	აფხაზ.	აფხაზ.

III. სოხუმის მაზრა

N	თემების (სოფლსაბჭოების დასახელება	მათი ცენტრების დასახელება	საქმის- წარმ. ენა	მასობრივად სასაუბრო ენები
1	აზანთჰის სოფლსაბჭო	აზანთჰა	რუს.	ბერძნ.
2	ანდრეევკის „	ანდრეევკა	რუს.	რუს.
3	აჟარის „	აჟარა	რუს.	ქართ. და რუს.
4	ბაბუშერის „	ბაბუშერა	ქართ.	ქართ.
5	ბეშკარდაშის „	ბეშკარდაში	რუს.	ბერძნ.
6	გულრიფშის „	გულრიფში	რუს. [?]	ქართ. და სომხ.
7	გუმისთის „	გუმისთა	რუს. [?]	ქართ. და სომხ.
8	დრანდის „	დრანდა	რუს. [?]	ქართ., სომხ., ბერძნ.
9	ეკატერინინსკოეს „	ეკატერინინსკოე	რუს.	ბერძნ.
10	ეშერის „	ეშერა	რუს. [?]	აფხაზ. და სომხ.
11	ვლადიმროვკის „	ვლადიმროვკა	რუს.	რუს.
12	ვოლოდარსკოეს „	ვოლოდარსკოე	რუს.	სომხ., რუს.
13	კონსტანტინოვსკოეს „	კონსტანტინო- ვსკოე	რუს.	ბერძნ.
14	კრასნო-ნებელდის „	ნებელდა კრასნაია	რუს.	სომხ., რუს.
15	ლათის „	ლათა	რუს.	სომხ., რუს.
16	მერხეულის „	მერხეული	რუს. [?]	სომხ., ბერძნ., ქართ.
17	მიხაილოვსკოეს „	მიხაილოვსკოე	რუს.	ბერძნ.
18	ნიკოლო- ანასტასიევსკოეს „		რუს.	რუს. და ბერძნ.
19	პოლტავო- ოლგინსკოეს „	ოლგინსკოე	რუს.	რუს., ბერძნ. და სომხ.
20	ფსხუს „	ფსხუ	რუს.	რუს.

IV. კოდორის მავრა

N	თემების (სოფლსაბჭოების დასახელება	მათი ცენტრების დასახელება	საქმისწარმ. ენა	მასობრივად სასაუბრო ენები
1	აფხაზური ათარის სოფ-ლსაბჭო	აფხაზური ათარა	აფხაზ.	აფხაზ.
2	სომხური ათარის „	სომხური ათარა	რუს.	სომხ.
3	აძიუბჟის „	აძიუბჟა	აფხაზ.	აფხაზ.
4	ბესლანუბის „	ბესლანუბა	აფხაზ.	აფხაზ.
5	გუფის „	გუფი	აფხაზ.	აფხაზ.
6	ტამიშის „	ტამიში	აფხაზ.	აფხაზ.
7	თხინის „	თხინა	აფხაზ.	აფხაზ.
8	ილორის „	ილორი	რუს. [?]	აფხაზ. [?]
9	კინდლის „	კინდლი	აფხაზ.	აფხაზ.
10	კოჩარის „	კოჩარა	რუს. [?]	ქართ. და აფხაზ.
11	კვიტეულის „	კვიტეული	აფხაზ.	აფხაზ.
12	ლაბრის „	ზემო ლაბრა	რუს.	სომხ.
13	მოქვის „	მოქვი	აფხაზ.	აფხაზ.
14	ოხურეის „	ოხურეი	რუს. [?]	აფხაზ. [?]
15	ტყვარჩელის „	ტყვარჩელი	რუს. [?]	აფხაზ.
16	ფოქვეშის „		აფხაზ.	აფხაზ.
17	ჭილოუს „	ჭილოუ	აფხაზ.	აფხაზ.
18	ჯალის „	ჯალი	რუს. [?]	ქართ. და აფხაზ.
19	ჯგერის „	ჯგერი	აფხაზ.	აფხაზ.
20	ოჩემჩირი (ქალ.)			

V. გალის მაზრა

N	თემების (სოფლსაბჭოების დასახელება	მათი ცენტრების დასახელება	საქმის წარმოების ენა	მასობრივად სასაუბრო ენები
1	აჩიგვარის სოფლსაბჭო	აჩიგვარა	ქართ.	ქართ.
2	მეორე ბედიის „	ქ. ბედია [?]	აფხაზ.	აფხაზ.
3	გაგიდა-ნაჭკადოუს „	გაგიდა-ნაჭკადოუ	ქართ.	ქართ.
4	გუდავის „	ზემო გუდავა	ქართ.	ქართ.
5	ლუმურიძის „	ლუმურიძი	ქართ.	ქართ.
6	დიხაზურგის „	დიხაზურგი	ქართ.	ქართ.
7	ზემო ბარლების „	ზემო ბარლები	ქართ.	ქართ.
8	თაგელონის „	თაგელონი	ქართ.	ქართ.
9	ლეკუხონის „	ლეკუხონი	ქართ.	ქართ.
10	მუხურის „	მუხური	ქართ.	ქართ.
11	ნაბაკევის „	ნაბაკევი	ქართ.	ქართ.
12	ოქუმის „	ოქუმი	ქართ.	ქართ.
13	პერვო-გალის „	პერვო-გალი	ქართ.	ქართ.
14	პირველი ბედიის „	პირველი ბედია	რუს. [?]	აფხაზ.
15	რეკის „	რეკა	რუს. [?]	აფხაზ.
16	შეშელეთის „	პირველი შეშელეთი	ქართ.	ქართ.
17	რეჩხო-ცხირის „	რეჩხო-ცხირი	ქართ.	ქართ.
18	საბერიოს „	საბერიო	ქართ.	ქართ.
19	სიდა-ნაბაკევის „	სიდა-ნაბაკევი	ქართ.	ქართ.
20	ოტობაიას „	ოტობაია	ქართ.	ქართ.
21	ქვემო ბარლების „	ქვემო ბარლები	ქართ.	ქართ.
22	ჭუბურხინჯის „	ჭუბურხინჯი	ქართ.	ქართ.
23	ჩხორთოლის „	ზემო ჩხორთოლი	რუს. [?]	აფხაზ. [?]
24	ხუმუშქურის „	ხუმუშქური	ქართ.	ქართ.
25	გალი (სამაზრო ცენტრი)	გალი	ქართ.	ქართ.

26. ქ. ოჩემჩირი

27. ქ. გუდაუთი

28. ქ. სოხუმი [სცა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 2306¹²].

**საქმისწარმოების ენები აფხაზეთის სსრ-ში ასე ნაწილ-
დებოდა:**

გაგრის მაზრის 5 თემი: აფხაზური - 1, რუსული - 4;

გუდაუთის მაზრის 21 თემი: აფხაზური - 10; რუსული - 11;

სოხუმის მაზრის 20 თემი: ქართული - 1 , რუსული -19;

კოდორის მაზრის 19 თემი: აფხაზური - 12, რუსული - 7; .

გალის მაზრის 25 თემი: ქართული - 21, აფხაზური - 1,
რუსული - 3.

მაშასადამე, აფხაზეთის სსრ-ს 90 თემიდან საქმისწარმოების ენად სახელდებოდა: **ქართული - 22 თემში, აფხაზური - 24-ში, რუსული - 44-ში;** ქართული და აფხაზური ენები დაახლოებით თანაბარი რაოდენობის თემებში იხსენიებოდა ოფიციალურ ენად, ხოლო რუსული 2-ჯერ მეტ თემში. გაგრის, გუდაუთისა და კოდორის მაზრებში საქმისწარმოებისთვის საერთოდ არ სახელდებოდა ქართული ენა, ხოლო სოხუმის მაზრაში მხოლოდ 1 სოფელში იხსენიებოდა. ყველაზე მეტად ქართული ენა იხმარებოდა გალის მაზრის 21 თემში.

მასობრივად სასაუბრო ენებად აფხაზეთის სსრ-ში იყენებდნენ: ქართულს - 27 თემში, აფხაზურს - 38-ში, რუსულს - 17-ში, სომხურს - 17-ში და ბერძნულს - 11-ში. მასობრივად სასაუბრო ენათაგან ყველაზე მეტ სოფელში ლაპარაკობდნენ აფხაზურად (38), შემდეგ ქართულად (27), თანაბარი რაოდენობით რუსულად (17) და სომხურად (17), ყველაზე ნაკლებად ბერძნულად (11).

მაშასადამე, რუსული ენა საქმისწარმოებისთვის გამოიყენებოდა 44 თემში, ხოლო სასაუბრო ენად 17-ში, აფხაზური საქმისწარმოების ენად - 24 თემში, სასაუბრო ენად -

12. დოკუმენტის ტექსტი დაბეჭდილია ფურცლის ორივე მხარეს. გვერდის აღმნიშვნელი ციფრის მომდევნოდ მინერილი 08 აღნიშნავს ფურცლის უკანა გვერდს (ეს არის რუსული обратная сторона-ს „უკანა მხარე“ შემოკლება).

38-ში; ქართული საქმისწარმოების ენად - 22-ში, სასაუბროდ კი 27 თემში. ყველაზე ხშირად საქმისწარმოებისთვის ხმარობდნენ რუსულ ენას, ყველაზე მეტად სასაუბრო ენად - აფხაზურს, ხოლო ქართული ენა თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოიყენებოდა საქმისწარმოებისა და სასაუბრო ენებად.

დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთის მაზრების 73 თემი იყო ერთენოვანი, 11 - ორენოვანი და 6 - სამენოვანი.

ორენოვანი თემები იყო: ქართულ-აფხაზური - კოჩარა, ჯალი; ქართულ-სომხური - გულრიფში, გუმისთა; ქართულ-რუსული - აჭარა; აფხაზურ-სომხური - ეშერა; სომხურ-ბერძნული - ძველი გაგრა; სომხურ-რუსული - ვოლოდარსკოე, წებელდა კრასნაია, ლათა; რუსულ-ბერძნული - ნიკოლო-ანასტასიევსკოე.

სამენოვანი იყო 6 თემი: რუსულ-სომხურ-ბერძნული - გაგრა, ქვემო კოლხიდა, ოლგინსკოე; სომხურ-აფხაზურ-რუსული - ფსირცხა; სომხურ-ბერძნულ-ქართული - დრანდა, მერხეული.

ყველაზე მეტად გაგრისა და სოხუმის მაზრებში ფიქსირდება ორ- ან სამენოვანი სასოფლო თემების არსებობა. გალის, გუდაუთისა და კოდორის მაზრები ძირითადად ერთენოვანი ყოფილა.

დოკუმენტში დასახელებული 90 თემის სახელწოდებიდან რუსული წარმოშობის ტოპონიმი 13: ხოლოდნაია რეჩკა, ბაკლანოვკა, პეტროპავლოვსკი, ანდრეევკა, ეკატერინინსკოე, ვლადიმიროვკა, ვოლოდარსკოე, კრასნო-წებელდი, მიხაილოვსკოე, ნიკოლო-ანასტასიევსკოე, პოლტავო-ოლგინსკოე და პერვო-გალი (გვ. 23). დანარჩენი ტოპონიმები ძირითადად აფხაზური და ქართულია.

დოკუმენტში აღწერილია აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი და იქ მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა: «აფხაზეთის სსრ ხელშეკრულებით საწყისებზე შედის საქართველოს სსრ-ში. მისი მთელი მოსახლეობა 210.000 კაცზე მეტია. აფხაზეთის ძირითადი ეროვნებები **აფხაზები და ქართველები** არიან (123.412 კაცი), ხოლო დანარჩენები -

სომხები, ბერძნები, რუსები, ესტონელები, გერმანელები, თურქები და სხვები - 86.588 კაცი» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 24].

საბუთის შესავალში 4-ჯერ არის ნახსენები იმ დროს ტრაფარეტულად ქცეული შესიტყვება «ეროვნული შუღლი», რომელსაც, ავტორის აზრით, ცარიზმისა და მენშევიკების პერიოდებში აღვივებდნენ: «აფხაზეთში მცირე ტერიტორიაზე ერთმანეთის უშუალო მეზობლად ცხოვრობს მრავალი ეროვნება: აფხაზები, ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები, გერმანელები, თურქები, ლაზები და სხვ. ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს ამ ეროვნებებს შორის ხელოვნურად ღვივდებოდა **ეროვნული შუღლი** და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წყალობით საბოლოოდ აღმოიფხვრა **ეროვნული შუღლი** და ეს ეროვნებები მშვიდობიანად თანამშრომლობენ. მიუხედავად აფხაზეთის ნაცუმცირესობებს შორის მუშაობის სირთულეების წყებისა, როგორცაა სამეურნეო-ყოფითი თავისებურებების არსებობა (ყოფითი ტრადიციები, რელიგიურობა, კონსერვატიზმი, კულტურული ჩამორჩენილობა, **ეროვნული შუღლი**, რაც ხდებოდა ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს), **საქართველოს** კპ(ბ) საოლქო კომიტეტმა და აფხცაკმა სწორი ეროვნული პოლიტიკის შედეგად შეძლეს მშრომელთა მასების ნდობის მოპოვება, რითაც უზრუნველყვეს ცალკეულ, ადრე მოშუღლე ეროვნებებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 24].

როგორც ვხედავთ, ს. ჭანბა აფხაზეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსებს შორის გამოგონილი დაპირისპირების მოსპობას საბჭოთა ხელისუფლების დამსახურებად მიიჩნევდა. ავტორის ეს მოსაზრება მხოლოდ თვალთმაქცობა იყო ახალი საბჭოური სისტემის საამებლად, ვინაიდან კომუნისტური მმართველობა, სინამდვილეში, ახალი მეთოდებითა და მიდგომებით აღვივებდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის უთანხმოებას და ასე მოქცევა სასარგებლო იყო კარიერისათვის.

ს. ჭანბა ქართველებსა და აფხაზებს აფხაზეთის ძირითად მოსახლეობას უწოდებს კონკრეტულად იმ ქვეთავში, რომლის სათაურია «**მუშაობა აფხაზეთის სსრ-ში მცხოვრებ ნაცუმცირესობებს შორის**». აქვე ყველაზე ჩამორჩენილ ერებად ლაზებსა და აფხაზებს ასახელებს. საყურადღებოა ცაკის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ცნობები ლაზთა შესახებ: «აფხაზეთის ნაცუმცირესობათაგან კულტურული თვალსაზრისით ყველაზე ჩამორჩენილნი არიან ლაზები. სულ სსრკ-ში 4.000 ლაზია, რომელთა თითქმის ნახევარი აფხაზეთში ცხოვრობს. 1929 წლის დეკემბერში აფხაზეთში გაიმართა ლაზთა პირველი კონფერენცია, რომლის მუშაობის შედეგად დასახულ იქნა [შემდეგი მიზნები]: ლაზების დასასახლებლად მიწის საგანგებო ნაკვეთების გამოყოფა მათი ერთიანი კოლექტივიზაციის პირობით [უნდა შექმნილიყო „მონოეთნიკური“ ლაზური კოლმეურნეობა - ს.ჭ.], კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერება და სხვა ღონისძიებები კულტურულ მშენებლობასთან მათი [ლაზების] ზიარებისათვის. მთელი კულტურული მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა თავს მოიყრის საქართველოს სსრ მთიელთა საზოგადოებაში, რომელშიც ლაზები შედიან დამოუკიდებელი განყოფილების უფლებით; განყოფილება მოემსახურება როგორც აფხაზეთელ, ისე აჭარისტანში მცხოვრებ 1.000-მდე ლაზს. ლაზებს დიდ **კულტურულ დახმარებას უწევს** [ლენინგრადში არსებული] **აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი**, რომელმაც უკვე შეადგინა **ლათინიზებული ლაზური ანბანი** და მალე გამოსცემს **პირველ ლაზურ საანბანო წიგნს**. ამ დღეებში სოხუმში ამ ანბანზე გამოვიდა **ლაზური გაზეთი „მჭითა მურუცხი“** („**ნითელი ვარსკვლავი**„). ეს არის მსოფლიოში პირველი გაზეთი ლაზურ ენაზე. თავდაპირველად გაზეთი გამოიცა 500 ცალის ტირაჟით, მაგრამ შემოსულმა დიდმა მოთხოვნამ აჭარისტანიდან და უკრაინის სსრ-დან და მოსკოვიდან (კვების მუშაკი ლაზებისაგან) პირველივე ნომრის ტირაჟი გაზარდა 1.000 ეგზემპლარამდე. სანარმოო

ცხოვრებასთან ლაზების საზიარებლად დასახულია შეიქმნას ლაზი დელფინმჭერების არტელი და წარდგენილ იქნენ ლაზები თამბაქოს სანარმოებში»[სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 24].

ლაზების ცალკე ეროვნებად გამოცხადება არც ობიექტური რეალობის ასახვაა და არც ავტორის თვითნებობა: ეს საბჭოთა პოლიტიკის ნაწილი იყო, რაც არავითარ ლოგიკას არ ემყარებოდა, ვინაიდან ამ ჩამონათვალში ცალკე ეთნოსებად არ სახელდებიან მეგრელები, რომლებიც იმ დროსაც ცხოვრობდნენ აფხაზეთში და ქართველი ერის იმგვარივე განუყოფელი ნაწილები იყვნენ, როგორც ლაზები. საყურადღებოა, რომ ამავე საბუთის მომდევნო ნაწილში უკვე მხოლოდ სვანები სახელდებიან უმცირესობათა შორის, მაგრამ არ იხსენიებიან არც მეგრელები და არც ლაზები. გარდა ამისა, ლაზებისთვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ საგანგებოდ გამოყოფილი მიწები, ლაზური კოლმეურნეობა, ლაზთა დასაქმება, მთიელთა საზოგადოებაში მათთვის ცალკე განყოფილების შექმნა, ლათინიზებული დამწერლობა, საანბანო წიგნი და გაზეთი **ლაზების ეთნიკური და ენობრივი თვითაღქმის შესაქმნელად იყო შემუშავებული**. ამ გზით ცდილობდა კომუნისტური რეჟიმი ლაზების გულის მოგებას, მათ მოხლეჩას ქართველი ერისაგან და ეს აქცია გათვლილი უნდა ყოფილიყო თურქეთის ფარგლებში მცხოვრები ლაზების ბევრად უფრო მსხვილი ჯგუფის მისაზიდ იდეოლოგიურ ხაფანგად. სავარაუდოდ, აფხაზეთში მცხოვრები ლაზების სიმცირე ხელისშემშლელი ფაქტორი იყო მათი ცალკე ეროვნებად გამოცხადებისთვის, ამიტომ ზემოთდასახელებულ პროცესებში ჩართულნი იყვნენ აჭარაში, მოსკოვსა და უკრაინაში მცხოვრები ლაზებიც.

ლაზების შემდეგ ს. ჭანბა ყურადღებას ამახვილებს აფხაზეთზე. მისი განცხადებით: «სხვა ეროვნებებთან შედარებით კულტურული ჩამორჩენილობის მხრივ მეორე ადგილზე არიან **აფხაზები, რომელთაც არა აქვთ საკუთარი კულტურა** და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წყალობით დადგნენ თავიანთი ეროვნული კულტურის

განვითარების გზაზე» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 24]. ავტორი სსრ კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს სთხოვდა, ხელი შეეწყობოთ აფხაზური ენისა და კულტურის განვითარებისთვის.

«ცაკი გეგმავს **ბერძნული და სომხური უპარტიო კონფერენციების** გამართვას. მოსამზადებელი მუშაობა უკვე დასრულებულია. კონფერენციების ჩატარება ნავარაუდევია უახლოეს დროში. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და სასკოლო მშენებლობის უკეთ მომსახურებისათვის განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა **ნაცუმცირესობათა საბჭო**. საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიება სამეურნეო და კულტურული გარდაქმნისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის მიმართულებით საერთო წესის მიხედვით ხორციელდება **აფხაზეთის ყველა ეროვნებაში**» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 24-25]. უპარტიოთა კონფერენციებსა და «ნაცუმცირესობათა საბჭოში» უნდა განხილულიყო სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა საჭიროებები. ლაზების მსგავსად, სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვისაც იგეგმებოდა «კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნათა დაკმაყოფილება», «სამეურნეო და კულტურული გარდაქმნა» და «კულტურული დახმარება». წარმოდგენილი საბჭოური შესიტყვევებიდან ჩანს, რომ საბჭოთა სისტემა ეკონომიკური და კულტურული პრობლემების ერთდროულად მოგვარებას ჰპირდებოდა აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებს.

ს. ჭანბას მოხსენებაში წარმოდგენილია ცხრილი აფხაზეთის სსრ-ს ეროვნული შემადგენლობის შესახებ, რომელშიც დასახელებული არიან შემდეგი ეთნოსები: **აფხაზები, ქართველები, სომხები, ბერძნები, თურქები, რუსები, «სვანები» და სხვა**. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან (209.345 კაცი) ქალაქის მოსახლეობა 30.621 კაცი იყო, ხოლო სოფლისა - 178.724.

«ქალაქებში ჭარბობენ:

ქ. სოხუმში: რუსები, ქართველები, ბერძნები; გუდაუთაში:

რუსები, ქართველები, ბერძნები; გაგრაში: სომხები, რუსები, ქართველები; ოჩამჩირეში: ქართველები, აფხაზები.

სოფლებში ქარბობენ:

სოხუმის მაზრაში: ბერძნები, სომხები, ქართველები;

გაგრის მაზრაში: სომხები, ქართველები, აფხაზები;

პილენკოვოს რაიონში (განთიადი): სომხები, რუსები, ბერძნები;

გუდაუთის მაზრაში: აფხაზები, სომხები;

კოდორის მაზრაში: ქართველები, აფხაზები» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 25 ონ].

ყველაზე მეტი მოსახლეობა იყო სოხუმისა (65.357) და გალის (60.009) მაზრებში. ეთნიკურ ჯგუფებს შორის ყველაზე მეტნი იყვნენ ქართველები (61,7%), თითქმის თანაბარი რაოდენობით - აფხაზები (38,8%) და რუსები (33,2%), ასევე დაახლოებით თანაბრად სომხები (24,1%) და ბერძნები (20,6%). ყველაზე ცოტანი ყოფილან თურქები (3,1%) და სხვა ეროვნების ადამიანები (7,4%). სვანები (4,3%) მხოლოდ სოხუმის მაზრაში ცხოვრობდნენ. ყველაზე მეტი ქართველია აღრიცხული გალის მაზრაში, ყველაზე მეტი აფხაზი - გუდაუთის მაზრაში, ყველაზე მეტი რუსი - ქალაქებში: სოხუმში, გუდაუთასა და გაგრაში. სომხები უმეტესად ცხოვრობდნენ პილენკოვოს რაიონში (განთიადი), ხოლო ბერძნები - სოხუმის მაზრაში. ქალაქებში თითქმის თანაბარი რაოდენობით იყვნენ რუსები (28,4%) და ქართველები (27,6%) , ხოლო ყველაზე ცოტა - აფხაზები (6,6%) და თურქები (1,4%). სოფლებში დაახლოებით თანაბრად ნაწილდებოდნენ ქართველები (34,1%) და აფხაზები (32,2%), ხოლო სოფლებში რუსი (4,8%) ძალიან ცოტა იყო.

ის ფაქტი, რომ აფხაზეთის სოფლების უმრავლესობას ქართველები და აფხაზები შეადგენდნენ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხარის ძირითადი მოსახლეობა ქართველები და აფხაზები იყვნენ. რუსები და სხვა ეთნოსები კი ქალაქებში მოგვიანო პერიოდში არიან დასახლებულნი შედარებით უკეთესი პირობების გამო.

მოსხენების მნიშვნელოვანი ნაწილია ერთ-ერთი ქვეთავი სახელმწიფო ენების შესახებ, რომელიც 3 აბზაცისაგან შედგება. პირველ აბზაცში ავტორი ასახელებს სახელმწიფო ენებს და განმარტავს, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს ამ ენებისთვის უმაღლესი სტატუსის მინიჭება:

«აფხაზეთში სახელმწიფო ენებს წარმოადგენენ: **აფხაზური, ქართული და რუსული**. აფხაზური და ქართული ენები სახელმწიფო [ენებად] მიიჩნევიან ამ **ეროვნებათა რაოდენობრივი მეტობის გამო**. რაც შეეხება რუსულ ენას, იგი სახელმწიფო [ენად] ცნობილ იქნა რუსული მოსახლეობის მცირერიცხოვნობის მიუხედავად, იმის გამო, რომ ამჟამად მან შეწყვიტა პრივილეგიებული კლასების ხელში ჩაგვრის იარაღად ყოფნა, იგი არის [საბჭოთა] კავშირის ყველა ხალხთან ურთიერთობის ენა და მაღალგანვითარებულ და მსოფლიო მნიშვნელობის მქონე რუსულ კულტურასთან აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების ზიარების საშუალება».

როგორც ავტორი აღნიშნავს, ქართული და აფხაზური ენების სახელმწიფო ენებად აღიარება განპირობებული იყო იმით, რომ აფხაზეთში ქართველები და აფხაზები ქმნიდნენ უმრავლესობას. ს. ჭანბამ იგივე განმარტება ვერ გამოიყენა რუსული ენისთვის და მისი სტატუსის გასამართლებლად 3 მიზეზი დაასახელა: 1. რუსული აღარ არის ჩაგვრის იარაღი (იგულისხმება ცარიზმის პერიოდში არსებული რუსფიკატორული ენობრივი პოლიტიკა); 2. რუსული საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენაა; 3. ეს ენა რუსულ კულტურასთან ზიარების საშუალებაა. მაშასადამე, ავტორმა სტატუსთან ერთად ამ ენის ფუნქციებიც დააკონკრეტა და რუსული სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა კომუნიკაციისთვის საჭირო ენად და რუსული კულტურის შესწავლის საშუალებად დაასახელა.

ტიქსტის მომდევნო აბზაცი აფხაზეთში მცხოვრები დიასპორების მიერ ენათა გამოყენების საკითხებს ეხება: «მიუხედავად სახელმწიფო ენების არსებობისა, აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებას უზრუნველყოფილი აქვს **დედაენის თავისუფალი განვითარება და გამოყენება**,

სახელდობრ: **ნაცუმცირესობების რაიონებში სწავლება მიმდინარეობს მათ დედაენებზე; ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა, მიმართოს აფხაზეთის ყველა დანესებულებას თავის დედაენაზე და მიიღოს პასუხი სამი თანასწორუფლებიანი ენიდან ერთ-ერთზე; სასოფლო საბჭოებში საქმისწარმოება უნდა მიმდინარეობდეს მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე»** [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640].

მაშასადამე, აფხაზეთის სამი სახელმწიფო ენის გარდა, ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლებს შეეძლოთ განათლება მიეღოთ თავიანთ დედაენაზე, ამავდროულად მშობლიურ ენებზე მიემართათ სახელმწიფო დანესებულებებისთვის. ამ ენობრივ თავისუფლებას ემატებოდა ისიც, რომ საქმისწარმოება ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე უნდა წარმართულიყო. ე. ი. ქართული, აფხაზური და რუსულის გარდა, განათლებისა და საქმისწარმოების ენა შეიძლება ყოფილიყო სომხური ან ბერძნული, ვინაიდან მრავალ სოფელში ეს ეთნოსები ქმნიდნენ უმრავლესობას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში არსებობდა 6 სამენოვანი და 11 ორენოვანი სასოფლო თემი, ამ სამართლებრივი ნორმებით, შესაძლოა, მაგალითად, ქართველებს აფხაზურ სკოლებში ესწავლათ ან პირიქით, ანდა ბერძნებს, სომხებს და რუსებს მიეღოთ განათლება არამშობლიურ ენებზე.

მოსხენების მესამე აბზაცი საქმისწარმოების ენების გამოყენებას ეხება: «ბოლო საკითხი, ანუ სასოფლო საბჭოებში საქმისწარმოების გადაყვანა ეროვნულ ენებზე სრულად ჯერ კიდევ ვერ ხორციელდება, მაგრამ ეს თანაბრად ეხება ყველა ეროვნებას და უპირატესად **აფხაზური მოსახლეობის [საცხოვრებელ] რაიონებს, სადაც სასოფლო საბჭოს საქმისწარმოების გადაყვანა ეროვნულ ენაზე ფერხდება საამისოდ მომზადებულ პირთა უკმარისობის გამო.** ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ხორციელდება ყველაზე გადამჭრელი ღონისძიებები: 1929 წლის ოქტომბერში ორგანიზებულ იქნა სასოფლო საბჭოების მდივანთა გადამზადების კურსები,

რომლებზეც ტექნიკური მხარის [სწავლების] გარდა, მთავარი აქცენტი გადატანილ იქნა საქმისწარმოების ეროვნულ ენებზე გადაყვანაზე, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო **ახალი აფხაზური ანბანის**¹³ ცხოვრებაში დანერგვას“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 2506-26]. ამ ნაწილში ს. ჭანბა საქმისწარმოების ენებს ეროვნულ ენებს უწოდებს. მისი ცნობით, ამ ენების მცოდნე არასაკმარისი კადრების გამო ვერ ხერხდებოდა საქმისწარმოების სრულფასოვნად წარმართვა, განსაკუთრებით კი აფხაზურ სოფლებში. დაბრკოლებას ქმნიდა აფხაზურ ენაზე შესაბამისი ტერმინოლოგიის უქონლობა და ახალი ლათინიზებული აფხაზური დამწერლობის სირთულე.

ს. ჭანბას ტექსტში დეტალურადაა მოცემული სასოფლო საბჭოების ეთნიკური შემადგენლობაც: «სასოფლო საბჭოების საერთო რაოდენობიდან, 93-დან წმინდად ნაცუმცირესობებითაა დასახლებული 13, კერძოდ, 8 სომხურია (მიქელრიფში, ხრისტოფოროვო, ალაჰაძი, სომხური ანუხვა, კავაქლუკი, მწარა, სომხური ათარა, ლაბრა), 3 ბერძნულია (ბემქარდაში, მიხაილოვსკოე, ანდრეევსკოე), 2 ესტონური (სალმე, ეკატერინინსკოე). **აფხაზურია 35 სასოფლო საბჭო, ქართული - 27. ნარევი მოსახლეობით [დასახლებულ] დანარჩენ სასოფლო საბჭოებში [ანუ 31 საბჭოში - ს.ჭ.] საქმისწარმოება ხორციელდება რუსულ ენაზე.** მომავალი გადასარჩევი კამპანიის დროს დასახულია ღონისძიებები საბჭოებში ნაცუმცირესობების კიდევ უფრო მეტად მოსაზიდად და საქმისწარმოების ეროვნულ ენებზე სრულად გადაყვანისათვის» [სცა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 2606].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ს. ჭანბას თქმით, საქმისწარმოება ვერ ხერხდებოდა ეროვნულ ენებზე, კონკრეტულად აფხაზურზე, მაშინ გამოდის, რომ 35 აფხაზურ სასოფლო საბჭოში, სავარაუდოდ, რუსულს გამოიყენებდნენ ოფიციალურ ენად. საკითხავია, რამდენად შეძლებდნენ სომხურ, ბერძნულსა და ესტონურ სოფლებშიც საქმისწარმოებისთვის

13. იგულისხმება 1928 წელს შემოღებული პოლიგანოვ-იაკოვლე-ჭანბა-აჰაშბას მიერ შედგენილი აფხაზური ენის ლათინიზებული დამწერლობა, რომელიც სირთულის გამო ძნელად იკიდებდა ფეხს.

თავიანთი მშობლიური ენების გამოყენებას, ჰყავდათ თუ არა მათ შესაბამისად მომზადებული კადრები, ან ჰქონდათ თუ არა მათ საამისო ტექნიკური ბაზა? შესაძლებელია, რომ ასეთ სოფლებშიც საქმისწარმოებისთვის გამოეყენებინათ რუსული.

სახელმწიფო დაწესებულებებსა და სხვადასხვა ტიპის მმართველობით ორგანოებში აფხაზეთში მცხოვრები განსხვავებული ეროვნების ადამიანთა დასაქმება გამიზნული იყო ისეთი კადრების მომზადებისთვის, რომლებიც შეძლებდნენ სახელმწიფო ან ეროვნული ენების გამოყენებას. 1927-29 წლების მონაცემებით, საარჩევნო კამპანიებსა და სასოფლო საბჭოებში, ძირითადად, ქართველები და აფხაზები ყოფილან წარმოდგენილნი. გარდა ამისა, 1929 წლის კამპანიის დროს ძირითადი ეროვნებების (აფხაზებისა და ქართველების) ხარჯზე მნიშვნელოვნად გაზრდილა ნაცუმცირესობათა წარმომადგენლობა სოფლსაბჭოებში. საყურადღებოა, რომ ქართველები და აფხაზები ხან ძირითად ერებად მოიხსენიებიან ტექსტში, ხან კი «ნაციონალურ უმცირესობებად». ჩვენი ვარაუდით, ეს იმით უნდა იხსნებოდეს, რომ ს. ჭანბამ, როგორც მხარის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირმა, სხვებზე უკეთ იცოდა ამგვარი დაყოფის აბსოლუტური ფორმალურობა და ამიტომაც არ იცავდა ტერმინოლოგიურ სიზუსტეს.

მოხსენების ამ ნაწილზე მსჯელობა სრულდება ს. ჭანბას მიერ წარმოდგენილი «დასკვნებით»:

„საბჭოებში საქმისწარმოების **ეროვნულ ენებზე** უსწრაფესად გადაყვანის მიზნით, აგრეთვე მათი [საბჭოების] მუშაობის გაძლიერებისა და გამოცოცხლებისათვის უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. გაიზარდოს სოფლსაბჭოების მუშაკების ანაზღაურება, რაც ხელს შეუწყობს ნაცუმცირესობებიდან ამ თანამდებობებზე მომზადებული მუშაკების მოზიდვას, ვინაიდან აუნაზღაურებლობის გამო ეს უკანასკნელნი არ მოდიან ამ სამუშაოზე.

2. საბჭოებისათვის კადრების მომზადებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გადასამზადებელი

კურსების პერიოდულ ორგანიზებასა და სკოლების უფროს კლასებში **საბჭოთა მშენებლობის კურსის** შემოღებას.

3. ყველა სოფლსაბჭოს სასწრაფოდ გადაყვანა სოფლის ბიუჯეტზე.

4. **ეროვნულ ენებზე, განსაკუთრებით აფხაზურ ენაზე საბჭოთა მშენებლობის შესახებ ლიტერატურის გამოცემა.**

5. აუცილებელია აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ყველა სახელმწიფო დაწესებულება, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი, ადგილობრივ უმცირესობათაგან გამოსულ მოსამსახურეთა კადრებით მათი მომზადებისა და შესაბამის თანამდებობებზე წამოწევის გზით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640:27].

ამ რეკომენდაციების განსახორციელებლად, უპირველესად, საჭირო იყო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის გამოყოფა. ხელფასების ზრდა, გადასამზადებელი კურსებისა და უფროსკლასელთათვის საბჭოთა მშენებლობის კურსის დანერგვა, ეროვნულ ენებზე ლიტერატურის გამოცემა და ნაცუმცირესობების კადრების მომზადება - ყველა ეს ღონისძიება, ს. ჭანბას სიტყვით, საბოლოოდ შექმნიდა გარემოს საქმისწარმოების ენებად სახელმწიფო და ეროვნული ენების გამოყენებისათვის.

საგანმანათლებლო მუშაობის შეფასებას აფხაზი პოლიტიკოსი ისევ ცარიზმისა და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდების გაკიცხვით იწყებს: «ცარიზმის დროს ყველა ეროვნებაში საგანმანათლებლო მუშაობა მიმდინარეობდა **მხოლოდ რუსულ ენაზე**. დაუნდობლად იდევნებოდა ცალკეულ ეროვნებათა ყოველგვარი ცდები, გაეხსნათ თავიანთი ეროვნული სკოლები, ან შემოეღოთ მათში მუშაობა მოსწავლეთა დედაენაზე. ამიტომ 1917 წლამდე წმინდა ეროვნული სკოლები აფხაზეთში ისევე, როგორც ყოფილი მეფის რუსეთის სხვა მხარეებში, სრულებით არ არსებობდა. მენშევიკური რეჟიმის წლებშიც საგანმანათლებლო მუშაობას არ ექცეოდა არავითარი ყურადღება, ამიტომ აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების კულტურული განვითარებაც

სრულებით შეჩერდა. ასეთი სრული უძრაობის მდგომარეობაში მყოფი განათლების საქმის პირობებში **მოგვისწრო** საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წლის მარტის თვეში. 1921 წლის მარტმა აფხაზეთის მშრომელებს მისცა ფართო შესაძლებლობები აღორძინებისა და კულტურული მშენებლობისათვის, მისცა შესაძლებლობა ყველა ცალკეულ ეროვნებას, აშენოს და განავითაროს თავისი ეროვნული კულტურა“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640:25].

ს. ჭანბას მთავარი ბრალდება ცარიზმისადმი ამ აბზაცშიც ენას უკავშირდება. იგი გმობს იმ ფაქტს, რომ იმ დროს ყველა ეროვნებისთვის რუსული იყო განათლების ენა, მაგრამ არაფერს ამბობს თითქმის იმავე ენობრივ პოლიტიკაზე, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა მთელ საბჭოთა კავშირში. მენშევიკების მიმართ წაყენებული ბრალდება, რომ მათ შეაფერხეს აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების კულტურული განვითარება, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. ავტორის დამოკიდებულება კომუნისტური რეჟიმისადმი განსაკუთრებით ჩანს შემდეგ წინადადებაში: **«მოგვისწრო** საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წლის მარტის თვეში». მოსწრებულ ახალ მმართველობას ახალი ენობრივი და კულტურული გარემო უნდა შეექმნა. თუმცა ს. ჭანბა თვითონვე გვიყვება განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული იმ არასახარბიელო ვითარების შესახებ, რომელიც გასაბჭოების 9 წლის შემდეგაც არსებობდა აფხაზეთში.

დოკუმენტში 1929-1930 საბიუჯეტო წლისათვის აფხაზეთის სსრ-ს სასკოლო ქსელი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: 295 ეროვნული სკოლიდან ყველაზე მეტია ქართული სკოლა (83), შემდეგ სომხური (77), თითქმის თანაბრადაა ბერძნული (54) და აფხაზური (52), რუსული (15), შერეული (7), ესტონური (3), თურქული (3) და გერმანული 1.

ს. ჭანბა ბევრს ჩივის კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობაზე. აქაც ბერძენი და სომეხი მასწავლებლების შემდეგ ახსენებს აფხაზი პედაგოგების მომზადების აუცილებლობას: «ეროვნული სკოლები, როგორც აფხაზური და ქართული, ისე

სხვა ეროვნებებისა არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი საჭირო კვალიფიკაციის მუშაკებით. მართალია, სომხური სკოლების მასწავლებლობის უმრავლესობას აქვს საშუალო განათლება, ამიტომ სომხურ სკოლებში მუშაობა შეიძლებოდა კარგად აწყობილიყო, რომ არ ყოფილიყო პედაგოგიური პერსონალის ის დენადობა, რაც წლიდან წლამდე შეინიშნება. საქმე ის არის, რომ აფხაზეთში ადგილობრივი სომეხი მასწავლებლები არ არიან. მთელი სომეხი მასწავლებლობა ტფილისიდან, ან სომხეთიდან მოსული ელემენტია. ისინი აფხაზეთში წაიმუშავებენ ერთ, ან სულ ბევრი ორ წელიწადს და მიემგზავრებიან უკან, ხოლო მათ ადგილას მოდიან ახლები, რომლებიც ერთ-ორ წელიწადში კვლავ ახლებით იცვლებიან და ა.შ. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არ აისახოს საქმეში და, მიუხედავად სომეხი მასწავლებლის თითქოსდა საკმარისი კვალიფიკაციისა, სომხურ სკოლაში მუშაობა ფერხდება.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ბერძნულ სკოლაში. ყველა ბერძენ მასწავლებელს, ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, აქვს ბერძნული გიმნაზიის (უცხოურის) 2-3 კლასის განათლება. ამგვარ მუშაკებს არამცთუ არა აქვთ სპეციალური პედაგოგიური მომზადება, არამედ არც საჭირო ზოგადი განათლება აქვთ. მაგრამ ბერძენ მასწავლებლებზე უზარმაზარი მოთხოვნილება იგრძნობა სხვა რესპუბლიკებშიც და გვაიძულებს, გარკვეულ დრომდე შევეგუოთ თუნდაც ამგვარი მუშაკების ყოლას. [მალე საერთოდ დაიხურა ბერძნული სკოლები მთელ საბჭოთა კავშირში და პრობლემა ასე „გადაწყდა“ - ს.ჭ.].

აფხაზურ სკოლებში შეინიშნება მომზადებული **სამასწავლებლო პერსონალის, აგრეთვე აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოების ნაკლებობა**. პედაგოგიური პერსონალი აფხაზური სკოლებისათვის იქმნება აფხაზური პედაგოგიური ტექნიკუმისა და პედაგოგიური კურსების კურსდამთავრებულთაგან, მაგრამ ასეთი პირები სრულებით არ კმარა სკოლების მომსახურებისათვის. **აფხაზურ ენაზე სახელმძღვანელოები ძალიან ცოტაა. განათლების სახალხო**

კომისარიატი ამ მიმართულებით გაძლიერებულად მუშაობს, იგეგმება ახალი სახელმძღვანელოების გამოცემა, ასევე მიმდინარეობს მუშაობა ახალი ლათინიზებული ანბანის დასანერგად, რის გამოც ყველა ახალი სახელმძღვანელო დაიბეჭდება ლათინიზებული დამწერლობით¹⁴.

სხვა ნაცუმცირესობათა მცირერიცხოვანი სკოლების პედაგოგიური პერსონალი მომზადების მხრივ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. **მომზადებული რუსი მასწავლებლები საერთოდ ბევრია.** მცირე მოთხოვნილება ესტონელ, გერმანელ და თურქ მასწავლებლებზე კმაყოფილდება საბჭოთა კავშირში შესაბამისი სასწავლებლების არსებობით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 27-29 ონ].

ამ ნაწილშიც ს. ჭანბა ვრცლად მიმოიხილავს სომეხი, ბერძენი და აფხაზი მასწავლებლების პრობლემებს და აქვე აფხაზ მასწავლებლებზე საუბრისას ისევ ყურადღებას ამახვილებს ახალ აფხაზურ ანბანსა და აფხაზური სახელმძღვანელოების ნაკლებობაზე. როგორც ჩანს, რთული იყო ლათინიზებული ახალი ანბანის დამკვიდრების პროცესები. ის ფაქტი, რომ მხოლოდ რუსი მასწავლებლები იყვნენ ბევრი და თანაც ყველა მომზადებულნი, კიდევ ერთხელ მიუთითებს საბჭოთა ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკის მიზნებსა და შედეგებზე.

ავტორი წერს: «მეთოდურ მუშაობას საერთოდ განსახკომის მეთოდიკური საბჭო ახორციელებს, რომლის შემადგენლობაშიც განსახკომის აპარატის ინსტრუქტორების გარდა შედიან ყველაზე აქტიური მასწავლებლები. მეთოდიკური საბჭო იყოფა ეროვნულ სექციებად. ყოველი მათგანი ეწევა მეთოდიკურ მუშაობას შესაბამისი ეროვნების სკოლის განხრით. აფხაზეთის ყველა სკოლის ეროვნულ ენებზე არსებული სახელმძღვანელოებით, ლიტერატურითა და დამხმარე საშუალებებით მომარაგების

14. 1926 და 1928 წლებში აფხაზური დამწერლობის ორგზის შეცვლამ ძალიან გაართულა აფხაზურად წიგნების წერის, გამოცემისა და სწავლების ისედაც ჩამორჩენილი საქმე.

საქმეს უძღვევა განსახკომი. მაგრამ ობიექტური პირობების წყალობით ყველა ნაცუმცირესობის სკოლას აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოფილ იქნენ მათთვის საჭირო სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით. თუ **ქართული, სომხური, რუსული, ესტონური** სკოლები ამ ენებზე უკვე აწყობილი გამოცემლობის წყალობით შედარებით დამაკმაყოფილებლად მარაგდებიან, ბევრად უფრო ძნელია სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით **აფხაზური, ბერძნული და თურქული** სკოლების უზრუნველყოფა» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 29-30]. სავარაუდოდ, რუსული, ესტონური და სომხური სახელმძღვანელოები და ლიტერატურა მეზობელი რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ.

ს. ჭანბა სამართალწარმოების ენობრივ სპეციფიკაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი ცნობით: «სასამართლო დანესებულებები დაახლოებულია მოსახლეობასთან სასამართლოს შემადგენლობის გამუშების (опробочивание) გზით, აგრეთვე ადგილებზე საქმის გასარჩევად სასამართლო სესიების გასვლებით. სასამართლოს წარმოება ზოგ მაზრაში მიმდინარეობს **ეროვნულ ენებზე**, ხოლო მაზრებში, სადაც **შერეული მოსახლეობაა - რუსულ ენაზე**. გარდა ამისა, მნიშვნელოვან საქმეებზე იმართება საჩვენებელი პროცესები. სასამართლოს აპარატის პირადი შემადგენლობა შეხამებულია მოცემულ ადგილზე ამა თუ იმ ეროვნების მეტობასთან» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 4106].

თუ დავაკვირდებით, უეჭველად დავასკვნით, რომ მოსახლეობის ეთნიკური წარევობა ავტომატურად წამგებიანი იყო ყველასათვის, გარდა რუსი მოსახლეობისა, რადგან რუსულის უფლებების შებლაღვას ვერავინ ბედავდა, სხვა ენები იჩაგრებოდა და წინა პლანზე რუსული ენა წამოიწევდა ხოლმე. ამას ადასტურებს ის ფაქტი რომ, რომ შერეულ მოსახლეობაში საქმისწარმოების, სამართალწარმოებისა და განათლების ენა უმეტესად რუსული იყო.

„თეატრს აფხაზეთის სსრ-ში აქვს სექტორები: **ქართული, ბერძნული, სომხური და რუსული**, რომლებსაც ინახავენ

ადგილობრივი სახსრებით. აფხაზური სექტორი არ იყო შეყვანილი არც სახელმწიფო, არც ადგილობრივ ბიუჯეტში და ამჟამად აღძრულია შუამდგომლობა მის შესანახად სპეციალური სუბსიდიის გამოყოფის შესახებ. ფაქტობრივად უკვე შექმნილი, მაგრამ საჭირო სახსრებით უზრუნველყოფელი **აფხაზური სტუდიის არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია** და მისი ფუნქციონირება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ცენტრის მხარდაჭერით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 31-3106] - აცხადებდა ს. ჭანბა. როგორც ჩანს, თვით აფხაზებმა დროულად არ იზრუნეს თეატრის აფხაზური სექტორის დაფინანსებაზე, თორემ იმ დროს, როცა თეატრიც იდეოლოგიური ბრძოლის იარაღი იყო და კაცის სიცოცხლე ჩალის ფასი ღირდა, შეგნებულად საქმეს არავინ წაახდენდა.

ს. ჭანბამ საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს საგანმანათლებლო მიმართულებით არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად რეკომენდაციები შესთავაზა. სრულად გათავაზობთ მათ:

„დასკვნები:

აფხაზეთის ეროვნებათა შორის საგანმანათლებლო მუშაობის უმეტესი შედეგების მისაღებად აუცილებელია:

1. გაიზარდოს სახალხო განათლების საბიუჯეტო ასიგნება, ამასთანავე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უზრუნველყოფილი **ყველა სკოლა უნდა გადავიდეს ბიუჯეტზე.**

2. ყოველწლიურად გამოიყოს სპეციალური ასიგნება **ეროვნული სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის** ასამაღლებლად და კადრების მოსამზადებლად.

3. უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო სახსრებით **სახელმწიფო თეატრის ეროვნული სექტორები და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს აფხაზური სტუდიის ორგანიზებას.**

4. გაძლიერდეს მუშაობა **ეროვნულ ენებზე ლიტერატურისა და, ძირითადად, სახელმძღვანელოების** გამოსაცემად.

5. ადგილობრივ ბიუჯეტში გაიზარდოს კრედიტები **ნაცუმცირესობათა სკოლების ბიბლიოთეკების დამხმარე საშუალებებითა და სხვებით აღსაჭურვად.**

7. გაძლიერდეს მუშაობა **წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციოდ, ქოხ-სამკითხველოების ქსელის გასაფართოებლად** და მათი სათანადოდ აღჭურვისათვის, რისთვისაც გაიზარდოს კრედიტების წილი პოლიტიკური განათლების მიმართულებით მუშაობისათვის“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640: 31-3206].

ჯანდაცვის განყოფილების დასკვნების მე-3 პუნქტში მითითებულია შემდეგი საჭიროება: „მოსახლეობის უზრუნველყოფა **ადგილობრივი ენების მცოდნე** სამედიცინო პერსონალით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1929, N 640:3306].

როგორც ვხედავთ, აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განსავითარებლად საჭირო ენობრივი მიმართულებების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე ხელისუფლებისაგან ფინანსურ დახმარებასა და საზოგადოებრივ აქტივობას მოითხოვდა.

ამრიგად, ს. ჭანბას მიერ სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოს წინაშე წარდგენილ თანამოსხენებაში აღწერილია აფხაზეთის სსრ-ში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების კულტურულ-საგანმანათლებლო მდგომარეობა. არაერთ მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად ანგარიშში ასახულია იმ პერიოდის სოციოლინგვისტური ვითარება. ჩვენ დავაკვირდით იმას, აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე ოფიციალურ ტექსტში რამდენჯერ და რა კონტექსტში ახსენებდა ქართული, აფხაზური და რუსული ენების სტატუსისა და ფუნქციონირების საკითხებს. გაირკვა, რომ სტატისტიკურ მონაცემებში მითითებული ინფორმაციის გარდა, ტექსტის ნარატიულ ნაწილში ს. ჭანბამ მხოლოდ 3-ჯერ ახსენა საქართველოს, ქართველებისა და ქართული ენის საკითხი, 6-ჯერ აფხაზებისა და აფხაზური ენისა, ხოლო 5-ჯერ რუსებისა და რუსული ენის შესახებ.

მართალია, აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე თანასწორუფლებიანს უწოდებს აფხაზეთის სსრ-ს სახელმწიფო ენებს, მაგრამ მისი თანამოხსენებიდანაც ჩანს, სინამდვილეში რომელი ეთნოსი და რომელი ენა იყო უპირატესი აფხაზეთის ტერიტორიაზე. თუ მას ეროვნებათა საბჭოს წინაშე მხოლოდ «ნაციონალურ უმცირესობებზე» უნდა ესაუბრა, წესით არც უნდა წარედგინა მონაცემები ძირითადი ეროვნებების: ქართველებისა და აფხაზების შესახებ. წარმოდგენილ საანალიზო მასალაში კი, პირიქით, ყველა საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ აფხაზებზე არის გამახვილებული, რაც მიკერძოებად მოჩანს.

დოკუმენტში ქართული ენის ფუნქციობის შესახებ მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ ქართველი მასწავლებლების ნაკლებობა და ქართული სახელმძღვანელოების საკმარისი რაოდენობა ყოფილა სკოლებში. ამის საპირისპიროდ, აფხაზური ენის, დამწერლობის, ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, საქმისწარმოების, სასწავლებლების, პედაგოგიური კურსების, მასწავლებლებისა და თეატრალური სტუდიის აუცილებელ საჭიროებაზე არაერთხელ აღინიშნა ფაქტების აღწერებსა თუ დასკვნებში. შერეულ მოსახლეობაში განათლების, სამართალწარმოებისა და საქმისწარმოების ენად რუსულის გამოყენება, აგრეთვე დიდი რაოდენობის რუსული ლიტერატურისა და რუსულის მასწავლებლების არსებობაც არ დაუმალავთ მოხსენებაში. ს. ჭანბას მიერ აღწერილი ფაქტები ადასტურებს, რომ ა. ჭოჭუას ანგარიშის შედეგის დროიდან აფხაზეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების ეროვნული, ენობრივი და კულტურული განვითარებისთვის თითქმის არაფერი შეცვლილა და პირობები მხოლოდ რუსული ენის გავრცელებისა და დამკვიდრებისთვის იყო შექმნილი.

1927 წლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულია აფხაზეთის სსრ-ს სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარის ნესტორ ლაკობას წერილი (**სტატიის სათაურია „საბჭოთა აღმშენებლობა აფხაზეთში“**), რომელიც შედგენილი იყო საქართველოს საბჭოების

ყრილობისთვის. ნ. ლაკობას მოხსენებაში აღწერილია 1927 წლისთვის აფხაზეთში არსებული ენობრივი და ეთნიკური ვითარება. **ავტორი ანგარიშის პირველ ნაწილში განმარტავს, რომელია ძირითადი ეროვნებები აფხაზეთში და ხაზს უსვამს იქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების სიმრავლეს, კერძოდ: „აფხაზეთის ტერიტორია მდებარეობს მდინარე ენგურსა და ცივის წყაროს¹⁵ შორის.** ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ აფხაზები, ქართველები, სომხები, ბერძნები, რუსები, ესტონელები, გერმანელები და სხ. ეროვნება აფხაზეთში ბევრია. ერთი წყაროს მიხედვით მათი რაოდენობა 22-დე აღწევს, მეორეს მიხედვით, შეიძლება 30-დეც აღწევდეს. ჩვენ შევეხებით მთავარ მათგანს - აფხაზებს, ქართველებს, სომხებს, ბერძნებს და რუსებს.. უკანასკნელი (საკავშირო) აღწერის წინასწარი ცნობების მიხედვით, აფხაზეთში ორივე სქესის მცხოვრებთა რიცხვი უდრის 200. 000 ერთეულს. ამ 200.000 სულიდან **აფხაზები ძლივს აღწევენ 57-60 ათასამდე.** ეს ციფრები დაახლოებით არის აღებული და მხოლოდ საბოლოოდ დამუშავებული მასალა დაგვანახებს, თუ რამდენს შეადგენენ ნამდვილად აფხაზები. ყოველშემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ საშუალოდ აფხაზები 60 000 სულს შეადგენენ. რატომ ვსთქვათ ძლივს-ძლივობითო? იმიტომ, რომ **რამდენიმე ათასი კაცი თავს აფხაზად სთვლის, თუმცა ისინი ლაპარაკობენ მეგრულად. მეგრელები იგივე ქართველები,** აფხაზეთში 65-70 ათას სულზე ნაკლებს ყოველ შემთხვევაში არ წარმოადგენენ. სომხები, ალბად, იქნებიან არა ნაკლები 22 ათასამდე, შესაძლებელია 24 ათასამდეც იყვნენ. დაახლოებით 20 ათასამდე იქნებიან ბერძნები. **რამდენი იქნება რუსი მოსახლეობა, არ შემიძლია დაახლოებითაც ვსთქვა.** ვიცი, რომ სოფლის მაცხოვრებლებს შორის მათი რიცხვი ცოტაა, ქალაქის მცხოვრებთა შორის კი მეტი. აი ამ მთავარ ეროვნებათა ეს რიცხვობრივი შეფარდება ჩვენ გვაკისრებს ერთგვარ ვალდებულებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ **აფხაზეთი უნდა განვიხილოთ, როგორც**

15. იგულისხმება მდინარე ხოლოდნაია რეჩკა.

ისეთი ქვეყანა, რომელიც ეკუთვნის არა მარტო აფხაზებს, არა მარტო ქართველებს, და არა ორივე ამ ეროვნებებს ერთად, არამედ იმ სხვა ეროვნებებსაც, რომლებიც აფხაზეთში მოსახლეობენ“ [„კომუნისტი“, 1927, N 68:3. ხაზგასმა ჩვენია - ს.ჭ.].

როგორც ვხედავთ, აფხაზი პოლიტიკოსი აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების რაოდენობის აღნიშვნისას, მათი შეფარდების შესახებ ზუსტი ცნობების უქონლობის მიუხედავად, მთავარ ეროვნებებად ასახელებს აფხაზებს, ქართველებს, სომხებს, ბერძნებსა და რუსებს. სავარაუდოდ, მის მიერ დასახელებული რამდენიმე ათასი მეგრულად მოლაპარაკე აფხაზი გააფხაზებული მეგრელები იყვნენ. ნ. ლაკობას ცნობით, ქართველებსა და აფხაზებზე ბევრად ნაკლები იყვნენ სომხები და ბერძნები, ხოლო რუსების რაოდენობის დასახელებისგან სახკომის თავმჯდომარემ თავი შეიკავა, ვინაიდან ზემოთ დასახელებული მონაცემებით ალოგიკური იყო მთავარ ეროვნებებად რუსების, სომხებისა და ბერძნების დასახელება. თუმცა საარქივო დოკუმენტებში აფხაზი პოლიტიკოსები ხშირად ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთში მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა, რის გამოც რთული იყო მათი ენობრივ-კულტურული განვითარების ხელშეწყობა.

ამის შემდეგ ნ. ლაკობა დასახელებული ერების გეოგრაფიულ განაწილებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით: „ქართველების მთავარი მასა ცხოვრობს გალის მაზრაში, მას მიჰყვება კოდორის მაზრა, რომელშიაც აფხაზები ცხოვრობენ. შემდეგ თუ გავყვებით საქართველოდან ჩრდილოეთისკენ, არის გუმისტანის მაზრა (იგულისხმება გუმისტის მაზრა - ს. ჭ.), რომელიც ინტერნაციონალურ მაზრად უნდა ჩაითვალოს: აქ არიან სომხები, ბერძნები, რუსები, ქართველები და ერთ თუ ერთ ნახევარ სოფელში - აფხაზებიც ცხოვრობენ. შემდეგ მოდის გუდაუთის მაზრა - აფხაზური მაზრა და უკანასკნელიც - გაგრის მაზრა, რომელსაც

მოსახლეობის ისეთივე ინტერნაციონალური შემადგენლობა ახასიათებს, როგორც გუმისტანის მაზრას. რაც შეეხება სკოლებს, ინტელიგენციას და სხ., ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მხრივ სომხები, ბერძნები, რუსები და ქართველები უკეთეს მდგომარეობაში არიან ვინემ აფხაზები“ [„კომუნისტი“, 1927, N 68:3]. ე. ი. ნ. ლაკობას ინფორმაციით, აფხაზეთში უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები (70000-მდე) და აფხაზები (60000-მდე და მათ შორის რამდენიმე ათასი გააფხაზებული მეგრელები იყვნენ) და მიუხედავად ამ მონაცემებისა, აფხაზმა პოლიტიკოსმა მხოლოდ გალი დაასახელა ქართველებით დასახლებულ მაზრად. კოდორი და გუდაუთა - აფხაზური, ხოლო გაგრა და გუმისტა ინტერნაციონალური მაზრები ყოფილა. რეალურად ვითარება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან კოდორის მაზრაში აფხაზებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართველებიც და სომხებიც, ხოლო გუდაუთის მაზრაში აფხაზების გვერდით წარმოდგენილი იყვნენ სომხებიც.

ნ. ლაკობამ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ სწორად წარემართათ ნაციონალური ურთიერთობები აფხაზეთში: ...„ისე უნდა წარემართოთ ჩვენი პოლიტიკა, რომ აფხაზმა არ სთქვას, რომ მას ვინმე შეურაცხყოფს, რომ ის წინადაც შეურაცხყოფილი იყო და დიდათ არც ეხლა უღიმის ბედი. აფხაზი რომ ასე მსჯელობდეს, ეს იმის მლაღადებელი იქნებოდა, რომ ჩვენს პოლიტიკაში დიდი შეცდომები გვექონდა. ან მეგრელი რომ ამბობდეს: ეს ყველაფერი კარგი, რაღაც თავს არ მომდის, როგორღაც თავს კარგად ვერ ვგრძნობ, აფხაზეთი თითქმის ჩემიც არის და არც არის ჩემი, აქ თითქოს არც თავის ვარ და არც სხვისი. მეგრელი რომ ასე ლაპარაკობდეს, ჩვენი პოლიტიკა ვერ იქნებოდა მაინცდამაინც სწორი, სომეხი და ბერძენი რომ ლაპარაკობდეს: აფხაზეთში ცხოვრება ცუდი არ იქნებოდა, აქ მინაც კარგია, შეგვეძლო თამბაქოს გაშენება, მაგრამ რა ხეირია აქედან, როცა მე მართვა-გამგეობის არაფერი მეკითხებაო. ასე რომ ლაპარაკობდნენ სომხები და

ბერძნები - საქმე მაინც და მაინც კარგად ვერ იქნებოდა. აი, ამიტომ ამ ეროვნებათა შორის ურთიერთობა იმ რიგად უნდა მოვანყოთ, რომ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იქნენ საერთო ინტერესობით, ძმობისა და სოლიდარობის პრინციპით, რათა თვითეულ ცალკე ეროვნებათაგანი ამბობდეს, რომ ის სცხოვრობს არა მარტო თავისთვის, არამედ თვითეულ ცალკე ეროვნებისთვისაც, რომელიც აფხაზეთში ბინადრობს“ [„კომუნისტი“, 1927, N 68:3].

ნ. ლაკობას სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ნაციონალური პოლიტიკა თითქოსდა დიდი შეცდომების გარეშე ტარდებოდა. იგი აქვე აღნიშნავს, რომ გაძლიერებული კულტურული მოთხოვნა იყო ისეთი საკითხის მოგვარება, როგორცაა სახელმწიფო სტრუქტურებში საქმისწარმოების ენების განსაზღვრა. სახკომის თავმჯდომარის განმარტებით: **„საქმის წარმოება ხდება აფხაზურ, რუსულ და ქართულ ენებზე. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუ აფხაზს შეუძლია თავის ენაზე საქმის წარმოება, არავინ ამაში მას ხელს არ შეუშლის, ქართველ მოსახლეობასაც უფლება აქვს და შეუძლია თავის ენაზე საქმის წარმოება, იგივე ითქმის რუსებზედაც. ნიშნავს თუ არა საკითხის ასე გადაჭრა სხვა ეროვნებათა უფლებების შეკვეცას, როცა ჩვენ შემოღებული გვაქვს სამი ენა, რომელზედაც შეიძლება საქმის წარმოება აფხაზეთის ცენტრალურ აპარატებში. ჩემის აზრით, ამით სრულებითაც არ იკვეცება დანარჩენ ეროვნებათა უფლებები; ვინაიდან ჩვენ ყოველთვის ვაღიარებდით და ვაღიარებთ, რომ თვითეულ ეროვნებას უფლება აქვს განავითაროს თავისი ენა თავის კულტურულ-ნაციონალურ დაწესებულებებში. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენს სასოფლო საბჭოებში ნებადართულია საქმის წარმოება იმ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობს ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის მეტი წილი (აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები და სხვ.). ამა თუ იმ მაზრის ოფიციალურ ენად ჩვენ ვსთვლით მაზრის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის ენას, მაგალითად: გალის მაზრაში - ქართულ ენას, კოდორის და გუდაუთის მაზრებში - აფხაზურ**

ენას, ხოლო გუმისტანის და გაგრის მაზრებში, სადაც მოსახლეობის ინტერნაციონალური შემადგენლობაა და არც ერთი ეროვნება არ შეადგენს მოსახლეობის უმრავლესობას - **ოფიციალურ ენად ცნობილია რუსული ენა**, როგორც ამ მაზრების მთელი მოსახლეობის **შემარიგებელი და დამაკმაყოფილებელი ენა**. ზოგჯერ სვამენ კითხვას - მოიტანა თუ არა რაიმე ნაყოფი იმან, რომ ჩვენ სამი ენა შემოვიღეთ, ხომ არ ატარებს ეს ფორმალურ ხასიათს? საქმის ნამდვილი ვითარება მოწმობს, რომ **გალის მაზრაში თითქმის ყველა სოფლებში მიწერ-მონერა სწარმოებს ქართულ ენაზე, ქართულ ენაზეა ეს მიწერ-მონერა ზოგიერთ ცენტრალურ დაწესებულებასთანაც, იქ, სადაც ძნელია აფხაზურ ენაზე გადასვლა, მუშაობა სწარმოებს რუსულ ენაზე**. მიუხედავად ამისა გვლებს უფლება აქვთ თავის მშობლიურ ენაზე მიმართონ დაწესებულებებს, რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ისინი“ [„კომუნისტი“, 1927, N 68:3. ხაზგასმა ჩვენია - ს. ჭ.].

ტექსტის ამ ნაწილში ნ. ლაკობას გამოტოვებული აქვს სოხუმის მაზრის ვითარება, სადაც ასევე რუსულ ენას იყენებდნენ საქმისწარმოებისათვის. რუსული ენის გამოყენების აუცილებლობა ორი საბაბით გამართლდა: გუმისთისა და გუდაუთის მოსახლეობის ინტერნაციონალური შემადგენლობით და იმით, რომ კოდორის და გუდაუთის აფხაზურ მაზრებში ვერ ხერხდებოდა საქმისწარმოების წარმართვა აფხაზურ ენაზე, ამიტომ აქაც რუსულ ენას იყენებდნენ როგორც მთელი მოსახლეობის „შემარიგებელ და დამაკმაყოფილებელ“ ენას. ე. ი. აფხაზეთის უმეტეს ადმინისტრაციულ ერთეულში რუსული ენა იყო დომინანტი ენა, ხოლო საქმისწარმოების ენებად სამი ენის დასახელება მხოლოდ ფორმალობა იყო. აშკარაა, რომ აფხაზეთში სახელმწიფო ენების ფუნქციონირებისთვის თანაბარი პირობები არ იყო შექმნილი და ალბათ არცთუ შემთხვევით.

ზემოაღნიშნული საკითხების შემდეგ ნ. ლაკობა სახელმწიფო ადმინისტრაციულ ერთეულებში მომსახურე

პირთა ეროვნულ განაწილებაზე წერს: „სულ აფხაზეთში, ქ. სოხუმში და მაზრებში მოსამსახურეების რაოდენობა უდრის 2890 კაცს. ეს ციფრი შესაძლოა ოდნავ შეიცვალა უკანასკნელად მომხდარ აპარატის შემცირების გამო. 2890 კაციდან - 329-ს ე. ი. 11, 4 პროცენტს შეადგენენ აფხაზები; 676 ქართველია ე. ი. 23, 3 პროცენტი; 154 სომეხი - 5, 3 პროც; 114 ბერძენი - 3, 9 პროც; 1348 რუსი-46, 5 პროც. დანარჩენები 278 კაცი, ე. ი. 9, 6 პროც. აპარატის ასეთი ნაციონალური შემადგენლობა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებდა. საჭირო იყო მისი გადასინჯვა, გადასინჯვა უნდა მომხდარიყო რუსების ხარჯზე, ეს უნდა ითქვას პირდაპირ, მაგრამ რომელი რუსების ხარჯზე? ჩვენს აპარატში ბევრი იყო რუსი მოხელე, რომლებიც ჩვენში ჩამოვიდნენ ყირიმიდან, როცა საბჭოთა არმია ვრანგელს ერეკებოდა იქიდან. ისინი წარმოადგენენ მტრულ ელემენტს საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მათ სტუმართმოყვარეობა ჰპოვეს მენშევიკებთან. 1921 წელს მენშევიკები განდევნილ იქნენ აფხაზეთიდან და ამ რუსმა მოხელეებმა მოიკალათეს ჩვენს აპარატში. არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც 5, 6, 7 ევროპიულ ენაზე ლაპარაკობენ, ეს უმაღლესი განათლების მქონე ხალხი მოდის ჩვენს აპარატში და იღებს მხოლოდ 35-40 -50 მანეთს. ეს ცოტათი საეჭვოა. არიან ისეთი მუშაკები, როგორც მაგალითად ყოფილი გენერლები, გენერლის ცოლები და სხვ., არის ისეთი კატეგორია, რომელთაც კავშირი აქვთ ყოფილ გენერლებთან. ამ ხალხის ხარჯზე უნდა შეგვეყვანა აპარატში აფხაზების, ქართველების, სომხების, ბერძნების და სხვა წარმომადგენლები. ჩვენი ასეთი ღონისძიება ზოგიერთებმა ისე გაიგეს, რომ რუსებს ჩვენში ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ, ამ აზრს ავრცელებდნენ თვით «პატიოსანი» საბჭოთა მუშაკებიც, ცხადია, ჩვენ რუსების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მათ არ ვავინრობთ, მე უკვე ზემოდ აღვნიშნე, თუ რუსი ხალხის რომელი კატეგორია გადევნეთ ჩვენი აპარატიდან. ჩვენ თავი დავაღწიეთ ზედმეტ ელემენტს,

ხოლო მის მაგიერ თვით რუსი დემობილიზაცია-ქმნილი არმიელებიც მოვანყვეთ სამსახურში. პატიოსან რუს საბჭოთა მუშაკებისთვის ჩვენ ხელი არ გვიხლია“ [„კომუნისტი“, 1927, N 68:3].

სახკომის თავმჯდომარე თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ საკადრო პოლიტიკის გამოსასწორებლად და დასაბალანსებლად სახალხო კომისარიატის საბჭოში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გარკვეული სამუშაოები ჩაატარა, მაგრამ საბოლოო მიზნის მიღწევა ვერ მოხერხდა **„საკუთარი კულტურული ძალების სიმცირის გამო„**, **საკუთარი ძალების სიმცირეში ნ. ლაკობა აფხაზი ეროვნების აფხაზურენოვანი კადრების სიმცირეს გულისხმობდა, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რის გამოც ვერ ხერხდებოდა აფხაზურ ენაზე საქმისწარმოების წარმართვა. არსებული ვითარების გამოსასწორებლად ხელმძღვანელმა პირებმა მასწავლებლები გამოიყენეს, კერძოდ: „აფხაზი მასწავლებლების რიცხვი ძალიან ცოტაა, ხოლო თუ სადმე მოიპოვებიან, მათ დიდი სახელმწიფო მუშაკობა უნდათ და ჩვენც ვაქეზებთ ამისკენ. ჩვენ უნდა გამოვასწოროთ აპარატის ნაციონალური შემადგენლობა და მასწავლებლების ხარჯზე ზოგიერთ ნაკლებლოვანებებს ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დანარჩენ დარგში ჩვენ ვასწორებთ. აფხაზურ სკოლაზე ამას უსათუოდ უარყოფითი გავლენა აქვს“ [„კომუნისტი“, 1927, N 68:3].**

ამრიგად, მმართველმა ორგანოებმა ხელი შეუწყვეს აფხაზურენოვანი მასწავლებლების სკოლის ნაცვლად სახელმწიფო აპარატში დასაქმებას და ამით კიდევ უფრო მეტი დაბრკოლება შეუქმნეს აფხაზური ენის სწავლებას. ამას ემატებოდა სახელმძღვანელოების სიმწირე, რაც აგრეთვე გამოწვეული იყო საჭირო ადამიანური რესურსის არარსებობის გამო. აფხაზი მასწავლებლების სკოლიდან სახელმწიფო აპარატში გადაყვანა იყო პირველი ნაბიჯები აფხაზური ეთნოკრატიის შესაქმენლად, რაც მომდევნო პერიოდში უფრო მასშტაბური გახდა.

ნ. ლაკობა განაგრძობს: „საკითხი ადგილობრივ ენებზე წიგნების და სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ კიდევ ვერ არის სათანადოდ მონესრიგებული. ამ მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არიან აფხაზები, ვინაიდან სომხებს, ბერძნებს, ქართველებსა და რუსებს შეუძლიათ მიიღონ ეს წიგნები სხვა კულტურულ ცენტრებიდანაც - თბილისიდან, მოსკოვიდან, ერევნიდან და სხვ. ხოლო აფხაზები იძულებული არიან თვითონვე შეადგინონ და გამოსცენ ეს სახელმძღვანელოები და წიგნები. ამას კი დიდძალი დაბრკოლებები ეღობება. აქ კულტურულ და ტექნიკურ მუშაკებთან ერთად საჭიროა ფულიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში ცოტაოდენი რამ მაინც კეთდება, არსებობს **აფხაზური ენის და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება**, რომელიც ამუშავებს ტერმინოლოგიას, ადგენს სახელმძღვანელოებს, სიტყვარებს და სხვ. აფხაზეთის ინტელიგენციას ამ საქმეში მთავრობა დახმარებას უწევს ფინანსურად. ამაზე უფრო შორს წასვლა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ისიც, რაც კეთდება, დადებით მიღწევად უნდა ჩაითვალოს“ [„კომუნისტი“, 1927, N 68:3].

ამრიგად, ნ. ლაკობას მიერ ცენტრალური ხელისუფლების ხელმძღვანელებისთვის წარდგენილი ანგარიშიდან ჩანს, რომ:

1. აფხაზურ ენაზე ვერ ხერხდებოდა საქმისწარმოების წარმართვა არასაკმარისი კადრებისა და ენობრივი სირთულეების გამო;

2. ცოტანი იყვნენ აფხაზური ენის მასწავლებლები და ისინიც სახელმწიფო სტრუქტურებში საქმედბოდნენ, რითაც აფხაზური სკოლა ზარალდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რეჟიმს აფხაზური პოლიტიკური ელიტის შექმნა სურდა და არა განათლების საქმის წარმატება;

3. ძნელი იყო აფხაზურენოვანი სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოცემა ტექნიკური სირთულეებისა და ადამიანური რესურსის ნაკლებობის გამო.

მოხსენების ბოლო ნაწილი ისევ ეროვნებათშორის

ურთიერთობებს ეხება: „ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა შეეხება იმას, თუ რას წარმოვადგენთ ჩვენ აფხაზეთში. ჩვენ მრავალი ეროვნებით დასახლებულ ქვეყანას წარმოვადგენთ და ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ერთმანეთს არ წავეკიდოთ, უნდა განვახორციელოთ ჩვენს ტერიტორიაზე ხალხთა ძმობა, უნდა განვახორციელოთ ერთმანეთთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, მშვიდობიანი მშენებლობის პრინციპი. დეე თვითოეული სომეხი, ბერძენი, აფხაზი და ქართველი უყურებდეს აფხაზეთს, როგორც თავის საკუთარ ქვეყანას და დეე თვითოეული მათგანი თავის თავს სთვლიდეს მის ბატონ-პატრონად“.

ამრიგად, ნ. ლაკობას მიერ შედგენილი მოხსენების მიხედვით 1927 წელს აფხაზეთის სსრ-ში მთავარი პრობლემა აფხაზურენოვანი კადრების სიმცირე იყო, რის გამოც **ძირითად და მნიშვნელოვან სფეროებში - განათლების სისტემაში, საჯარო დანესებულებებსა და გამომცემლობებში აფხაზურ ენას საკმარისად ვერ იყენებდნენ.** რეჟიმის მიერ გაკეთებული „ცოტა რამ“ კი - „**აფხაზური ენის და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება**“ იყო, რომელსაც ხელისუფლება აფინანსებდა. აღნიშნული ენობრივი სიტუაციის გამოსასწორებლად აფხაზეთის სსრ-ს სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ლაკობამ ვერ თუ არ გაბედა რამე კონკრეტული პროექტების წარდგენა და საჭირო ფინანსური რესურსების მოთხოვნა. მისი მთავარი სურვილი - აფხაზეთში მცხოვრებ ერთა შორის არსებულიყო მშვიდობიანი თანაცხოვრება, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე იყო დამოკიდებული. საბჭოური პოლიტიკური ხედვა ანგარიშში არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნული ფორმულირებაა: აფხაზეთი თანაბრად ეკუთვნით სომხებს, ბერძნებს, რუსებს, აფხაზებსა და ქართველებსო, თუმცა საბჭოს ყრილობაზე ნ. ლაკობამ მხოლოდ აფხაზებსა და აფხაზურ ენასთან დაკავშირებული საკითხები წარადგინა, რითაც დაარღვია თანაბარი უფლებების პრინციპი.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:130] დაცულია კიდევ ერთი საყურადღებო დოკუმენტი სათაურით: „პარტიული მუშაობა ნაცუმცირესობაში“, რომელიც 3 ნაწილისგან შედგება. მასში აღწერილია 1927-1930 წლების აფხაზეთში არსებული ვითარება. პირველ ქვეთავში მოცემულია აფხაზეთში მცხოვრები დიასპორებისთვის შექმნილი სტრუქტურებისა და მათი ხელმძღვანელი პირების ფუნქცია-მოვალეობები. მეორე და მესამე ქვეთავია: ეროვნული ურთიერთობები და ეროვნული საკითხი აფხაზეთის ნაცუმცირესობებში და გადასახლების საკითხები.

საარქივო მასალაში არ არიან საგანგებოდ ჩამოთვლილი აფხაზეთის ძირითადი მოსახლეობა და ეროვნული უმცირესობები, თუმცა კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობისას აქაც იგივე ვითარებაა, რაც ა. ჭოჭუასა და ს. ჭანბას მოხსენებებში ჩანდა. დოკუმენტის პირველ აბზაცში ნათქვამია, რომ: „აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის რიგმა დადგენილებამ და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს რეზოლუციამ ხაზი გაუსვეს აფხაზეთში ნაცუმცირესობათა, განსაკუთრებით კი ყველაზე ჩამორჩენილ ნაცუმცირესობებს (ბერძნებს, ლაზებს, სვანებსა და სხვ.) შორის მუშაობის სუსტად დაყენებას და ნაცუმცირესობებში სპეციალური მუშაობის აუცილებლობას (საამისოდ საოლქო კომიტეტში (ОБККОМ) გამოყოფილ იქნა სპეციალური მუშაკი, ნაცმენი ინსტრუქტორი [ნაცმენი - ნაცუმცირესობის წარმომადგენელი პირი - ს.ჭ.]“.

როგორც ვხედავთ, ტექსტში „ნაციონალურ უმცირესობებად“ ბერძნების თანაბარ დონეზე არიან დასახელებული არიან სვანები და ლაზები, ისევე როგორც 1926 წლის მოსახლეობის აღწერაში ცალკე ერებად გამოყოფილი არიან მეგრელები, სვანები და აჭარლები.

მოხსენების ავტორი აღნიშნავს, რომ ობიექტური მიზეზების გამო კომპარტიის საოლქო კომიტეტის ნაცმუშაკი ვერ ახერხებდა თავისი მოვალეობის შესრულებას, ვინაიდან

იგი სოფელში ყოფილა გაგზავნილი სხვა საკითხების მოსაგვარებლად.

საარქივო დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთის სსრ-ში უმცირესობებთან სამუშაოდ ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები:

1. შედგა მუშაობის გეგმა, რომელსაც უნდა მოეცვა ნაცუმცირესობებთან მუშაობის მნიშვნელოვანი საკითხები, მაგრამ გეგმის დიდი ნაწილი არ განხორციელებულა;

2. უმცირესობებთან მუშაობის ჩასატარებლად საოლქო კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა ნაცუმცირესობათა ბიურო;

3. ცაკ-ში გამოიყო სპეციალური ნაცუმცმუშაკი და გადარჩეულ იქნა ნაცუმცკომისიის ძველი შემადგენლობა;

4. შედგა ცაკ-ის, კომკავშირის, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციის უმცირესობებთან მუშაობის გეგმა, მაგრამ იგი პრაქტიკულად ჯერ არ ხორციელდება;

5. ნაცუმცირესობების კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურების მიზნით განსახკომში იქმნება ნაცუმცირესობათა საბჭო, რისთვისაც უკვე შემუშავებულია სპეციალური დებულება;

6. ჩატარდა რამდენიმე გამოკვლევა ბერძნული რაიონებისა, ნაწილობრივ სომხურისა, ლაზურისა, სვანებისა და პრაქტიკულად მონესრიგდა ნაცუმცირესობათა ზოგი სასიცოცხლო მომენტი;

7. აღრიცხვაზე იქნა აყვანილი სოხუმის მაზრის უმცირესობათა წარმომადგენელი პარტიული, კომკავშირული და უპარტიო აქტივი;

8. სპეციალურად დაიგზავნა მიმართვა ცენტრალური კომიტეტების (სომხეთის, საქართველოს, როსტოვის) ნაცუმცირესობათა განყოფილებებში აფხაზეთის ნაცუმცირესობათათვის: სომხებისათვის, ბერძნებისათ-

ვის, ესტონელებისათვის, გერმანელებისათვის, სვანებისათვის, უკრაინელებისათვის ადგილების გარკვეული რაოდენობის დასაჯავშნად;

9. ნაცუმცირესობათა ზოგ რაიონში ორგანიზებულია ჯგუფები და ლატაკთა კრებები. რამდენიმე ნაცმენი მოზიდულია პარტიაში;

10. მრენველობაში მოზიდულნი არიან ნაცუმცირესი სომხები, ბერძნები, ლაზები (განსაკუთრებით ქალები), მიუხედავად პროფკავშირის ზოგი წევრისა და მუშაკთა დიდი წინააღმდეგობისა. აუცილებელია ჩამორჩენილი ნაცუმცირესობების, განსაკუთრებით ქალების ჩართვაც მრენველობაში.

11. ჯერჯერობით შექმნილია ბერძნული პოლიტწრე მიხაილოვკის რაიონში. ბოლო დროს ნაცუმცმუშაობაში აქტიურად ებმებიან პასუხისმგებელი ნაცმენი მუშაკები, ხელმძღვანელობენ ნაცუმცრაიონებს და ახორციელებენ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს ზოგ მნიშვნელოვან გლახურ საკითხზე [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:61].

მამასადაამე, აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების პოლიტიკური გააქტიურებისთვის მუშაობდნენ და სხვადასხვა ტიპის დადგენილებებს გამოსცემდნენ შემდეგი ორგანოები: ცაკი, კომკავშირი, მუშათა და გლახთა ორგანიზაცია, საოლქო კომიტეტის ბიურო და განათლების სახალხო კომისარიატი. ზემოთჩამოთვლილი 11 პუნქტიდან მხოლოდ ერთში იყო მითითებული, რომ განსახკომის ხელმძღვანელობით იქმნებოდა სპეციალური საბჭო უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილეში, საბჭოთა ხელისუფლება არ ზრუნავდა აფხაზეთში მცხოვრები ეროვნებების განათლების, ენისა და კულტურის განვითარებისათვის. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ამავე დოკუმენტში აღნიშნული შემდეგი წინადადებები, კერძოდ: „ნაცუმცირესობებით დასახლებულ

რაიონებში პარტიული უჯრედებსა და პარტიულ მუშაკთა კადრებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან აქ არ არის საჭირო, საქმით განხორციელდეს პარტიის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებით რთულია აფხაზეთის პირობებში„. საინტერესოა, რომ აქ ვილაცის მიერ წითელი ფანქრითაა მიწერილი: **напротив** „პირიქით“.

ეთნოსების „ჩამორჩენილობა“ იმ დროში ამ ერების პოლიტიკურ პასიურობას ნიშნავდა მხოლოდ და არც იმას მალავდნენ, თუ რა იყო უმცირესობებთან მუშაობის უპირველესი მიზანი, როცა აცხადებდნენ: „ჩამორჩენილ ნაცუმცირესობათა პოლიტიკური და კულტურულ-სამეურნეო განვითარების საქმეში უმნიშვნელოვანეს მომენტად უნდა ჩაითვალოს მძლავრი პარტიული ორგანიზაციის არსებობა, რომელსაც შეეძლება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება და პარტიის ყველა ღონისძიების განხორციელება„.

ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა ე რ ო ვ ნ ე ბ ე ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გააქტიურებისთვის ზემოთ დასახელებულმა მმართველმა ორგანოებმა შექმნეს შემდეგი ტიპის გაერთიანებები და სტრუქტურული ერთეულები: ნაცუმცირესობათა ბიურო, ნაცუმცკომისია (ცაკში გამოიყო სპეციალური ნაცუმცმუშაკი), ნაცუმცირესობათა საბჭო, ორგანიზებული ჯგუფები, ლატაკთა კრებები და პოლიტნრე. საკითხავია, მაინც რა გააკეთა ამდენმა ორგანომ? აი, ამ კითხვის პასუხიც:

„აღრიცხვაზე იქნა აყვანილი სოხუმის მაზრის პარტიული, კომკავშირული და უპარტიო აქტივი, რამდენიმე ნაცმენი მოზიდულია პარტიაში და მრენველობაში, ნაცმენი მუშაკები ხელმძღვანელობენ ნაცუმცრაიონებს და ახორციელებენ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს ზოგ მნიშვნელოვან გლეხურ საკითხზე, მონესრიგდა ნაცუმცირესობათა ზოგი სასიცოცხლო მომენტი„. თუმცა პირველ და მეოთხე პუნქტში მითითებული იყო, რომ შეიქმნა სამუშაო გეგმები და ორივეგან ასევე აღნიშნული იყო, რომ ეს გეგმები პრაქტიკულად არ განხორციელებულა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ უპირატესად ეროვნულ-ეთნიკური და არა პროფესიული

ნიშნით ადამიანთა პრივილეგიებისა და მათი დანიანაურების პოლიტიკა ხელს უწყობდა უმცირესობებში მომხმარებლური დამოკიდებულების წარმოშობასა და უმრავლესობისადმი ხელოვნურად წინააღმდეგობების პროვოცირებას.

ზემოთ განხილული ორი დოკუმენტის მსგავსად, დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ჩატარებდა ლაზური კონფერენცია და გამოიცემა მსოფლიოში პირველი ლაზური გაზეთი „მჭითა მურუცხი“. აქვე რამდენჯერმე იქნა ნახსენები ბერძნული კონფერენციის სასწრაფოდ ჩატარების აუცილებლობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარტიული ორგანიზაციების რაოდენობრივი ზრდა და მათში სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ჩართვა იყო ზემოთ დასახელებული ღონისძიებების მთავარი მიზანი. დოკუმენტის ავტორი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ სათანადოდ არ ხდება „ჩამორჩენილი ნაცუმციროსებების გადაბირება (вербовка)“. მისი სიტყვით, «ისინი მათი კულტურული განვითარების დონის მიხედვით გაცილებით იოლად შეიძლებოდა ჩართულიყვნენ პარტიასა და კომკავშირში“.

ავტორი წუხს, რომ „...ძალზე სუსტად ხდება პარტიაში მოზიდვა ყველაზე უფრო პროლეტარული შემადგენლობის ნაცემნი მუშებისა და მოჯამაგირეებისა. ნაცუმცრაიონებში პარტორგანიზაციის სუსტად ზრდის პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს ნაცემნი პარტიული და უპარტიო აქტივის გამოზრდა (выращивание). არის ისეთი ნაცუმცრაიონები (აზანთის, ანდრეევსკოეს, აჟარის), სადაც გლეხობას ამ დრომდე არა აქვს ცხადი წარმოდგენა საბჭოთა ხელისუფლების არსის, მისი პოლიტიკისა და სხვა საკითხების შესახებ, სადაც ლარიბებიც კი ფსიქოლოგიურად რეაქციონერები არიან, იმყოფებიან ძველი კონსერვატიული ჩვეულებების, მღვდლების, სპეკულანტებისა და, საერთოდ, ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის ქვეშ“ [სუა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:62-63]. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ საბჭოთა რეჟიმმა გასაბჭოებიდან გასულ წლებში ვერ მოახერხა თვით

ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების გადაბირება და მათი გადაქცევა თავის დასაყრდენ ძალად.

ავტორის ინფორმაციით, სოფლების ბერძენ მოსახლეობაში კომუნისტური პარტიის წევრობა არ მიიჩნეოდა სახარბიელო საქმედ და ეს ბერძენთა „კულტურული ჩამორჩენის“ შედეგი ყოფილა. მაგ., ოლგინსკოეს რაიონის მოსახლეობის 80% ბერძენი იყო - პარტიული უფრედი კი მთლიანად შედგებოდა ქართველებისაგან. ამ მხრივ უკეთესი მონაცემები ჰქონდათ სომხებს, ისინი უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი პარტიულ ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ტექსტის ერთ-ერთ აბზაცში სომხებიც ჩამორჩენილ ეთნოსად არიან დასახელებული. ამ მიზეზთა გამო უმცირესობების პოლიტიკური განათლებისთვის დამატებითი ღონისძიებები დაიგეგმა: „ეს ვითარება ხაზს უსვამს უკეთესი ხელმძღვანელობის, ნაცმენი ლატაკების ორგანიზებისა და პარტიული განათლების აუცილებლობას. უნდა მივალწიოთ ეროვნული მოძრავი სკოლების გახსნას სომეხი და ბერძენი გლეხობის მომსახურებისათვის. როგორც ზაფხულობით, ისე ზამთრობით აუცილებელია ნაციონალი სტუდენტების გამოყენება პარტიულ სკოლებსა და ნაცუმცირაიონებში. [კომპარტიის] აფხაზეთის ორგანიზაციამ ყურადღება უნდა მიაპყროს პარტიულ სკოლებში, კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებლებში ნაცუმცირესობების მრავლად წარგზავნას. საჭიროა მუშაობის დაწყება ნაცუმცირესობათა აქტივთან. გაიხსნას მოკლევადიანი კურსები ნაცუმცირესობათა აქტივის გადასამზადებლად. უფრო ხშირად უნდა იმართებოდეს თათბირები ნაცუმცირესობათა პარტიულ და კომკავშირულ აქტივთან. აუცილებელია სომეხი, ბერძენი პასუხისმგებელი მუშაკების გადაგზავნა დაბალ სამუშაოზე განსაკუთრებით ჩამორჩენილ რაიონებში შედარებით ხანგრძლივი ვადით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640:62-63].

საინტერესოა, რამდენად განახორციელეს სინამდვილეში ზემოთჩამოთვლილი აქტივობები და ჰქონდა თუ არა ამას ეფექტური შედეგი?

პოლიტიკურ გაუნათლებლობასთან ერთად პრობლემას ქმნიდა მოსახლეობის რელიგიურობა: „ნაცუმცირესობათა რაიონებში ასევე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ანტირელიგიური მუშაობა, ბრძოლა რელიგიურ ცრურწმენებთან. ეს ბრძოლა ძალზე ძნელია ნაცუმცირესობათა რაიონებში, ვინაიდან რელიგია უმჭიდროესად არის დაკავშირებული და გადაქსოვილი ნაცუმცირესობათა მთელ ეროვნულ და საყოფაცხოვრებო თავისებურებებთან აფხაზეთში. მკაფიო კლასობრივი ხაზის გავლება, სწორი ეროვნული პოლიტიკა, აგრეთვე მასების კულტურული დონის ამაღლებისა და ყოფიერების განახლების ღონისძიებები წარმოადგენს აუცილებელ პირობას რელიგიურ ფანატიზმთან საბრძოლველად.

ერთ-ერთ ამ უბანზე მოსუსტება ჩაშლის რელიგიის [წინააღმდეგ ბრძოლის] საკითხს. განსაკუთრებით მწვავედ დგას რელიგიური საკითხი ბერძნულ რაიონებში. ბერძნული მოსახლეობა ფანატიკურობამდე რელიგიურია. სამღვდელოებას, ბერებს აქვთ უზარმაზარი გავლენა მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ქალებზე. სამღვდელოება მჭიდროდაა დაკავშირებული კულაკობასთან, ანტისაბჭოთა და სპეკულანტურ ელემენტებთან. იგი ახდენს გლეხობის ორგანიზებასა და მობილიზებას საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა წინააღმდეგ, კოლექტივიზაციის საწინააღმდეგოდ, საბერძნეთში გადასასახლებლად. მიხაილოვსკოელი, აზანთელი და სხვა [თემების] ბერძნული სამღვდელოების ხელმძღვანელები ახდენენ ბნელი, რელიგიური გლეხობის დამუშავებას ტრიბუნის - ეკლესიის მეშვეობით. ზოგ ბერძნულ რაიონში სამღვდელოება მჭიდროდაა დაკავშირებული მასწავლებლობასთან. ამიტომ უცნაური არ ჩანს, როცა ეწყობა გლეხობის რეაქციული გამოსვლები. მაგალითად, აზანთაში შეკრებაზე ერთი გლეხი გლეხობის „სახელით“ აცხადებდა, რომ მთავრობას მიეცა უფლება რელიგიური სკოლების გახსნისა.

აუცილებელია ანტირელიგიური მუშაობის გაშლა, წრეების შექმნა და სპეციალური ანტირელიგიური ლიტერატურის შექმნა. სოფელ გნაიდენბერგში (გერმანული სოფელი)

კულაკობამ და ლუთერანულმა სამღვდელოებამ შექმნა ბაპტისტური სექტა, რომელშიც შეძლეს სხვადასხვა ეროვნების გლეხების ჩართვა“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640: 63-630ნ].

შესაძლებელია, მოგვიანებით სწორედ ამ მიზეზების გამო გაუშვეს ბერძნების ნაწილი საბერძნეთში, ხოლო მეორე ნაწილს კი შუა აზიაში დეპორტაცია მოუწყვეს.

საარქივო დოკუმენტის მეორე ქვეთავის სათაურში განხილულია ორი საკითხი: ეროვნული ურთიერთობები აფხაზეთში და ეროვნული საკითხი აფხაზეთის „ნაცუმცირესობებში“, თუმცა ზოგადად აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანთა საჭიროებებზეც არის საუბარი. ამ თავში, ძირითადად, განხილულია ის მიზეზები, რის გამოც ხდება ეროვნებათშორისი უთანხმოებები. გამომდინარე იქიდან, რომ დოკუმენტის ამ ნაწილში მოცემული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია, წარმოვადგენთ მას სრულად:

„მეფისა და მენშევიკების დროს ერთმანეთთან აპირისპირებდნენ სხვადასხვა ეროვნებებს (აფხაზებსა [და] ქართველებს, რუსებსა და ქართველებს, სომხებსა და ბერძნებს, სომხებსა და თურქებს და ა.შ.).

საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო, სწორად გადაეჭრა ეროვნული საკითხი და შეენწყვიტა მტრობა სხვადასხვა ეროვნებებს შორის.

ეროვნული შუღლის გადმონაშთები ჩვენს დრომდე შემორჩა. კლასობრივი მტერი, კულაკი, სამღვდელოება, მენშევიკები, დაშნაკები ყოველნაირად ცდილობდნენ გაედვივებინათ ეროვნული შუღლი ნაცუმცირესობათა რაიონებშიც.

საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების მხრიდან დაშვებული უმცირესი შეუსაბამოებები და არასწორი [ქმედებები], ანდა უყურადღებო დამოკიდებულება ნაცუმცირესობათა საჭიროებებისადმი მკვეთრ უკმაყოფილებას იწვევს. საყვედურებს ხელისუფლებისადმი იწვევს ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების

მხრიდან დაშვებული ზოგი მარცხი [промах], ნაცუმცირესობათა საჩივრისადმი მცირედი უყურადღებობა, შევიწროება ნაცუმრავლესობის მხრიდან (ნიკოლაევსკო-ანასტასიევსკოეს რაიონში ბერძენი და რუსი გლეხების ცემა, მიხაილოვკაში გლეხების დაპატიმრება ღამით), ბიუროკრატიული დამოკიდებულება ნაცუმცირესობებისადმი. შეიგრძნობა ეროვნული ანტაგონიზმი სომხებსა და ბერძნებს შორის. ბერძენი მუშა კომუნისტები, პროფკავშირის ბერძენი მუშა წევრები კომპარტიის ნაცუმცირესობათა [საბჭოში შეტანილ] განცხადებაში ჩივიან სომხურ შემტევ ნაციონალიზმზე, ნაწილობრივ უთითებენ აფხაზეთის თამბაქოს კავშირის თამბაქოს განყოფილების გამგე ჩოლოკიანზე. პროფკავშირული ორგანიზაცია, - ამბობენ ბერძნები, - ჩვენ გვანინაურებს, ჩოლოკიანი კი სომეხ ანტისაბჭოთა, კულაკურ ელემენტებს აწინაურებს და სულაც არა აქვს სურვილი, ყურადღება მიაქციოს ბერძნებს, იგი ბერძნებს უხეშად ეპყრობაო. ბერძნული მოსახლეობა ნაწილობრივ ჩივის ქართული ნაციონალიზმის გამოც. მაგალითად, ოლგინსკოეს რაიონში ვინმე შონია ხაზს უსვამდა საბჭოთა მოქალაქეების მიერ ბერძნული პასპორტების შეძენისა და საბერძნეთში საბოლოოდ წასვლის აუცილებლობას.

ოლგინსკოეს რაიონში 80% ბერძნული მოსახლეობაა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების აპარატში არ არის არცერთი ბერძენი. სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ქართველია, მდივანი - სომეხი, კომპარტიის უფრედი მთლიანად ქართულია. ამასწინათ აირჩიეს დასახლების ამხანაგობა, თავმჯდომარედ გამოიყო ქართველი. გადაირჩიეს სოფლსაბჭოს აპარატი, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე და მდივანი სომხები არიან. ამკარაა ეროვნული დამახინჯება, მიუხედავად რამდენიმე მითითებისა, ზომები ჯერაც არ მიუღიათ. აფხაზი თავადების, კულაკების შოვინისტური აგიტაციის გავლენით ეშერის რაიონში ნაციონალური უკმაყოფილებაა აფხაზებსა და სომხებს შორის. ეროვნული დამახინჯების მაგალითები

ადგილებზე ცოტა არ არის. ეროვნული ანტაგონიზმის გაღვივების ხელმძღვანელები არიან სამღვდელოება, სპეკულანტები, მენშევიკები, დაშნაკები“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640: 630ნ-64].

როგორც ვხედავთ, ავტორის აზრით, ეროვნული შუღლის გაღვივებას გასაბჭოებამდე ხელმძღვანელობდნენ კლასობრივი მტრები, კულაკები, სამღვდელოება, მენშევიკები, სპეკულანტები და დაშნაკები. საყურადღებოა, რომ აქ ქართველი მენშევიკებიც სახელდებიან. ეტყობა, ტექსტის შედგენის დროს უკვე ტრაფარეტად იყო ქცეული ჩვენს თანამედროვე აფხაზ სეპარატისტთა მიერ აქტიურად გავრცელებული ეს ბრალდება, რომელსაც არავითარი რეალური საფუძველი არ ჰქონდა.

ტექსტში საბჭოთა პერიოდის შუღლის გამღვივებელ ფაქტორებად დასახელებულია აფხაზი თავადებისა და კულაკების მიერ ეროვნული უთანხმოების გაღვივებისთვის ხელის შეწყობა, აგრეთვე: „უმცირესი შეუსაბამობები და არასწორი [ქმედებები], ანდა უყურადღებო დამოკიდებულება, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მხრიდან დაშვებული ზოგი მარცხი [ПРОМАХ], საჩივრისადმი მცირედი უყურადღებობა, შევიწროება ნაცუმრავლესობის მხრიდან,, ჩანს, რომ ზოგ შემთხვევაში უმნიშვნელო დარღვევებიც კი „მკვეთრ უკმაყოფილებას“ იწვევდა ამა თუ იმ ეროვნების ადამიანებში და ამიტომ ხშირად საჩივრებითა და საყვედურებით მიმართავდნენ ხელისუფლებას. აქ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, თუ რატომ ჰქონდათ თუნდაც უმცირეს შეცდომებზე მათ ასეთი რეაქცია?! დაპირისპირების მაგალითებად დასახელებულია უთანხმოება ბერძნებსა და სომხებს შორის, აფხაზებსა და სომხებს შორის, ნაცუმრავლესობის [აფხაზების? - ს.ჭ.] მიერ ბერძნებისა და რუსების ცემის ფაქტი და ქართველი შონიას მიერ ბერძნების გადასახლების მოთხოვნა. ამ კონფლიქტებიდან მასობრივი ელფერისა ჩანს დაპირისპირება ბერძნებსა და სომხებს შორის, აფხაზებსა და სომხებს შორის.

უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია სახელმწიფო სტრუქტურებში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა არათანაბარი გადანაწილება, კერძოდ, ბერძნულ სოფლებში ბერძნების მაგივრად სომხებისა და ქართველების მიერ თანამდებობების დაკავება, ეს ფაქტი კი შეფასებულია „როგორც ეროვნული დამახინჯება“. ქვეთავი მთავრდება ამ წინადადებით: „ეროვნული ანტაგონიზმის გაღვივების ხელმძღვანელები არიან სამღვდელოება, სპეკულანტები, მენშევიკები, დაშნაკები“. ცხადია, ამ ადამიანთა ჯგუფები ვერ შეძლებდნენ იმ საქმეებზე ზეგავლენის მოხდენას, რის გამოც სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ხშირად.

ჩვენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ბერძენთა მდგომარეობაზე. დასაწყისში რამდენჯერმე აღინიშნა, რომ საჭირო იყო ბერძნული კონფერენციის ჩატარება, ეროვნულ უთანხმოებაზე საუბრისას, ასევე ძირითადად, ბერძნებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე გაკეთდა აქცენტი. დოკუმენტის ბოლო ნაწილშიც აღნიშნული ეთნოსის გადასახლების მიზეზებია განმარტებული, კერძოდ:

„ყველა დასახელებული ეკონომიკური და პოლიტიკური მომენტი, მცირემინიანობა, უგზობობა, კლასობრივი ხაზის ნაწილობრივი გამრუდება, ზოგი სამეურნეო ორგანოს მიერ მშრომელი გლეხობის განწყობისა და საჩივრების გაუთვალისწინებლობა, უკმარისი სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, სომხური, ქართული ნაციონალიზმის არსებობა, სადაზღვევო და სასამართლო-ადმინისტრაციული ორგანოების ბიუროკრატიზმი, სამღვდელოების, სპეკულანტებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების აგიტაცია, საბერძნეთის კონსულის აგენტთა აგიტაცია, უცხოეთის განყოფილების (ИНО-ს) ძველი შემადგენლობის მიერ [კანონის] უხეში დარღვევა - საბერძნეთის მოქალაქედ ძალდატანებითი ჩანერის და სხვა გზით ქმნის წინაპირობას ბერძნებისა და ლაზების [საზღვარგარეთ] მასობრივად გამგზავრებისათვის.

ამავდროულად მთავრობის მხრიდან ზოგი გადამჭრელი ღონისძიების გატარების ნყალობით [საზღვარგარეთ] წასვლა ნაწილობრივ შეწყდა. აუცილებელია მშრომელ ბერძნებსა და ლაზებს შორის ჩატარდეს ფართო კამპანია [მათ მიერ] საბჭოთა მოქალაქეობაზე გადმოსასვლელად“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930, N 640: 64-6406].

როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტის ავტორი აღშფოთებას გამოხატავს „საბერძნეთის კონსულის აგენტების“ მისამართით, ბერძნულ მოსახლეობასა და ლაზებს შორის საბერძნეთსა და თურქეთში მასობრივად მიგრაციის აგიტაციას ეწვეიანო, ხოლო უცხოეთის განყოფილების (ИНО-ს) ძველი შემადგენლობა ბერძნებს კანონის დარღვევით საბერძნეთის მოქალაქეებად არეგისტრირებსო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს რეალობის გამრუდებულად წარმოჩენასთან: ამ საბუთის შედგენის პერიოდში მთელ საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმის ყოველგვარ წარუმატებლობას მიაწერდნენ ხოლმე მოსახლეობის იმ ჯგუფებს, რომლებიც რეალურად, ან პოტენციურად წინააღმდეგნი იყვნენ კომუნისტური იდეოლოგიისა და ბოლშევიკების მიერ გატარებული ძალადობრივი პოლიტიკისა: დამხობილი სამეფო ხელისუფლებისა და რუსეთის ყოფილი დროებითი მთავრობის მომხრეებს, არისტოკრატებს, ინტელიგენციას, სასულიერო პირებს, თეთრგვარდიელებს, უკრაინელ პეტლიურელებს, ქართველ მენშევიკებს, სომეხ დაშნაკებს, თათარ მუსავატელებს, შუააზიელ ბასმაჩებსა და ა.შ. ამ ჯგუფებს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მიაწერდნენ უცხოეთის ქვეყნების აგენტობას, დივერსანტობას, საბოტაჟს, მოსახლეობისათვის „ტვინის არევას“ და ა.შ. საანალიზო დოკუმენტში ორივე ამ ჯგუფს ბრალდება ბევრი რამ, განსაკუთრებით კი ბერძენთა და ლაზთა საბჭოთა კავშირიდან წასასვლელად პროვოცირება, არადა ბერძნებსაც და ლაზებსაც რეალურად საამისო მიზეზი ბევრი უნდა ჰქონოდათ: უმძიმესი სოციალურ-

ეკონომიკური პირობები, ძალადობა, რეჟიმის სიტყვისა და საქმის დაშორება, ყველასა და ყველაფრის მიმართ უნდობლობა, სულის შემხუთავი ატმოსფერო და ა.შ. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ აფხაზეთში არც ისე დიდი ხნის წინ დასახლებულ ბერძნებსაც და ლაზებსაც, რომლებსაც, როგორც ჩანს, არც კი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა, საბერძნეთსა და თურქეთში ეგულებოდათ სანათესაო და წინაპართა მინა, შედარებით უფრო სტაბილური ატმოსფერო. საკითხავია, რატომ აღიქვამდა საბჭოთა ფუნქციონერი ავტორი ამ ფაქტს ნეგატიურად? პასუხი ასეთი ჩანს: სისტემას ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფი მხოლოდ სამანიპულაციო მასალად და მორჩილი, ზომბირებული მოქალაქეების ჯგუფად გადასაქცევად ესაჭიროებოდა. რეჟიმისთვის, რა თქმა უნდა, ცუდი არ იქნებოდა ისეთი ეთნიკური ჯგუფის გაშვება, რომელსაც თვალი სხვა სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ გაუბოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იდეოლოგიური ფაქტორი აიძულებდა კომუნისტებს მაშინაც და საბჭოთა კავშირის დაშლამდე დარჩენილ პერიოდშიც, ყოველნაირად შეეფერხებინათ უცხოეთში მიგრაციები იმის შიშით, რომ მთელი მსოფლიო ამგვარ მასობრივ მიგრაციებს კომუნისტური სისტემის მარცხად ჩათვლიდა.

ზემოთ განხილულ საბუთებთან შინაარსობრივად ახლოსაა დოკუმენტი, რომლის სათაურია «აფხაზეთი». იგი შედგენილია რუსულ ენაზე 1926-1927 საბიუჯეტო წლის ბოლოს, ანუ 1927 წლის მიწურულს [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330]. ამ საარქივო მასალაში სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოცემულია ცნობები 20-იანი წლების აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ვითარების შესახებ. ზოგ შემთხვევაში საბუთი იმავე ცნობებს გვანვდის, რომელთა შესახებაც უკვე იყო მსჯელობა ზემოთ განხილულ დოკუმენტებში, ზოგჯერ კი მოწოდებულია ის ინფორმაცია, რაც სხვა საბუთებში არ ჩანს.

პირველი ქვეთავი „ეროვნებათშორისი შუღლის

მოსპობა“ ცარიზმისა და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის გასაკიცხად არის დაწერილი. მასში მოკლედ არის მითითებული შემდეგი რამ: „თუ ადრე აფხაზები ქართველებს ცოტათი მტრობდნენ, თუ სომხებს არ სურდათ, გაეგოთ აფხაზებისა, ან ბერძნებისათვის, რაც შედეგი იყო მეფის პოლიტიკისა და მენშევიკების პოლიტიკისა, ამჟამად ყველა ეს ეროვნება (народности) გაერთიანებულია თავიანთი კლასობრივი ინტერესების შეგნებით“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:124]. უცნაურია, რომ ამ დოკუმენტის შესავალში უფრო ვრცლად და მწვავედ არ არის გაკრიტიკებული წინა მმართველობები, მეტიც, აქ აფხაზურ-ქართული „შუღლის“ საზომად ისეთი მოულოდნელი ეპითეტია გამოყენებული, როგორცაა სიტყვა „ცოტათი“, რაც საკმაოდ რბილი გამონათქვამია კომუნისტური ოფიციალური საბუთისათვის.

მომდევნო ქვეთავი სახელმწიფო ენებს ეხება და დეტალურად არის განხილული ის ენობრივი ნორმატივები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უნდა გაეთვალისწინებინათ სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლებს. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ამ ნაწილიდან:

„პრაქტიკულად ენის საკითხი აფხაზეთში წარმოდგენილია შემდეგი სახით: სახელმწიფო დაწესებულებათა ენაა სამი ენა: **აფხაზური, ქართული და რუსული ენები.**

I. ყოველ მოქალაქეს ეძლევა უფლება, მიმართოს ყველა დაწესებულებას თავის დედაენაზე და მიიღოს პასუხი სამი თანაბარუფლებიანი ენიდან ერთ-ერთზე, ანუ აფხაზურად, ქართულად ან რუსულად მთხოვნელის სურვილის მიხედვით.

II. საკანონმდებლო აქტები უნდა ქვეყნდებოდეს სამ ენაზე: აფხაზურად, ქართულად და რუსულად.

III. რესპუბლიკის ცალკეულ მაზრებში დადგენილია (установлен) მოსახლეობის უმრავლესობის ენა, თუმცა მოცემულ მაზრაში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობისათვის გარანტიის [დაშვებით], სახელდობრ:

გალის მაზრაში - ქართული ენა,

გუდაუთისა და კოდორის მაზრებში - აფხაზური ენა,

გაგრისა და სოხუმის მაზრებში და ქ. სოხუმის ადგილობრივ დაწესებულებებში - რუსული ენა.

IV. ცენტრალური ორგანოები უკავშირდებიან სამაზრო დაწესებულებებს იმ ენაზე, რომელზეც ხდება მოცემული მაზრის საქმისწარმოება. მეორე მხრივ, სამაზრო დაწესებულებებიც უკავშირდებიან როგორც ცენტრალურ ორგანოებს / ცაკს, სახკომსაბჭოს, სახალხო კომისარიატებს/, ისე თავიანთ საქვეუწყებო დაწესებულებებს /სოფლსაბჭოებს, მილიციას და სხვ./ იმ ენაზე, რომელიც მიღებულია მოცემულ მაზრაში.

სასოფლო საბჭოებში საქმისწარმოება ხდება მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე, ანდა იმ ენაზე, რომელიც არჩეულია თვით მოცემული რაიონის მოსახლეობის მიერ, მაგრამ მაზრის აღმასკომთან კავშირი მყარდება მაზრის აღმასკომის მიერ მიღებულ ენაზე.

აქედან [ე.ი. ამ წესებიდან] გამონაკლისი დაშვებულია იმ სოფლის საბჭოებისათვის, რომლებშიც საქმისწარმოება ხდება ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე - აფხაზურად, ქართულად ან რუსულად, მაგრამ ეს ენა არ ემთხვევა მაზრის აღმასკომის ენას»[სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:124].

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო დაწესებულებებში სამი ენის გამოყენების რთული სქემა ამგვარ სურათს ქმნიდა:

აქაც დასტურდება, რომ სხვადასხვა მაზრების მიხედვით სახელმწიფო ენები ასე ნაწილდებოდა: ქართული გამოიყენებოდა მხოლოდ 1 - (გალში) მაზრაში, აფხაზური - 2-ში (გუდაუთასა და კოდორში), ხოლო რუსული - 3 ადმინისტრაციულ ერთეულში (გაგრისა და სოხუმის მაზრებში, ასევე ქ. სოხუმში). ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ქალაქებზე აფხაზური და რუსული უპირატეს მდგომარეობაში იყვნენ, ვინაიდან მათი ფუნქციონირების არეალი უფრო ვრცელი იყო. სხვა საკითხია, რომ პრაქტიკულად შესაძლებელი არ იყო აფხაზური ენის საქმისწარმოების ენად გამოყენება. ასევე პრობლემური იყო საკანონმდებლო აქტების სრული სიზუსტით თარგმნა აფხაზურ ენაზე, რადგან არც საამისოდ აუცილებელი ტერმინოლოგია არსებობდა და არც პროფესიონალი მთარგმნე-

ლები, ხოლო სამწიგნობრო ენის ნორმები ჯერ კიდევ არ იყო დადგენილ-შემუშავებული.

მაზრებისა და ცენტრალური ორგანოების ურთიერთობისას ენათა გამოყენება დაბალანსებული იყო, კერძოდ, მაზრის წარმომადგენლები ცენტრალური ორგანოების მიერ არჩეულ ენაზე მიმართავდნენ ამ უკანასკნელთ და - პირიქითაც. ამით ისინი თითქოს ერთმანეთის ენობრივ არჩევანს აღიარებდნენ.

საყურადღებოა სასოფლო საბჭოების საქმისწარმოების ენების საკითხიც. ე. ი. სოფლის მცხოვრებლებს შეეძლოთ აერჩიათ მოსახლეობის **უმრავლესობის ენა**, ან სხვა მათთვის **სასურველი ენა**. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მაზრებისთვის მაზრების აღმასკომის მიერ არჩეულ ენაზე უნდა მიემართათ. გარდა ამისა, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო **მშობლიურ ენაზე** მიემართა სახელმწიფო სტრუქტურისათვის.

მაშასადამე, 3 სახელმწიფო ენის გარდა, საქმისწარმოებისთვის გამოყენებული უმრავლესობის ენა, შესაძლოა, ყოფილიყო ბერძნული ან სომხური, ვინაიდან, ძირითადად, ეს ეთნოსები ცხოვრობდნენ კომპაქტურად აფხაზეთის სხვადასხვა სოფლებში. **ცაკისა და სასოფლო საბჭოების** წარმომადგენლები თვითონ ირჩევდნენ საქმისწარმოების ენებს და ერთმანეთს არჩეულ ენებზე მიმართავდნენ, ხოლო მაზრების ენები დადგენილი იყო ზემოთ აღნიშნული განაწილების მიხედვით. აქ და სხვა დოკუმენტებში აღწერილ ენათა გამოყენების წესებს შესაძლოა ენობრივი ქაოსი და მოჩვენებითი უფლებების დეკლარაცია ეწოდოს.

მომდევნო ნაწილში დოკუმენტის ავტორი ჩამოთვლის 1921 წლის შემდეგ აფხაზეთში საგანმანათლებლო სფეროში განხორციელებულ რეფორმებს და ამ მიმართულების მიღწევებს, კერძოდ: „1/ სახალხო განათლებისათვის გამოყოფილი სახსრების ყოველწლიური ზრდა; 2/ სასწავლო დაწესებულებათა ქსელის სწრაფი მატება; 3/ რესპუბლიკის მთელი საბავშვო მოსახლეობის თანდათანობითი ჩართვა სკოლის მიერ; 4/ აფხაზეთში სკოლამდელი განათლების

გაჩენა; 5/ პროფესიული სასწავლო დაწესებულებების გახსნა, რომელთა მიზანია ადგილობრივი მოსახლეობიდან მუშა სპეციალისტების მომზადება; 6/ ძველი სასკოლო შენობების ნაწილის აღდგენა და ახლების აგება; 7/ მოზრდილ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციაში სრულიად ახალი მუშაობის წამოწყება; 8/ მუშაობა ქალაქელ და გლეხ მოზრდილ მოსახლეობაში კულტურული დონის ასამაღლებლად ქობ-სამკითხველოების ქსელით რესპუბლიკის თანდათანობითი დაფარვის გზით; 9/ საზოგადოდ, სამეცნიერო მუშაობის ჩასახვა და თანდათანობითი განვითარება და, კერძოდ, **სამეცნიერო მუშაობა ეროვნული აფხაზური ლიტერატურისა და მუსიკის შესაქმნელად**» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:125-126].

ამ ჩამონათვალის პირველი 8 პუნქტი უდავოდ პროგრესულ ფაქტებად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება მე-9 პუნქტს, მას კომენტარი ესაჭიროება. აქ საგანგებოდ არის მითითებული, რომ მიმდინარეობდა სამეცნიერო მუშაობა ეროვნული აფხაზური ლიტერატურისა და მუსიკის შესაქმნელად. ჩვენ მიერ მოძიებულ აფხაზეთის ოფიციალური პირების სხვა ანგარიშებშიც ხშირად ხაზგასმული იყო მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც აფხაზურ ენასა და კულტურას ეხებოდა, მაგრამ ყურადღება საერთოდ არ ექცეოდა იმას, რომ აფხაზეთში ძირითად მოსახლეობად დეკლარირდებოდნენ აფხაზები და ქართველები, ამ უკანასკნელებს კი სწორედ ამის გამო ესაჭიროებოდათ ისეთივე ყურადღება, როგორიც აფხაზურ ენას, ლიტერატურას, მეცნიერებასა და ხელოვნებას. სამწუხაროდ, 20-იანი წლების აფხაზეთის შესახებ ჩვენ მიერ გამოვლენილ არცერთ საარქივო მასალაში არ დასტურდება აფხაზეთის მმართველი წრეების სერიოზული ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის, მეგრული, ლაზური და სვანური მეტყველებებისა და ფოლკლორის, მათი კულტურის განვითარებისა და მეცნიერული კვლევის მიმართულებით.

დოკუმენტის მიხედვით, 1927 წლის მიწურულისთვის

აფხაზეთში არსებობდა შემდეგი სასწავლო დაწესებულებები: 4 ტექნიკუმი, ცხრანლიანი სკოლა - 8, შვიდნლიანი სკოლა - 13, პირველი საფეხურის სკოლა - 262, საბავშვო სახლი - 3, საბავშვო ბაღი - 8. ეროვნული ნიშნის მიხედვით ისინი ასე იყოფოდა: ქართული - 88, აფხაზური - 57, რუსული - 8, სომხური - 66, ბერძნული - 57, თურქული - 1, ესტონური - 3, გერმანული - 2, შერეული - 17. საბუთში მითითებულია, რომ «[მოსწავლეთა შემადგენლობა] ეროვნული ნიშნის მიხედვით ყველა სახის სასწავლო დაწესებულებებში [ასე] იყოფა: ქართველები - 8.939, აფხაზები - 4.733, რუსები - 1.603, სომხები - 4.796, ბერძნები - 3.606, ესტონელები - 103, გერმანელები - 57, სხვები - 356» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:126-127].

საბუთის მიხედვით, სასკოლო ასაკის ბავშვთა 70% პირველი საფეხურის სკოლის მოსწავლე იყო. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა განათლების უფრო მაღალი საფეხურების გავლას. ამის გარეშე კი შეუძლებელი იქნებოდა უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღება.

საყურადღებოა შემდეგი მონაცემებიც: «ჯერჯერობით სასწავლო დაწესებულებათა მთელი ქსელი შემოიფარგლება: 3 ტექნიკუმით - **პედაგოგიურით, ინდუსტრიულით და სასოფლო-სამეურნეოთი და 2-ნლიანი აფხაზური პედაგოგიური კურსებით.** ნაკლოვანებანი შენობების, მონყობილობებისა და შემსვლელთა დაბალი მომზადების მხრივ ტექნიკუმებს ჯერჯერობით არ აძლევს საშუალებას, დადგენენ სათანადო დონეზე. წლეულს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს გამოეყო ქ. გაგარის ახლოს მდებარე მამული „ოტრადნოე“ ნაწილობრივ აღდგენილი დიდი შენობებიანად და ტექნიკუმისათვის საკმარისი მინის სავარგულებიანად (დაახლოებით 98 დესეტინა)» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:127-128].

მაშასადამე, ტექნიკუმებში არსებული ღარიბი სასწავლო გარემოსა და ჩარიცხულთა დაბალი მომზადების

გამო აღნიშნული სასწავლო დაწესებულებები არ იყვნენ სრულყოფილად გამართულნი, რაც თავისთავად აისახებოდა კურსდამთავრებულთა პროფესიონალზმზე. მხოლოდ ერთი იყო პედაგოგიური ტექნიკუმი და ერთი აფხაზური პედაგოგიური კურსები. ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო ადგილობრივი პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად.

დოკუმენტის ავტორი წერს: «თვით მოსახლეობის ინიციატივითა და აფხაზეთის სახკომსაბჭოს დახმარებით აშენდა რიგი ახალი სასკოლო შენობებისა. **საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს დახმარებით დაწყებულია სოხუმის აფხაზური 7-წლიანი, სოხუმის სომხური და ბერძნული 9-წლიანი სკოლების შენობების აგება**» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:127-128].

როგორც ვხედავთ, აფხაზური, სომხური და ბერძნული სკოლების მშენებლობაში ჩართული იყვნენ არა მარტო აფხაზეთის მცხოვრებნი და აფხაზეთის სახკომსაბჭო, არამედ საქართველოს ცაკიც.

საანალიზო საბუთიც ადასტურებს, რომ მხარეში წერა-კითხვის უცოდინრობა ჯერ კიდევ ხშირი იყო. ავტორი წერს: «1923 წლის ნაწილობრივი აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის სოფლების 18-დან 40-მდე ასაკის მოსახლეობაში დაახლოებით 80% წერა-კითხვის უცოდინარია. მთავარპოლიტიგანმა 1923 წლიდან დაიწყო მუშაობა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოსაფხვრელად. საერთოდ, ამ მუშაობის მთელი სიძნელე აფხაზეთში უფრო რთულდება ძლივს დასაძლევი [დაბრკოლებების] მთელი წყებით: 1/ **მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელით, 2/ სოფლებში კულტურული ძალების, შენობების, მონყობილობების უქონლობით, 3/ ეროვნული ლიტერატურის უკმარისობით და სხვ**» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:127-128]. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობის წერა-კითხვის მცოდნე 20%-დან უნდა შერჩეულიყვნენ ის კადრები, რომლებიც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადანაწილდებოდნენ. ცხადია, ადამიანების აღნიშნული

რაოდენობა საკმარისი ვერ იქნებოდა ლიკპუნქტებში, ქობ-სამკითხველოებში, წითელ კუთხეებში და სხვადასხვა ტიპის სკოლებში დასასაქმებლად. ადამიანური რესურსის ნაკლებობის გარდა, ბევრგან არ არსებობდა შესაფერისი შენობები და ინფრასტრუქტურა. დოკუმენტის ავტორი გულს არ იტეხს და წერს: «მაგრამ ყველა დაბრკოლების დაძლევისთვის მუშაობა მიმდინარეობს და მან გასული დროის განმავლობაში შემდეგი შედეგები გამოიღო:

1923-24 წწ. **ლიკპუნქტებში** ასწავლეს 200 კაცს;

1924-25 წწ. „ „ 3.000 კაცს;

1925-26 წწ. „ „ 1.140 კაცს;

1926-27 წწ. „ „ 1.993 კაცს“

[სცა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:127-128].

წარმოდგენილი მონაცემებით, 1923 წლიდან 1927 წლამდე ლიკპუნქტების მსმენელთა რაოდენობა გაზრდილა 200-დან 1.993-მდე. ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირებულია 1924-25 წლებში (3.000 კაცი), რომელმაც მომდევნო წლებში საგრძნობლად იკლო.

ლიკპუნქტების გარდა, სკოლისგარეშე განათლებისთვის აფხაზეთში შექმნილი იყო **ქობ-სამკითხველოები, წითელი კუთხეები და საბჭოთა პარტიული სკოლები**:

„გასაბჭოებიდან პირველ ორ წელიწადს **ქობ-სამკითხველოების** რაოდენობა უკიდურესად ცოტა იყო, 1923 წლიდან მათმა რიცხვმა თანდათანობით მოიმატა ამგვარად:

1923 წელს იყო 5 ქობ-სამკითხველო და 18 წითელი კუთხე,

1924 წ. „ 10 „ „ 23 „ „

1925 წ. „ 10 „ „ 39 „ „

1926 წ. „ 21 „ „ 47 „ „

1927 წ. „ 28 „ „ 56 „ „

გლეხობის კულტურული განვითარების ხელშეწყობის მხრივ ერთ-ერთ მიღწევად ცხადდებოდა სოხუმში, 1924 წლის მარტში გახსნილი **გლეხის ცენტრალური სახლი**. მას გამოეყო სოხუმის საუკეთესო, 60-ოთახიანი სახლი; იგი აღჭურვილია 150 სანოლით. ბოლო წელიწადს გლეხის

ცენტრალური სახლში გატარდა 58.141 კაცი. გლეხის სახლში მოსულ გლეხებს ემსახურებიან კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით».

რეალურად გლეხის სახლები აფხაზეთშიც და სხვაგანაც ახალგაზრდა გლეხების იდეოლოგიურად დამუშავებასა და მათგან სოფლების მმართველი კადრების ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამით აიხსნება ამ ტიპის სახლებისადმი განსაკუთრებული ყურადღება.

„დოკუმენტში მითითებულია, რომ „სოხუმში არსებულ პირველი საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლას (Совпартшкола) უკვე ჰქონდა ოთხი გამოშვება. განვილილ 1926-27 საბიუჯეტო წელს **კურსანტების ეროვნული ნიშნით ნარევა შემაღვენლობამ** და მათი განვითარების დაბალმა დონემ წამოჭრა საკითხი საბჭოთა პარტიული სკოლის ორწლიანად გადაკეთების შესახებ, იმავე ტიპის პირველი საფეხურის შენარჩუნებით» [სეა, ფ. 284, ან. 1, 1926-1927, N 330:127-129].

დაისმის ლოგიკური შეკითხვა: რატომ იხარჯებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ანუ მოსახლეობის ჯიბიდან დიდი რაოდენობის თანხა არაფორმალური განათლების დაქსელილი სისტემის შესაქმნელად და ფუნქციონირებისათვის არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში? პასუხი ერთია: კომუნისტური რეჟიმი მიზნად ისახავდა ეროვნულობისაგან დაცლილი და ერთ ენაზე ალაპარაკებული სოციალურად გაუდიფერენცირებელი საზოგადოების ჩამოყალიბებას და ამ მიზნის მისაღწევად დახარჯული თანხის რაოდენობა არავის ადარდებდა.

საარქივო მასალებში არის საინტერესო ცნობა აფხაზეთში მცხოვრები ბერძნებისა და ესტონელების მდგომარეობის შესახებ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930]. ცნობა შედგენილია 1930 წლის 16 აპრილს აფხაზეთის ცაკის 13 აპრილის N 93.447 მიმართვის პასუხად. ადრესატი აფხაზეთის ცაკი ყოფილა. რაკი ცნობა საქართველოს ცაკის ფონდში მოხვდა, ცხადია, ეს ინფორმაცია სწორედ საქართველოს ცაკს სჭირდებოდა.

დოკუმენტის სათაურია: „ცაკს“ და მას ხელს აწერენ აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი ა. ჭოჭუა და ამავე განსახკომის საქმეთა მმართველი სოკოლოვი. მითითებულ წყაროში აღნიშნულია შემდეგი:

„1. სასკოლო შენობების მდგომარეობის შესახებ: ბერძნული სასკოლო შენობების 75% არ შეესაბამება თავის დანიშნულებას და მოითხოვს გადაკეთებას; ხოლო ესტონური სასკოლო შენობები უფრო გამოსადეგია.

2. აფხაზეთში ბერძნული და ესტონური მოსახლეობის წიგნიერების პროცენტის დადგენა არ მოგვიხერხდა, ვინაიდან ცსს¹⁶-საც არ აღმოაჩნდა ეს მონაცემები.

3. ბერძნული სკოლები სახელმძღვანელოებით სრულად არ არის უზრუნველყოფილი, ვინაიდან როსტოვში არსებული გამომცემლობა - ბერძნული ვერ უძღვება თავის საქმეს. პირველი სამი ჯგუფი [= კლასი] უფრო უზრუნველყოფილია, დანარჩენი ჯგუფები განიცდიან სახელმძღვანელოების ნაკლებობას. ესტონური სკოლები უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით.

4. არსებობს 2 სპეციალური ბერძნული ქობ-სამკითხველო - კონსტანტინოვსკოესა და მიხაილოვსკოეში, და 2 ესტონური - სალმეში და ვერხნი ლინდაუში. გარდა ამისა, ბერძენ მოსახლეობას ემსახურება ნებელდის, ჯირხვისა და პილენკოვოს ქობ-სამკითხველოები“ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930:47]. ჩვენ მიერ მოძიებულ საარქივო მასალებში არაერთხელ არის მითითებული, რომ სხვადასხვა ეროვნული სკოლებისთვის სახელმძღვანელოები ხშირად მეზობელი რესპუბლიკებიდან და სახელმწიფოებიდან შემოჰქონდათ, რასაც ადასტურებს მოცემული დოკუმენტიც.

საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ამავე ფონდში დაცული 3-გვერდიანი ცნობა ესტონელთა და ბერძენთა სოფლების მიწათმონყობის შესახებ [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930] ცნობა შედგენილია 1930 წლის 15 აპრილს აფხაზეთის ცაკის 13 აპრილის #93.447 მიმართვის პასუხად. დოკუმენტს

16. ცსს - ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ხელს აწერენ მინსახკომის კომისრის მოადგილე აბზიანიძე და საქმეთა მმართველი ბერუე. ცნობას აქვს მნიშვნელობა ჩვენი ნაშრომში განხილული ზოგი საკითხისათვის.

აფხაზეთის სსრ მინსახკომის განმარტებით:

„1923 წლიდან არ ჩატარებულა მინების მასობრივი აღწერა და ეროვნული ნიშნით აღრიცხვა. ამიტომ მინსახკომს შესაძლებლად მიაჩნია, გაცნობოთ ცალკეული არსებული ცნობები, რომელთაც არა აქვთ სისტემატური ხასიათი.

აფხაზეთის სსრ-ში სულ არსებობს 5 ესტონური სოფელი, მათგან 3 სოხუმის მაზრაში და 2 გაგრისაში. დროთა განმავლობაში სოფლებში მინების რაოდენობა შემცირდა მეზობლების მიერ თვითნებური მიტაცებების გამო.

ბერძნები უპირატესად ასევე დასახლებულნი არიან ყოფილი გადასახლების უბნებზე სოხუმის მაზრაში. ყველაზე დიდ ბერძნულ სოფლებს განეკუთვნება ალექსანდროვსკოე, კონსტანტინოვსკოე, ეკატერინენსკოე, პეტროვსკოე, ოლგინსკოე, ალექსანდროვსკოე-მიხაილოვსკოე, ბემკარდაშ-ანდრეევსკოე, აზანთა. როგორც სოფლების ოლგინსკოესა და ალექსანდროვსკოეს მაგალითზე ჩანს, ისინი [ბერძნული სოფლები] შედარებით დიდ ნაკვეთებს იღებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენ გლეხთა ნაწილი, რომლებიც მენშევიკების მთავრობის დროს გაემგზავრა და [მერე] უკან დაბრუნდა, იქ დასახლდა, სადაც მოუხერხდა - ქვიან ნიადაგებზე, ნათესავებთან იჯარის სანყისებზე. ლტოლვილებმა, რომლებიც მკვიდრ ბერძნებს ჩაუსახლდნენ, მნიშვნელოვნად გააუარესეს ბერძენი გლეხობის მდგომარეობა„.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის სსრ-ში სულ 5 ესტონური სოფელი არსებობდა: ესტონკა, ვერხნი ლინდაუ, ნიჟნი ლინდაუ, სულევო და სალმე, რომელთა შექმნის თარიღად მითითებულია 1883-84 წლები. ამ სოფლებში 38-დან 96-მდე კომლი ცხოვრობდა [სეა, ფ. 284, ან. 1, 1927-1930:45].

საბჭოური ლოგიკით, სხვადასხვა ეროვნების დაბალი კულტურული დონის ასამაღლებლად კი არ

დაგეგმილა ღონისძიებები, პირიქით, ჩანს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები სარგებლობდნენ მათი მდგომარეობით, ვინაიდან „ჩამორჩენილი ნაცუმცირესობების“ პოლიტიკური გააქტიურება მხოლოდ სტატისტიკა იყო პარტიული ორგანოების სიმრავლისა და „მასებისაგან ფართო მხარდაჭერის“ წარმოსაჩენად.

მაშასადამე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების აფხაზეთის სსრ-ს ტერიტორიაზე სამი სახელმწიფო ენიდან მხოლოდ რუსული ენისთვის იქმნებოდა ხელსაყრელი გარემო მისი გავრცელებისა და უკეთ დამკვიდრებისთვის. აფხაზები საბჭოთა ხელისუფლებას თავგამოდებით სთხოვდნენ აფხაზური ენისა და კულტურის განვითარებისთვის ხელშეწყობას, მაგრამ თვითონაც ხედავდნენ, რომ მათ გარშემო მხოლოდ რუსული ენის სტატუსისა და ფუნქციონალური გაფართოებისთვის იქმნებოდა ნიადაგი.

დასკვნები

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებული საარქივო დოკუმენტები ცხადად ნარმოგვიდგენს საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე ძირითად სოციოლინგვისტურ ტენდენციებს და იმ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდა ქვეყნის ოკუპაცია-ანექსიის შედეგად გაბატონებული კოლაბორაციონისტული კომუნისტური რეჟიმი. ამ რეჟიმის მთავარი ამოცანა იყო მოსკოვში დაგეგმილი პოლიტიკის განხორციელება, რაშიც უმთავრესი ადგილი ეჭირა ეროვნულობის წინააღმდეგ ბრძოლას, სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის შერწყმას და კომუნისტური იდეოლოგიით მათ მასობრივად აღზრდას. საქართველოში საბჭოური იდეოლოგია ინერგებოდა, ერთი მხრივ, ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის სამართლიანი კრიტიკისა და, მეორე მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენობრივი პოლიტიკის ფსევდოკრიტიკის დროშით - მოსახლეობას უნერგავდნენ იმ აზრს, თითქოს 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება მეფის რუსეთის რეჟიმის თანაბრად ახორციელებდა არაქართული მოსახლეობის ასიმილაციის პოლიტიკას, რაც არ დასტურდება არც ერთი ისტორიული წყაროს მონაცემებით, თუმცა ამ ყალბმა იდეოლოგიამ, რომელიც აქტიურად ინერგებოდა მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში საგანმანათლებლო სისტემის, მასმედიის, კულტურის მეშვეობით, თავისი კვალი დატოვა უპირველეს ყოვლისა არაქართულ მოსახლეობაში.

კომუნისტური რეჟიმის მიერ დასახული მთავარი ამოცანების შესრულებაში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა ენობრივ პოლიტიკას.

